THE ARCHITECT OF THE CAPITOL
1793



# THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA



This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on September 5, 2006, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Manuchar B. Katchakhidze on the occasion of the 3rd Anniversary of Mamuli, the only Georgian Newspaper in the USA.

Alan M. Hantman, FAIA
Architect of the Capitol

2006-057014-001

ეს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ თანდართული დროშა ფრიალებდა ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტოლიუმის თავზე 2006 წლის 5 სექტემბერს, შეერთებული შტატების სენატორის, პატივცემული ფრანკ ლუთენბერგის მოთხოვნით. ეს დროშა აფრიალებული იქნა მანუჩარ კაჭახიძისათვის, აშშ-ში ერთადერთი ქართული გაზეთის „მამულის“ სამი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

**ალან ჰენთმანი**
კაპიტოლიუმის არქიტექტორი

№10 (32),
2006 წლის
სექტემბერი
ოქტომბერი

# მამული



2006 წლის 5 სექტემბერი, 8:01სთ

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

ასავალ დასავალი

ესტუმრეთ ჩვენს ინტერნეტ გვერდს
www.mamuli.com
აშშ-ში: 347-724-0770; თბილისიდან: 420-320

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

editor@mamuli.com
mamuli@comcast.net

## აღიარებს რა ყოველთა ქართველ ემიგრანტთა წმიდათაწმიდა მოვალეობად და ღირსებად, დღეიდან ჩვენი გაზეთი იწყებს სიის დაბეჭდვას იმ სათნო ადამიანებისა, რომლებიც შეეწივნენ ამერიკაში ქართული ეკლესიის აღმშენებლობის საქმეს

ელენე ბახტაძე - 60$
ზურაბ ჭუმბურიძე - 30$
ნონა ცხოვრებაშვილი - 40$
ეთერი წერეთელი - 10$
ნინო მამასახლისი - 10$
დონარა მანჯავიძე - 10$
ილია ილურიძე - 10$
უცნობი - 10$
თიკო ლომსაძე - 20$
უცნობი - 20$
გიორგი ახობაძე - 20$
რუზანა ისრაელიანი - 20$
ხათუნა და პიტერ ბლიერები - 20$
თ. ლეთოდიანი - 20$
ლოლა სოსელია, მანანა დუნდუა - 20$
მართა გუშარაშვილი - 20$
მანანა წულაძე, არჩილ შავლაყაძე - 20$
ირმა ბინკითაშვილი - 20$
მაია ფარულავა - 700$
გიორგი და ლილი შიოშვილები - 1000$
ნიკა ჩხეიძე - 200$
რუსუდან და მანუჩარ სურგულაძეები - 100$
მარინა დვალიშვილი - 100$
ნუნუ ჩახნაშვილი - 100$
ნანა წიკალური - 50$
მარიამ და სოფო ბედოშვილები - 50$
მარინა ძებისაშვილი, თამარ ფილიშვილი - 100$
დოდო მილორავა - 100$
ქეთი მითაიშვილი - 50$
ლელა ბანძელაძე - 50$
ირმა და ინგა გაჩეჩილაძეები - 50$
ხათუნა მემარნიშვილი - 50$
ნოდარ ტარტარაშვილი - 50$
ვიოლა მაჭავარიანი - 50$
ზაზა მჭედლიშვილი - 50$
რიჩარდ დავითაშვილი - 50$
ჟუჟუნა ნარეკლიშვილი - 50$
ხარაზიშვილი ოლეგი - 50$
ნინი და მიშიკო სახელაშვილები - 50$
ირინა მაჭავარიანი - 50$
ლია არჩაია - 50$
უცნობი - 100$
ლია და ჯემალ ტულუშები - 50$
მერაბი ნემსიწვერიძე - 60$
უცნობი - 25$
ლელა ქავთარაძე - 30$
უცნობი - 3$
მედეა კიკნაძე - 20$
ეკა კიკნაძე - 20$
რაფაელა - 40$
სლუნამიტ მიშიევი - 100$
უცნობი - 40$

ამ სიის კორექტურა დაცულია მკაცრად და მასში ყოველად გამორიცხულია რაიმე სახის შეცდომის გაპარვა




# საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა

## გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ 61-ე სესიაზე

ქალბატონო პრეზიდენტო, ბატონო გენერალურო მდივანო!

პირველ ყოვლისა, ნება მომეცით მადლიერება გამოვხატო ამ ინსტიტუტის, ყველას მიმართ, ვინც იზიარებს მის ღირებულებებს და მისიას იმისათვის, რომ მე და ჩემი ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობა მოგვეცა დღეს ამ ტრიბუნიდან მოგვემართა.

ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმ დროს, როდესაც გაერთიანებული ერების, როგორც სტრუქტურისადმი არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები იშვიათად ყოფილა უფრო დიდი.

ამ შეკრებაზე ჩვენ ერთმანეთს შეკითხვა უნდა დავუსვათ - გვექნებოდა თუ არა მშვიდობა და კეთილდღეობა, გაერთიანებული ერების სისტემა ასეთი აქტიური რომ არ ყოფილიყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ჩემი ქვეყანა მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მზარდ ძალისხმევას იყოს უფრო აქტიური; ჩვენ მივესალმებით გენერალური მდივნის კანდიდატურას, რომლის კომპეტენტური და უნიკალური შორსმჭვრეტელური შეხედულება გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ, უთუოდ დაგვეხმარება მიზნების მიღწევაში.

საქართველო მადლიერებით აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წვლილს ჩვენს რეგიონში მშვიდობის დამყარების მცდელობაში; მადლიერებას გამოვხატავთ იმის თაობაზეც, რომ ეს ორგანიზაცია ძალისხმევას არ იშურებს ყველაზე გაჭირვებულებს ახალი შესაძლებლობები შეუქმნას.

მე იმედით მაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება, გაღრმავდება და კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება.

რამდენიმე კვირაში ჩვენ მშვიდობიანი, დემოკრატიული რევოლუციის მესამე წლისთავს ვიზეიმებთ, რომელმაც საქართველოში ცვლილებებისა და პროგრესის ახალი ერა მოიტანა.

ეს იყო ჩვენი რევოლუცია, რომელმაც ჩვენს მოქალაქეებს ძალა შემატა.

ეს მოხდა იმ ფუნდამენტური სოციალური კონტრაქტის ტრანსფორმაციის გზით, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ნებისმიერი დემოკრატია - კონტრაქტი, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების პატივისცემას.

დღეს საქართველოს დემოკრატიის მოქალაქეები ადამიანის უსაფრთხოების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების ნაყოფს იმკიან.

ჩვენ შევცვალეთ ჩვენი ხალხის ცხოვრება. ჩვენ ეს გავაკეთეთ კორუფციასთან და კრიმინალთან დაუნდობელი ბრძოლის გზით, განათლებასა და ჯანდაცვაში სერიოზული ინვესტიციების ჩადებით, და თამაშის ახალი წესების დანერგვით - იმ საზოგადოებაში, სადაც წარსულში ეს ნაკლებად იყო მიღებული ორივე სფეროში. ჩვენი ძალისხმევის შედეგები შეუმჩნეველი არ დარჩა.

მაგალითად, მხოლოდ ბოლო ორი თვის განმავლობაში ისეთმა საერთაშორისო სტრუქტურებმა, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, დაადასტურეს საქართველოში მომხდარი ეს უდიდესი ცვლილებები.

დღეს ჩვენ მსოფლიოში აღიარებული ვართ, როგორც ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყანა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული სახელმწიფო მთელ ევროპაში და ასევე როგორც ხელსაყრელი ქვეყანა ბიზნესის განსავითარებლად.

ცოტას თუ სჯეროდა, რომ მსოფლიოს ამ ნაწილში რეფორმების განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ეს მოხდა.

ორ კვირაში ადგილობრივი არჩევნების ჩატარების გზით, გადავდგამთ კიდევ ერთ ნაბიჯს, რომელიც შემდგომ გაამტკიცებს იმ ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს, რომელთაც ეყრდნობა ჩვენი დემოკრატია.

ჩვენ ვდებთ ამ მნიშვნელოვან ინვესტიციას ჩვენი დემოკრატიის განვითარებაში იმიტომ, რომ ვხედავთ აუცილებლობას ჩვენი ხალხის უზრუნველყოფისა იმ ინსტრუმენტებითა და პასუხისმგელობით, რომელმაც მათი მომავალი უნდა განსაზღვროს.

მე მჯერა, რომ საქართველოში იქნება ჯანსაღი კონკურენცია, გამჭვირვალე არჩევნები და უფრო ქმედითი დემოკრატიული სისტემა.

მიგვაჩნია, რომ ამ გზით ჩვენ მივცემთ ჩვენ ქვეყანას შესაძლებლობას, დაიცვას საზოგადოების ყველაზე უფრო გაჭირვებული ფენა, და ვუზრუნველვყოფთ ჩვენი თანამოქალაქეების უკეთეს მომავალს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს, ისევე როგორც ესოდენ დიდი ცვლილებების პროცესში მყოფ ნებისმიერ სხვა ერს, ახალი გამოწვევები ელის.

გრძელდება სასამართლო რეფორმა. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება რჩება ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად. დასაქმების პოლიტიკამ თითოეული მოქალაქის მოლოდინი უნდა გაამართლოს.

ჩვენი ხალხის მისწრაფებები უნივერსალური ხასიათისაა. საქართველო ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ და პასუხისმგებლობით აღსავსე წევრად გვესახება.

მომავალი თაობებისათვის ჩვენი მიღწევების დაცვა და კონსოლიდაცია იმას ნიშნავს, რომ დღევანდელობის გამოწვევებს თვალი გავუსწოროთ.

ამიტომ, ჩვენს მეგობრებთან, პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად ისეთ ადგილებშიც კი არ ვზოგავთ საკუთარ ძალებს, როგორიცაა: ერაყი, ავღანეთი და კოსოვო, სადაც ჩვენი ჯარები, საერთაშორისო ძალებთან ერთად, მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცების მიზნით, ტერორიზმს ებრძვიან.

ამ ქმედებების შედეგად, აქტიურად ვაგრძელებთ სვლას ნატო-ში გაწევრიანებისკენ. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა გუშინდელი მოვლენა - საქართველოს მიწვევა, შეურთდეს ინტენსიურ დიალოგს.

ჩვენ ამას ვაკეთებთ, რადგანაც გვჯერა, რომ დემოკრატიები უფრო ძლიერია, როდესაც ერთად არიან და ხანგრძლივი უსაფრთხოება ყველაზე კარგად საერთო ღირებულებების მქონე ქვეყნების კავშირით მიიღწევა.

საქართველო ევროპული ქვეყანაა და ეს ბოლო პერიოდის აღმოჩენა არ არის. ჩვენ ფაქტობრივად ჩვენს საკუთარ ისტორიას ვუარყოფდით, რომ სხვანაირად აღვექვა ჩვენი თავი ან სხვაგვარად გვემოქმედა.

რამდენიმე დღეში ჩემი სახელმწიფო, როგორც ევროკავშირის ევროპული სამეზობლოს ნაწილი, სამოქმედო გეგმას მოაწერს ხელს.

ამით ჩვენ გადავდგავთ კიდევ ერთ ნაბიჯს, რომელიც აძლიერებს ევროპული დემოკრატიების ოჯახის გამაერთიანებელ კავშირებს.

ჩემი მთავრობის მიზანია, გავხდეთ სანიმუშო ევროპელი მეზობელი.

წარსულში მიღებული ევროპული გამოცდილებიდან ჩვენ ვისწავლეთ, რომ მიზანმიმართული, მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა, ხანგრძლივი მშვიდობიანი პროცესის და კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენს სამეზობლოში ვცდილობთ გაცილებით მოკლე დროში მივაღწიოთ იგივეს, რასაც ევროპამ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში მიაღწია.

დასასრული მე-6 გვ-ზე

## გაიოზ კერატიშვილის ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა

**მუძღვნი ჩემი მასწავლებლისა და მაკურთხევლის, ვანსვენებულ კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ნათელ ხსოვნას**

# სახარება მარკოზისა

*დასაწყისი იხ. „მამული“ № 14–17, 22–31*

## თავი 6

**1.** და წამოვიდა იქიდან და მოვიდა თავის სამშობლოში. და მოყვებოდნენ მას მოწაფენი მისნი.
**2.** და იყო შაბათი და სინაგოგასა მათსა იწყო მან სწავლება მათი. და მრავალნი, რომელნიც ისმენდნენ, გაკვირვებულიყვნენ და ამბობდნენ: საიდან ამას ყოველივე ესე? ან რაი არს სიბრძნე ესე მოცემული მისდა და ამოდენა ძალნი, რომელნიც ხელთა მისთაგან იქმნებიან?
**3.** განა ეს დურგალი არაა შვილი მარიამისა, და ძმა იაკობისა და იოსესი და იუდასი და სვიმონისა? და დანი მისნი ყველანი განა ჩვენთან არ არიან? და ეჭვდებოდნენ მასზე.
**4.** ხოლო იესო ეუბნებოდა: არსად არაა წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, გარდა თავისი მხარისა და ნათესავებისა და საკუთარი სახლისა.
**5.** და არა ქმნა ძალნი არცა ერთი მათში, მხოლოდ ორიოდ სნეულს დასდვა ხელი და განკურნა იგინი.
**6.** და უკვირდა ურწმუნოებაი იგი მათი და მიმოდიოდა გარემო სოფლებში და ასწავლიდა მათ.
**7.** და იხმო თორმეტნი იგინი და იწყო წარგზავნა მათი ორ-ორისა, და მისცა ხელმწიფება სულთა ზედა არაწმიდათა.
**8.** და ამცნო მათ, რათა არარაი წაიღონ გზაში კვერთხის გარდა: არცა გუდა, არცა პური, არცა რვალი სარტყელისა.
**9.** რათა სცმოდათ მარტოოდენ სანდლები და ნურც ორი შესამოსი ექნებოდათ თან.
**10.** და უთხრა მათ: რომელ სახლშიაც შეხვიდეთ, დარჩით იქ, სანამ იქიდან წახვიდოდეთ.
**11.** და ვინც არ შეგიწყნაროთ და არ ისმინოს თქვენი, როცა გამოხვალთ მათგან, გაიყრევინეთ მტვერი ფეხთაგან თქვენთა სამოწმებელად მათდა. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: უმოლხინეს იყოს ადგილი სოდომისა და გომორისა დღესა მას განკითხვისასა, ვიდრე ქალაქი იგი.
**12.** და გავიდნენ და ქადაგებდნენ, რათა შეინანონ.
**13.** და ეშმაკნი მრავალნი განაძევეს და სცხებდნენ ზეთსა მრავალთა და ჰკურნავდნენ.
**14.** და რამეთუ განცხადდა სახელი მისი, ესმა ჰეროდე მეფესა და თქვა: იოანე ნათლისმცემელი მკვდრეთიდან არს აღმდგარი და ამის გამო იქმნებიანო ძალნი ესე მასში.
**15.** და სხვები ამბობდნენ: ელია არისო, ან ვითარცა ერთი ძველი წინასწარმეტყველთაგანი.
**16.** ხოლო ჰეროდემ, რომ გაიგო თქვა: ეს იოანეა, რომელსაც მე თავი მოვკვეთე და მკვდრეთიდან არისო აღმდგარი იგი.
**17.** რამეთუ თვითონ ჰეროდემ შეაპყრობინა იოანე, ბორკილი დაადო და ჩააგდო საპყრობილეში ჰეროდიას გამო, — ძმისა თვისისა ფილიპეს ცოლისა, რომელიც ცოლად ჰყავდა მას.
**18.** რამეთუ იოანე ამხელდა ჰეროდეს: არა ჯერარს შენდა, რამეთუ ცოლად გესვასო ძმის ცოლი შენი.
**19.** ხოლო ჰეროდიამ გულში ჩაიდო ამის გამო და უნდოდა მოკვლა მისი და ვერა ჰკლავდა.
**20.** რამეთუ ეშინოდა ჰეროდეს იოანესი და იცოდა, რომ მართალი და წმიდაა იგი, და იცავდა და ისმენდა მისას, და მრავალსა პატივსა მიაგებდა, და ჯეროვნად უგდებდა ყურს.
**21.** და ვითარცა მარჯვე დღე დადგა, ოდეს ჰეროდემ ჟამსა შობისა თვისისა ნადიმი გაუმზადა მთავართა და ასისთავთა თვისთა და აზნაურთა გალილეისათა,
**22.** და შევიდა ასული ჰეროდიასი და როკვიდა. და მოეწონათ ჰეროდესა და მის თანამეინახეებს და უთხრა ჰეროდე მეფემან ქალსა მას: მთხოვე, რაიცა გნებავს, და მოგცემ.
**23.** და დაუფიცა, რამეთუ ითხოვე რაც გინდა თვით ჩემი სამეფოს ნახევარიც კიო.
**24.** ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თვისსა, თუ რა მოვითხოვო? ხოლო მან უთხრა მას: თავი იოანე ნათლისმცემელისა.
**25.** და მსწრაფლ შემობრუნდა მეფესთან და უთხრა: მინდა რათა ახლავე მომცე მე ლანგრით თავი იოანე ნათლისმცემელისა.
**26.** და შეწუხდა ჰეროდე მეფე, მაგრამ მიცემული ფიცისა და თანამეინახეთა რიდისა გამო არ ისურვა იმ ქალის წყენინება.
**27.** და მაშინვე წარავლინა თავისი მეაბჯრე და უბრძანა მოეტანა თავი იოანესი.
**28.** ხოლო იგი წარვიდა და მოჰკვეთა თავი საპყრობილესა შინა და წამოიღო თავი მისი ლანგრით და მისცა ქალსა მას და ქალმან მან მიართვა დედასა თვისსა.
**29.** და გაიგეს მოწაფეებმა მისმა, მივიდნენ და შეხვიეს გვამი მისი და ჩაასვენეს სამარესა შინა.
**30.** და მოვიდნენ და შეიკრიბნენ იესოსთან მოციქულები და უამბეს ყოველივე რაც ქნეს და იქადაგეს.
**31.** და უთხრა მათ იესომ: წავიდეთ უდაბნო ადგილში ცალკე და ცოტა დაისვენეთ. რამეთუ მრავალნი იყვნენ მომსვლელ-წამსვლელნი და პურის ჭამასაც კი არ აცლიდნენ.
**32.** და წარვიდნენ უდაბნოსა ადგილსა ცალკენი ნავით.
**33.** და ხალხმა რომ დაინახა, რომ მიდიოდნენ და ბევრმაც იცნო იგი, სირბილით გაედევნენ ქალაქებიდან და მიასწრეს და მათთან მოიყარეს თავი.
**34.** და გამოვიდა იესო და იხილა დიდძალი ხალხი და შეებრალა ისინი, რამეთუ იყვნენ, ვითარცა ცხვარნი, რომელთაც არა ჰყავთ მწყემსი. და დაუწყო მათ სწავლება დიდი.
**35.** და რადგან დიდმა ხანმა განვლო, მივიდნენ მოწაფენი მისნი და უთხრეს მას რამეთუ: უდაბნო არს ადგილი ესე და გვიანაა უკვე.
**36.** გაუშვი ეს ხალხი, რათა წავიდნენ გარემო სოფლებსა და ადგილებში და იყიდონ თავიანთთვის პური, რამეთუ საჭმელი არაფერი აქვთ.
**37.** ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: თქვენ თვითონ მიეცით საჭმელი. ხოლო მათ უთხრეს მას: წავალთ და ვიყიდით ორასი დინარის პურს და მივცემთ მათ საჭმელად[1].
**38.** ხოლო იესომ უთხრა მათ: მიდით და ნახეთ, რამდენი პური გაქვთ? და ნახეს და უთხრეს: ხუთი პური და ორი თევზი.
**39.** და უბრძანა ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარიყვნენ ყველანი მდელოზე.
**40.** და დასხდნენ მწყობრ-მწყობრად ას-ასნი და ორმოცდაათ-ორმოცდაათნი.
**41.** და აიღო ხუთი პური და ორი თევზი და აღიხედა ზეცად და აკურთხა და განტეხა პური



იესო ქრისტესთან ფარისეველი

იგი და მისცა მოწაფეთა თვისთა, რათა ჩამოერიგებინათ მათთვის. და ასევე ორი იგი თევზი გაუნაწილა ყველას.
**42.** და ჭამეს ყოველთა და განძღნენ.
**43.** და აკრიფეს ნარჩენნი ნატეხთაგან და თევზიდან თორმეტი გოდორი სავსე.
**44.** და რომელთაც ჭამეს პური იგი, იქნებოდა ხუთიათასამდე კაცი.
**45.** და მაშინვე აიძულა მოწაფეები ნავში ასულიყვნენ და წინდაწინ გასულიყვნენ ზღვის გაღმა ბეთსაიდაში, ვიდრე ის გაუშვებდა ხალხს.
**46.** და ოდეს გაისტუმრა ისინი, მთაზე ავიდა სალოცავად.
**47.** და ვითარცა შემწუხრდა, ნავი შუა ზღვაში იყო, ხოლო ის მარტო იყო ხმელეთზე.
**48.** და დაინახა, რამეთუ უჭირდათ ნავით ცურვა, ვინაიდან პირქარი ქროდა, მეოთხესა სახმილავსა ღამისასა მივიდა მათთან იესო ზღვაზე სიარულით და უნდოდა ჩამოეტოვებინა ისინი.
**49.** ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი, რომ მოდიოდა ზღვასა მას ზედა, ეგონათ რაღაც მოჩვენებააო და იყვირეს.
**50.** რამეთუ ყველამ დაინახა და შეეშინდათ. და მაშინვე გამოელაპარაკა მათ და უთხრა: მხნედ იყავით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!
**51.** და ავიდა ნავში მათთან და ქარიც ჩადგა. და კიდევ უფრო გაოცდნენ და გაკვირდნენ მოწაფენი მისნი.
**52.** რამეთუ სასწაულსა პურისასა ჯერ ვერ მიმხვდარიყვნენ და გაოგნებულები იყვნენ ისევ იმისაგან[2].
**53.** და გასცურეს გაღმა და მივიდნენ გენესარელთა ქვეყანაში.
**54.** და როგორც კი ნავიდან გადმოვიდნენ, მაშინვე იცნეს იგი იმ მხარის მცხოვრებლებმა.
**55.** და დარბოდნენ სოფლებში და იწყეს მოყვანა საწოლებით სნეულებისა, სადაც კი გაიგებდნენ რომ აქ არისო.
**56.** და სადაც არ უნდა მისულიყო, დაბასა, ქალაქსა თუ სოფელში, მოედნებზე აწვენდნენ ავადმყოფებს და ევედრებოდნენ, მისი სამოსლის ბოლოს მაინც შეხებულიყვნენ. და რომელნიც ეხებოდნენ, იკურნებოდნენ.

## თავი 7

**1.** და შეიკრიბნენ მასთან ფარისეველნი და ზოგიერთი მწიგნობართაგანნი, რომლებიც მოსულნი იყვნენ იერუსალიმიდან.
**2.** და ნახეს ზოგი მოწაფეთა მისთაგანნი რამეთუ შეგინებულითა[3], ესე იგი უბანელითა ხელითა ჭამდნენ პურსა და ლანძღავდნენ.
**3.** რამეთუ ფარისეველნი და ყოველნი ურიანი, ვითარცა მცველნი მოცემულისა მოძღვრებისა უხუცესთაგან, პურს არა ჭამენ, უკეთუ იდაყვიდან დაწყებული არ დაიბანეს ხელები.
**4.** და სავაჭროდან რომ შემოდიან, არ შეჭამენ თუ არ განიბანნენ და სხვასაცა მრავალსა წესსა იცავენ: გარეცხვა თასებისა, ჯამებისა, ქვაბებისა და საწოლებისა.
**5.** მაშინ ჰკითხეს მას ფარისევლებმა და მწიგნობრებმა: რაისათვის მოწაფენი შენი არ იქცევიან უხუცესთა მოძღვრებისამებრ და უბანელითა ხელითა ჭამენ პურსა?
**6.** ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მათ: კარგად თქვა ესაია წინასწარმეტყველმან თქვენნაირ ორგულებზე, ვითარცა წერილ არს, რამეთუ: ერი ესე ბაგითა მათითა პატივს მცემს მე, ხოლო გულნი მათნი ძალზე განშორებულ არიან ჩემგან.
**7.** ამაოდ მმსახურებენ, რამეთუ ასწავლიან მცნებასა და მოძღვრებასა კაცთასა.
**8.** და მიგიტოვებიათ მცნებაი ღმრთისაი და გიპყრიათ მოძღვრებაი კაცთაი, და რეცხვა ჭიქებისა და ქილებისა და სხვასა მრავალსა ამგვარსა იქმთ.
**9.** და ეუბნებოდა მათ: კეთილად შეურაცხჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა, რათა მოძღვრებაი თქვენი დაამტკიცოთ[4].
**10.** რამეთუ მოსემ თქვა: პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა. და რომელმან აუგი თქვას მამისა ან დედისა, — სიკვდილით მოკვდეს.
**11.** ხოლო თქვენ ამბობთ: უკეთუ უთხრას კაცმან მამასა ან დედასა კორბან, რაც არის შესაწირი, რითაც ჩემგან უნდა გესარგებლათო,
**12.** არ უშვებთ დედის ან მამისათვის გააკეთონ ეს.
**13.** და დაუმტკიცებლად გაგიხდიათ სიტყვა ღმრთისა მოძღვრებითა მაგით თქვენითა რასაც ასწავლით, და მსგავსსა ამათსა მრავალსა იქმთ.
**14.** და მოუწოდა ყოველთა მათ და უთხრა: ისმინეთ ჩემი ყოველმან და იცოდეთ:
**15.** არაფერი გარედან შემავალი არ ბილწავს ადამიანს, არამედ ბილწავს ის, რაც გამოედინება მისგან.
**16.** ვისაცა აქვს ყურნი სასმენელნი, ისმინოს!
**17.** და ოდეს წამოვიდა ხალხისაგან და სახლში მივიდა, ჰკითხეს თავისმა მოწაფეებმა იმ იგავზე.
**18.** და უთხრა მათ: ნუთუ თქვენც უგულისხმონი ხართ და ვერ გაგიგიათ, რამეთუ გარედან შემავალი არა ბილწავს კაცს?
**19.** რამეთუ არა გულში, არამედ მუცელში შედის და განსავალით გადის და განწმედს ყოველგვარი საჭმელისაგან.
**20.** და თქვა: რამეთუ კაცისაგანვე გამომავალი ბილწავს კაცს.
**21.** რამეთუ შიგნიდან, კაცის გულიდან გამოდიან გულისთქმანი ბოროტნი: მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, კაცის კვლანი,
**22.** ანგარებანი, უკეთურებანი, მზაკვრობანი, ბილწებანი, შურიანობანი, გმობანი, ამპარტავნებანი, უგუნურებანი.
**23.** ესე ყოველნი ბოროტებანი შიგნიდან გამოდიან და ბილწავენ ადამიანს.
**24.** და ადგა იქიდან და წავიდა ტვიროსისა და სიდონის საზღვრებზე. და შევიდა სახლში და უნდოდა არავის გაეგო, მაგრამ ვერ შეძლო დაფარვა.
**25.** რამეთუ გაეგო ვიღაცა დედაკაცსა მასზე, რომელსაც ასული ჰყავდა სულითა არაწმიდითა გვემული და მივიდა და ფეხებში ჩაუვარდა მას.
**26.** ხოლო დედაკაცი იგი წარმართი იყო, მოდგმით ზღვისპირა სირია-ფინიკიიდან და ევედრებოდა მას, რათა განეგდო ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა.
**27.** ხოლო იესომ უთხრა მას: მაცალე პირველად შვილები განვაძღო, რამეთუ არა არს კარგი შვილებს წაართვა პური და ძაღლებს მისცე.
**28.** ხოლო მან მიუგო და უთხრა: დიახ უფალო, მაგრამ ძაღლნიცა ჭამენ მაგიდის ქვეშიდან ნამცეცებს შვილებისასა.
**29.** ხოლო იესომ უთხრა მას: მაგ სიტყვისათვის წადი. გასულ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა.
**30.** და წარვიდა დედაკაცი იგი თავის სახლში და ნახა, რამეთუ ეშმაკი გასული იყო და ასული მისი ჩაცმული სარეცელზე იჯდა.
**31.** და მერმე კვლავ გამოვიდა ტვიროსისა და სიდონის საზღვრებიდან და მივიდა გალილეის ზღვასთან ათქალაქის საზღვრებზე.
**32.** და მოჰგვარეს მას ყრუ და ძნელად მეტყველი და ევედრებოდნენ, რათა ხელი დაედო მისთვის.
**33.** და განიყვანა ხალხისაგან ცალკე, და ჩაუდო ყურებში თავისი თითები და დანერწყვა და შეახო ენასა მისსა.
**34.** და აღიხილნა ზეცად და ამოიოხრა და უთხრა მას: ეფფათა! რაც ნიშნავს: გაეხსენით.
**35.** და მეყვსეულად განეხსნა ყურები და მოეხსნა ენის ბორძიკი და ალაპარაკდა გამართულად.
**36.** და ამცნო მათ, რათა არავისთვის ეთქვათ. მაგრამ რამდენადაც ის აფრთხილებდა, ისინი უფრო ლაპარაკობდნენ.
**37.** და უკვირდათ ძალიან და ამბობდნენ: ყოველივეს კეთილსა სჩადის: ყრუებს ასმენინებს და უტყვებს ამეტყველებსო.

***გაგრძელება იქნება***

*1. ეს წინადადება ადიშურ რედაქციაში, რუსულ ტექსტში და ახალ ქართულ თარგმანში კითხვითი ფორმითაა წარმოდგენილი.*
*2. ძველი ქართულის „იყვნეს გულნი მათნი დასულებულ“ (შდრ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი), ზოგიერთ თანამედროვე ქართულ თარგმანში თარგმნილია, როგორც „გონება დახშოდათ“„გამქისებული იყო მათი გული“ და სხვა.*
*3. დასვრილი, ჭუჭყიანი.*
*4. რუსულ და ზოგიერთ ახალ ქართულ თარგმანში ეს წინადადება კითხვითი ფორმითაა მოცემული.*

# ტუზ-კოზირის კომპლექსი



„ბრმებმა თავიანთ ქალაქში ცალთვალა გაამეფეს, ხოლო თვალხილულს უარი უთხრეს მეფობაზე: „ცალთვალა ცალი თვალით მაინც გვგავს ჩვენ, შენ კი ორთავ თვალით უცხო ხარო“.“

**ზვიად გამსახურდია**

## ეპოქის მოთხოვნები

უბე-ჯიბეში გიწყვია,
ევროპიული აზრები,
უმ-უმი, უცოხნ-ულეჭი,
მაღალი სორტის ფრაზები.

**ვაჟა-ფშაველა**

ეპოქამ რომ თანდათან შეცვალა სამყარო, მისი მსოფლმხედველობა და მენტალიტეტი და დაუმორჩილა იგი ახალი საუკუნის სიოს, უკვე მე-20 საუკუნეს პლიუს 6 წელი არავისთვის არ არის უცხო და გასაკვირი. იცვლება აუცილებელი თამაშის წესები, იცვლება დიპლომატიის კანონზომიერებები და სხვა მრავალი ატრიბუტიკა საერთო მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებთან მიმართებაში. იქამდე, ომებიც სრულიად განსხვავებული გახდა (მხედველობაში მაქვს ომთა წარმოების ტექნოლოგია). მასების დარწმუნების ხელოვნება ახალ სიმაღლეზე ავიდა. აღარ არის საჭირო სოფლის საბჭოს შესასვლელ კარზე აბრის გაკვრა - ვსე უშლი ნა ფრონტ! - იმ ქვეტექსტის აზრით, რომ ვინც ამას წაიკითხავს, რით არის ამ სოფლის საბჭოში მომუშავეზე რაიმეთი ნაკლები. ეს ერთგვარი პიარი, რომელიც სინდისის ქენჯვნაზე თამაშობდა, დღეს აღარ ჭრის. და არ გაჭრის იმიტომ, რომ შეგონებებზე აღარაა დაყრდნობილი იგი, რომ შედეგი უმალვე მიიღოს. არა, მისი მიზანი სხვაა - იდიოტური აზრი წარმატებულად რომ მიაწოდო მასას, აუცილებელია მისი წარამარა, გამუდმებით, ამ კონტექსტით თუ იმ კონტექსტით, მაგრამ აუცილებლად მხოლოდ იდიოტური აზრის ჩატენვა ამ მასების თავში. ვიღაც პირველად გაიცინებს, მეორედ სიცილს მოუკლებს, მესამედ აღარ გაიცინებს, მეოთხედ გაბრაზდება (რა სისულელეებს ვისმენ), მეხუთედ აფეთქდება და განზე გადგება, მეექვსედ ალმაცერად შეხედავს, მეშვიდედ აღარაფერს იტყვის, მერვედ ფეხებზე დაიკიდებს და აი, აქ რეკლამა თავის საქმეს გააკეთებს. და მერე უკვე ვიღაცამ რომ თქვას - „ვსე უშლი ნა ფრონტო!“ - ამისი ნათქვამი კი არა, ის პიარკამპანიის უაზროდ-შემეცნებული გაახსენდება (ყოველ საღამოს გამოტვინებული რომ ჰქონდა თავი), როგორც მშობლიური მოწოდება და იმათ გაასწრებს იდიოტობათა ქმედებაში, ვინც თქვა - „ვსე უშლი ნა ფრონტო!“... ამ საქმეში ჩართულია ტექნიკის უკანასკნელ გამოგონებათა მთელი არსენალი. შესაბამისად რეაგირებს საზოგადოებრივი აზრიც. სწორედ საზოგადოებრივი აზრი და არა ძალა - წარმოადგენს მსოფლიო პროგრესისა და დემოკრატიის ლოზუნგ-ალვირებს.

ეკონომიკაც თავისებურ ბალანსს ჰქმნის მსოფლიო კომფორტის შესაქმნელად. არავითარი აგრესია: არ გინდა?! - შიმშილით მოკვდები. გინდა?! - აქა ვარ და გაჭმევ, ყველაფერს მოგცემ ღიმილითა და კეთილი თოვლის ბაბუის იმიჯით. ეს ნებაყოფლობით იქნება და არა იძულებით მასების დათრგუნვა და შეგუება მსოფლიო ახალ წესრიგთან და ცივილიზებულ სამყაროსთან. არის ურჩხული, მაგრამ არა მრავალთავიანი, როგორც ეს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშია დახატული, მაგრამ იგი უთავო ურჩხულია და მას ეშვები კი არა აქვს და პირიდან ცეცხლს კი არ აფრქვევს, იგი თვალებითა და ყურებითაა სავსე და ნიანგის მოყვანილობისა კი არ არის და ადამიანებს კი არ ჭამს, პირიქით, იგი უსაგნო მასაა და ადამიანები ჭამენ მას და იგი ადამიანებში იბრჯნება და თვით ადამიანები ხდებიან უთავო ურჩხულის უსაგნო მასა ყურებითა და თვალებით სავსე. მან იცის ყველაფერი და ამით ამოიწურება მისი მისია. ეს ურჩხული ადამიანთა დაავადებაა თავად, რომელიც საბოლოოდ ანადგურებს გონსა და აზროვნებას. ხომ უაზრობაა, მაგრამ ეს ასეა. რაღაცის, ვიღაცის, რაღაცისათვის ვიღაცას, ან სულაც ვიღაცისთვის რაღაცის მოწინააღმდეგეებიც, სკეპტიკოსებიცა და ინდიფერენტულად განწყობილნიც, იქამდე ნიჰილისტებიც, გინდა-არგინდა, მაინც ამ ახალი მსოფლიოს სამსახურში არიან ჩაბმულნი, დედამიწაზე აღარ დარჩა ადგილი, რომ გაექცე ცივილიზაციას და იცხოვრო ცივილიზაციის გარეშე, რადგან სწორედ ეს უთავო ურჩხულია განივთებული ყველაში და საკუთარ თავს ვეღარ გაექცევი ვერსად.

სახელმწიფოთა მდგრადი წონასწორობა ირღვევა და პირობითად აუცილებელი წესდების დონეზეა დაწერილი კონსტიტუციები, რათა კანონიერებასა და სამართლიანობას შორის საზღვარი ჰაეროვან-ჰალუცინაციური გახდეს, რათა წესი უწესობაში გადავიდეს. აი, შენი ჰაეროვნებაცა და ჰალუცინაციაც. სწორედ ამით გამაგრდა რესპუბლიკის რეპუტაცია სხვა წყობასთან მიმართებაში და ამისათვის არის მოფიქრებული საყოველთაო არჩევნები. მრავალპარტიულობით კონკურენცია გადამწყვეტ როლს ასრულებს საერთო დემოკრატიული ამინდისათვის და ამ კონკურენციაში მხოლოდ ის რჩება გამარჯვებული, ვინც საუკეთესოდ გამოთვლის პროგნოზის დონეზე გამარჯვებულს იმ ზოგადი ამინდის მეშვეობით, მსოფლიო ატმოსფეროში პოლიტიკური ძალების ბალანსირების გზით რომ ხდება. ერთ-ერთ კერძო საუბარში სტალინს უთქვამს: „მთავარი არაა ის, თუ ვინ აძლევს არჩევნებში ხმას, მთავარია ის, თუ ვინ დაითვლის ამ ხმას“... (ამ ნათქვამს უკომენტაროდ დავტოვებ, რადგან იგი შორს წაგვიყვანს). არჩევნები რომ ყველაზე დიდი სიყალბეა ამ ქვეყნიერებაზე, ეს ყველაზე უკეთ პილატეს სამსჯავროზე ბრბოს არჩევანმა დაამტკიცა. ამის მერე ადამიანთა ცნობიერებაში არაფერი შეცვლილა მნიშვნელოვნად.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, სარეკლამო მონოპოლია უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ოპტიკური ცდომილებაა ეს ყველაფერი, რასაც მსოფლიო ინვესტორები ახორციელებენ კეთილდღეობის მედროშის ეგიდით - აი, როგორ ვაშენებთ (შეგიძლიათ ეს სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში არსებულ ორაზროვნებად ჩათვალოთ); აი, როგორ ვცხოვრობთ; აი, როგორ ვშრომობთ; აი, რა იყო ადრე; აი, რა არის ახლა; აი, რა იქნება მერე, - კომუნიზმია პირდაპირ. სიონურ კრებათა მე-8 ოქმში წერია - „ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ყველა იარაღს, რითაც მოწინააღმდეგეები დაგვიპირისპირდებიან. სამართლის ლექსიკონში უნდა მოვძებნოთ ყველაზე ფრთხილი გამოთქმები იმ შემთხვევებისათვის, როცა მოგვიწევს გამოვთქვათ ჩვენი თამამი და უსამართლო გადაწყვეტილება და წარმოვადგინოთ ისე, როგორც სამართლებრივი ხასიათის ზნეობრივი კანონი. ჩვენი მმართველობა დაფუძნებული უნდა იყოს ცივილიზებულ ძალებზე, უნდა შედგებოდეს პუბლიცისტებისაგან, იურისტ-პრაქტიკოსებისაგან, ადმინისტრატორებისაგან, დიპლომატებისაგან და ხალხისგან, რომელიც განსწავლული იქნება ჩვენს განსაკუთრებულ სკოლებში“. აი, ამას ჰქვია ძალაუფლების სპეკულიაცია.

### დამარცხებული ხალხის კომპლექსი

სხვისი ბრძანებით
ნამღერი ჰიმნით,
სხვისი კარნახით
წაკითხულ წიგნით,
დობერმანივით ერთნაირი
გარეთ თუ შიგნით,
მე მეცოდება კასტრირებული
ჩემი თაობა!..
რაც ჰქონდა წმინდა,
ყველაფერი ხელში დაობდა,
თან მეზიზღება, თან მეცოდება
ჩემი თავიც და ჩემი თაობაც.

**პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი**

და სწორედ ასეთ ვითარებაში და ასეთ გარემოში მოუწია ნაკომუნისტარ საქართველოს თავისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა და გასვლა მსოფლიო ორბიტაზე, როგორც თავისუფალ სახელმწიფოს. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურად სუსტი, მაგრამ იდეოლოგიურად ძლიერი ხელისუფლების მსოფლიო შეთქმულების წყალობით დამხობის შემდეგ იყო ყველაფერი გათვალისწინებული, რასაც ითხოვდნენ - ე.ი. გარესამყაროს მოთხოვნები უკრიტიკოდ იქნა გათვალისწინებული, მაგრამ ამასთანავე იყო დამყაყებული გონების შემოქმედებით შექმნილი კომუნისტური სიბერის ჭაობი. ქვეყნის პირველი მტკიცე ნაბიჯები ასე თუ ისე მაინც ომთან იყო დაკავშირებული, რადგან საბჭოეთის ნამსხვრევებში მრავლად იყო ეთნოსტრუქტურათა სეპარატისტული განწყობილებანი. საბოლოო ჯამში გამყიდველი ხელისუფლების წყალობით გააფთრებულ ომში ჩართულ ქვეყანაში ჩამოვარდა მოულოდნელი მშვიდობა - არავისთვის საჭირო, გარდა რუსეთისა და სეპარატისტებისა და მათთან ერთად იმ ხუნტისა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა ხელისუფლება და ეს მიტაცებული ძალაუფლება შეუნარჩუნა ამ გამყიდველი მშვიდობის ჩამოგდების სანაცვლოდ რუსეთის არმიამ. სწორედ ამ გაუგებარი მშვიდობის წყალობით მან მთელი ათი წელი გაიხანგრძლივა თავისი უსუსური არსებობა. სამაგიეროდ ერთბაშად დასცა ამ მშვიდობამ ერის ზნეობა, თავში ჩაუტენა ხალხს გარდაუვალი დამარცხების კომპლექსი, რომ ჩვენ ყველანი უვარგისები ვართ და რომ არა ეს იძულებითი მშვიდობა, აუცილებლად გაგვანადგურებს ომი. ერთ-ერთი მაგალითი ამ უთავჯამო მშვიდობისა არის სხვადასხვა სპორტის სახეობებში ამდენი წარუმატებლობანი მაშინ, როცა იგივე სპორტსმენები სხვათა დროშის ქვეშ თავს არ იზოგავენ და წარმატებებს აღწევენ უცხოეთის ასპარეზობებზე.

მოიშალა ქართული ოჯახის სტრუქტურა. სახელმწიფო საზღვრების გახსნისთანავე ქვეყანა დატოვა, უმრავლესობამ სამუდამოდ, მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. პოტენციურად საქართველოში დარჩენილ ქართველთა რაოდენობა კატასტროფულად დაეცა. და რაც მთავარია, ამ ძალადობრივმა მშვიდობამ მორალურად დასცა ქართველი მამაკაცი; გაკოტრდა სულიერად, მორალურად და მატერიალურად ზოგადად კაცი. ემანსიპაციამ ისეთ საზღვრებს მიაღწია, რომ იგი სამარცხვინო მატრიარქატში გადაიზარდა.

ასე თუ ისე, მოსახლეობა ელოდა რაღაცას და ეს რაღაცა იყო შევარდნაძის ფიზიკური მოსპობა, კარგად ვიცი ხალხის განწყობა მის მიმართ ორი ტერაქტის მოწყობისას, და მიტომ. ტერაქტებით რომ არაფერი გამოუვიდათ და ამ გზით ვერ მოახერხეს ამ კაცის პოლიტიკური არენიდან ჩამოცილება, ზოგი დაელოდა მის ფიზიკურ დაუძლურებას და დაფაციცებით ადევნებდა თვალს მის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, ზოგი კი დაელოდა არჩევნების გზით როდის ამოეწურებოდა მას პოლიტიკური სიცოცხლის ვადა. სწორედ რომ არჩევნებისას მოხდა მოსახდენი.

„ვინცა აღიღოს მახვილი, მახვილითვე წარწყმიდოს“, - ქრისტეს ეს სიტყვები შევარდნაძეზე ახდა უყოყმანოდ. მთავარი ამ ბუნტში ის კი არაა, ეს რევულუცია იყო თუ რევოლუციის იმიტაცია, მთავარი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ შევარდნაძეს თან გაჰყვა ხალხის უდიდესი ზიზღი და სიძულვილი და ეს მან აშკარად დაიანახა. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ ძალადობრივი მშვიდობის ათწლიანი ეპოქა შევარდნაძესთან ერთად დასრულდა და ამასთან ერთად პრაქტიკულად დაიწყო სააკაშვილის ეპოქა.

ერთი უცნაური დამთხვევა: 1963 წლის 22 ნოემბერს ტეხასის შტატის ქალაქ დალასში ფიზიკური და ამასთანავე პოლიტიკური სიცოცხლე დაასრულებინეს შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის. ზუსტად 40 წლის შემდეგ ასევე დაასრულებინეს, ოღონდ პოლიტიკური სიცოცხლე საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. ეს ის დღეა, როცა პარლამენტში, იგივე კანონების კანტორაში შევარდნენ შევარდნაძესთან იავარდრევოლუციონერები. ზუსტად იმ წუთებში დამთავრდა შევარდნაძე, მეორე ღამე მხოლოდ ფორმალობა იყო მისთვის და ტრიუმფი სააკაშვილისათვის, რადგან ამით დაიწყო სააკაშვილი. ზოგიერთის მოსაზრებით, ერთმა დიდმა მაკე ღორმა იმშობიარა და დაბადა სამი გოჭიო. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიმეორებ - იმ პოლიტიკურ მოვლენაში მხოლოდ ისაა მთავარი, თუ რა სახელით დატოვა შევარდნაძემ პოლიტიკური სცენა, სხვა დანარჩენი ეპიზოდები და ფაქტები ნაკლებმნიშვნელოვანი და ნიშნის მოგების მოყვარულ ჭორიკნების საქმეა. აქედან გამომდინარე, რით დატოვებს ამქვეყნიურ ცხოვრებას შევარდნაძე, ძნელი გამოსათვლელი არაა.

2003 წლის 22-23 ნოემბერი სააკაშვილის დღე არასოდეს არ იქნება. ეს დღე მხოლოდ და მხოლოდ ზიზღისა და სიძულვილის გამარჯვების დღედ დარჩება ქართველი ერის ისტორიაში. სააკაშვილსა და მის ტრიუმვირატს რაც შეეხება, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ამ დღის მოახლოვებისა და ერში დაგროვილი წყრომის გამომჟღავნების მოთავეები იყვნენ, ან იყვნენ კი???

### ტუზ-კოზირის კომპლექსი

რაა მასზე გულსაკლავი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო!..
არის რკინიგზების ხლართი,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო!

**გალაკტიონი**

ამოისუნთქა თუ არა საქართველომ შევარდნაძის შემდეგ?

არის თუ არა დღევანდელი საქართველო „შევარდნაძის საქართველოს“ ლოგიკური გაგრძელება?

ერთი უდიდესი გარდატეხა მოხდა ცხოვრებაში და ეს მხოლოდ სააკაშვილის ქარიზმატული პიროვნების წყალობით: ცხოვრება საინტერესო გახდა და წინასწარ გაუთვა-

ლისწინებელი მოვლენებით გადაიტვირთა. საქართველო გვიან, მაგრამ დაუბრუნდა აუცილებელი ომის მდგომარეობას. ქვეყნის გამყიდველური ხელისუფლების მეოხებით მოსახლეობას ხელი თუ ჰქონდა ჩაქნეული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების პერსპექტივაზე, დღეს ყველა ელის, თუ როდის გადაიდგმება ქვეყნის მესვეურთაგან გაბედული ნაბიჯები ამ მხრივ და ყველა მზადაა წვლილი შეიტანოს ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის საქმეში. შევარდნაძის ეპოქაში ეს სიტყვები ლიტონსიტყვაობად და მფრინავ გრაზებად ქცეულიყო. ქვეყნის ტოტალური სიბერე (გონებრივი დაჩლუნგებიდან დაწყებული გარეგნული დაუძლურებით დამთავრებული) ტოტალურმა გაახალგაზრდავებამ შეცვალა. შეცდომებიც უმთავრესად ამით არის განპირობებული - გამოუცდელობითა და არაპროფესიონალიზმით. სახელმწიფო საკადრო პოლიტიკა 25-35 წლის ახალგაზრდების დასაქმებით ამოიწურება. ყველაფერი სიახლე და გართობა ახალგაზრდობას - პატრიოტთა ბანაკები, სტუდენტური შრომითი სემესტრები (ანაზღაურებადი) და საბანკო სესხები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირის დასაფარავად, კურორტების კეთილმოწყობა და სხვა მრავალი. არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო სასწავლებლად გზავნის ახალგაზრდებს ევროპაში.

ქვეყანაში აქტიური ბრძოლა დაიწყო კორუფციასთან. დაზღვეული არავინაა ციხის საკნებისაგან, თვით სააკაშვილის გარემოცვის ყველაზე ახლოს მდგომნიც კი, აღარაფერს ვამბობ პოლიტიკურ ოპონენტებზე. განსაკუთრებული სიმძაფრით შეუტიენ კანონშემოქმედებიდან დაწყებული ძალოვანი სტრუქტურებისა და აგენტურით დამთავრებული კანონიერი ქურდობის ინსტიტუტს, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას მოსახლეობაში ამ სიმახინჯისადმი მხარდაჭერა, ლტოლვა და თაყვანისცემა, რათა უპირველეს ყოვლისა მომავალი თაობები გათავისუფლდეს ქურდული მენტალიტეტისადმი მიბაძვისა და მისი გაფეტიშებისაგან. დამოკლეს მახვილი ტრიალებს საქართველოში და იგი თავად სააკაშვილია და არავინ იცის როდის დაატყდება იგი რისხვად საჯარო მოხელესა თუ პოლიტიკოსს, ბიზნესმენსა თუ თვით პოლიციას.

ბევრი გადაიმტერა, ბევრი დაიმოყვრა, მაგრამ სააკაშვილი შევარდნაძისნაირი უპრინციპო პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის. მისი ძალისხმევით ჯარი ჯარს დაემსგავსა და ჯამაათი ჯამაათს. უკვე ადვილად ხელწამოსაკარავი ხალხი აღარა ვართ, ხმამაღლა და პრეტენზიებით ველაპარაკებით რუსეთს. განსაკუთრებულად განსხვავებული მნიშვნელობა მიენიჭა დამარცხებული კაცის კომპლექსს - დღეს დარწმუნებული ვართ, რომ დღემდის დამარცხებულნი ვართ, მაგრამ გვაღიზიანებს ჩვენი ასეთი სამარცხვინო მდგომარეობა. წინა პლანზე წამოიწია ეროვნული სიამაყის გრძნობამ და ამიერიდან აღარ ვამბობთ - ,,რაც ცუდები ვართ, ქართველები ვართო". ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა ვის წისქვილზე ასხამს წყალს ხელისუფლება, მთავარია მე გავძლიერდე სულიერად, რათა საკუთარი თავი ვიპოვო საკუთარსავე თავში... და როგორი საკუთარი თავი მსურს ვიპოვო იცი?! - მამა-პაპათა მოსაწონარი და შვილმომავლის საამაყებელი.

ქვეყანაში ტოტალური მშენებლობებია გამართული. შევარდნაძის და მისი უნიათო მთავრობის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული ყოფითი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი თუ უმნიშვნელო დეტალები ახლანდელი მთავრობის ყურადღების ცენტრში მოექცა. კეთდება ბაღები და სკვერები, შენდება სპორტული მოედნები, იგება ახალი გზები, მტკიცდება და მყარდება ეროვნული ვალუტა, განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ კონტროლზეა აყვანილი სოფლის მეურნეობა, სხვებთან შედარებით მევენახეობა უფრო სიღრმისეულად, რათა ამ კულტურის წარმოება პირველყოვლისა ქართველი კაცის ღირსების საკითხია და შემდეგ კიდევ იმიტომ, რომ ქართულმა ღვინომ თავისი ღირსეული და დამსახურებული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოში.

გაუმჯობესდა საარსებო პირობები ქართულ არმიაში, წვრთნები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს. საქართველოდან საბოლოოდ და საშვილიშვილოდ ამოიკვეთავს ფეხს რუსეთის საოკუპაციო ჯარი. ეს ქართველი ერის უპირობო მოთხოვნაა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა თავის სპექტრში ბრუნდება, თავადვე განაგებს ორიენტაციას, მტერსაც თავადვე უპასუხებს და მოყვარესაც.

ქართული სკოლა დაადგა აუცილებელ და საჭირო რევოლიციური რეფორმების გზას. აღარაა სამარცხვინო სკოლაში მუშაობა. უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოიხშირა ე.წ. წითელი პროფესურა და მას ჩაუნაცვლენ ამ პროფესურის მიერ გზაგადაღობილი ახალგაზრდა მეცნიერები. ახლებური თვალთახედვა მკვიდრდება ქვეყნის რეპუტაციის მიმართ. შეცდომები ამ გზაზე ბევრია, ბევრი აღმოფხვრება უახლოეს ან შორეულ მომავალში, ბევრიც - არა. ბევრს სააკაშვილის შემცვლელები გაასწორებენ, ბევრსაც იმ შემცვლელთა შემცვლელნი. თვალნათლივ ვხედავთ, რომ ჩვენ ჭაობში არ ვცხოვრობთ, ჩვენ წყალსწრაფი მდინარის ჩქერებს მივყვებით, სხვა საკითხია - დინების მიმართულებით თუ დინების აღმა.

ყველაფერს ამას სააკაშვილის უზღვავი ენერგია წარმართავს და განაგებს. იგი აშკარად გამარჯვებაში თვითდაჯერებულია. მისი სახე ლაღია, რასაც ფიქრობს და ამბობს, თვალნათლივ იკითხება მის სახისმეტყველებაზე, - დაფარული, იდუმალი და საიდუმლო მისთვის არაფერია, რასაკვირველია, მხედველობაში არა მაქვს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. იგი პრაგმატიკოსია, მისი პიროვნებიდან განდევნილია რომანტიკა, რადგან პროფესიით იგი იურისტია. გამორიცხულია პირველკაცობისა და ისევ და ისევ პროფესიის გამო სულში ლირიული ჩაღრმავებები, ან მელანქოლიური ამოვარდნები. ხოლო თუ მისთვის არ არსებობს პოეტური მელანქოლია, არსებობს აღტკინება და ჟინი, მამაკაცობას რომ ადასტურებს ძირით ძირამდე. ჩემთვის ადამიანურობის ასეთი თვისება უფრო მისაღებია, ვიდრე ლექსებითა და სასიყვარულო ბარათებით თავგაბრუებულთა ვნებაში გადავარდნა. სააკაშვილში ამაშიც თვითდაჯერების ძალა ვლინდება, საკუთარი ძალებისა, ქვეყნის პირველკაცობაც რომ ჰმატებს ლომის წილ ენერგიას ერის პოტენციალის ულევი წყაროთსათავიდან. იგი ნასაზრდოებია ევროპითა და ამერიკით. დასვეს? - ეს ნაკლებად მაინტერესებს. ჩემი ინტერესი ჩემი სამშობლოა და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მის საჭეთმპყრობელს.

და მაინც, ეს ყველაფერი ზედაპირულად აშკარად ჩანს, რომ არ დაგჭირდება გონების დაძაბვა, ისე...

ქვენა დინებებს სხვა კონტექსტები სჭირდება...

კენედის სიცოცხლე დაასრულებინეს 22 ნოემბერს, სააკაშვილს კი სიცოცხლე დააწყებინეს 23 ნოემბერს... თითქოს ორმოცწლიანი პაუზა ერთი ტყვიითა და, ხატოვნად რომ ვთქვათ, თითქოსდა ბურჯანაძის ნათალლითარი ორმოცდღიანი ნისლ-ღრუბლებით ამოიწურება და სხვა რამით არაფრით. გასაოცარი დამთხვევაა.

და მაინც, მიუხედავად ყველა სიკეთისა, საქართველომ მაინც ვერ ამოისუნთქა შევარდნაძის შემდეგ...

## უპასუხო კითხვებით სავსე ქვეყანა

დამწვა საკუთარ ალმა,
ვატყობ თანდათან ვქრები,
სადღაც ხარობენ ალბათ
ჩემი პატარა მტრები.

**ტერენტი გრანელი.**

ერთი დიდი უბედურება დაატყდა თავს საქართველოს სააკაშვილით, შევარდნაძის შემდეგ და არა შევარდნაძისეული მემკვიდრეობით. ერი კი ელოდა ამ ტირანის დასასრულს ყველა ხერხით და ამით ელოდნენ ქვეყნის უკუღმა ტრიალის წაღმა სვლით შეცვლას. ეს ლოდინი თვითმიზანი არ იყო, იგი თვითგადარჩენის ინსტიქტიდან მომდინარეობდა. ვინც საქართველოში დარჩა, მისთვის ეს ლოდინი, ეს სანუკვარი ლოდინი, უმოქმედობითა და მდგომარეობის თვითდინებაზე მიშვებით რომ განისაზღვრა, იყო ერთადერთით სულდგმული - ახალი ძალის მოსვლით დაედგომებოდა თუ არა მოსახლეობას საკუთარ სამშობლოში. ამ ლოდინმა რომ არ გაამართლა, ქვეყანამ სტრესი მიიღო, რაც გარეგნულად არ ჩანს, ეს შინაგანი განცდაა თვითდანაშაულისა. პასუხი ამ უთავჯამო მშვიდობასა და დაულეველ ლოდინს ერთბაშად და უცერემონიოდ გაეცა. მოთმინების ფიალამაც არ დააყოვნა, აივსო პირთამდე იგი და გადმოიღვარა. გადმოიღვარა და ამ იმედგაცრუებამ ერს ცენტრალური ნერვული სისტემა მოუშალა. შეგრძნება აღარაა, როცა გვიჭერენ უმიზეზოდ, როცა კანონების კანტორა დანაშაულებრივ კანონებს იღებს, და ცინიკურად გაიძახის - ეს ასეა საჭიროო. როცა გვკლავენ და დამნაშავეებს ჩინ-მედლებს ურიგებენ, როცა ცოდნის ტაძარი ცოდვის ტაძრად აქციეს, როცა მართლმადიდებლურ ეკლესიას შეურაცხყოფენ და აღარაა შეზღუდვები ძალმომრევთათვის ჩხრეკების ჩასატარებლად, როცა ერთგან ქურდების სასახლეებში მიდიან, მეორეგან კი მონასტრებს არბევენ... ასეთი ,,როცა" ბევრია, გარეგნულად კი ჩანს -

გალებილი ფასადები და აშენებული სკვერბაღები, გალამაზებული კურორტები და არდგენილი გზები.... ყველაფერი ესეცაა, პოტიომკინის სოფელს რომ დაემსგავსა სრულიად საქართველო.

მასიურ ტერორშია მოსახლეობა, სიკვდილის ბრიგადები არავის ზოგავს და ამას დემოკრატიის სახელი ჰქვია. ავტორიტეტი შეებღალა თვით ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების რეპუტაციას მოსახლეობაში, რადგან იგი ფიქრობს, თუ ეს ქვეყანა ასეთი მთავრობის სტრატეგიული პარტნიორია, მაშინ იგი ამ მთავრობაზე უარესი ყოფილაო. ,,ობივატელმა" კი არ იცის რა სახელმწიფოა შეერთებული შტატები. იგი რომ თავისუფლების მებაირახტეა მთელს მსოფლიოში, არავისთვის არ არის უცხო. მხოლოდ ისეთი ხელისუფლების მხარდაჭერა, როგორიცაა საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლება, აშკარაა, დადებით პოზიციაზე ვერ დააყენებს თომას ჯეფერსონის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე წარმოქმნილ ქვეყანას.

ერთხელ ლუდოვიკო მეთექვსმეტემ თავის ემისრებს უბრძანა ფასი გაეძვირებინათ მარილზე და დაავალა, თვალყური ედევნებინათ მოსახლეობის რეაგირებაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ მივიდნენ ეს ემისრები მეფესთან და მოახსენეს დაკვირვების შედეგები - ,,ხალხი გაბრაზდაო". ,,ისევ გააძვირეთო!", უბრძანა მეფემ და ისევ დაავალა მათ თვალყური ედევნებინათ ხალხის განწყობილებაზე. ისევ დაბრუნდნენ მეფესთან და მოახსენეს - ,,ხალხი განრისხდაო". ,,ისევ გააძვირეთო", ბრძანა მეფემ. ისევ გააძვირეს და... გაოგნებულები დაბრუნდნენ მეფესთან და მოახსენეს - ,,ხალხი იცინისო". დაფიქრდა ლუი და თქვა - ,,ეს უკვე საშიშიაო". ლუდოვიკო გონიერი მეფე ყოფილა, რომ გათვალა საშიშროების საფუძველი. ამ საშიშროების შედეგი საკუთარი თავის ფასად იწვნია მოქალაქე კაპეტად გადაქცეულმა საფრანგეთის ხელმწიფემ.

საქართველოში მოშლილია სახელმწიფო ბოროტებით მოყენებული რეაგირების უნარი: აღარც ვიცინით, აღარც ვტირით. კეთილდღეობის ეიფორია როდემდე გასტანს, არავინ იცის.

კი, ყველაფერი კარგი, კარგია, მაგრამ მე ვიცი, რომ იგი ჩემთვის არ კეთდება. მე ისიც ვიცი, რომ თუ ფული არ მექნა, ვერ ვისწავლი იმ რეფორმირებულ სკოლაში, ვერ დავფარავ სესხების ვალს, ვერ წავალ დასასვენებლად ბათუმსა და გუდაურში, აფხაზეთი თუ დაუბრუნდება დედა-სამშობლოს, მთელ სანაპირო ზოლს ფულიანი ძიები იყიდიან, და ჩემთვის - უფულოსთვის, ადგილი არ დარჩება გაგრასა და პიცუნდაში, როგორც ეს ურეკსა და ბათუმშია ახლა.

### რეპორტიორის ლაბორატორია



უცხოეთში სასწავლებლად სააკაშვილისნაირი დედიკოს და მამიკოს შვილები თუ დისშვილები წავლენ, მე თუ გადავრჩი, ხომ კარგი, შენ კიდე მოხვალ ნაევროპალ-ნაამერიკები (იქ ნასწავლი) ჩემს ნაოფლარზე და მთელი შენი ცინიზმით შემომცინებ სახეში და მეტყვი - ,,აი, ასეთი ატრაქციონები პეტერბურგშიც არ არისო!". მე რა მაგით მერე??? მერე შენ მომიყვები ყურითმოთრეულ ზღაპრებს, უნიჭო და ბოროტი მეზღაპრესავით, ასლანზე და ცირკზე. მე კიდე რა ძალა მაქვს, რომ არ მოგისმინო, დაჯერებაზე რომ არაფერი ვთქვათ. აი, ახლა ასეთ ცირკებს აშენებენ, სადაც ნეონისა არ იყოს, კლოუნები თავად ,,მშენებლები" არიან, მშენებლები იმისა, რაც ოდესმე უკვე აშენებულა. ცირკია მართლა ეს მთავრობა, სამაგიეროდ ქვეყანაა თავად დიდი ციხის პატარა ნავსაყუდარი.

ჯარიც უმთავრესად ჩემს დასაცავად კი არ გაიწვრთნა, პირიქით, შიში რომ დასთესოს ხალხში ხელისუფლებისადმი, იმისთვის; საკუთარი ტახტი რომ დაიცვას, იმისთვის. კითხვებით გაივსო ქვეყანა, რომელიც აუცილებელ პასუხებს საჭიროებს. დღეს მოდაშია პატიმრებისა და მსჯავრდებულების უფლებების დაცვა, ახალ-ახალ კომფორტულ ციხეებს აშენებენ, მთელი არასამთავრობო ინსტიტუტებია ამ საქმეში ჩართული. სამაგიეროდ, პატიოსანი კაცის ინტერესებს არავინ იცავს, ვისაც ზიანი მიადგა იმ დამნაშავისაგან, ასე კბილებით რომ იცავს სახელმწიფო მანქანა - პროკურატურა. მხოლოდ იმისთვის არაა სამართალი, ვისაც ფული არ გააჩნია, სწორედ ისაა დაჩაგრული კანონის მეშვეობით. ვალუტაც იმიტომაა მყარი, რომ მეტად და მეტად ძარცვონ ხალხი, ის ხალხი, რომლის ოჯახის წევრებიც საზღვარგარეთ არიან გადახვეწილნი და თავიანთ ნაოფლარ ჯამაგირებს აგზავნიან.

ყველა კეთილდღეობა გააუფერულა სახელმწიფომ, უკვე მაღიზიანებს რაიმე რომ კეთდება ქვეყანაში, რადგან ვიცი, ესეც ჩემი ჩაგვრის ფასად კეთდება, ჩემმა უსუსურმა ჯიბემ უნდა ზღოს სააკაშვილის მოუპირავი განცხრომა. მე კიდევ საშუალება არ მეძლევა საარსებო წყარო გავიჩინო.

სათქმელი ბევრია, რომელიც ერთი წერილით არ ამოიწურება, ეს მხოლოდ მშრალი კონსტატაციაა ფაქტების. ამას დაფიქრება, დალვინება და შეფასება უნდა მოჰყვეს, რათა ჩემი მომავალი სწორად წარვმართო. ამდენად ჩემთვის სულერთი გახდა, მგელი შემჭამს თუ მგლისფერი ძაღლი, მე იმდენად მაინტერესებს სააკაშვილის მამაკაცური პოტენციალი თუ შიზოფრენული აღვირახსნილობა, რამდენადაც ამით მაინც მსურს დავრთგუნო ჩემში მოზღვავებული, დაუხარჯავი ენერგია და ყურადღება გადამაქვს სხვა აქცენტებზე, რადგან ჩემში ველარ ვპოულობ გამარჯვებულ მოქალაქეს.

ხოდა, რით და როდის დასრულდება ეს პარანოია, არავინ იცის!

**მანუჩარ კაჭახიძე**

დასაწყისი მე-2 გვ-ზე

ეს ჩვენი ერთიანი გამოწვევა და ერთიანი მიზანია.

ქალბატონო თავმჯდომარევ,

გაკვირვებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ჩემს ქვეყანაში ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად, სერიოზულ დაბრკოლებებს ვხვდებით.

რეფორმები, განსაკუთრებით კი დემოკრატიული, ძველ ინტერესებსა და ჩვეულებებს ეწინააღმდეგება.

პოლიტიკური ფაქტის უბრალო კონსტატაციაა, რომ ხშირად ადგილი აქვს მცდელობებს ძირი გამოუთხარონ ჩვენს რეფორმებს, ჩვენს პროგრესს და დემოკრატიული ცხოვრების წესს.

ჩვენ უნდა სიფრთხილით მოვეკიდოთ იმათ, ვისაც სჯერა, რომ სტაბილური დემოკრატია საშიშროებას უქმნის თავის მეზობელს.

საქართველოს დემოკრატია, ისევე როგორც მსოფლიოში არსებული სხვა ქვეყნების დემოკრატია, ამას მიზნად არ ისახავს.

მტკივნეულია, მაგრამ სიმართლეა, რომ საქართველოს მძიმე მემკვიდრეობაში ერგო გადაუწყვეტელი ტერიტორიული კონფლიქტები.

ეს კონფლიქტები ძირს უთხრის ჩვენს სტაბილურობას და მთლიანად სტაბილურობას რეგიონში.

ფაქტობრივად, ეს მემკვიდრეობა ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის ადამიანის ძირითადი უფლებების შელახვის მიზეზია.

თუნდაც ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ბავშვებს, რომლებიც ამ საშინელი მოვლენების მსხვერპლი არიან, მშობლიურ ენაზე სწავლისა და საუბრის უფლება არა აქვთ.

მოხუცებს შესაბამისი სამედიცინო დახმარების მიღება არ შეუძლიათ, ახალგაზრდებს კარგი განათლების მიღების საშუალება არა აქვთ და ასი ათასობით ახალგაზრდა ვერ ბრუნდება საკუთარ სახლებში, საიდანაც ისინი სისტემატურად გაძევებული არიან, ეთნიკური წმენდის შედეგად, და რომლებიც ხშირ შემთხვევაში უკანონოდ გაყიდეს, ან მთლიანად დაანგრიეს.

შემდეგი მტკივნეული, მაგრამ აბსოლუტური სიმართლე ის არის, რომ ეს რეგიონები ანექსირებულია ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის - რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც აქტიურად განაგრძობს ხალხში რუსული პასპორტების დარიგებას, რაც თავისთავად საერთაშორისო სამართლის უპრეცედენტო დარღვევაა.

უფრო მტკივნეული რა უნდა იყოს, როდესაც ერთი ქვეყანა ცდილობს, დაიპყროს მეორის ტერიტორია,ან როდესაც ერთი ქვეყანა აწარმოებს ძირგამომთხრელ პოლიტიკას მეორე ქვეყნის სუვერენულ ტერიტორიაზე, რაც აღიარებულია საერთაშორისო დონეზე.

დღეს მინდა თითოეულ თქვენგანს შევეკითხო, თუ ამ უდიდეს დარბაზში მსხდომი ნებისმიერი წევრი მიესალმება ან შემწყნარებლურად მოეკიდება მსგავსი ძალის შემოჭრას საკუთარ მიწაზე? პირადად მე, ეს ძალიან მეეჭვება.

დიახ ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით და ჩვენ უნდა მივიღოთ აუცილებელი ზომები კონსოლიდაციისა და დემოკრატიის დაცვის მიზნით.

არასოდეს დავივიწყოთ, რომ ამ კონფლიქტების რეალური მსხვერპლი ხალხია და შიში, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება - ყოვლისმომცველია. მათ ტანჯვას ბოლო უნდა მოეღოს.

ამ კონფლიქტებთან ერთად ჩვენ მემკვიდრეობაში გვერგო სამშვიდობო ოპერაციების ჩარჩოები და მოლაპარაკებების ფორმატები, რომლებიც აღარ ფუნქციონირებს.

მარტივად რომ ვთქვათ, ისინი არც მშვიდობას უწყობენ ხელს და არც ჭეშმარიტ მოლაპარაკებს.

თუ ჩვენი რევოლუციის მიზანი იყო ის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მიეცა შესაძლებლობა სრულად მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ცხოვრების გარდაქმნაში და ქვეყნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში - მაშინ ჩვენი რევოლუცია ჯერ დასრულებული არ არის.

დღეს საქართველოს კონფლიქტურ ზონებში სტაბილურობისა და პროგრესის სტატუს-კვო.

სამწუხაროდ, ეს რეალობაა.

ჩვენ ვიმყოფებით მდგომარეობის მოსალოდნელი გაუარესების წინაშე, როდესაც იმარჯვებენ დანაშაულისა და უკანონობის სპონსორები.

უფრო ნათლად რომ ჩამოვყალიბდეთ: საქართველო პასუხისმგებლობის მქონე დემოკრატიაა და თუ ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით ამ პასუხისმგებლობას უნდა გვახსოვდეს, რომ ყოვლისმომცველი ცვლილება არის ერთადერთი გზა ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობისაკენ.

მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების სისტემის ნაკლოვანებები კარგად არის დოკუმენტირებული.

რამდენიმე მაგალითი - გაეროსა და ეუთოს პირდაპირ მოწოდებული მოხსენებების საფუძველზე კარგად ჩანს, თუ როგორ ემსახურებიან რუსელი სამშვიდობო ძალები კონფლიქტების გადაწყვეტას, არამედ მათ შენარჩუნებას და როგორ არღვევენ ისინი კანონს და ფარსად გადააქციეს ნეიტრალიტეტის, მიუკერძოებლობისა და ნდობის პრინციპების პატივისცემა.

საკუთარი ნებით, მათ, და არა ჩვენ, ფაქტობრივად, საკუთარი სტატუსი გააბათილეს.

აფხაზეთში რუსეთის მშვიდობისმყოფელთა განლაგების შემდგომ დაიღუპა 2.000 მეტი საქართველოს მოქალაქე და 8.000 მეტი ქართველის სახლი იქნა განადგურებული.

12 წელზე მეტია რუსეთის მშვიდობისმყოფელებმა ვერ შესძლეს 250.000 იძულებით გადაადგილებული პირის უკან დაბრნება საკუთარ სახლებში - აფხაზეთში, თუმცა ეს წარმოადგენს მათი მანდატის გამოკვეთილ ნაწილს.

გაეროს დამკვირვებელთა მისიამ საქართველოში და ეუთომ დააფიქსირეს მრავალი სამართლდარღვევა, რომელიც მოიცავს მძიმე იარაღის, როგორიცაა ტანკები, ჯავშანტექნიკა, არტილერია, ნაღმტყორცნები, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები, ზარბაზნები, სეპარატისტებისათვის გადაცემას - ზუსტად იმ დროს, როდესაც ჩვენ ცალმხრივად ვაწარმოებთ დემილიტარიზაციას.

რუსეთის სამშვიდობო ჯარებს არ შესწევთ უნარი და არა აქვთ სურვილი გადადგან რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ესოდენ მძიმე დარღვევების ალსაკვეთად.

სამხრეთ ოსეთში, მხოლოდ გასულ წელს დაფიქსირებულია 18 უკანონო სამხედრო წვრთნა აკრძალული აღჭურვილობით; მრავალი წვრთნა რუსეთის "სამშვიდობო ძალების" პირდაპირი მონაწილეობით ჩატარდა.

სამწუხაროდ, სია უფრო გრძელია.

2003 წლის 2 იანვარს, რუსეთის სამშვიდობი ძალებმა ესროლეს და მოკლეს ორი სამოქალაქო პირი აფხაზეთში, ხოლო 2006 წლის 3 სექტემბერს, სამხრეთ ოსეთში, სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში ქართულ საჰაერო სივრცეში ესროლეს ქართულ შვეულმფრენს.

სოფელ ჭუბურხინჯთან, გაეროს სპონსორობით მიმდინარე მოლაპარაკებების დროს, რვა წლის ქართველმა ბიჭმა სკოლის ფანჯრიდან გადმოიხედა, პირდაპირი ეთერის სატელევიზიო კამერების წინ ქართული დროშა დაინახა და დაიყვირა - გაუმარჯოს საქართველოს!

გამოიცანით რა მოხდა? აფხაზურმა პოლიციამ სკოლის ყველა მასწავლებელი დააპატიმრა. ეს იყო ადამიანის უფლებების დარღვევის კიდევ ერთი დამამცირებელი და თავხედური ქმედება, რომელიც საერთაშორისო გაერთიანების თვალწინ რუსი სამშვიდობო ძალების აფხაზი დამქაშების მიერ იქნა ჩადენილი.

მოდით არ გვქონდეს ილუზიები.

ჩვენს სადავო ტერიტორიების მაცხოვრებლები იმ ბანდიტების ოკუპაციაში არიან მოხვედრილები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო საზოგადოება დაკარგავს ინტერესს და ეთნიკური წმენდის შედეგებს მიესალმება.

ამის დაშვება შეუძლებელია.

თუ ჩვენ გვერდზე გავდგებით, მაშინ ვაღიარებთ, რომ გულგრილობა



და უკანონობა საერთაშორისო თამაშის ახალი წესები ყოფილა.

აღნიშნულმა გამახსენა კოსოვოს თემა.

რადგან საერთაშორისო გაერთიანება ცდილობს იპოვოს სამართლიანი გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით - ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ფედერაციის უკიდურესად კონტრპროდუქტიულ ძალისხმევა, ბოროტად გამოიყენოს ეს უნიკალური მდგომარეობა თავისი ვიწრო ინტერესების სასარგებლოდ.

რუსეთის ოფიციალური პირების ნებისმიერი მცდელობა, შექმნან ან იგულისხმონ მე-19 საუკუნის სტილის გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს გარიგებებს და ტერიტორიულ გაცვლებს კოსოვოს შეთანხმების სანაცვლოდ, არა მხოლოდ მოძველებული, არამედ უკიდურესად ამორალურია.

მინდა, რომ ყველას შეგახსენოთ - ჩემი ქვეყნის ტერიტორია, ისევე, როგორც თქვენი ქვეყნების ტერიტორიები, არც იყიდება და არც იცვლება.

ნებისმიერი მინიშნება მსგავს პრეცენდენტზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, შეუსაბამო და ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

თანამედროვე ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარება დაფუძნებულია ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპზე. ეს ნამდვილად თანამედროვე საერთაშორისო წყობის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

თუ რუსეთის ფედერაცია გააგრძელებს მცდელობას დაამყაროს ეს სახიფათო ურთიერთკავშირი და ძირს გამოუთხრის ამ წყობას - ამ ზეგავლენას შორს წასული შედეგები ექნება - სეპარატიზმისა და კონფლიქტების პანდორას ყუთი გაიხსნება არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ დედამიწის მრავალ ნაწილში.

ვინაიდან, ჩვენ პასუხისმგებელი დემოკრატიის მქონე ქვეყანა ვართ, მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ქალბატონო თავმჯდომარევ, რომ საქართველო ამას არ დაუშვებს.

ჩვენ ვივლით ამ გზით, ყველა ცივილიზებული დემოკრატიების ღირებულებების დაცვითა და სულისკვეთებით. მჯერა, რომ ამ მიმართებით ჩვენ მარტონი არ ვართ.

ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ რადგან ევროპა ცდილობს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდეს თავის აღმოსავლეთ მეზობლებთან, მის ინტერესებში შედის არასტაბილურობის თავიდან აცილება, აგრეთვე, ხელი შეუშალოს სუვერენული სახელმწიფოების დაშლას.

ამ მიზნებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, მსურს გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ერთად იმ პირების მისწრაფებები, რომლებიც დაყოფისა და შიშის ცინიკური პოლიტიკით ძლიერდებიან.

პასუხისმგებელ ერებს აქვთ ვალდებულება იმოქმედონ შესაბამისად და ჩემს მთავრობას სწამს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უნდა მოხდეს მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო ოპერაციების არსებული ჩარჩოების ჩანაცვლება და ტრანსფორმირება.

ეს ჩვენი წმიდადაწმიდა მოვალეობა და სუვერენული უფლებაა - შევცვალოთ არაეფექტური მექანიზმები იმ მექანიზმებით, რომლებიც იმუშავებს, ჩავანაცვლოთ მიკერძოებული ძალები ისეთი ძალებით, რომლებიც სამართლიანი იქნებიან, შევცვალოთ შიში იმედით, ურთიერთეჭვი კი - ნდობით.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ მარტივი, განჭვრეტადი და ნათელი პრინციპებით. ჩვენ ვითათბირებთ. ჩვენ ვითანამშრომლებთ.

დესტაბილიზაციის პოლიტიკის თავიდან ასაცილებლად, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

ჩვენი მიზანია მშვიდობა და მშვიდობიანი გადაწყვეტილებები.

ნება მომეცით კიდევ ერთხელ ნათლად გითხრათ - თუკი მშვიდობის დამყარებისთვის ახალი მექანიზმების მოპოვებაში ძალების გაერთიანებას ვერ შევძლებთ, მწვანე შუქს მივცემთ იმათ, ვინც საწინააღმდეგოს ცდილობს, და არსებობს იმის რისკი, რომ მშვიდობის ნაცვლად რეგიონი სიბნელესა და კონფლიქტურ ვითარებაში აღმოჩნდება.

სწორედ ამიტომ დღეს გადაწყვეტილებების მიღების ახალ საგზაო რუკას გთავაზობთ, რაც მიზნად ისახავს ჩემი ქვეყნის მშვიდობიან გაერთიანებას მის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

... სადაც ნებისმიერი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი საქართველოში მშვიდობიანად და ჰარმონიულად იცხოვრებს, როგორც ეს ათასობით წლის განმავლობაში ხდებოდა, დატკბებიან დემოკრატიის მონაპოვარით, რომელსაც ორივე მხარე გაუფრთხილდება და თავის უნიკალურ მემკვიდრეობას დაიცავს.

იცხოვრებს ქვეყანაში, რომელიც ახალ სკოლებში, საავადმყოფოებში, გზებში და საქართველოს მომავალში ინვესტიციას დებს.

ამ ახალი სქემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დემილიტარიზაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების, ეუთოს, ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა.

ეს გულისხმობს მხარეების პირდაპირ დიალოგს, მე აქ ვგულისხმობ ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და სამხრეთ ოსეთის ხალხს - ჩვენ უნდა ერთად ვიკისროთ პასუხისმგებლობა მშვიდობის აღდგენაზე.

ამ ძალისხმევით ჩვენ მივაღწევთ მშვიდობიანი საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვას ორივე რეგიონში, საერთაშორისო თანამეგობრობების ინტენსიური მონაწილეობით.

მას შემდეგ, რაც ასეთი ძალა ადგილზე იქნება, მზად ვართ, გავამყაროთ მისი მანდატე ყოვლისმომცველი ხელშეკრულებით ძალის არ გამოყენების შესახებ.

ჯერ ბევრია გასაკეთებელი ნდობის აღდგენის და ცხოვრების დონის ამაღლების თვალსაზრისით და ორივე რეგიონში ჩვენ უნდა ავაღორძინოთ ეკონომიკა.

რატომ უნდა ცხოვრობდნენ ჩვენი მოქალაქენი ასეთი საშინელ ეკონომიკურ პირობებში? ჩვენ მზად ვართ ჩავდოთ მნიშვნელოვანი წვლილი აქტივების აღორძინებაში, რათა მივცეთ მათ იმ სიკეთეებით სარგებლობის საშუალება, რითაც საქართველოს დანარჩენი მოქალაქეები სარგებლობენ.

საჭიროა დამატებითი ზომების მიღება ნდობის აღდგენის მიზნით.

დღეს საქართველოში არსებული სიტუაცია როგორც შესაძლებლობების, ისე საფრთხეების მომცველია.

ყოველდღე ადგილი აქვს პროვოკაციებს, კრიმინალური ელემენტების ახდენენ თავიანთი გავლენის კონსოლიდაციას, რასაც საერთაშორისო გამოძახილი ექნება.

მივიწევთ რა წინ ანაქრონული მექანიზმის ჩანაცვლებისა და ტრანსფორმაციისაკენ, ჩვენ კვლავაც მზად ვართ, ვიმუშავოთ ჩვენს მეზობელ - რუსეთის ფედერაციასთან, რადგან რუსეთი უნდა გახდეს გადაწყვეტილების ნაწილი.

კონსულტაციები უკვე დაიწყო და უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს შემდეგი კვირეებისა და თვეების განმავლობაში, რაც არსებულ მექანიზმს მთლიანად შეცვლის.

საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საქართველოს აქვს სუვერენული უფლება უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაყვანა მოითხოვოს, რომლების აფერხებენ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას.

ჩვენ არ ვმალავთ ჩვენს სურვილებსა და ზრახვებს იმის თაობაზე, რომ ამ უფლების განხორციელება გვინდა, რადგანაც ის ეფუძნება იმ უმთავრეს პრინციპებს, რომლებიც მთელს ერსა და საერთაშორისო თანამეგობრობას ამოძრავებს.

ჩვენი დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვრის საქართველოს მოქალაქეთათვის შეთავაზება გაეროს სულისკვეთებას და წესდებას შეესაბამება.

ქალბატონო თავმჯდომარევ!

გამოვხატავ რა ჩემს ღრმა პატივისცემას ამ ორგანიზაციის მიმართ იმ შესაძლებლობისათვის, რომელიც მე მომეცა, ჩავთვალე საჭიროდ გამეზიარებინა არა მხოლოდ ჩვენი სურვილები, არამედ ჩვენი შეშფოთებებიც.

დაე, ნურავინ ნურასოდეს ნუ იტყვის, რომ საქართველომ ნათლად არ იცოდა, თუ როგორ დაეცვა საკუთარი დემოკრატია და საკუთარი სახელმწიფო.

დაე, ნურავინ ნურასოდეს ნუ იტყვის, რომ ჩვენ არ შევეცადეთ ეს გაგვეკეთებინა მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით.

ჩვენი ქვეყნისათვის, და ზოგადად საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, სხვა გზა აღარ დარჩა.

რადგანაც ჩვენ ვიზიარებთ ცივილიზებული დემოკრატიის სტანდარტებს, ჩვენ შესაბამისად უნდა მოვიქცეთ.

მიგვაჩნია, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც იზიარებს ამ საერთო ღირებულებებს, მზად არის მსხვერპლი გაიღოს მათთვის...

... მოდით, ერთობლივად მივაღწიოთ მშვიდობას ჩვენს რეგიონში.

მოდით, ერთად გამოვიყენოთ ეს ისტორიული შანსი და არ დავაყოვნოთ.

გმადლობთ!

მანუჩარ კაჭახიძე

## მონატრება

დაათოვა შებინდულმა დრომ
მონატრებით აცრემლებულ ჰანგს,
თუ ოდესმე დაათენდა რომს,
ჩემი მიწაც გაიღვიძებს კვლავ.

მაგრამ ვიცი არ იმღერებ მას,
რაც მინდოდა, რასაც გული მთხოვს,
გაზაფხული არ დამდგარა ჯერ,
ჯერ ხომ კიდევ უსაშველოდ თოვს.

მენატრები, ვეღარც გული გთმობს,
მხოლოდ შენთვის ვემსხვერპლები ხმლებს,
თუკი მწამდი, მიტომ მწამდი რომ
მუხლმოყრილი შევვედროდი წლებს.

ვერ შევძელი დამევიწყე დღეს,
და ვერ შევძლებ დაგივიწყო სულ,
გულდუმდარედ დავიტირებ თოვლს,
შენ რომ არა ყვარებოდი გულს.

თოვლის ფიფქი დაადნება ზღვას,
ზმა მამულით გულდამწვარი დუღს,

ვერ გავძლებდი ცხრა მთას იქით მე,
და ნერვები დაღარული წუხს.

საუკუნე გარდასახვა თუ
უკვდავების საგალობლებს ფლობს,
ნუ იმღერებ გევედრები მას,
რასაც ძველი იმედები მთხოვს.

დაათოვა უშენობის დრომ
ზღვად წასულის სადიდებელ ჰანგს,
ალბათ უკვე დაათენდა რომს,
შენი ხილვა გამაღვიძებს კვლავ.

# კრწანისის ბრძოლიდან 211 წელი და 1 დღე გავიდა!!!

***დღეს 12 სექტემბერია და ამ წერილის კითხვას რომ დაიწყებთ, სტრიქონებს შორის იმ ცეცხლის სიკაშკაშე მოგჭრით თვალს, რომელიც საჭურისმა აღა-მაჰმად-ხანმა 211 წლის წინ ქართველების გვამებზე დაანთო.***

1795 წლის 12 სექტემბერს სპარსელების მიერ აკლებულ და გადამწვარ თბილისში დრო გაჩერებულიყო და მხოლოდ კვამლი ხრჩოლავდა. გულმოკლული და სისხლისმღვრელ ომებში ხმალგაცვეთილი 75 წლის მეფე ერეკლე ას ორმოცდაათამდე მხლებელთან ერთად, რომელთაგან უკლებლივ ყველა დაჭრილიყო, უკვე მთიულეთს აფარებდა თავს!.. კრწანისის ველზე, სოღანლუღთან, იაღლუჯას მისადგომებთან და შინდისის ხევხუვებში 20 ათასზე მეტი ქართველი და ირანელი ჩაწოლილიყო...

**ვიდრე მოწინააღმდეგეები ჯერ ერთმანეთს ჩახედავდნენ თვალებში და მერე სიკვდილს, მანამდე დიდი ამბები მოხდა... ოთხი წელი ამზადებდა სპარსეთი კრწანისის ომს; აღა-მაჰმად-ხანს სული კბილით ეჭირა და სულ იმის ფიქრში იყო, რას იზამდა იმპერატრიცა ეკატერინეს რუსეთი — შეასრულებდა გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებას და საგარეო საფრთხისგან დაიცავდა პატარა საქართველოს თუ გაწირავდა „ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებულ ერეკლე-ხანს“...**

საისტორიო ბედისწერამ საჭურისის მხარეს იძალა და კრწანისის ბრძოლამდე ერთი თვით ადრე ჯერ კიდევ შუშის სომხურ ციხესთან მდგარმა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა, თავისი მსტოვრების წყალობით, დანამდვილებით იცოდა, რომ წინა კავკასიაში რუსეთის ჯარების სარდალი, გენერალი გუდოვიჩი საქართველოს დასახმარებლად თითსაც არ გაატოკებდა. ამბობენ, შაჰმა გზირების ხელით, რომლებიც ვითომ ელჩებად მიავლინა რუსეთში, გუდოვიჩს მაგიდაზე ბაჯაღლო ოქროები დაუხვავა და მოისყიდაო!..

**ერთი სიტყვით, შუშის ციხიდან მოდგა მაჰმად საჭურისი; სომეხთა კათალიკოსმა მშვიდობა ფულით იყიდა და იმ დროისათვის წარმოუდგენელი თანხა 100 ათასი ოქროს მანეთი მიუბოძა შაჰს...** მოდიოდა საჭურისი და წინ გამორბოდნენ ერეკლეს ყმადნაფიცი სომეხი დიდებულები, რომლებიც საქართველოში ელოდნენ შველას... **ბევრმა უღალატა მოხუც მეფეს და მოსისხლე მტერს შეეკრა. ასე, მაგალითად, სომეხი მელიქები — მეჯლუმი და ჯაბოვი ირანელ ყონაღებს ამოუდგნენ გვერდით და ქართველების თავების ასაჭრელად იატაგნები გაბასრეს...**

ერეკლე მეფე ყაზახში იყო, საჭურისი ყაჯარის შემოჭრის ამ-



ბავი რომ გაიგო და სასწრაფოდ თბილისისკენ გამოემართა. 6 სექტემბერს სოღანლუღთან იდგა გმირი მეფე და მტრის გამოჩენას ელოდა. სპარსელთა 35-ათასიან ურდოს უნდა დაელეწა და გადაექელა ქართველთა 5-ათასიანი მხედრობა; **ამ დროს გიორგი ზაქიჭამია, საქართველოს მომავალი მეფე, 4 000 კაცით კახეთში იდგა, ბოზებს დასდევდა და ფიქრადაც არ მოსვლია, რომ 2 ათასი მეომარი მაინც გაეგზავნა მხცო-**

# დღეს 12 სექტემბერია!

**ვანი მამის დასახმარებლად...**

ეჰ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ასე იყო აფხაზეთის ომშიც, **ზოგი საქართველოსთვის ნასროლ ტყვიას მამაცურად მკერდს უშვერდა, ზოგი მანქანების და პალმების ჩამოსათრევად მიწანწალებდა სოხუმში და თვითმფრინავში დაჭრილის ადგილს იჭერდა, ზოგი ქალებს აუპატიურებდა, ზოგიერთი კი დუბაიში კვირაში სამ რეისს აკეთებდა ბიზნესის ასაწყობად და ათასეული კილომეტრებიდან მაცივრებს ეზიდებოდა.**

სოღანლუღიდან 12 მხედარი გაგზავნა ერეკლემ შაჰის არმიის დასაზვერად, მაგრამ აქაც ბედმა უმუხთლათ ქართველებს. ცხენოსნები იაღლუჯამდეც არ მისულიყვნენ, როცა მტრის მოწინავე რაზმს გადაეყარნენ და უთანასწორო ბრძოლაში ყველანი დაიხოცნენ. შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს ვინმე გორჯასპი ნათალიშვილი, რომელიც ქარზე უსწრაფეს რაშს მოახტა, სპარსელებს ხელიდან დაუძვრა და საქართველოს 75 წლის გვირგვინოსანს საშინელი ამბავი მიუტანა.

**9 სექტემბერს სოღანლუღთან, იქ, სადაც ახლა გულნებიერი ქართველები დღედაღამ რესტორნებში ათენებენ და ბენზინგასამართი სადგურებით გადაჭედილ მოედანზე ლიტრ საწვავში 2 ლარს იხდიან, მცირე ბრძოლა მოხდა... 10 სექტემბერს მტერი ზვირთებად მოაწყდა თბილისის შემოსასვლელს და ფიცხელი ომი გაჩაღდა; ტაბახმელისა და შინდისის ხევხუვები სპარსელებით გადაიჭედა. ქართული არტილერია საჭურისს მედგრად დაუხვდა, მალე მეზარბაზნეებს დავით ბაგრატიონის მხედრობაც წამოეშველა და სპარსელთა მოწინავე ლაშქარი პირწმინდად გაანადგურეს ქართველებმა...** ცოცხლად გადარჩენილმა მეომრებმა აღა-მაჰმად-ხანს საზარელი ამბავი მიუტანეს და გაცოფებულმა საჭურისმაც ლაშქარი აჰყარა, — მიდიოდა, გარბოდა, საქართველოდან მიიჩქაროდა შერცხვენილი და კუდამოძუებული საჭურისი შაჰი ირანისა, მაგრამ...

# ზუსტად 99 წლის წინათ მოკლეს ილია!





ვაჰმე, ბედისწერა ისტორიისა, ისევ ცვედანის მხარეს იძალა იღბალმა; **ახლანდელ კომკავშირულ ქალაქ „ბორის ძნელაძის“ მიდამოებში იდგა იმ საღამოს გაწბილებული აღა-მაჰმად-ხანი და ბუჩქს მოფარებული ქალივით ჩაცუცქული შარდავდა, თურმე, როცა მხებლებმა მსტოვრების მოსვლა აუწყეს.** სტუმრები თბილისელი სომხები აღმოჩნდნენ — **არღუთინსკი** და **არარატიანცი,** — მეფე ერეკლეს მცირე ჯარი ჰყავს, დიდო შაჰინ-შაჰ. შეუტიე და აიღე ქალაქი; ქართველები ვერ გაგიმკლავდებიან, მეციხოვნეებიც კი საომრად წამოიყვანა ერეკლემ, თბილისი დაუცველიაო! — მიუსისინეს ყაჯარს მოღალატეებმა.

აიჯაგრა და აზვავდა შაჰინ-შაჰი. აყრილი ლაშქარი მოაწყო და ქართველების სისხლის სასმელად მოემზადა...

**1795 წლის 11 სექტემბერს კრწანისის ველზე ნისლი ჩამოწვა... სისხლისმღვრელი და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი დილის 7 საათზე დაიწყო. ქართველთა ცენტრს ერეკლე მეფე მეთაურობდა. 75 წლის მოხუცი ლომივით იბრძოდა და სპარსელებმა ვერაფრით მოახერხეს ცენტრის გარღვევა. შაჰმა პირისპირ ბრძოლით რომ ვერაფერი მოგვიხერხა, რამდენიმე ასეული ცხენოსანი შინდისის მიმართულებით გაგზავნა, რათა ქართველთათვის ზურგიდან შეეტია. ისევ გაწირა ღმერთმა ქართველობა და უკლებლივ ყველა წმინდანმა ზურგი გვაქცია, შვიდჯერ მეტ სპარსელებს ნისლიც კი მიეხმარა და შინდისისკენ წასული მხედრები ჯანღში გაუჩინარდნენ. საწყალმა და უბედურმა ქართველებმა ზურგიდან მოპარული მტერი მაშინ შენიშნეს, როცა მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ალბათ, ეს იყო ყველაზე კრიტიკული მომენტი ბრძოლისა. ერეკლე მეფე ამჩნევდა, რომ საჭურისის ჯარები ქართველთა მარჯვენა ფლანგს სადაცაა გადათელავდნენ და თავის შვილიშვილს — იმერეთის მეფე სოლომონ II-ს, რომელსაც 2 000 მამაცი იმერელი ჩამოეყვანა გმირთაგმირი პაპის დასახმარებლად, შიკრიკი გაუგზავნა — მარჯვენა ფლანგს მიხედეო!..**

ვაჰმე, რომ ის შიკრიკიც გზაში მოკლეს. სოლომონამდე ამბის მიმტანი არავინ დარჩა და მარჯვენა ფლანგი სრულად დაიმორჩილა მტერთა სიმრავლემ.

ზვირთებად ასკდებოდნენ გათითოკაცებულ და დაჩეხილ ქართველებს შაჰინ-შაჰის გიჟმაჟი მხედრები... ბრძოლის ველზე დაეცა **გიორგი გურამიშვილი,** მამაცი არტილერისტი **გაბრიელ მაიორი,** ქართველი მსახიობები, ვინმე **მაჩაბელას** მეთაურობით, მტერს შეაკვდნენ. **300 არაგველიც** ბრძოლის ველზე იწვა...

**დავწერე ადრეც და ახლაც ვიტყვი, დღეს ამ ხალხის ძვლებზე, აბანოთუბანში, ვინმე ნასუქარმა აბულაძემ ხუთსართულიანი უშველებელი „ხავერა“ წამოჭიმა და ერთი სული აქვს, როდის ახდიან საბოლოოდ ნამუსს საქართველოს!**

მეფე ერეკლეს ჯარის დიდი უმრავლესობა განადგურდა, მაგრამ ირანის შაჰმა თითქმის სამჯერ მეტი — 13 ათასი კაცი დაკარგა კრწანისის ველზე!..

**მეფე ერეკლეს ვერავინ აჩერებდა და სისხლში გათხაფული მოხუცი სიკვდილს ეძებდა. მეოთხე და უკანასკნელ სანგარში რჩეულ მეომრებთან ერთად გამაგრებული 75 წლის ლომი უცილობელ სიკვდილს ან ტყვეობას შვილიშვილის — იოანე ბატონიშვილის სწორუპოვარმა თავგანწირვამ გადაარჩინა.**

ავლაბრის ხიდზე შეაგდო მეფე ერეკლემ ცხენი და თბილისს გადმოჰხედა... დედაქალაქში უკვე უსჯულოები დიოდნენ... ცეცხლისთვის მიეცათ თბილისი. თვალები ცრემლებით აევსო, თურმე, მეფეს, ცხენი მოატრიალა და ქალაქისკენ აპირებდა გაჭრას, რომ ივანე მუხრან-ბატონმა, ვახტანგ ბატონიშვილმა, ივანე ბატონიშვილმა და ქიზიყის მოურავმა ივაჟკაცეს, აღვირზე ხელი უტაცეს და სამშვიდობოს გაიტანეს მეფე. იქ, კლდოვან ნაპრალზე გამოსახული ჯვარის წინ, ცხენიდან ჩამოხტა, თურმე, მეფე, დაიჩოქა და ქრისტიანობისთვის წამებულ აბოს ნეშტს შეავედრა ქართველი ერი!..

**1795 წლის 11 სექტემბერს ღამით მთელი თბილისი ცეცხლის ალში გახვიეს სპარსელებმა, დაანგრიეს ვახტანგ მეექვსის აშენებული სტამბა, გადაწვეს წიგნთსაცავი, გაძარცვეს სახელმწიფო ხაზინა, ეკლესიები, მოიპარეს მეფის გვირგვინი, სკიპტრა, რუსთ ხელმწიფის მიერ ერეკლესთვის ნაჩუქარი ძვირფასი ნივთები...**

მეფე ერეკლეს მთიულეთისკენ მიაქროლებდნენ ქარზე უსწრაფეს რაშებზე ამხედრებული უერთგულესი მხედრები.

**საჭურისმა შაჰმა მთიულეთში დაუპირა მხცოვან გვირგვინოსანს შეპყრობა და არაგვის ხეობას 4 ათასი მებრძოლი შეუსია. ჟინვალთან 4 ათასი ირანელი 300 ხევსურს გადაეყარა, თურმე... ხევსურებს გვიან გაეგოთ გმირი მეფის გასაჭირი და საშველად წამოსულიყვნენ... 300 გამგელებული ხევსური იმ 4 ათას ირანელს ეტაკა და უსჯულოებს კუდით ქვა ასროლინა. 9 დღე იბაირამა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისში და 20-21 სექტემბერს ლაშქარი აჰყარა. წავიდა და ჩვენი ცოდვაც წაიღო!..**

სამი წელი იცოცხლა ერეკლემ კრწანისის ტრაგედიის შემდეგ. **მოკვდა თელავში, ზუსტად იმ ოთახში, სადაც დაიბადა**. საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის კუბოს 20 ათასი ქართველი მიაცილებდა სვეტიცხოვლისაკენ...

**ფიე, ისტორიის ბედისწერავ, მასხარავ და ბრუციანო მჩხიბავო, კაცმა 5 ათასი მებრძოლი ძლივს შეაგროვა კრწანისთან და როცა მოკვდა, 20 ათასი თანამემამულე ეპოტინებოდა გაციებულ სხეულზე.**

**დღეს 12 სექტემბერია** და **კრწანისის ველზე ზუსტად ისეთივე ჯანღი ჩამოწოლილა, როგორც მაშინ, 211 წლის წინ. ანდა რა გაანათებს 12 სექტემბერს, როცა ზუსტად ამ დღეს, 1907 წელს ქართველებმა წიწამურთან ილია მოკლეს!..**

ჩვენი დიდი ილია, ჩვენი მოძღვართმოძღვარი და უგვირგვინო მეფე საქართველოსი, როგორ გაიმეტეს, როგორ ანაცვალეს საქართველოს თავისუფლებას სოციალ-დემოკრატიის უწმინდური დროშა და როგორ შეუბრალებლად გამოღადრეს ყელი ქვეყანას!..

**ორი საქართველოს ორი უბედური საჭეთმპყრობელი — ერთი მირონცხებული და ღვთითკურთხეული გვირგვინოსანი და მეორე უგვირგვინო ხელმწიფე...**

სიმწრისაგან გული მეწურება და ტვინში სისხლი მაწვება, ერეკლე მეფისა და ილიას ცხოვრების გზას თვალს რომ გადავავლებ. ვაგლახ, მათ არ გაუმართლათ!..

და დღეს, ბედის ირონიით თუ ეშმაკისეული მანქანებით ქართული პოლიტიკის ავანსცენაზე გამოჭიმულ ყონაღებს რომ ვხედავ, ილია ჭავჭავაძეზე, დავით აღმაშენებელზე და ერეკლე მეფეზე ჰარიჰარად მოლაყბე ჩვენს პოლიტიკანებს რომ **ვხედავ, დაქცეულ საქართველოს რომ ვხედავ, ვხედავ** იმასაც, რომ 12 სექტემბრის დილა ამათ ხელში არასოდეს იქნება იმაზე უკეთესი, 210 წლის წინ რომ გაუთენეს საქართველოს!..

დიტო ჩუბინიძე

# ილიას მკვლელის გიგლა ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმები


გიგლა ბერბიჭაშვილი

### გიორგი პეტრეს-ძე ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმი – 1940 წ. 9 ოქტომბერი

**კითხვა: რომელი წლიდან ხართ პარტიის წევრი და სად მიგიღეს პირველად?**

**პასუხი:** პარტიის წევრი ვარ 1905 წლიდან. პ/გ №1529557. დავიბადე 1878 წელს, პარტიაში ვარ მიღებული დუშეთის პარტიული ორგანიზაციის მიერ.

**კითხვა: 1905 წ. როდესაც პარტიაში მიგიღეს, რა ერქვა იმ პარტიას და თქვენ რომლის მხარეზე იყავით? ბოლშევიკების თუ მენშევიკების?**

**პასუხი:** მაშინ როდესაც პარტიაში მიმიღეს — იმ პარტიას ერქვა მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. თუ რომელი მიმართულების მხარეზე ვიყავი, ამაზე შემიძლია განვაცხადო, რომ მაშინ მენშევიკების და ბოლშევიკების ცალ-ცალკე დაყოფა არ იყო, ყველა ვიყავით ერთადერთი მუშათა პარტიაში.

**კითხვა: როდის წახვედით სპარსეთში?**

**პასუხი:** სპარსეთში წავედი 1907 წელს აპრილი თუ მაისის თვეში.

**კითხვა: რატომ წახვედით სპარსეთში, ანუ ვისი დავალებით წახვედით?**

**პასუხი:** ვინაიდან შავმა რეაქციამ გაიმარჯვა და მე თავს ვარიდებდი მეფის მთავრობას — ამიტომ თავი შევაფარე სპარსეთს. წავედი მე პირადად ჩემი სურვილით, წასვლაზე არავისი დავალება არ მქონდა.

**კითხვა: სპარსეთში სად ცხოვრობდი და რითი ირჩენდი თავს?**

**პასუხი:** სპარსეთში ვცხოვრობდი: კაზვინში, თავრიზში, თეირანში და ფერეიდანში (სადაც ქართველების სოფლებია). თავს ვირჩენდი სოფლის მეურნეობაში დღიური მუშაობით.

### 2. გაგრძელება ბერბიჭაშვილის დაკითხვის

**კითხვა: რამდენი ხანი ცხოვრობდით სპარსეთში და როდის დაბრუნდით საქართველოში?**

**პასუხი:** სპარსეთში ვცხოვრობდი 1907 წლიდან 1919 წლამდე. საქართველოში ჩამოვედი 1919 წლის ნოემბერი თუ დეკემბრის თვეში.

**კითხვა: სპარსეთში ყოფნის დროს განმავლობაში თუ იყავით ბოლშევიკურ პარტიის ორგანიზაციასთან დაკავშირებული?**

**პასუხი:** სპარსეთში მე ვიყავი დაკავშირებული თათრებთან, რომლებიც შედიოდენ მუშათა პარტიაში. ბოლშევიკური პარტია, როგორც ასეთი, მაშინ მას არ ერქვა. მუშათა პარტიასთან, რომლებიც ბეგების და მდიდრების წინააღმდეგ იყო, მე ვიყავი დაკავშირებული და მათთან ერთად ვიბრძოდი.

**კითხვა: შენს გარდა იქ სპარსეთში შენთან ერთად თუ იყო ქართველები ვინმე?**

**პასუხი:** 1907 წლიდან 1910 წლამდე იყვნენ ქართველები, მაგრამ არცერთის ვინაობა არ მახსოვს. 1910 წელს კი ეს ქართველები ყველა წამოვიდნენ და დავრჩი მე მარტო — როგორც ავადმყოფი.

**კითხვა: თუ შეხვედრიხართ სპარსეთში ამხ. აპალონ გლახას ძე ჯაფარიძეს?**

**პასუხი:** შეიძლება კიდეც შევხვდი, მაგრამ ეს მე არ მახსოვს.

**კითხვა: 1919 წელს ნოენბერი თუ დეკემბრის თვეში როცა სპარსეთითან საქართველოში დაბრუნდით — სად ცხოვრობდით და თუ იყავით დაკავშირებული ბოლშევიკური ორგანიზაციასთან, სად და ვისთან?**

### 3. გაგრძელება ბერბიჭაშვილის დაკითხვის

**პასუხი:** სპარსეთიდან რო დავბრუნდი წავედი ჩემს სახლში დუშეთის რაიონი სოფ. ახატანში. ვიყავი ავად და ერთი წელიწადი ვიაქიმე ჯერ სოფ. ახატანში და შემდეგ თფილისში. ამ დროს განმავლობაში ე.ი. 1919 წლის ნოენბერი თუ დეკემბრიდან 1920 წლის მაისამდე ლოგინად ვიყავი, ხოლო, 1920 წ. მაისიდან უკვე ფეხზე ვიყავი, მაგრამ ავად ვიყავი 1920 წ. თითქმის ნოენბრის თვემდე. ავადმყოფობის გამო მე არ მომეცა საშვალება მქონებოდა კავშირი ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციასთან სპარსეთიდან ჩამოსვლის დღიდან — საქართველოს გასაბჭოებამდე. გასაბჭოების შემდეგ ე.ი. 16 მარტს წავედი დუშეთში, იქ ბორისი ძნელაძემ და ლაურნენტი ადამიძემ ჩამომართვეს 1905 წელში მიღებული საბუთები და მომცეს ახალი საბუთი. იმ დღესვე გადამგზავნეს წინამძღვარიანთ კარის რევკომის თავ-რედ და ამ დღიდან ვმუშაობ სხვა და სხვა ორგანიზაციებში.

**კითხვა: რა საბუთი გადაეცით თქვენ ბორის ძნელაძეს და ლაურენტი ადამიძეს?**

**პასუხი:** ძნელაძეს და ადამიძეს მე გადავეცი 1905 წელში დუშეთის მუშათა პარტიის ორგანიზაციისაგან მიღებული პარტიული მანდატი.

**კითხვა: ჩამომითვალეთ: თუ რა პარტიული მუშაობა ჩაგიტარებიათ 1905 წლიდან 1907 წლამდე ე.ი. სპარსეთში წასვლამდე?**

**პასუხი:** გლეხებში ვეწეოდი აგიტაცია-პროპაგანდას, ვავცელებდი პროკლამაციებს, ჟურნალებს და სხვა.

### 4. გაგრძელება ბერბიჭაშვილის დაკითხვის

**კითხვა: თუ გქონდათ რაიმე საბუთი სპარსეთიდან იქ შენი მუშაობის შესახებ მუშათა პარტიაში?**

**პასუხი:** ასეთი მქონდა, მაგრამ გზაზე მომპარეს, დამრჩა მხოლოდ პარტიული მოწმობა, მიღებული დუშეთში 1905 წელს.

**კითხვა: თუ არის ვინმე ცოცხალი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს სპარსეთში შენი მუშაობა დაადასტუროს?**

**პასუხი:** ასეთი არ არის.

**კითხვა: როდის გაიგე ილიას მოკვლა?**

**პასუხი:** ილიას მოკვლა გავიგე მხოლოდ 1921 წელს.

**კითხვა: რამდენად სწორია 10 სექტემბრის 1937 წელს გამოშვებული სალიტერატურო გაზეთში მოთავსებული ბრალდება თქვენ მიერ ილიას მოკვლის შესახებ?**

**პასუხი:** ამის შესახებ მე არაფელი არ ვიცი და ილიას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია.

**კითხვა: თუ ილიას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიგიღია, გაზეთში რატომ გამოყვეხართ როგორც ილიას მკვლელი?**

**პასუხი:** ეს არის შავი რეაქციონერების მახინაცია, რადგან ისინი მე მსდევნიდნენ და ჩემი დაჭერა ვერ მოახერხეს — ილიას მკვლელად გამომიყვანეს.

**კითხვა: ვინ იყვენ ეს შავი რეაქციონერები?**

**პასუხი:** ესენი იყვენ: სამაზრო პრისტავი კობიაშვილი ნიკო, პრისტავი ვასო ქუმსიშვილი და მაზრის უფროსი გოლდბაუმი — ესენი მსდევნიდენ მე რევოლუციონურ მუშაობისთვის და დამაბრალეს... *(ტექსტი არ იკითხება).*

### 5. გაგრძელება ბერბიჭაშვილის დაკითხვისა 10/X-40წ.

**კითხვა: რა შესწორება გინდათ შეიტანოთ გუშინდელ ჩვენებაში.**

**პასუხი:** დაკითხვის პირველ ფურცელში, სადაც ლაპარაკია 1905 წელში თუ რომელი პარტიის რიგებში ვიყავი — ჩემ მიერ დაშვებულია შეცდომა, რადგან იქ მე უჩვენე — თითქოს 1905 წელს სოც. დ. მუშათა პარტიაში არ ყოფილიყოს ბოლშევიკური და მენშევიკური მიმართულება. პირიქით ასეთი იყო და მე პირადად ვიბრძოდი ბოლშევიკების მხარეზე.

**კითხვა: ვინ იყვნენ მაშინ ე.ი. 1905 წელში თქვენი ამხანაგები ბოლშევიკები და თუ არის ვინმე დღეს ცოცხალი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს თქვენი ბოლშევიკობის დადასტურება?**

**პასუხი:** ჩემთან ერთად ბოლშევიკების მხარეზე იბრძოდნენ: გაბო ძლიერიშვილი, მელიშვილი (სახელი არ ახსოვს), ბიგაევი (სახელი არ იცის), ოდიშვილი (სახელი არ იცის), ნავროზაშვილი (სახელი არ ახსოვს) და სხვა ყველა ესენი არიან დუშეთის რაიონიდან, მაგრამ არც ერთი ისინი ცოცხალი არ არიან. ისე ცოცხალი პიროვნება, რომელსაც შეეძლოს დადასტურება ჩემი მუშაობა ბოლშევიკების პარტიაში ასეთი არ მაგონდება, მგონი ცოცხალი უნდა იყოს გოგლა არაჩაშვილი სოფელ მლაშედან, დუშეთის რაიონი — მას შეუძლია დადასტურება.

### 6. გაგრძელება ბერბიჭაშვილის დაკითხვის

**კითხვა: თუ გითქვამს ვინმეზე დუშეთის რაიონში, რომ თქვენ ილიას მკვლელობაში მონაწილეობას იღებდით?**

**პასუხი:** ასეთი არავიზე არ მითქვამს.

**კითხვა: როდის გაიცანით თქვენ აპალონ ჯაფარიძეს და სად გაიცანით?**

**პასუხი: ჯაფარიძე აპალონი მე გავიცანი თფილისის კომიტეტში ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის წავიდოდა დუშეთში, სამაზრო ალმასკომის თ-რედ.**

**კითხვა: მართალია თუ არა ჯაფარიძის ჩვენება, რომ თითქოს მას 1925 წ. დუშეთში მის კაბინეტში თქვენი თავი გააცნეს, როგორც ილიას მკვლელობაში ერთ-ერთ მონაწილედ?**

**პასუხი:** ასეთი არ გამიგონია, ასე მე ის არ გამიცვნია და მაგისთანას იქ ადგილი არ ჰქონებია.

**კითხვა: ხელმეორედ გეკითხებით, ხომ არ დაგიკვეხნიათ სადმე, რომ თქვენ მონაწილეობას იღებდით ილიას მკვლელობაში.**

**პასუხი:** ასეთს ადგილი არ ქონებია.

### 7. დაკითხვის გაგრძელება ჯაფარიძის და ბერბიჭაშვილის დაპირისპირება

**კითხვა ბერბიჭაშვილს: სად გაიცანით ამხ. ჯაფარიძე?**

**პასუხი:** ჯაფარიძე გავიცანი აქ, თფილისში, თფილისის კომიტეტში, მისი დუშეთში წასვლამდე.

**კითხვა ჯაფარიძეს: სად გაიცანით ბერბიჭაშვილი?**

**პასუხი:** ბერბიჭაშვილი პირველად გამაცვნეს დუშეთში 1925 წელს. გაცნობის შემდეგ ესეც მითხრეს: „ეს არის ილიას მკვლელობის მონაწილეო".

**კითხვა ჯაფარიძეს: ბერბიჭაშვილს ხომ არ უთქვამს თქვენზე, რომ ის ილიას მკვლელობაში მონაწილეობას იღებდა?**

**პასუხი:** პირადად ეს ჩემზე არ უთქვამს, მაგრამ ამაზე ლაპარაკობდა მთელი დუშეთის მაზრის პარტიული ამხანაგები თვითონ ბერბიჭაშვილს ამაყად მოქონდა თავი და ილიას მკვლელობაში მის მონაწილეობას თითქოს არ უარყოფდა. მახსოვს ერთხელ ამხანაგების ჯგუფი ვიყავით ბაღში, ამ დროს მოვიდა ბერბიჭაშვილი. ერთ-ერთ ამხანაგმა ხმამაღლა სთქვა: ეს არის ის ბერბიჭაშვილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ილიას მკვლელობაში. მერე მოუბრუნდა ბერბიჭაშვილს და... *(ტექსტი არ იკითხება).*

### 8. გაგრძელება ბერბიჭაშვილის დაკითხვის

*სთხოვა მოყოლოდა თუ როგორ მოჰკლეს ილია. ამის შეკითხვაზე ბერბიჭაშვილმა ხელები ჩაიქნია და სთქვა: თავი დამანებეთ, მომბეზრდა ამაზე ლაპარაკიო. სთქვა ეს თუ არა, მობრუნდა და წავიდა ჩვენგნით. ამ სურათმა ჩემში დასტოვა ღრმა რწმენა იმისი, რომ ბერბიჭაშვილი ნამდვილად იყო ილიას მკვლელობის მონაწილე.*

**კითხვა ბერბიჭაშვილს: სწორია თუ არა ამხ. ჯაფარიძის ზემო ჩვენება?**

პასუხი: არ არის სწორი, რადგან ასეთს ადგილი არ ქონებია.

**კითხვა ჯაფარიძეს: ვის შეუძლია დაადასტუროს ის, რომ ბერბიჭაშვილი აშკარად ამბობდა ილიას მკვლელობაში თავისი მონაწილეობაზე?**

**პასუხი:** ვფიქრობ დაადასტურებენ შემდეგი მოქალაქეები: 1. ლალიაშვილი ლადო, 2. იორდანაშვილი ვანო, 3. სუჯიაშვილი მიშა მონკავშირი და სხვა იმ დროინდელი პარტიის წევრები ყველა დაადასტურებენ ამას — ეხლა მათი გვარი არ მაგონდება.

მე ვაწერ ხელს ჩემ ჩვენებაზე, არა ჯაფარიძეს... *(ტექსტი არ იკითხება).*

### 9. ჯაფარიძის და ბერბიჭაშვილის დაკითხვის გაგრძელება

**კითხვა ბერბიჭაშვილს: სპარსეთში სად იყავით და როდის?**

**პასუხი:** 1907 წ. გაზაფხულზე ვიყავი ქ. რეშტში, სადაც დავრჩი ორი კვირა. აქედან ჩვენმა გამყოლმა თათარმა წაგვიყვანა ხოიში — აქ დავრჩი სამი კვირა, მერე წავედით ქალაქ კაზვინში, კაზვინის მახლობლად შევუერთდით ფიდაებს (შახის მოწინააღმდეგე რაზმელები) და წავედით ქალაქ კაზვინზედ, რომელიც აღებული ქონდათ სათარხანის რაზმს და ჩვენ შეუერთდით მის ჯარს, ეს იყო 1907 წლის ზაფხულზე. იქ ქართველებიც იყვნენ, მაგრამ მათი ვინაობა არ მახსოვს. ხელმძღვანელების გვარიც არ მახსოვს. ხსენებულ ქალაქ კაზვინში ვიყავი ერთი თვე, ამის შემდეგ, როგორც მახსოვს, წავედით თეირანში. ეს ქალაქიც აღებული იქნა სათარხანის ჯარის მიერ. მე ამ ქალაქის აღებაში ვიღებდი მონაწილეობას. კაზვინიდან — თეირანამდე, როგორც მახსოვს — ვიარეთ 7 დღე-ღამე. როგორც მახსოვს, აქ დავრჩი 3-4 თვე, ვიყავი ჯარში, ვიღებდი ბრძოლაში მონაწილეობას, მაგრამ არ მახსოვს ვინ იყო ჩემი ხელმძღვანელები, მგონი ვიყავი მესამე რაზმში. ეს იყო 1907 წლის მანძილზე.

### 10. გაგრძელება ბერბიჭაშვილის ჩვენების

თეირანიდან 1907 წლის დამლევს ჩვენი ჯარი წავიდა ქ. თავრიზისაკენ — გზაზე გვიხდებოდა ბრძოლა. ერთი თვენახევრის შემდეგ ჩავედით თავრიზში და ავიღეთ ეს ქალაქიც ბრძოლით. ამ ქალაქში დავრჩით 1908 წ. ზაფხულამდე. თავრიზიდან იმავე 1908 წ. ზაფხულში ჯარი ისე დაბრუნდა თეირანში და მეც თან წავყევი, თუ ვინ იყვნენ თავრიზში და თეირანში ჩვენი ხელმძღვანელები ესეც არ მახსოვს. თეირანში დავრჩი 1910 წლამდე. სულ ვიყავი ჯარში იარაღის ქვეშ. თეირანშიც და თავრიზშიც მივიღე მონაწილეობა ბრძოლაში ამ ქალაქების აღების დროს. 1910 წელში ომი გათავდა, გაიმარჯვა ფიდაელებმა (სათარხანის ჯარმა). 1910 წლის ბოლოს დავანებე ჯარს თავი ავადმყოფობის გამო და გადავედი ფერეიდანში, სადაც ქართველების სოფლებია. აქ დავრჩი 1917 წლამდე და თავს ვირჩენდი დღიური მუშაობით სოფლის მეურნეობაში. 1917 წლიდან ისევლე დავბრუნდი თავრიზში, თეირანში და 1919 წელს დეკემბერში თუ ნოენბერში ჩამოვედი საქართველოში.

### 11. ბერბიჭაშვილის და ჯაფარიძის დაკითხვის გაგრძელება

**კითხვა ბერბიჭაშვილს: ქ. რეშტში რო ჩახველით, ვის ხელში იყო ეს ქალაქი, რევოლუციონერების თუ შახის ჯარის?**

**პასუხი:** ეს ქალაქი იყო რევოლუციონერების ხელში.

**კითხვა ბერბიჭაშვილს: ქ. რეშტში თუ იყო ქართველები და ვინ იყვნენ ისინი — და რად წახვედით რეშტიდან?**

**პასუხი:** ქართველები იყვნენ, მაგრამ მათი გვარი არ მახსოვს. რეშტიდან რადგან ჯარი წავიდა, მეც თან გავყევი.

**კითხვა ბერბიჭაშვილს: რეშტიდან ჯარი რო წავიდა სად წახველით?**

**პასუხი:** რეშტიდან ჯარს გავყევი კაზვინში, მაგრამ ეს ქალაქი უკვე აღებული დაგვხვდა.

**კითხვა: იღებდით თუ არა მონაწილეობას თავრიზის აღებაში?**

**პასუხი:** ვიღებდი მონაწილეობას.

### 12. დაკითხვის გაგრძელება

**კითხვა ჯაფარიძეს: რამდენად სწორია ბერბიჭაშვილის ზემო ჩვენება?**

**პასუხი:** ყოვლად მიუღებელი და მტკნარი ტყუილია. სინამდვილე ასეთია: სპარსეთის რევოლუცია დაიწყო 1906 წ. დამლევს თავრიზის აღებით სათარხან-ბაგირხანის ხელმძღვანელობით. 1907 წლიდან დაიწყო კავკასიელ რევოლიუციონერების მიმაგრება სათარხანის და ბაგირხანის დასახმარებლად. 1907 წელს თავრიზს შემოარტყეს ალყა შახის ჯარმა და მოელოდებოდა რევოლიუციონერების ჯარს განადგურება. თფილისის და ბაქოს მაშინდელმა დამხმარე კომიტეტებმა გაგზავნეს ქ. რეშტში ამხანაგები იქ აჯანყების მოსაწყობად და რეშტის და კაზვინის ასაღებად, რომ ამით შახის ჯარის ყურადგება მიგვეპყრო აქედკენ და რევოლიუციონერების ჯარი გვეხსნა. პირველი მონაწილე, ხელმძღვანელი და შტაბის უფროსი რეშტის და კაზვინის აღებაში ვიყავი მე და ბერბიჭაშვილი იქ მე სრულებით არ მინახავს, რომ ყოფილიყო კიდეც მე მას ვნახავდი და აუცილებლად ჩემთან მოიყვანდნენ. უჩემოდ ბერბიჭაშვილს იარაღს, საჭმელს, ფულს, ცხენს და სხვას არავინ არ მისცემდა.

### 13. დაკითხვის გაგრძელება

*ბერბიჭაშვილის განცხადება თითქოს რეშტიდან გამყოლით წასულ იყო ხაიში და საიდან კაზვინთან შეერთებოდეს ფიდაებს არც ეს არის სწორი, რადგან კაზვინი ჩვენ მიერ იქნა აღებული 1908 წ. შემოდგომაზე და სათარხანს იქ მონაწილეობა არ მიუღია, პირიქით კაზვინის აღებით განთავისუფლდა თავრიზი მიმდგარი შაჰის ჯარისაგან და ამით განთავისუფლდა ალყა შემორტყმული რევოლიუციონერები.*

*ბერბიჭაშვილი აქ აცხადებს, რომ ჟელეზნისთან ერთად ყოფილ იყო: რეშტში, კაზვინში და თავრიზში. რასაც ჯაფარიძე სრულებით უარს ყოფს, რადგან ამხ. ჟელეზნოი არსად იქ არ ყოფილა, რადგან ჟელეზნი მაშინ იყო მხოლოდ და მხოლოდ თავრიზში და იქ იქნა მოკლული.*

**10/X**

**კითხვა ბერბიჭაშვილს: თუ თქვენ სპარსეთში 1907 წლის გაზაფხულზე წახველით, რატომ დაგაბრალეს ილიას მკვლელობა, მაშინ როდესაც უკანასკნელი 1907 წ. 10 აგვისტოში იქნა მოკლული?**

**პასუხი:** ყველაფერი ეს გამიკეთა მეფის მსახურებმა, შავი რეაქციაში რომელიც მე დამსდევდა დასაჭერად და რომელმაც არც კი იცოდა თუ სად ვიყავი.

### დამატებითი დაკითხვა გიორგი ბერბიჭაშვილისა 1940 წ. 29 ნოემბერი

**კითხვა: საქმეში არსებული მასალებიდან სჩანს, რომ თქვენ მონაწილეობა მიგიღიათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში, ადასტურებთ თუ არა ამ ფაქტს?**

**პასუხი:** რომ არაფელი არ ყოფილა — აბა რა უნდა უპასუხო. ეს არის შავი რეაქციის ცილის წამების შედეგი და არა სინამდვილე. მე ილია ჭავჭავაძე არ მომიკლავს.

**კითხვა: საქმეში არსებულ მასალებიდან სჩანს რომ თქვენ 1907 წლიდან 1921 წლამდე ბოლშევიკურ პარტიასთან არავითარი კავშირი არ გქონებიათ — რას იტყვით ამაზე?**

**პასუხი:** მე 1906 წლიდან დევნილი ვიყავი შავი რეაქციის მიერ, 1907 წლიდან ვცხოვრობდი სპარსეთში და იქ მშრომელებში ვაწარმოებდი აგიტაცია-პროპაგანდას.

**კითხვა: სპარსეთში ვისთან აწარმოებდით აგიტაცია-პროპაგანდას და ვინ დაადასტურებს ამას?**

**პასუხი:** სპარსეთში გლეხობასთან, მუსულმანებთან ვაწარმოებდი აგიტაცია-პროპაგანდას ხოლო თუ ვინ დაადასტურებს ასეთების გვარები ეხლა არ მაგონდება.

## გიორგი პეტრეს-ძე ბერბიჭაშვილის დამატებითი დაკითხვა 1941 წ. 17 აპრილი

**კითხვა: რატომ ეძახოდენ მამა თქვენს ზედმეტ სახელად დარჩოს?**

**პასუხი:** თუ რატომ ეძახოდნენ ზედმეტ სახელათ დარჩოს ეს არ ვიცი, ვინაიდან მაშინ როდესაც მამა ჩემი მოკვდა ბავშვი ვიყავი. ხოლო შემდეგში ერთი-ოროლა პირისაგან გამიგია, რომ მას ზედმეტსახელად ეძახდენ დარჩოს.

**კითხვა: თქვენ და თედო ზაქროს ძე ლაბაური სად შეხვდით ერთმანეთს სალდათად ყოფნის დროს?**

**პასუხი:** თედო ზაქროს ძე ლაბაურს მე სოფელში ვიცნობდი, ხშირად ვხდებოდით ერთმანეთს გზებზე როგორც სოფლად ისე ქალაქის გზებზე როგორც მეურმეები, ხოლო ჯარში ერთად ყოფნა არ მახსოვს სალდათში ის არ ყოფილა.

**კითხვა: ვინ არიან თქვენი რეკომენდატორები იორდანაშვილი, ბურდული და ლალიაშვილი და სად ცხოვრობენ ესენი?**

**პასუხი:** ლალიაშვილი ცხოვრობს უ. ანტონოვის ქუჩაზე, იორდანაშვილი — ყ. ჩერქეზოვის ქუჩაზე (არც ერთის და არც მეორის მისამართის ნომერი არ მახსოვს), ხოლო ბურდული თუ სად ცხოვრობს არ ვიცი. ესენი ცხოვრობენ თფილისში.

**კითხვა: თუ იცნობდით პავლე ფშავლიშვილს (იგივე აფციაურს) და რატომ ქონდა მას მეორე გვარი აფციაური?**

**პასუხი:** აფციაური ეს იგივე ფშავლიშვილია, ასე ეძახოდენ პავლეს, პირადად ვიცნობდი, ბევრჯერ შევხვედრივართ შარა გზაზე.

**კითხვა: თუ გიტარებიათ თადიაშვილის გვარი?**

**პასუხი:** თადიაშვილი გვარი მე არ მიტარებია, ვატარებდი კავთელაძის გვარს.

## 1941 წლის 24 მაისი

*საგამოძიებლო ნაწილის უფროსის მოადგილე — მაღრაძე.*

*ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს ძე დაბადებული 1878 წ. სოფ. ახატანი, დუშეთის მაზრა. მცხოვრები ქ. თბილისის, პლეხანოვის ტუპიკი №3, ქართველი სსსრ. უნივერმაღის მცველი ქ. თბილისში, გლეხის შვილი, 1907 წლიდან გაქცეული სპარსეთში 1919 წლამდის. 1919 წ. 1921 წლამდე მუშაობდა სოფელში. ცოლი ანა, შვილი სათარხანი 20 წ. ქალიშვილი ქეთევანი 16 წ.*

**შეკითხვა: გვიპასუხეთ, რა იყო მიზეზი თქვენი სპარსეთში გაქცევის?**

**პასუხი:** ჩემი სპარსეთში გაქცევის მიზეზი ის იყო, რომ შავი რეაქცია მსდევნიდა დასაპატიმრებლა და ამის გამო იძულებული ვიყავი შემეფარებია თავი.

**შეკითხვა: როდის და რომელი გზით წახვედით სპარსეთში?**

**პასუხი:** მარტის თვის დამლევს 1907 წელს მე ავიღე მატარებლის ბილეთი სადგურ თფილისში და ჩავედი ბაქოში, სადაც გავიცანი ვინმე ვალიკო ბაქრაძე ზედმეტი სახელი „ჟელეზა". ბაქრაძემ გამაცნო ერთი თათარი, რომელსაც როგორც მახსოვს ქონდა ჩაიჩი. ამ თათარმა დამიძახა და გამაცნო ორი თათარი და მითხრა, რომ ესენი სპარსეთში მიდიან და თუ გინდა გაყევიო მეც გავყევი და ჩვენ ორი თათარი, მე და კიდე ერთი ქართველი იყო რომლის გვარი არ მახსოვს წავედით ბაქოდან ჯულფაში. ჯულფაში რომ ჩავედით ავერიდეთ ხიდს რათა მესაზღვრეებს არ დავეპატიმრებიეთ და მოშორებით წყალში გაგვიყვანეს თათრებმა, რაზედაც ჩემთან მოგზაურმა თათრებმა ფული აჩუქეს, მე კი არაფერი არ მიმიცია.

**შეკითხვა: როგორ ჩახვედით ბაქოდან ჯულფაში და რამდენ დღეს მოუნდით?**

**პასუხი:** ჯულფაში ჩავედით ფეხით. მოუნდით გზაში სიარულს დაახლოვებით 12 დღე.

**შეკითხვა: რას აკეთებდით სპარსეთში?**

**პასუხი:** სპარსეთში მე მივიღე მონაწილეობა აჯანყებულებთან ერთად შაჰზევანების წინააღმდეგ. როდესაც აჯანყებულები დამარცხდნენ მე წავედი ძველი გადასახლებულ ქართველების სოფლებში, სადაც ვმუშაობდი მეურნეობაში 1917 წლამდის. 1917 წელს ქართველების სოფლიდან წამოვედი, გამოვყევი სოფლებს და 1919 წელს გამოვედი საზღვარზე ისევ ჯულფაში, საიდანაც ხან ფეხით ვიარე და ხან ურმით, ისე ჩამოვედი თფილისში 1919 წელს დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

**შეკითხვა: სულ რამდენი საზღვრები გამოიარე ჯულფიდან?**

**პასუხი:** რაღამც სპარსეთის საზღვარი გამოვიარე, მეტი საზღვრები არ შემიმჩნევია.

**შეკითხვა: ვინ იყო ის ქართველი თქვენთან რომ წამოვიდა სპარსეთში და სად დასტოვეთ?**

**პასუხი:** მისი ვინაობა მე არ მაინტერესებდა და როდესაც გავედით სპარსეთში, ის თავისთვის წავიდა და მე გავყევი იმ თათრებს, რომლებთანაც წავედი ბაქოდან.

**შეკითხვა: თქვენ სტყუით რომ ასე თავისუფლათ გახვედით და გამოხვედით საზღვრებზედ, მით უმეტეს რომ 1919 წელში უნდა გამოგევლოთ სპარსეთის საზღვარი, აზერბეიჯანის და სომხეთის სადაც თავისუფლად თქვენ არავინ გამოგიშვებდათ. კვლევა ძიება წინადადებას გაძლევთ ტყუილის ლაპარაკს დაანებოთ თავი და მოგვცეთ სწორი ჩვენება.**

**პასუხი:** როდესაც სპარსეთის საზღვარს გამოვშორდი სხვა საზღვრებზედ მაჩერებდენ ხოლმე, მაგრამ როდესაც უჩვენებდი ხოლმე ძველ შემორჩენილ ქართულ პასპორტს არ მაბრკოლებდენ და მიშვებდენ ხოლმე თავისუფლად როგორც ქართველი.

**შეკითხვა: რა უყავით ის ძველი პასპორტი?**

**პასუხი:** როდესაც მოვედი საქართველოში ყველა ძველი საბუთები გადავყარე.

*... დაკითხვა შეწყვეტილია.*

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვებიდან სწორა წამეკითხა და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი.***

*დავკითხე* ***მაღრაძემ.***



## დაკითხვის ოქმი ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე. 26 მაისი 1941 წ. დაკითხვა

*დაიწყო 23 ს.-50 წ. დამთავრდა 3 ს. 26 წ.*

**შეკითხვა: ვის შეუძლია რომ დაამტკიცოს, თქვენი 1907 წ. მარტის თვეში სპარსეთში გაქცევა?**

**პასუხი:** მე მალვით დავაღწიე თავი და გავიპარე, არავისთვის არ მითქვამს და არც შემიძლია დავასახელო ვინმე რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ ჩემი მარტის თვეში 1907 წ. გაქცევა.

**შეკითხვა: რამდენი გქონდათ თანხა რომ გაიქეცით და სად იშოვნეთ?**

**პასუხი:** ფული წავიღე ჩემი ოჯახიდან, მხოლოთ რამდენი იყო არ მახსოვს.

**შეკითხვა: პირადათ ვინ მოგცა ოჯახში ფული?**

**პასუხი:** ფული მომცა ჩემა ბებიამ რომელიც იყო ოჯახის უფროსი, ფული ზოგი სახლში ქონდათ და ზოგი ისესხეს.

**შეკითხვა: ვის შეუძლია რომ დაამტკიცოს, შენ რომ ნამდვილათ სახლიდან ფული წაიღე?**

**პასუხი:** ეხლა არავის არ შეუძლია.

**შეკითხვა: ვის გაეცანით პირველათ თქვენ რომ ჩახვედით სპარსეთში და რა მუშაობას აწარმოებდით?**

**პასუხი:** პირველათ მივედი ერთ მდიდარ სპარსელთან აბას მამედ ალიოღლისთან. სამი ოთხი დღე დავრჩი მასთან და შემდეგ წავედი შეურთდი აჯანყებულებს. როდესაც აჯანყება დამარცხდა მე წავედი სოფელში რომლის სახელი არ მახსოვს და დავიწყე მეურნეობაში მუშაობა რითაც თავს ვინახამდი.

**შეკითხვა: ვინ ხელმძღვანელობდა სპარსეთში აჯანყებულებს?**

**პასუხი:** აჯანყებულებს ხელმძღვანელობდა ვინმე სათარხანი.

**შეკითხვა: თუ ვინმეს იცნობდით თქვენ სპარსეთში რევოლიუციონერ ქართველებს?**

**პასუხი:** არავის არ ვიცნობდი და არც ვერეოდი ქართველებში.

**შეკითხვა: ვის შეუძლია დაამტკიცოს რომ თქვენ მონაწილეობას იღებდით აჯანყებულებთან ერთად სპარსეთში?**

**პასუხი:** ეხლა არავის არ შეუძლია და ამისი არც საბუთები მაქვს. ვინაიდან გზაში დავკარგე.

**შეკითხვა: იცოდა თუ არა თქვენმა ორგანიზაციამ თქვენი სპარსეთში გაქცევა?**

**პასუხი:** არ იცოდა მე ჩემით წავედი.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვით რომელიც მე წამეკითხა და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი***

*დავკითხე:* ***მაღრაძე.***

## დაკითხვის ოქმი ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს ძე 28 მაისი 1941 წ. დაკითხვა

*დაიწყო 12 ს. 35წ. დამთავრდა 14 ს. 45 წ.*

**შეკითხვა: თქვენ იცნობდით თუ არა ლაბაურს და რა განწყობილებაში იყავით მასთან?**

**პასუხი:** ლაბაურს ვიცნობდი ბავშვობიდან როდესაც ურმებზედ ერთად დავდიოდით.

**შეკითხვა: მსახურებდით თუ არა თქვენ და ლაბაური ძველ ჯარში ერთად?**

**პასუხი:** ლაბაურს ჯარში ჩემთან არ უმსახურია.

**შეკითხვა: თქვენ სტყუით. არის იმის დამამტკიცებელი მასალები, რომ ლაბაური ნამსახურია ჯარში თქვენთან. თქვენ კი ამას მალავთ. კვლევა ძიება წინადადებას გაძლევთ ილაპარაკოთ სიმართლე?**

**პასუხი:** ლაბაური თუ ჯარში მსახურობდა მე ამისი არაფერი არ ვიცი.

**შეკითხვა: იცნობდით თუ არა თქვენ ინაშვილს და როგორ განწყობილებაში იყავით მასთან?**

**პასუხი:** ინაშვილი იყო მამასახლისი და გვდევნიდა ჩვენ წითელ რაზმელებს დასაჭერათ.

**შეკითხვა: თქვენ ტყუილს ლაპარაკობთ, ინაშვილი ვანო თქვენი კარგი მეგობარი იყო და თქვენ ის არასოდეს არ გდევნიდათ არამედ თქვენთან მონაწილეობაც მიიღო ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. კვლევა-ძიება გაძლევთ წინადადებას ილაპარაკოთ სიმართლე?**

**პასუხი:** ინაშვილი ვანო როგორც მამასახლისი ჩემი მტერი და მადევარი იყო.

**შეკითხვა: თქვენ ბრალი გედებათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილეობაში, რაზედაც კვლევა ძიებას საკმაო მასალები მოეპოვება ამისათვის წინადადება გეძლევათ აღიაროთ სიმართლე და ილაპარაკოთ მთელი ისტორია თუ როგორ მოეწყო ილია ჭავჭავაძის მოკვლა?**

**პასუხი:** მე ილიას მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და სანამ საქართველოში ვიყავი არც გამიგონია ეს ამბავი. გარდა ამისა ილია ჩემი მებატონე არ ყოფილა და როდესაც მასთან მე არც მიმსახურია და არც მისი სახე მინახავს გარდა წიგნებში სურათებისა.

**შეკითხვა: თუ იცნობდით თქვენ ფშავლიშვილს და რა განწყობილებაში იყავით მასთან?**

**პასუხი:** ფშავლიშვილს პავლეს ვიცნობდი პატარაობიდანვე ვხვდებოდით ერთმანეთს და ვესალმებოდით ხოლმე ერთმანეთს, მეტი მასთან არავითარი კავშირი არ მქონია.

**შეკითხვა: რა გაქვსთ დასამატებელი დღევანდელ თქვენ ჩვენებაზედ**

**პასუხი:** მეტი არაფერი.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვით სწორე წავიკითხე და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი.***

*დავკითხე:* ***მაღრაძე.***

## დაკითხვის ოქმი ბერბიჭაშვილის გიორგი პეტრეს-ძე. 29 მაისი 1941წ. დაკითხვა

*დაიწყო 12 ს. 25 წ. დამთავრდა 16 ს. 05 წ.*

**შეკითხვა: წინანდელ ჩვენებაში თქვენ ახსენეთ ვინმე წამალაშვილი, გვიპასუხეთ ვინ არის წამალაშვილი და საიდან იცნობთ თქვენ მას?**

**პასუხი:** წამალაშვილი ალექსი არის პენსიონერი, სცხოვრობს დიდუბის ქუჩაზედ თფილისში მხოლოთ ნომერი სახლის არ ვიცი, გავიცანი მე წამალაშვილი 1920 წელს. გავიცანი ქუჩაში, გაცნობის მიზეზი იყო ის რომ წამალაშვილს მოეყვანა ცოლათ ჩემი ნაცნობი ხინჩაკაშვილის ნაცოლარი. შემდეგ წამალაშვილმა 1920 წელში მიიღო მონაწილეობა 1-მაისს მენშევიკების წინააღმდეგ, ამის შემდეგ გვქონდა ერთმანეთში ნაცნობობა და მისვლა-მოსვლა.

**შეკითხვა: თუ გიცნობდათ თქვენ წამალაშვილი 1920 წლამდე?**

**პასუხი:** არ მიცნობდა.

**შეკითხვა: თუ არ გიცნობდათ თქვენ წამალაშვილი რათ მოგიწერათ ავტობიოგრაფიაზედ ხელი?**

**პასუხი:** როდესაც წამალაშვილი დარწმუნდა, რომ მე პარტიის წევრი ვიყავი და ძველი მებრძოლი მაშ ვინ მომიწერა ხელი ავტობიოგრაფიაზედ, რამოდენიმე წლის შემდეგ.

**შეკითხვა: როდესაც თქვენ ჩამოხვედით სპარსეთიდან, გამოეცხადეთ თუ არა არა ლეგალურ ბოლშევიკურ პარტიის კომიტეტს?**

**პასუხი:** ვინაიდგან მე მაშინ ავადმყოფი ვიყავი და თანაც თფილისში არავის არ ვიცნობდი, ამისათვის არ გამოვცხადებულვარ.

**შეკითხვა: როდესაც თქვენ სპარსეთიდან ჩამოხვედით გამოეცხადეთ თუ არ მაშინდელ არსებულ ხელისუფლებას და სად სცხოვრობდით?**

**პასუხი:** მე ჩამოვედი სპარსეთიდან დამლევ დეკემბერს 1919 წელს არავის არ გამოვცხადებივარ, თფილისში დავრჩი დაახლოვებით ორი დღე შემდეგ წავედი სოფელში ახატანში.

**შეკითხვა: ვისთან იყავით ის ორი დღე თფილისში?**

**პასუხი:** ის ორი დღე ვიმყოფებოდი სასტუმროში რკ. გზის სადგურის ახლო.

**შეკითხვა: როცა სოფელში ჩახვედთ ვისთან მიხვედით პირველათ?**

**პასუხი:** მე პირველათ მივედი პირდაპირ სახლში ჩემ ბიძასთან ივანესთან რომელიც ამჟამად ცოცხალი აღარ არის. სოფელში დავრჩი დაახლოვებით გაზაფხულამდე 1920წ. შემდეგ წამოვედი თფილისში საექიმოთ და ვცხოვრობდი სასტუმროებში, თანაც საექიმოდ დავდიოდი. თბილისიდან ხშირათ დავდიოდი ხოლმე სოფელში.

**შეკითხვა: თუ იცნობდით თქვენ მოძმანაშვილს და რა კავშირი გქონდათ თქვენ მასთან?**

**პასუხი:** მოძმანაშვილს მე სრულებით არ ვიცნობ.

**შეკითხვა: როდის და ვისთან იმალებოდით თქვენ ვერაზედ?**

**პასუხი:** არავისთან მე დასამალავათ არ ვყოფილვარ.

**შეკითხვა: როდესაც თქვენ 1920 წელს სოფელში მიხვედით იკითხეთ თუ არა პავლე ფშავლიშვილი იგივე აფიციაური?**

**პასუხი:** არ მიკითხავს.

**შეკითხვა: იცნობ თუ არა პავლეს მამას და ყოფილხარ თუ არ მის სახლში?**

**პასუხი:** პავლეს მამას გიორგი ფშავლიშვილს იგივე აფიციაურს ვიცნობ, მაგრამ სახლში ყოფნა არ მახსოვს.

**შეკითხვა: რამდენი ხანია არ გინახავს პავლეს მამას გიორგი ფშავლიშვილი?**

**პასუხი:** არ მინახამს იქნება დაახლოვებით სამი წელიწადი.

**შეკითხვა: როდესაც თქვენ სპარსეთში გაიქეცით, გაქცევის წინათ ნახეთ თუ არ გიორგი და მისი შვილი პავლე ფშავლიშვილები?**

**პასუხი:** არ მინახავს.

**შეკითხვა: სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ნახეთ თუ არა თქვენ ის ქართველი რომელმაც მოგიწყოთ ბაქოდან სპარსეთში გაქცევა?**

**პასუხი:** არც მინახამს და არც მიკითხავს.

**შეკითხვა: პირველ დაკითხვის დროს თქვენ აჩვენეთ რომ ბაქოდან წახვედით ჯულფისკენ. ჯულფაში ხიდს აშორდით ვითომ შეგეშინდათ დარაჯების და გახვედით წყალში, ეს ტყუილია, ვინაიდან მარტში და აპრილში მდინარე არაქსი ისეა ადიდებული რომ იმაში გასვლა არ შეიძლება?**

**პასუხი:** მაშინ წყალი არ იყო ადიდებული გარდა ამისა გამცილებლებმა ცურვა იცოდენ და მათ გაგვიყვანეს.

**შეკითხვა: თქვენი ჩვენებები არც ერთი არ შეეფერება სისწორეს ვერ მოგვყავსთ ისეთი მაგალითები რომლებსაც შეეძლოს დამტკიცება ერთ ერთი ფაქტის, კვლევა ძიება გირჩევსთ დაადგეთ სისწორეს და აღვიაროთ ყოლიფერი სიმართლე?**

**პასუხი:** თქვენი შეკითხვები ისეთებია რომ ამაზედ მოწმეების დასწრება შეუძლებელია, იმიტომ რომ მე ძველი რეაქცია მსდევნიდა და იძულებული ვიყავი მალულათ გავქცეულიყავი.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვით, სწორე, წავიკითხე და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი.***

*დავკითხე:* ***მაღრაძე.***

## დაკითხვის ოქმი ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე. 30 მაისი 1941 წ. დაკითხვა

*დაიწყო 23 ს. 00 წ. დამთავრდა 4 ს. 30 წ.*

**შეკითხვა: ჩამოთვალეთ რომელ ქალაქებში ხართ ნამყოფი სპარსეთში?**

**პასუხი:** ვარ ნამყოფი სპარსეთში სხვა და სხვა ქალაქებში მაგალითად: თავრიზში ორი სამი დღე, რეშტში დავრჩი დაახლოვებით ერთი კვირა, ხოიში ვარ ნამყოფი სამჯერ ოთხჯერ. ფენესტანში — (ძველ ქართველების სოფლები) დაახლოვებით ვიმყოფებოდი სამი თვე, ქ. თეირანში ვიყავი ერთხელ დავრჩი ორი დღე.

**შეკითხვა: პირველად რომელ ქალაქში მიხვედით?**

**პასუხი:** პირველათ გავიარეთ სოფლები და მოვხვდი ქ. რეშტაში სადაც დაახლოვებით დავრჩით ერთ კვირამდე შემდეგ წავედით ისევ სოფლებში.

**შეკითხვა: რა მიმართულებით იმყოფება ქ. რეშტი?**

**პასუხი:** რა მიმართულებით იმყოფება ქ. რეშტი ამას ვერ გეტყვით ვინაიდან არ მახსოვს.

**შეკითხვა: რომელ ქალაქში წახვედით თქვენ რეშტიდან და როდის?**

**პასუხი:** რა დროს რომელ ქალაქში ვყოფილვარ ხოლმე მე ეს არ მახსოვს.

**შეკითხვა: თქვენ სთქვით, რომ ნამყოფი ხართ ქ.-ხოიში, გვიპასუხეთ რამდენი დღის სასიარულოა ქ. რეშტიდან ქ. ხოიმდის?**

**პასუხი:** ამას ვერ ვიტყვი რადგან არ მახსოვს რა მანძილია და რამდენი დღის სასიარულოა.

**შეკითხვა: თუ იყავით რომელიმე ქალაქში სპარსეთში ზღვის პირას?**

**პასუხი:** ამნაირ ქალაქში მე არ ვყოფილვარ და ზღვაც სპარსეთში არ მინახამს.

**შეკითხვა: რა საბუთებით სცხოვრობდით**

გაგრძელება მე-10 გვ-ზე

თქვენ სპარსეთში და რა გვარს ატარებდით?

**პასუხი:** მქონდა საქართველოს პასპორტი სიმონ კავთელაძის სახელზედ და ვცხოვრობდი ამ გვარზედ, სხვა გვარი მე იქ არ მიტარებია.

**შეკითხვა: თქვენ სტყუით. კავთელაძის გვარზედ არ გიცხოვრიათ. გვიპასუხეთ სწორა ვის გვარზედ სცხოვრობდით?**

**პასუხი:** სწორეთ კავთელაძის გვარზედ ვცხოვრობდი და სხვა გვარი არ მქონია.

**შეკითხვა: თქვენ წინანდელ დაკითხვის დროს აჩვენეთ, რომ გიორგი აფიციაურს იგივე ფშავლიშვილს იცნობთ და ნახეთ ამ სამი წლის წინათ, გვიპასუხეთ ზუსტათ როდის ნახეთ ამ ბოლო დროს?**

**პასუხი:** ამ ბოლო დროს არ მინახამს და არ მახსოვს.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვებით სწორეთ წავიკითხე და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი.***

*დავკითხე:* ***მაღრაძე.***

## დაკითხვის ოქმი
### ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე 31 მაისის 1941 წ. დაკითხვა

*დაიწყო 10 ს. 00 წ. დამთავრდა 13 ს. 50 წ.*

**შეკითხვა: რა პირობებში და როდის მიიღეთ პასპორტი სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ?**

**პასუხი:** პასპორტი მივიღე 1921 წელს მე-6 სამილიციო უბანში პლეხანოვის და კაჩუბუვის მოსახვევში თუ რამდენი წლიანი იყო არ მახსოვს.

**შეკითხვა: რა საბუთები წარუდგინეთ თქვენ მილიციას 1921 წელს პასპორტის მისაღებათ?**

**პასუხი:** არავითარი საბუთები მე არ წარმიდგენია ვინაიდგან არ მქონია მხოლოდ მივეცი განცხადება და მივიღე პასპორტი.

**შეკითხვა: თქვენ სტყუით ვინაიდგან 1921 წელს პასპორტები არ იყო შემოღებული და არც არავის შეეძლო მისი მოცემა. გვიპასუხეთ როგორ მოხდა რომ თქვენ მიიღეთ პასპორტი?**

**პასუხი:** ამის შესახებ არაფერი არ შემიძლია ვსთქვა, ვინაიდან არ მახსოვს.

**შეკითხვა: თქვენ პირველ ჩვენებაში სთქვით რომ მთელი საბუთები დაკარგეთ გზაში, როდესაც წამოხვედით სპარსეთიდან, გვიჩვენეთ რა საბუთები დაგეკარგათ?**

**პასუხი:** მართალია საბუთები დავკარგე, მაგრამ ზემო აღნიშნული პასპორტების შესახებ ვინაიდან სწორეთ არ მახსოვს და ვერ ვერკვევი როდის მივიღე თფილისში პასპორტი, მაშინ იყო ... დაზუსტებით ვერ მივხვედრილვარ. ეს საბუთები იყო სპარსეთში მოცემული. მხოლოთ ჯიბეში შემრჩა პარტიული საბუთი და ძველი საქართველოს პასპორტი სიმონ კავთელაძის სახელზედ.

**შეკითხვა: სად გქონდა მიღებული ის პასპორტი და რამდენ წლიანი იყო?**

**პასუხი:** 1907 წელს თებერვლის თვეში ავჭალაში ერთმა ებრაელმა გამიკეთა ჯერ ერთ წლიანი პასპორტი რომელიც არ გამოდგა და შემდეგ გავაკეთებიე სამუდამო პასპორტი, რომლითაც წაველი სპარსეთში.

**შეკითხვა: რა მიეცი ერთ წლიან პასპორტში და რამდენი სამუდამო პასპორტში?**

**პასუხი:** სულ მივეცი ორი თუმანი. ვინაიდგან ერთ წლიან პასპორტში პირველათ მივეცი თუმანი და ის არ გამოდგა, გავაკეთებიე სამუდამო პასპორტი და მივეცი კიდე ერთი თუმანი...

**შეკითხვა: მოგვეცით სწორი ჩვენება რამდენი გქონდათ თქვენ ფული როდესაც გაიქეცით სახლიდან სპარსეთში?**

**პასუხი:** რამდენი მქონდა ფული არ მახსოვს.

**შეკითხვა: თქვენ 24/V-41წ. გვიპასუხეთ რომ როდესაც სპარსეთში გაიქეცით სახლიდან წაიღეთ თორმეტი თუმანი ეხლა კი იძახით არ მახსოვსო, მოიგონეთ და გვიპასუხეთ სწორად!**

**პასუხი:** წასვლის დროს წინათ პასპორტში რა მივეცი არ მახსოვს ვამბობ მხოლოდ ვარაუდით, ვინაიდან დიდი დროა გასული და კარგად ვერ მახსოვს. ვიმეორებ რომ არ მახსოვს თუ დანამდვილებით რამდენი იყო ფული რომელიც წავიღე სახლიდან.

**შეკითხვა: როდესაც 1907 წ. სოფლიდან გამოიქეცი რა დროს ჩამოხვედი თფილისში და ვისთან მიხვედი?**

**პასუხი:** სოფლიდან წამოვედი ღამე და თფილისში რა დროს ჩამოვედი არ მახსოვს, მივედი რკ. გზის სადგურის ახლო ზაქალნის სასტუმროში სადაც დაახლოვებით ვცხოვრობდი ოთხი თუ ხუთი დღე, შემდეგ ერთ ღამეს ვიყიდე მატარებლის ბილეთი სადგურ თფილისში და ღამითვე გავემგზავრე ბაქოსკენ.

**შეკითხვა: ამ ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში ვინ ნახეთ ნაცნობები თფილისში?**

**პასუხი:** არავინ არ მინახამს ნაცნობები.

**შეკითხვა: ნახეთ თუ არა თქვენ ალექსი წამალაშვილი?**

**პასუხი:** მაშინ წამალაშვილის არ ვიცნობდი. გავიცანი მხოლოდ 1920 წელს როდესაც მენშევიკების დროს შეჯგუფდა ბოლშევიკების ჯგუფი სადაც მე მენშევიკების დროს 1920წ. მათ წინააღმდეგ ვღებულობდი მონაწილეობას წამალაშვილთან და სხვებთან ერთად რომლების გვარები არ მახსოვს.

**შეკითხვა: თქვენ როგორ გენათესავებათ წამალაშვილი?**

**პასუხი:** ალექსი წამალაშვილი მომხვდება მე ნათესავათ თავის ცოლიდან. ე.ი. მისი ცოლი ოლია ნათესავია ჩემი ძველათ მამა პაპიდან.

**შეკითხვა: რა გვარია წამალაშვილის ცოლი ოლია (ძველი გვარით).**

**პასუხი:** როგორც მე მახსოვს უნდა იყვეს გოგინაშვილი.

**შეკითხვა: რა შეგიძლიათ დაუმატოთ დღევანდელ თქვენ ჩვენებას?**

**პასუხი:** მეტი დასამატებელი არაფერი მაქვს.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვებით სწორეთ რაზედაც წავიკითხე და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი***

*დავკითხე:* ***მაღრაძე.***

## დაკითხვის ოქმი
### ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე 31 მაისი 1941 წ. დაკითხვა

*დაკითხვა დაიწყო 24 ს. 00 წ. დამთავრდა ...*

**შეკითხვა: თქვენ მარჯვენა მუხლზე გეტყობათ ჭრილობის ნიშანი. გვიპასუხეთ სად დაიჭერით და როდის?**

**პასუხი:** მე მარჯვენა მუხლზედ რომ ნიშანი მაქვს ეს არის დამწვრის ნიშანი, დავიწვი ამ სამი წლის წინეთ, ეს მოხდა შემდეგ პირობებში: პაიალნი ლამფით გავახურე რკინა და როდესაც ლამფა უნდა გადამედგა წინ წავიფორხილე და მარჯვენა მუხლით დავეცი გახურებულ რკინაზედ, რამაც დასწვა შარვალი და უწია ხორცს, ამ დროს ვმუშაობდი სამტრესტის მე №2 ღვინის ქარხანაში და იქ ამბულატორიაში ვირჩენდი თავს. ე.ი. დამწვარ მუხლს. გარდა ამისა ხანდისხან დავდიოდი პლეხანოვის ქუჩაზედ მთავარ ფოშტის გვერდზედ ამბულატორიაში.

**შეკითხვა: ვის შეუძლია რომ დაამტკიცოს თქვენი ამბულატორიული მკურნალობა მუხლის დამწვრობის მიზეზით მე-2 ღვინის ქარხანაში?**

**პასუხი:** ჩემი მკურნალობა უნდა იყვეს აღნიშნული ქარხნის ამბულატორიის წიგნებში და მე-4-ე ამბულატორიაში. მთავარ ფოშტასთან.

**შეკითხვა: სად ახურებდით თქვენ რკინას და სად დაიწვით მუხლი თქვენს ოჯახში თუ სხვაგან სადმე?**

**პასუხი:** რკინას ვახურებდი ჩემს სახლში და მუხლიც სახლშივე დავიწვი.

**შეკითხვა: ვის შეუძლია რომ დაამტკიცოს თქვენ ოჯახში თქვენი მუხლის დაწვა?**

**პასუხი:** არავის არ შეუძლია, ვინაიდან სახლში არავინ არ იყო.

**შეკითხვა: სად იყო თქვენი ოჯახობა?**

**პასუხი:** ჩემი ოჯახობა, მე როგორც მახსოვს იყო საავადმყოფოში.

**შეკითხვა: გაიგო თუ არა თქვენმა ოჯახმა, რომ თქვენ მუხლი დაიწვით?**

**პასუხი:** გაიგო რომ მუხლი შეხვეული მქონდა და დავდიოდი ამბულატორიაში მეც უთხარი რომ მუხლი დავიწვი თქვა.

**შეკითხვა: გვიპასუხეთ სწორა — რომელ წელში დაიწვით მუხლი და რომელ წელში ირჩენდით მუხლს ამბულატორიაში. უამისოთ კვლევაძიებას არ შეუძლია დაადასტუროს საბუთებით თქვენი მუხლის დაწვა და ამბულატორიულათ მორჩენა.**

**პასუხი:** სწორეთ არ მახსოვს მხოლოთ ამ სამი წლის წინეთ დავიწვი მუხლი რაც ჩემს ნაჩვენებ ამბულატორიებში იქნება აღრიცხული.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვებით სწორე რაზედაც ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი.***

## დაკითხვის ოქმი
### ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე 2 ივნისი 1941 წ.

*დაკითხვა დაიწყო 23 ს. 15 წ. დამთავრდა 3 ს. 20 წ.*

**შეკითხვა: გვითხარით სიმართლე, რომელ წელში დაბრუნდით სპარსეთიდან საქართველოში?**

**პასუხი:** მე სიმართლეს გეუბნებით, რომ მოვედი სპარსეთიდან დამლევ 1919 წელს, არ მახსოვს კარგათ ნოემბერი იყო თუ დეკემბერი.

**შეკითხვა: როდესაც მენშევიკების დროს ალექსანდროვის ბაღში კრება და მიტინგი იყო გამართული ბოლშევიკების მიერ, სადაც მენშევიკების გვარდიამ სროლა დაუწყო კრებას თქვენ ესწრებოდით იქ თუ არა?**

**პასუხი:** ალექსანდროვის ბაღში სროლა მე არ მახსოვს და ჩემსობას არ ყოფილა, მე მახსოვს რომ 1920 წელს ორი საბარგო ავტომანქანით შეუარდით კრებაზე მენშევიკებს, უკანასკნელებმა ჩამოგვიყენეს პაჟარნი კომანდა და შემდეგ მოვიდა მენშევიკების გვარდია, მაგრამ სროლა არ ყოფილა.

**შეკითხვა: თქვენ სტყუით, ალექსანდროვის ბაღში ბოლშევიკურ კრებას თქვენ ესწრებოდით, ამას ამტკიცებს ალექსი წამალაშვილი თავის ჩვენებაში. ამ კრებას ალყა შემოარტყა მენშევიკების გვარდიამ და აუტეხა სროლა. ეს თქვენ კარგათ იცით და მალავთ. კვლევაძიება წინადადებას გაძლევთ აღვიაროთ ყოველი ფერი სიმართლე ამ საკითხის ირგვლივ.**

**პასუხი:** არავითარი სროლის მოწმე მე არა ვარ გარდა იმისა რომ 1920 წელს, როგორც მოგახსენეთ ზემოთ პაჟარნი ახრანა ჩამოგვიყენეს და მერე მოვიდა გვარდია რომლებმაც თოფის კონდახებით გვცემეს და გაგვფანტეს.

**შეკითხვა: რა ელაპარაკეთ თქვენ ალექსი წამალაშვილს თქვენი სპარსეთში გაქცევის შესახებ?**

**პასუხი:** არასოდეს ალექსი წამალაშვილთან სპარსეთში გაქცევის შესახებ არ მილაპარაკნია.

**შეკითხვა: გიკითხავთ ალექსი წამალაშვილის ჩვენებას: ალექსი წამალაშვილი აჩვენებს: „გიორგი ბერბიჭაშვილის წარსულის შესახებ მე არაფერი არ ვიცი, მხოლოდ ბერბიჭაშვილი ლაპარაკობდა ხოლმე რომ ნიკოლოზის მთავრობა მდევნიდა დასაჭერად, ვინაიდგან მაბრალებდენ ჭავჭავაძის მკვლელობას და გავიქეცი სათათრეშიო. ამას გიორგი ბერბიჭაშვილი ლაპარაკობდა ხოლმე ხანდახან ტრაბახობის სახით, რომ რევოლუციონერი ვარ და ამდენ ხანს გაქცეული ვიყავიო“. რას გვიპასუხებთ ამის შესახებ?**

**პასუხი:** რაც შეეხება რომ მე ალექსი წამალაშვილთან მელაპარაკოს რომ ნიკოლოზის მთავრობა დამდევდა ვითომდა ჭავჭავაძის მკვლელობის გულისთვის ეს ტყუილი არის და მე არ ვღებულობ, და არც მიკვეხნია ასეთი, არც ყოფილა ჩემში ასეთი.

**შეკითხვა: სად და როდის გაიცანით თქვენ წამალაშვილის ცოლი ოლია ხინჩაგაშვილი?**

**პასუხი:** როდესაც ჩამოვედი სპარსეთიდან მაშინ გავიცანი, რომ ოლია ხინჩაგაშვილი დამხვდა ქვრივი. თვითონ ოლია არის გოგინაშვილის ცოლი და ცოლად ყავდა სტეფანე ხინჩაგაშვილს.

**შეკითხვა: თქვენ სტყუით ოლია ხინჩიგაშვილს (გოგინაშვილს) თქვენ იცნობდით წინეთაც. თვითონ სტეფანე ხინჩიგაშვილმა წაგიყვანათ, როდესაც ინიშნებოდა ოლია ხინჩიგაშვილზედ, ნიშნობაზედ რომელიც მოხდა სოფელ მეჯვრისხევში, თქვენ დაესწარით. მოიგონეთ და გვიპასუხეთ სიმართლე როდის იყო ეს ნიშნობა?**

**პასუხი:** ამის შესახებ არაფერი არ ვიცი და ჩემ თავში ამნაირი არაფერი არის და არც მახსოვს ამის შესახებ არაფერი.

**შეკითხვა: ოლია ხინჩაგაშვილის ჩვენებიდან სჩანს, რომ თქვენ სტეფანე ხინჩიგაშვილს წაუყვანიხართ მეჯვარეთ სოფელ მეჯვრისხევში და ოლიას ნიშნობაზედ იქ ყოფილხართ. თქვენ ამას მალავთ. კვლევა ძიება წინადადებას გაძლევსთ აღიაროთ ყოველიფერი სიმართლე ამ საკითხის ირგვლივ.**

**პასუხი:** პირველად ჩემი ცოლი ანიჩკა გავიცანი მატარებელში ავჭალიდან თფილისამდე, 1920 წლის დასაწყისში, მას ანიჩკას მივეცი ჩემი მისამართი რომელიც შემდეგ მოვიდა ერთი ორჯერ. ამის შემდეგ მოვილაპარაკეთ და შევერთდით. მხოლოთ რეგისტრაციაში არ გავტარებულვართ.

**შეკითხვა: რომელ წელში და თვეში დაიქირავეთ თქვენ ოთახი ოლია ხინჩიგაშვილის სახლში?**

**პასუხი:** ოთახი დავიქირავე ოლია ხინჩიგაშვილის სახლში 1920 წელს, თვე და რიცხვი არ მახსოვს.

*დაკითხვა შეწყვეტილია ჩვენება ჩაწერილი ჩემი სიტყვებით სწორა წავიკითხე და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი.***

*დავკითხე:* ***მაღრაძე.***



### ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე. 3 ივნისი 1941 წ.

*დაკითხვა დაიწყო 10 ს. 15 წ. დამთავრდა 13 ს. 20 წ.*

**შეკითხვა: გვიპასუხეთ, რა გინდათ დაუმატოთ გუშინდელი ჩვენებაზე ან და რა გამოგრჩათ?**

**პასუხი:** მე გუშინდელ ჩვენებაზე ზუსტად არ მიჩვენებია. ჩემი ჩვენებაზე თუ რანაირი დამოკიდებულობა მქონდა ხინჩაგაშვილის ოჯახთან წინათ და ეხლა.

**შეკითხვა: ძიება გისმენს, გვითხარით ზუსტად თუ რანაირი დამოკიდებულება გქონდათ თქვენ ხინჩაგაშვილის ოჯახთან როგორც წინეთ, ისე ახლა?**

**პასუხი:** ხინჩაგაშვილი სტეფანე პატარაობიდან ერთად აღვიზარდეთ და ვიყავით კარგი ამხანაგები. 1900 წელს მე ვიყავი გაწვეული მეფის ჯარში, 1904 წ. დავბრუნდი ჯარიდან და მოვედი მშობლებთან სოფ. ახატანში დუშეთის რ-ნი. ამავე წელს სოფ. ავჭალის მცხოვრები ნიკოლა შამალაურის ქალიშვილი ანიჩქა შამალაური შემიყვარდა და გვქონდენ ერთიმეორესთან მიყოლმოყოლა, სიყვარული. ამ დროს სტეფანე ხინჩაგაშვილი ჩემთან ერთად ხშირად დავდიოდით ამ ჩემ საცოლის ოჯახში და მეც მის ოჯახში დავდიოდი. ჩემი საცოლის ოჯახსაც სტეფანე ხინჩაგაშვილი შეუყვარდა ჩემი გოგო, როგორც ჩემი ერთგული ამხანაგი. 1905 წლამდე ამ ჩემს საცოლის ოჯახში დავდიოდი, მხოლოდ 1905 წ. რევოლუციის დასაწყისსას, ვინაიდან დრო არ მქონდა და რევოლუციური მუშაობაში ვიყავი ჩაბმული ჩემს საცოლის ოჯახში ძალიან იშვიათად დავდიოდი, მაგრამ ჩემ კარგ ამხ. სტეფანე ხინჩიგაშვილზე დაბარებული მქონდა ყურადღება მიექცია ამ ჩემს საცოლის ოჯახზე. რევოლუცია ძალზე გამწვავდა, 1905 წ. რევოლუცია დამარცხებული აღმოჩნდა. იმ რაზმში, რომელშიც მე ვღებულობდი მონაწილეობას ამ რევოლუციაში დაიმალა და დადგა შავი რეაქციის ხანა, მაშინ მე იძულებული გავხდი 1907 წ. გაზაფხულის პერიოდში (ე.ი. მარტში) გადავედი მე სპარსეთში თავის შესაფარად და იქ ვიმყოფებოდი 1918 წლამდე, 1919 წ. მოვედი ჩემს სამშობლოზე. ჩემი საცოლე დამხვდა გაუთხოვარი და სტეფანე ხინჩიგაშვილს კი ცოლი შეურთამს, შვილები გაჩენია. ჩემ საცოლეს მისი შვილი მოუნათლავს და თვით კი სტეფანე ხინჩიგაშვილი გარდაცვალებულა, წელი არ ვიცი. დარჩენია ოჯახში ქვრივი ცოლი და შვილები ორი. 1919 წ. თვე არ მახსოვს (ვითხოვე) შევირთე ჩემი საცოლო ცოლი ანა (ანიჩა) შამანაური ნიკოლოზის ასული და გადმოვედი საცხოვრებლად ხინჩაგაშვილის ქვრივის ბინაში (მეორე ოთახში). ჩემს გვერდით ცხოვრობდა ხინჩაგაშვილის ქვრივი თავისი შვილებით. ასე ამ რიგად რამოდენიმე თვის შემდეგ შემეძინა შვილი. რამოდენიმე დღის შემდეგ 25 თებერვალს შემოვიდა წითელი ჯარი თბილისში. ამ დროს საშა ობოლაძის ხელმძღვანელობით საჩქაროდ შევიკრიბენით წითელი რაზმი და ის იყო რომ იმ ღამესვე ავიღეთ პლეხანოვის კლუბის გვერდზე თეთრ-გვარდიელების შტაბი, რამოდენიმე დავატუსაღეთ, ათი-თხუთმეტი დღის შემდეგ ცოლ შვილი წავიყვანე ჩემს რაიონში (დუშეთის მაზრა) მუდმივი საცხოვრებლად. იქიდან დამნიშნეს სოფ. წინამძღვარიანკარის რევკომის თავრედ. ერთი წელი ნახევრის შემდეგ გადამიყვანეს მუხრანის რაიაღმასკომის თავ-რედ (მუხრანის რაიაღმასკომში). 1925 წელს დამნიშნეს დუშეთის დამზღვრელ სალაროს გამგედ, 1928 წ. გადმოვედი ქალაქ თბილისში ოჯახით საცხოვრებლად, მის შემდეგ ვმუშაობ სხვა და სხვა ადგილზე და ვცხოვრობ ქ. თბილისში.

**შეკითხვა: რა გაქვთ დასამატებელი თქვენი ჩვენებაზე?**

**პასუხი:** დასამატებელი არაფერი მაქვს, მხოლოდ გთხოვთ მომცეთ ორი დღე, დავისვენო და შეიძლება მომაგონდეს რამე ჩემი საქმის ირგვლივ.

*დაკითხვის ოქმზე ჩემი სიტყვები სწორეა და წამეკითხა, რაზედაც ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი.***

*დავკითხე: საქ. სახ. უშიშროების სახალხო კომისარიატის უმც. გამომძიებელი:* ***(სალია).***

*დაიკითხა ჩემ ზედამხედველობის ქვეშ:* ***მაღრაძე.***

## დაკითხვის ოქმი
### ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე. 5 ივნისი 1941წ.

*დაკითხვა დაიწყო 12 ს. 15 წ. დამთავრდა 13 ს. 10 წ.*

**შეკითხვა: თქვენ 3 ივნისს 1941 წ. სთხოვეთ გამოძიებას რათა მოეცა თქვენთვის ორი დღის ვადა მოსაფიქრებლად და კვლევა ძიებისათვის სიმართლის მისაცემად. თქვენ ამის უფლება მოგეცათ. ეხლა გვიპასუხეთ რას აღვიარებთ?**

**პასუხი:** მე გთხოვთ რათა მომცეთ დრო ხვალ საღამომდი ე. ი. 6 ივნისამდი. რათა მოვერიო ჩემს აღევლებას და მოგცეთ სწორი ჩვენება და გავა-

# ილიას მკვლელის გიგლა ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმები

ბათილოთ ძველი დაწერილი ოქმები.

**შეკითხვა: კვლევა ძიება ამის უფლებას გაძლევთ მოიფიქროთ კარგათ და 6/VI-41 წ. გვიპასუხეთ სრული ისტორია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ, ხართ თანახმა თუ არა?**

**პასუხი:** თანახმა ვარ და გამოძიძახეთ 6/VI-41 წ. საღამოს ყოველივე სიმართლეს გეტყვით.

***ბერბიჭაშვილი***

*დაკითხვა შეწყვეტილია თანხმათ ბერბიჭაშვილის თხოვნით —* ***მაღრაძე.***

## ჩვენება

1941 წლის 7 ივნისს მე, რესპუბლიკის პროკურის მოადგილემ სპეც. საქმეებზე ა. ჩიქვანაიამ დავკითხე როგორც ბრალდებას დავ. 10 სთ.

ბერბიჭაშვილი გიორგა (გიგლა) პეტრეს ძე დაბადებული 1878 წელს სოფ. ახატანში, დუშეთის მაზრა. წერაკითხვის მცოდნე, ცოლშვილიანი. ქ/პარტიის წევრი 1905 წლიდან. უკანასკნელად დაპატიმრებამდე მსახურობდა უნივერსალურ მაღაზიის მთავარი სალაროს მცველად. პენსიონერი. პერსიაში ნამყოფი 1907 წლის შემოდგომიდან 1919 წლის ბოლომდე. პასუხისგებაში არ ნამყოფი. ცოლშვილიანი. ცოლი და ორი შვილი. ვაჟი 20 წლის ქალისშვილი 15 წლის. ვაჟი სათარხანი ამჟამად წითელ არმიაში გაწვეული, ცოლი ანნა ნიკოლოზის ასული. ქალის შვილი — ქეთევანი სწავლობს ქალ. თბილისში, ცოლი ანნა დიასახლისი.

მწერალი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მოგახსენებთ (მოგახსენებთ) შემდეგს. ჯერ კიდევ 1905 წლიდან ვიყავი უკმაყოფილო მეფის მთავრობას და თავად-აზნაურებას, საერთოდ ბატონებას და მემამულეებს, ვინაიდან დედის ძმები ოდიშლები მიწამეს, მამა მომიკლა აზნაურმა მემამულემ ტუსიშვილმა. მე მზიდი და მინდობილი ვიყავი მამის ძმასთან იორდანესთან. 1906 წელს დამიჭირა მაზრის უფროსმა კოშიაშვილმა წითელ რაზმელობისათვის და იარაღით ხელში 1905 წლის რევოლუციაში მიღებისათვის და მომათავსეს დუშეთის ციხეში, საიდანაც მეორე დღესვე დუშეთის ციხიდან გავიქეცი. რისთვისაც ბიძა ჩემი იორდანე დაეპატიმრებიათ, აწამეს, ცემეს, ბულაჩაურის ხიდზე დუშეთის რაიონში სოფელ ჭოპორტთან ახლოს დაეკიდათ ფეხებით და ისე ეწამებიათ. ყველაფერი ეს ჩემში აღვივებდა შურს და მტრობას თავადაზნაურობისა და მემამულე მებატონეებს მიმართ. სწორედ ეს ის პერიოდია როდესაც მე ტყე-ველად ვარ გასული მეძებნ დასაჭერად, ვერიდები მთავრობას, რომ ხელში არ ჩაუარდე და არ დამაპატიმრონ. ამ პერიოდში ვეცნობი სოფლად ჩამოსულ პროპაგანდისტებს, რომლებიც სოფ-ში მოხსენებებს აკეთებდნენ. ერთი ორჯერ ფილიპე მახარაძე იყო. სხვების გვარი და სახელები არ მახსოვს, მაგრამ უფრო დიდხანს სათანადო სააგიტაციო — საპროპაგანდო მუშაობას ატარებდნენ ნაცვლიშვილი და კობახიძე, ამის გარდა ქალაქიდან ჩამოდიოდნენ ჩვენს სოფელში და ქალ. დუშეთში სხვა პროპაგანდისტები. ერთი დღის ერთ საღამოთი გააკეთებდნენ მოხსენებას და წავიდოდნენ, მათი სახელები და გვარები არ მახსოვს.

**შეკითხვა: ჩამოსული დასახელებული პირებიდან რომლებს იცნობდი და რა დამოკიდებულებაში იყავ მათთან?**

**პასუხი:** კობახიძეს და ნაცვლიშვილს ვიცნობდი ახლოს, როგორც ორგანიზატორებს იმათ ჩავწერეს რაზმში. მათ რაზმში ვიყავი და თუ რამეს დამავალებდნენ უსრულებდი. ვესწრებოდი მათ მიერ გამართულ კრებებს და მათი ხელმძღვანელობით ვგებულობდით თუ რა უნდა გაგვეკეთებია. რაც შეეხება ფილიპე მახარაძეს, ახლოს არ ვიცნობდი, ხოლო კრებებზე რომ მოდიოდა და ასეთები იმართებოდა აღნიშნულ კრებებს ვესწრებოდი და ვისმენდი მის მოხსენებას.

**შეკითხვა: ჩამოსული პროპაგანდისტები რაზე მოგითხრობდენ და რას მიგითითებდნენ?**

**პასუხი:** ჩამოსული პროპაგანდისტები კობახიძე, ნაცვლიშვილი, მახარაძე და სხვები, რომელთა გვარები არ მახსოვს, მიგვითითებდნენ:

1) მღვდლებს საწირავი და გადასახადი საეკლესიო დრამა არ მისცეთო.

2) მთავრობისათვის არ მიგვეცა სალდათი.

3) მემამულეებისათვის ღალა და მოჯამაგირები, პურისმცხობელი ხელზე მოსამსახურე არ მიგვეცა.

4) და ისეთი ჯიუტი და უდიერი მებატონეები, რომლებიც მეტად აწიოკებდნენ გლეხობას და მოსახლეობას მოკალით კიდეცო, გვეუბნებოდნენ.

**შეკითხვა: ადგილობრივი მაცხოვრებლებიდან ან მომუშავეებიდან კიდევ ვინ ითვლებოდა პროპაგანდისტებათ 1905 წ. ჩამოთვალეთ ასეთები.**

**პასუხი:** ადგილობრივი მაცხოვრებლებიდან პროპაგანდისტებათ ითვლებოდენ შემდეგი პირები: ვანო ბაგჩაშვილი, ევაგრი ნავროზაშვილი, მელიშვილი ქალაქ დუშეთში.

**შეკითხვა: საგურამოში ვის იცნობდი პროპაგანტისტებს ან წითელ რაზმელებს, რომლებთანაც შენ ახლო ურთიერთობაში იყავი?**

**პასუხი:** საგურამოში წითელ რაზმელებს არც პროპაგანდისტებს არავის არ ვიცნობდი. მხოლოდ ბავშვობიდანვე ვიცნობდი საგურამოში მცხოვრებ ერთ ინაშვილს ვანოს, ხიზანიშვილს სანდრო (ლოშა), ლაბაურს თედოს, ფშავლიშვილს პავლეს და სხვებს, რომლებთაც ვიცნობდი ქალაქში გზით მოგზაურობის გაცნობით. მათთან მქონდა ნაცნობობა ბავშვობიდანვე და კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით ურთიერთობისას.

**შეკითხვა: განაგრძეთ ჩვენება!**

**პასუხი:** ყველა პროპაგანდისტები, როგორც ჩამოსულები ისთევე ადგილობრივები ხალხს ეუბნებოდნენ, რომ მემამულეებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ებრძოლათ და მათ წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ საბრძოლველად. საჭიროების შემთხვევაში მოეკლათ ასეთები, მოეკლათ და გაენადგურებიათ ისინი, როგორც ხალხის ამწიოკებლები და მჩაგვრელები. ამას ამბობდა ყველა, ამით ვიყავით გამსჭვალული ჩვენ წითელ რაზმელები და რევოლუციონურად განწყობილი გლეხობა ჩაწერილი იყვნენ, თუ არა წითელ რაზმში.

**შეკითხვა: ჩამოთვალე, ყველა მემამულეები, რომლებზედაც მტრულად იყო განწყობილი გლეხობა.**

**პასუხი:** გიპასუხებთ შეკითხვაზე. ასეთები ბევრი იყო, რომლების მიმართ გლეხობა მტრულად იყო განწყობილი, მხოლოდ მე ყველა იმათ აღდგენას მგონი ვერ შევძლებ.

**შეკითხვა: უნდა აღადგინოთ ის მემამულეები, რომლების მიმართ განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი გლეხობა, ყველა არაა საჭირო.**

**პასუხი:** შეკითხვაზე გიპასუხებთ, რომ გლეხობა განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი სოფელ ჯადასჯვარში გოგი მუხრანსკიზე, რომელმაც ჩამოაყვანია კაზაკები და გლეხობამ ვინაიდან ნადელს — ღალას არ აძლევდნენ განადგურება მოინდომა მათი. იყო ხელჩართული ბრძოლა რომელ ბრძოლაშიდაც და როგორც გლეხობის მხარეს ისთე კაზაკების მხარეს ბევრი დაიხოცა. სოფელ ბულაჩაურში ნიკა ხიმშიაშვილი, ქსანზე ერისთავები. საგურამოში მწ. ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძესაც არ დაანებეს მეოთხედები, — ღალა, გლეხობამ. შემდეგ რეაქციის გამარჯვების შემდეგ 1907 წელში მწ. ილია ჭავჭავაძემ ძველი წლების გადაუხდელი ნადელი მთლიანად გადაახდევინა გლეხობას, ამიტომ მასზედაც განაწყენებული იყო გლეხობა ძლიერ ცუდად.

**შეკითხვა: დასახელებულ მემამულეებს პროპაგანდისტები როგორ იხსენიებდნენ?**

**პასუხი:** ჩამოსული დასახლებული პროპაგანდისტები, ისთე სხვებიც, რომელთა გვარები ვერ მოვიგონე, პირდაპირ ასახელებდნენ, ხიმშიაშვილს, ერისთავებს, მწ. ჭავჭავაძე ილიას, მუხრანსკის და სხვებს და მიუთითებდენ გლეხობას მათ განადგურება მოსპობაზე, როგორც გლეხობის ამწიოკებლების.

**შეკითხვა: ჩამოსულ პროპაგანდისტებიდან ვის უფრო უჯერებდა ხალხი და ყველაზე უფრო ცნობილი ვინ იყო?**

**პასუხი:** ჩამოსულ პროპაგანდისტებიდან ბევრს ხალხი არც უჯერებდა, როგორც ზევითაც გიჩვენეთ პროპაგანდისტები ბევრი ჩამოდიოდენ ყველაზე უფრო უჯერებდენ ფილიპე მახარაძეს და მახმაძეს. იცნობდენ მას, ძლიერ უჯერებდენ საქართველოში ყოფნის პერიოდში წინა პარტიზანელობიდან სპარსეთში წასვლამდე.

**შეკითხვა: სხვა იარაღით კიდევ რით იყავი შეიარაღებული?**

**პასუხი:** სხვა იარაღი არ მქონია თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჯიბის დანას და ხანჯალს.

**შეკითხვა: განაგრძეთ ჩვენება.**

**პასუხი:** ნახევრათ არალეგალურ მდგომარეობაში მყოფს შემხვდნენ საგურამოს მცხოვრებლები, გზა კამათასთან ხევში საგურამოდან სამი ოთხი კილომეტრით დაშორებული. ფშავლიშვილი პავლე, ხიზანაშვილი სანდრო, იგივე ლოშა და ლადო ფეიქრიშვილი. უკანასკნელი საგურამოდან არ იყო. ფშავლიშვილმა და ხიზანიშვილმა მითხრენ რომ წამოდი ჩვენთან მე უთხარი არ მცალია, საქმე მაქვს და მივდივარ ჩემ საქმეზე თბილისში თქო.

**შეკითხვა: შენ არალეგალურ მდგომარეობაში იყავი და რა საქმეზე მიდიოდი თბილისში?**

**პასუხი:** ქალაქში მინდოდა ჩასვლა... სასყიდლად, მაგრამ რაღამც ისინი შემხვდნენ მოვბრუნდი, აბა რა უნდა მექნა, როდესაც ძალას მატნევდენ.

**შეკითხვა: კი, მაგრამ არ გითხრენ რისთვის მიყავდით საგურამოში, რა საქმეზე, რა საჭიროებისათვის?**

**პასუხი:** არ მითხრენ რისთვის მივყავდი, მაგრამ მე ვინაიდან დიდი ხნიდან ვიცნობდი ხიზანიშვილს და ფშავლიშვილს, იძულებული ვიყავი წავყოლოდი. ფეიქრიშვილი სიკვდილითაც კი მემუქრებოდა თუ არ გავყვებოდი მათ საგურამოში.

**შეკითხვა: საგურამოში რა გზით წადით და იქ რომ მიდი რა გითხრენ ხიზანიშვილმა, ფშავლიშვილმა და ფეიქრიშვილმა?**

**პასუხი:** წავედით ბილიკით, რომელიც მიდის ტყე-ტყე. ისინიც შეიარაღებულები იყვენ თოფებით. ეს იყო დილით და ასეთ შვადღისას უკვე მივედით საგურამოში სადაც მწერალ ილია ჭავჭავაძის სახლია ზევით, მთის შეფენებაზე შევჩერდით. ხიზანიშვილი ჩამოვიდა სოფელში და მას ამოყვენ ჯაში, ინაშვილი (ყოფ. მამასახლისი), ლაბაური თედო მწ. ილია ჭავჭავაძის მეეტლე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ამოვიდენ დროული კაცები, დაახლოებით 12-13 სულ 19-20 კაცამდე ვიქნებოდით.

**შეკითხვა: სოფლის დროული კაცების ამოსვლამდე ამოვიდენ ჯაში, ინაშვილი, ხიზანიშვილი და ფეიქრიშვილი. ადგილზე იყავით, უჩვენე ძიებას რაზე გქონდათ საუბარი მათ ამოსვლამდე?**

**პასუხი:** სოფლიდან გლეხობის ამოსვლამდე ინაშვილმა და ჯაშმა ამოიტანეს თან გაზეთები და დაიწყეს ლაპარაკი. მემამულეებს და მთავრობას ძვირზე ლაპარაკი. განსაკუთრებით ლაპარაკი იყო მწერალ ილია ჭავჭავაძის შესახებ. გვაჩვენეს გაზეთები. სადაც იყო წერილები ფილიპე მახარაძის ხელის მოწერით ამასობაში ამოვიდენ გლეხებიც. ინაშვილმა დაიწყო გაზეთების კითხვა, სადაც მახსოვს რამოდენიმე წერილის შინაარსი. მაგ. გიგია ბიჩნიკაურმა ჩამოიარა, როდესაც მდინარე გაყინული ყოფილა. მოსულა მწერალი ილია ჭავჭავაძის წყაროზე დილით ადრე, აუვსია კოკა და წაუღია. ამ დროს ილია გამოსულა ბალკონზე და გლეხისათვის თვალი მოუკრავს, გადაუძახნია მოურავი მემარნიშვილისათვის: (მწერალი ილია ჭავჭავაძის წინანდელი მოურავი) „მოურავო გიგია ბიჩნიკაურს ჩვენი წყარო წაუბილწავს და მიდი ერთი მაგას საკადრისი პასუხი გაეციო“. მოურავ მემარნიშვილი შემჯდარა უბელო ცხენზე და მოწევია ბიჩნიკაურს, წაუქცევია ის თოვლში, კოკა გაუტეხია და წყლით დაუსველებია. შემდეგ უცემია კიდეც დაგლეჯილ ბიჩნიკაურისათვის, ხოლო ილიას თავის მოურავი მემარნიშვილისათვის ბეჭებში ხელი დაუკრავს და უთქვამს, რო „ყოჩაღ მემარნიშვილო, მასეთებს თუ მასთე არ მოექეცი თავზე დაგვასხდებიანო“.

მეორე წერილი: „ქადაგიშვილს ჰქონია მწერალ ილია ჭავჭავაძის მიწა ზიარად, რომლისთვისაც მოურავს გამოუტნევია ილიას სახლში ძნა ურმით. ილიას გამოურთმევია მოურავის ცნობა და გლეხ ქადაგიშვილს ერთი ძნა დაკლებია. ილია გაჯავრებია. გლეხს უპასუხებია ალბად ტყეში გადმომივარდა და სახლიდან ერთ ძნას მოგიტანო. მაგრამ ამ ამბავს ე.ი. გლეხის ასეთ სიტყვის შემობრუნებაზედაც გაჯავრებულა ილია და გლეხი გამოუგდია ფეხით და უბრძანებია, რომ ეხლავე წადი და სწორედ ის დაკარგული ძნა მოძებნე და მოიტანეო. გლეხი იძულებული ყოფილა წასულიყო და ის ძნა მოძებნა და მიუტანაო“.

მესამე წერილი: „მწერალ ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა წესად შემოღებული, რომ მოურავის მოსვლამდე გლეხს არ ჰქონდა უფლება მოსავალი ან აეღო ან გაენაწილებია, ერთ გლეხს (გვარი და სახელი არ მახსოვს) დაპირებია მოურავი, რომ დღეს მოვალო, მაგრამ გვიანობამდე არ მისულა მოურავი ყანაში ძნების გაყოფისათვის. გლეხს თვით გაუყვია ძნები. მწერალი ილიას წილი დაუწყვია ურემზე და ილიასათვის მიუტანია. ილიას წესისამებრ გლეხისათვის მოუთხოვია წერილი რომელიც გლეხს არ აღმოჩენია და უთქვამს, რომ მოურავმა დაიგვიანა და თვით გავანაწილე და თქვენი წილი მოგიტანეთო. ამაზე ილია გაბრაზდა და ძნებიანი ურემით გლეხი უკან დააბრუნებია, ხოლო გადმოღმა გადმოსულ გლეხს წინ შემოხვდა მოურავი, რომელმაც გაიგო თუ რისთვის იყო ილია გულმოსული და გლეხი დატვირთული ძნით უკან დაბრუნებული და მას მოურავს გლეხისათვის სამი-ოთხი მათრახი გადაუკრავსო“. ასეთი წერილები წაიკითხეს თუ არ ვცდები დაახლოებით 10-12 გაზეთებიდან.

ყველაზე ამ წერილებზე ხელის მოწერა იყო ფილიპე მახარაძის, რომელსაც ინაშვილი და ჯაში ჩვენ თვითონ გვაკითხებდენ და გვაჩვენებდენ. ამას გარდა, როგორც ჯაში, ისეც ინაშვილი მწერალ ილია ჭავჭავაძეზე ლაპარაკობდენ, რომ გვაწიოკებს, გვატყავებს ილიაო. ამაზე გლეხობა თანხმობას უცხადებდენ. გლეხობიდანაც ლაპარაკობდენ, რომ ილიამ ყველაფერი შეგვიზღუდა, როგორც საბალახოები, წყალი ისე სახნავი მიწებიო“.

**შეკითხვა: შენ რა მონაწილეობას ღებულობდი კრებაზე?**

**პასუხი:** მე ვიჯექი და ყურს უგდებდი.

**შეკითხვა: რამდენი კრება გქონდათ მწერალ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მოწყობისათვის?**

**პასუხი:** სამი დღის განმავლობაში ეწყობოდა ეს შეთქმულება მწერალ ილია ჭავჭავაძის მიმართ. აღნიშნული გლეხები პირველად უფრო ბევრი იყო, ხოლო სხვა კრებებზე უფრო ნაკლები მოდიოდნენ ხოლო ჩვენ — ჯაში, ინაშვილი, ფეიქრიშვილი, ფშავლიშვილი (აფციაური) ხიზანიშვილი და ლაბაური ყველა კრებაზე ვესწრებოდით.

**შეკითხვა: პირველ დღეს კრებაზე რა მოილაპარაკეთ და რაზე ილაპარაკეთ. გასაგებია ზემოთ მოცემულ ჩვენებაზე. რაზე ლაპარაკობდით ორ უკანასკნელ კრებაზე?**

**პასუხი:** ორ უკანასკნელ კრებაზედაც ლაპარაკი იყო ილიაზე, მის მოქმედებაზე და საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნა, რომ ილია ჭავჭავაძე უნდა მოვკლათ. ამავე კრებებზე თედო ლაბაურიდან, ილიას მეეტლედან გამორკვეული იქნა, რომ ერთი დღის შემდეგ დილით გამოვიდოდა თბილისიდან და შვადღეზე ვიქნებით წიწამურთანო. ამავე კრებაზე გადაწყვეტილი იქნა ვის დავალებოდა მკვლელობა. მკვლელობის ხელმძღვანელობა იკისრა ინაშვილმა, ხიზანიშვილმა და ფეიქრიშვილმა.

**შეკითხვა: რამ იქონია თქვენზე გავლენა ამ კრებებზე, ანდა რატომ იყო საჭირო სამ დღეს კრების გაგრძელება იმის გადასაწყვეტად, რომ მწერალი ილია ჭავჭავაძე, რომ მოეკლათ, თუ ვინმე არ იყო წინააღმდეგი და ყველა თანახმა იყო მისი მოკვლის?**

**პასუხი:** მთავარი გავლენა იმის შესახებ, რომ ილის მკვლელობა გადაეწყვიტათ აუცილებლად დიდი გავლენა და მთავარი გავლენა იქონია გაზეთის წერილებმა. სამი დღით კრებების გაგრძელება გამოიწვია იმან, რომ ილიას ჩამოსვლა დაგეგმილი იყო 30 აგვისტოს 1907 წელში, სწორედ ეს იყო მიზეზი, თორემ კრებაზე დამსწრები ჯაშის და ინაშვილის მიერ ისთე იყო მოწამლული, რომ ყველა თანახმა იყო და გაიძახოდნენ ილია უნდა მოვიშოროთო.

**შეკითხვა: ძიებას უჩვენეთ სწორად — ჯაში და ინაშვილი არ ასახელებდენ იმ პირებს, ვინც მათ დაავალათ ილიას მოკვლა?**

**პასუხი:** არც ჯაშს და არც ინაშვილს არავისი გვარი არ დაუსახელებიათ, რომ ვითომ და ვინმესგან მათ ჰქონოდათ დავალება ილიას მოკვლის. მხოლოდ ისინი ასახელებდენ გაზეთის წერილებს და იმ ფაქტებს, რომელიც ძიებას უკვე უჩვენე.

**შეკითხვა: კრებამ ვის დაავალა საზიზღარი მკვლელობის ჩადენა ილია ჭავჭავაძეზე 30 აგვისტოსათვის წიწამურის ტყეში საგურამოდან 3-4 კილომეტრით დაშორებით?**

**პასუხი:** უპასუხებ ძიებას, რომ სურვილი გამოაცხადეს ზოგმა მათგანმა — ინაშვილმა და ფეიქრიშვილმა, ხიზანიშვილმა, ფშავლიშვილმა, აფციაურმა, ლაბაურმა და მე ბერბიჭაშვილმა. შეიარაღებული ვიყავით: ინაშვილი — რევოლვერით, ფეიქრიშვილი ორ ლულიანი თოფით, ხიზანიშვილი — „ბერდანკა“, ფშავლიშვილი-აფციაურს 12 ნომერით მეც მქონდა 12 ნომერი. ჩვენ დავალებული გვქონდა მკვლელობის აქტის შესრულება, ხოლო მეეტლე ლაბაურს დავალებული ქონდა დანიშნულ ადგილზე ნელა წამოეყვანა ეტლი.

**შეკითხვა: როგორ მოაწყვეთ ჩასაფრება?**

**პასუხი:** დილით, როდესაც ლაბაური მეეტლე წავიდა თბილისში მწერალ ილია ჭავჭავაძის მოსაყვანად ჩვენ ასთე დაახლოებით პირველ საათზე მივედით დანიშნულ ადგილზე და ჩავესაფრენით. მოგვიხდა ცდა ორი-სამი ან შეიძლება ცოტა მეტი საათი და გავიგონეთ ლინეიკის ხმა. ეს ნიშანი იყო, რომ ილიას ეტლი მოდიოდა, მის ხმას ვიცნობდით.

**შეკითხვა: როგორ იყავით ჩასაფრებული?**

**პასუხი:** თბილისიდან მომავალ ეტლს პირველად დახვდებოდა ხიზანიშვილი, შემდეგ ფეიქრიშვილი, შემდეგ ინაშვილი, შემდეგ მე და ყველაზე ბოლოს იყო ფშავლიშვილი. ეტლი რომ მოუახლოვდა დანიშნულ ადგილს, სვლა შეანელა. ეტლის სვლის შენელებაზე ჩვენ შეთანხმებული ვიყავით მეეტლე ლაბაურთან იმ ადგილზე სადაც ეხლა ილიას ძეგლია დადგმული. ძველად აქ გზა იყო. როგორც კი ეტლი მიუახლოვდა ხიზანიშვილს, მან მიზანში ამოიღო და ესროლა მწერალ ილია ჭავჭავაძეს ახლოდან და პირველივე ტყვია მოხვდა. გაისმა ქალის კივილი. ილიას სიკვდილისთანავე, დაჭრისთანავე წამოვარდა იაკოფა ბითარაშვილი, რომელიც ფეიქრიშვილის ტყვიით იქნა მოკლული. ფეიქრიშვილის თოფის გასროლისთანავე გამოვედით ტყიდან და ჩვენც ვისროლეთ. მე დავიჭერი მუხლის თავზე მსუბუქად, კვირიტავის ქვევით, წვივის მიდამოში მქონდა მოხვედრილი გვერდიდან გასროლილი ტყვია. ეს დაჭრა გავიგე უკან წასვლის შემდეგ. ტყიდან გამოსვლისას მწერალ ილიას მკვლელობისას, 30 აგვისტოს, იყო შემდეგი სურათი: ჩვენ ტყიდან გადმოვედით მარჯვნიდან, მწერალი ილია ჭავჭავაძე მჯდარა მარჯვნით და მარცხნით მჯდარა მისი ცოლი ოლღა, ხოლო მათ წინ მჯდარა იაკოფა ბითარაშვილი, ილიას ლაქია. ილია სისხლში გასვრილი გადაწოლილი იყო ეტლზე და სულს ღაფავდა. ხმა არ გამიგონია. იაკოფა ბითარაშვილი ეგდო ეტლის მარცხნით. ილიას ცოლი ოლღა გულშეწუხებული იჯდა ეტლში — ხოლო ლაბაური ცხენების გვერდით იდგა — მარცხნით.

**შეკითხვა: რა წაიღეთ მწერალ ილიას მკვლელობის დროს ეტლიდან?**

**პასუხი:** ილია ჭავჭავაძის ეტლიდან წამოღებული იქნა — ფეიქრიშვილმა საათი და ჩემოდანი. ხიზანიშვილმა შეკრული — ბოღჩა, მე სათვა-

გაგრძელება მე-12 გვ-ზე

# ილიას მკვლელის გიგლა ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმები

ლეები და ბეჭდები. იაკოფა ბითარაშვილის რევოლვერი წამოიღო ინაშვილმა.

**შეკითხვა: სად წაიღეთ ეს ქონება?**

**პასუხი:** გადავცვინდით ქონების აკრეფის შემდეგ და წავედით ტყეში. ინაშვილმა გვითხრა ქონება არაფერი დაიკარგოს, ყველაფერი თავის ადგილზე უნდა მივიტანოთ, რაც შენახული იქნება. აღნიშნული ქონება მივიტანეთ საგურამოში მწერალ ილია ჭავჭავაძის სახლის ახლოს, სადაც ცხოვრობდა ჯაში. ამის შემდეგ გაგვიცხადა ინაშვილმა. დაიქსაქსეთ ეხლა თორემ დაგიჭერენო. მართლაც ყველანი წავედით ცალ ცალკე. მე პირადათ რევოლვერი დავიტოვე და წავედი ჩემი სახლისაკენ სოფელში. ვინახავდი თავს ოქტომბერ-ნოემბრის თვემდე, რის შემდეგ გადავწყვიტე სპარსეთში წასვლა და წავედი კიდეც და 1919 წლამდე არ ჩამოვსულვარ იქედან.

**შეკითხვა: მწერალ ილია ჭავჭავაძის მოკვლიდან სპარსეთში წასვლამდე ხომ არ ხვდებოდი შენ ამხანაგებს, რომელთანაც ერთად მკვლელობა ჩაიდინეთ?**

**პასუხი:** შემდეგ მე ისინი, ე.ი. ჭავჭავაძის მკვლელობაზე მონაწილეობის მიმღებნი, არ შემხვედრია საერთოდ. სოფ. საგურამოს არ გავკარებივარ.

*დაკითხვა შეწყდა 4 საათსა და 50 წუთზე*

*დავკითხე საქ. რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე* ***ჩიქვანაია***

*დავესწარი პროკ.* ***ნ. მიქაძე***

### ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე. 13 ივნისი 1941 წ.

*დაკითხვა დაიწყო 12 ს. 00 წ. დაკითხვა დამთავრდა 2 ს. 55 წ.*

**შეკითხვა: თქვენ ავტობიოგრაფიაში 1938 წელს წერთ, რომ ვორონცოვ-დაშკოვმა დაგირიგათ იარაღი. დაგვიზუსტეთ თუ როდის და რა მიზნით დაგირიგათ თქვენ იარაღი ვორონცოვ-დაშკოვმა?**

**პასუხი:** 1905 წელს ზამთარში ქ. თბილისში თათრებსა და სომხებს შორის მომხდარ ინციდენტის დასამშვიდებლათ, ჩვენ როგორც წითელი რაზმელები, ჩავერიეთ ამ საქმეში მათ დასამშვიდებლათ, რაზედაც ჩვენმა მეთაურებმა: რაჟდენ სტურუამ, ნავრუზაშვილმა, ფრუიძემ და ვანო ბუჩაშვილმა წავიდენ ვორონცოვ-დაშკოვთან იარაღის სათხოვნელათ. უკანასკნელმა მოგვცა თოფები — ბერდანკები და მისი ვაზნები, იმ პირობით, ვითომდა სომხების და თათრების შორის ინციდენტის ჩაქრობის შემდეგ უკან დაგვებრუნებია, მაგრამ როდესაც დამშვიდდა ეს არეულობა, ცოტა ნაწილი ამ იარაღისა აღნიშნულმა პირებმა ჩააბარეს უკან, ვორონცოვ-დაშკოვს, მეტი ნაწილი კი წავიდა დუშეთის მაზრაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თათრების და სომხების შორის ინციდენტის ჩაქრობაში მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე მენშევიკებიც ისიდორე რამიშვილის მეთაურობით. ამ ინციდენტის ჩაქრობის დროს შემთხვევით მოკლა ტყვიამ რაჟდენ სტურუა.

**შეკითხვა: თქვენ პირადათ რა თოფი მოგცესთ ხელში და რა მონაწილეობა მიიღეთ ამ ინციდენტის ჩაქრობაში?**

**პასუხი:** მე თვითონ ჩემი თოფი მქონდა, მაგრამ ვინაიდან ჩემი თოფი ცოტა ნაკლები იყო, გამოვცვალე ვარონცოვ-დაშკოვიდან გამოტანილი ბერდენკაში. და როდესაც მოთავდა ეს ინციდენტი, მე თოფი აღარ ჩამიბარებია და წავიღე თან დუშეთის მაზრაში.

**შეკითხვა: ნუთუ არ მოგთხოვათ თქვენ მაშინდელმა მთავრობამ რომ თოფი უკანვე ჩაგებარებიათ?**

**პასუხი:** მოითხოვეს მაგრამ, ვინაიდან არეულდარეულობა იყო ვერაფერს ვერ გახდენ და ვერც ჩაგვაბარებინეს.

**შეკითხვა: ნუთუ იყო ამნაირი წესი მაშინ, რომ წითელ რაზმელებს იარაღს ურიგებდა ნიკოლოზის მთავრობა?**

**პასუხი:** ამაზედ ლაპარაკობდენ, რომ თოფების დარიგება იმ მიზნით იყო რომ, ვითომც ამ ინციდენტში ქართველებიც ჩაებმებოდნენ ჟლეტა ხოცვაში და ინციდენტი უფრო გართულდებოდა, მაგრამ ბოლშევიკები სხვის ამნაირ ანკესზედ არ ეგებოდნენ.

**შეკითხვა: რა უყავით ის ბერდენკა თოფი, რომელიც თბილისიდგან წაიღეთ?**

**პასუხი:** ის თოფი რომ წავიღე თბილისიდგან, ჩავიტანე დუშეთში და როდესაც დაიშალა წითელი რაზმი, თოფი ჩავაბარე 1906 წელს ჩვენ ახალ ხელმძღვანელებს — ბუჩაშვილს, ფრუიძეს და სხვებს.

**შეკითხვა: როგორც თქვენი ავტობიოგრაფია, ისე თქვენი დღევანდელი ჩვენება სიცრუეა და არავითარ სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდგან არასოდეს რეაქციონური მთავრობა მეფის, წითელ რაზმს იარაღს არ დაურიგებდა და არც ახსოვს ესეთი რამე ისტორიას, სინამდვილეში მეფის მთავრობა იარაღს ურიგებდა შავ რაზმელებს, რომლებსაც იყენებდა რევოლუციონრების საწინააღმდეგოდ, ამის მიხედვით სჩანს, რომ თქვენ წითელ რაზმში კი არა შავ რაზმში ყოფილხართ: გვიპასუხეთ ამაზედ სწორათ!**

**პასუხი:** შავ რაზმში მე არასოდეს არ ვყოფილვარ, არამედ ვიყავი წითელ რაზმში, და იარაღები ვორონცოვ-დაშკოვმა დაურიგა მუშებს და გლეხებს იმ მიზნით, რომ იქნებ ესენიც ჩარეულიყვნენ სომხების და თათრების ხოცვა ჟლეტაში. რაზედაც მე ზემოთ გიჩვენეთ.

**შეკითხვა: სად ცხოვრობდი თბილისში 1905-1906 წლებში, როდესაც მონაწილეობას ღებულობდი თათრების და სომხების დამშვიდებაში?**



*ილია ჭავჭავაძის სახის ნიღაბი, ი. ნიკოლაძის მიერ აღებული, ინახება ყვარლის სახლ-მუზეუმში. შუბლში ნატყვიარი არსად ჩანს, მაგრამ სურათზეც კარგად ეტყობა ორგან (მარჯვნივ და მარცხნივ) ჩამტვრეული შუბლი, შუაში ძვალი ამობურცულ-ამოფლეთილია.*

**პასუხი:** ვინაიდან ჩვენ ჩამოსულები ბევრი ვიყავით, იქნა გამონახული ბინები, სადაც ვცხოვრობდით შეიარაღებული მებრძოლი ხალხი.

**შეკითხვა: თუ გქონდათ ხოლმე იმ დროს თბილისში კრებები?**

**პასუხი:** მაშინ საკითხი იდგა ბრძოლის, კრების საკითხი არ ყოფილა, მხოლოდ მოლაპარაკება იყო ხოლმე, რომ ჩვენი ხაზი არ დაგვესახიჩრებია და არაფერი გლახა არ ჩაგვედინა.

**შეკითხვა: თქვენ თავიდან ბოლომდის სტყუით და სიმართლეს არ ლაპარაკობთ. თქვენი ჩვენებიდან სჩანს, რომ თქვენ 1905-1906 წელს ნიკოლოზის მთავრობა გდევნიდათ, ამავე დროს ვორონცოვ-დაშკოვი იარაღს გირიგებდათ სომხების და თათრების მომხდარ ინციდენტის ჩასაქრობად. როგორ მოხდა ეს გვიპასუხეთ!**

**პასუხი:** 1905 წ. ძველი მთავრობა ცოტა მიჩუმებული იყო, რადგანაც გამოვიდა მანიფესტი თავისუფალ სიტყვის და კრებების, და აი სწორედ ამ დროს მოხდა თათრებსა და სომხებს შორის ინციდენტი, რაშიდაც ჩავერიეთ ჩვენ გასაშველებლათ.

**შეკითხვა: მაშ, როდის დაგიწყოთ თქვენ დევნა ნიკოლოზის მთავრობამ?**

**პასუხი:** როდესაც გაიმარჯვა რეაქციამ, მის შემდეგ მეც დამიწყეს დევნა, როგორც საერთოთ.

**შეკითხვა: მეტს რას დასძენთ დღევანდელ თქვენს ჩვენებას...**

**პასუხი:** დასაძენი არაფერი მაქვს.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვებით სწორეა წავიკითხე და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი***

*დავკითხე:* ***მაღრაძე.***

### ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე. 13 ივნისი 1941 წ.

*დაკითხვა დაიწყო 23 ს. 50 წ. დაკითხვა დამთავრდა 2 ს. 50 წ. 14/VI.*

**შეკითხვა: დაგვისურათეთ როგორ და რა პირობებში მოხდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და ვინ იყვნენ ილიას მკვლელები?**

**პასუხი:** 1907 წელს ზაფხულზედ, თვე და რიცხვი არ მახსოვს, მე მოვდიოდი ჩემი სოფლის ახატანის ტყიდგან — ქალაქში, უნდა მეყიდა ტანთსაცმელი და ჩუსტები, როდესაც მოვედი კამარის ხევში, ეს უკვე იყო დილა, გზის პირიდან ვიღაცებმა გადმომძახეს, მობრუნდიო. მეც მოვბრუნდი და ვნახე, რომ ორი მათგანი ნაცნობები იყვნენ, ესენი იყვნენ: პავლე ფშავლიშვილი და სანდრო ხიზანაშვილი, მესამე იყო უცნობი შავგვრემანი, მაღალი ჯანმრთელი კაცი, როგორც შემდეგ გავიგე ის იყო ლადო ფეიქრიშვილი. მე მათ წამიყვანეს ტყედატყე და ამიყვანეს საგურამოს ტყეში, ილია ჭავჭავაძის სასახლის მახლობლად. ავედით დანიშნულ ადგილას თუ არა, ხიზანიშვილი მაშინთვე ჩამოეშვა გურამიანთ კარში, და რამოდენიმე ხნის შემდეგ ამოიყვანა დიმიტრი ჯაში, ინაშვილი ვანო, ლაბაური თედო და თან მოიყვანეს თორმეტი გლეხი, დავსხედით და დავიწყეთ ლაპარაკი. პირველათ დაიწყო ლაპარაკი ინაშვილმა, მას თან ჰქონდა გაზეთები, რომლებშიდაც იყო ფილიპე მახარაძის წერილები ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ვითომდა ილია ჭავჭავაძე უდიერათ და მკაცრათ ეპყრობოდა გლეხებს. პირველი წერილში იყო მოთავსებული ის რომ, ერთ გლეხს ილიას წყაროდან ეევსო კოკა წყლით და მიქონდა თავის სახლში, ეს რომ დაენახა ი. ჭავჭავაძეს, დაედევნებია თავის მოურავი, რომელსაც იმ გლეხისთვის კოკა თავზე გადაემტვრია და ეცემა. მეორე წერილში ეწერა რომ ერთ გლეხს, ქადაგიშვილს ილიასთან მოქონდა ღალა ერთი ურემი პურის ძნები შეკრული, ერთი ძნა გზაში გადავარდნოდა ურმიდან, და როდესაც ილიას გადაეთვალა ძნები და დააკლდა ერთი ძნა, გლეხს ქადაგიშვილს ეთქვა „შეიძლება ბატონო ილია ტყეში გადამივარდა და ეხლავე ერთ ძნას ჩემი ყანიდან მოგართმევო“, ილიამ ამის ნება არ მისცა უთხრა რომ „შენი ყანის ძნა მე არ მინდა, სწორეთ ის ძნა მოიტანე რომელიც გადაგივარდაო“. მესამე წერილში იყო მოთავსებული ის რომ, ერთ გლეხს მინდვრიდან უნდა წაეღო ილიას სასახლეში პურის ძნა. სადაც უნდა ყოფილიყო მოურავი და უკანასკნელს უნდა გლეხიზა მიეცა ბარათი, მაგრამ გლეხმა უყურა დიდხანს მოურავს, რომელიც არ გამოჩნდა თანაც სიცხე იყო, კამეჩებიც შეწუხდენ სიცხით, მაშინ გლეხმა თქვა: „ღმერთმა ხომ იცის მე ბატონს არ მოვატყუებო“. დაუდო ძნები ურემს და წაიღო ილიას სახლში. როდესაც მიიტანა ილიამ გადმოიხედა ბალკონიდგან და დაუძახა: ამოიტანე მოურავის ბარათიო, გლეხმა უპასუხა „ბატონო ილია, მოურავი აღარ მოვიდა, მეც დავიღალე და კამეჩებიც სიცხით შეწუხდენო, ხომ ღმერთმა იცის, მე თქვენ არ მოგატყუებთო“, ამაზედ ეს გლეხი თავის ურმით ილიამ უკან გამოაბრუნა, გლეხი დაბრუნდა უკან და რომ მივიდა ადგილას, მოურავი უკვე იქ დახვდა, აქაც მოურავმა ორი მათრახი მოარტყა. მეოთხე წერილში ეწერა რომ, ერთმა გლეხმა სოფელ ზაქარიდან, რომელიც მიდიოდა ქალაქისკენ გზაში დიდი ლაფის გამო, გადაიარა ილიას ბაღში ნაბარზედ, ამ დროს თურმე ილია მუშებს ადგა თავზე და აბარვინებდა, გლეხმა სალამი მისცა ილიას, ილიამ უთხრა ამ გლეხს: „შენ ამ დაბარულ ბაღზედ გზას აკეთებო“, გლეხმა ბოდიში მოიხადა, მაგრამ ილიამ გაახდევინა გლეხს შინელი და ამუშავა საღამომდის ბაღში, შემდეგ კი გაუშვა. ამისთანა წერილები ბევრი იყო, ყველა წერილები იყო ნაწერი ფილიპე მახარაძის. ამ გაზეთებში ინაშვილის წერილებიც იყო მოთავსებული ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო, როდესაც ამ წერილებს კითხულობდა ინაშვილი, თანაც გლეხებს ეკითხებოდა თუ რამდენად სიმართლეს შეიცავდა ეს წერილები, გლეხები ამ ფაქტებს ადასტურებდნენ. შემდეგ პირადათ დაიწყო ლაპარაკი ინაშვილმა: „ხომ ხედავთ რომ 1905 როდესაც რევოლუციამ იფეთქა მაშინ გლეხებმა აღარ მისცეს მეოთხედი და მესამედები მემამულეებსო“, და 1906 წ. როდესაც რეაქციამ გაიმარჯვა, მაშინ მემამულეებმა გადაახდევინეს გლეხებს 1905 წლის და 1906 წლის ღალები ერთათო. პირადათ ლაპარაკობდა ილიაზედ. გარდა ამისა, როდესაც ილიას გლეხები შეეკითხნენ „თქვენ ბატონო ილია თავისუფლობაზედ სწერამთ და სწერდითო და ეხლა ამდენ ღალას გვახდევინებთო“, ამაზედ ილიამ უპასუხაო: „თქვენ ჩემი დაწერილი ვერ გაგიგიათო, მე დავწერე, რომ უბედურო საქართველო როდის განთავისუფლდები რუსეთისაგანაო. მე ის არ დამიწერია, რომ თქვენ ჩემი ბატონობა წაგერთმიათ და ჩემი მამულიო. შემდეგ ინაშვილმა განაგრძო, რომ ამოდენა სოფლებს გვჭამს ეს ერთი კაციო. და ამას რამე უნდა მოვუხერხოთ და თავი განვითავისუფლოთო. ეს რომ დაამთავრა ინაშვილმა, გლეხები ადგენ და წამოვიდენ, დავრჩით მარტო, მე — ბერბიჭაშვილი, ფშავლიშვილი პავლე, ხიზანიშვილი, ფეიქრიშვილი, ლაბაური თედო, ინაშვილი ვანო, ჯაში დიმიტრი. გამოვიდა ჯაში და დაიწყო ლაპარაკი. რომ ჩემთვის სულ ერთია, მე დღეს აქ ვარ, ხვალ აქედან წავალ, მე აქაური მცხოვრები არა ვარო, მაგრამ ვაი თქვენი ბრალიო. ილია ჭავჭავაძე ძალიან წუწკი კაციაო. ჯაშმა სთქვა, რომ სამი კაპეიკი რომ დარჩეს გლეხზე, იმას არ შეარჩენსო. ერთხელ კიდეც შეველაპარაკე ილიასო „ბატონო, რა არის სამი კაპეიკიო“, მან მიპასუხა რომ სამი კაპეიკი კი არაფერია, მაგრამ მიეჩვევიან და წესები დაირღვევაო. ბოლოს თქვა ჯაშმა, რომ თუ ეს კაცი არ მოიშორეთ, თქვენ თვალზედ ცრემლი არ გაშრებაო, მერმეთ დაიწყო ისევ ინაშვილმა ლაპარაკი... „ხომ უყურებთ, რომ რა დღეში ყრის ხალხსაო. ყველაფერს ხარჯები მოუმატაო, უბრალო ფიჩხსაც ხარჯი დაადოვო. ბოლოს დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: ილია ჭავჭავაძე, როგორც თავადი და მემამულე, უნდა მოიპოსო, ესევე განიმეორა ჯაშმაც. შემდეგ ინაშვილი შეეკითხა ლაბაურს თუ როდის ამოყავდა მას ილია ჭავჭავაძე თბილისიდგან, ლაბაურმა უპასუხა რომ ხვალ დილით ადრე უნდა წავიდე თბილისში და წამოვიყვანო ილიაო. შემდეგ ინაშვილმა გაიყვანა გვერდზედ ლაბაური და მოელაპარაკა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ლაბაური და სად იქნებოდენ ჩამალული ილიას მოსაკლავად. ამ ლაპარაკზედ ჯაშიც მოვიდა. ინაშვილი, ჯაში და ლაბაური ამ მოლაპარაკების შემდეგ წამოვიდენ, და ჩვენ ოთხნი მე, ფეიქრიშვილი, ფშავლიშვილი და ხიზანიშვილი დავრჩით იმ ღამეს იმ ტყეში, სადაც ლაბაურმა ამოგვიტანა საჭმელი პური და ხორცი. მეორე დღეს ამოვიდნენ ჯაში და ინაშვილი, რომლებმაც ამოიტანეს საჭმელი თანაც ინაშვილმა მე ამომიტანა რევოლვერი №12, თავის ვაზნებით. ნაშუადღევს დაახლოვებით სამ საათზე გამოგვიძღვა წინ ინაშვილი და ჩამოგვიყვანა წიწამურის გზის პირზედ, სადაც ჩაუსაფრდით დაბურულ ტყეში გზის პირას. ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ეტლის ხმა და როდესაც ამოატანა ჩვენს ახლო, ლაბაურმა შეანელა ცხენების სიარული. როდესაც ეტლი მოახლოვდა ჩვენთან, პირველათ ესროლა ბერდენკა ხიზანიშვილმა ილიას, უკანასკნელი გადმოვარდა ეტლიდან, შემდეგ ისროლა ფეიქრიშვილმა და როდესაც ლაქია იაკოფა წამოხტა და მოიკიდა რევოლვერზედ ხელი, მაშინ მე — ბერბიჭაშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა და ინაშვილმა ვესროლეთ იაკოფას რევოლვერებიდგან. ფეიქრიშვილმა კი ესროლა ორლულიანი თოფით, იაკოფამ ერთი გასროლა რევოლვერიდგან კიდო მოასწრო, შემდეგ კი დავარდა ჯაგნებში და მოკვდა.

**შეკითხვა: რა ნივთები წაიღეთ მკვლელობის შემდეგ?**

**პასუხი:** პირადათ მე ავიღე სათვალეები და კორობკა ხუთი ბეჭდებით (ოქროს ბეჭდები), ფეიქრიშვილმა აიღო ჩემოდანი და ოქროს საათი, ხიზანიშვილმა წაიღო ბოხჩა, სადაც ტანსაცმელები იყო. ყველაფერი ეს ავიტანეთ იქ საიდანაც წამოვედით და იქ ყველაფერი ჩაიბარა ინაშვილმა, რომელმაც გვითხრა, რომ ეხლა ყველამ თავს მოუარეთ, ეს კი დრომდის თავის ადგილზედ იქნება შენახულიო.

**შეკითხვა: საფულე ვინ ამოაცალა ილია ჭავჭავაძეს?**

**პასუხი:** საფულის და ფულის მე არაფერი არ ვიცი.

**შეკითხვა: ჯაში სად იყო ამ დროს, როდესაც თქვენ ილიას მკვლელობა ჩაიდინეთ?**

**პასუხი:** მკვლელობაზეც ჯაში არ დაგვსწრებია, ის იქ დარჩა, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ და საიდანაც წამოვედით.

**შეკითხვა: რამდენჯერ გქონდათ მოლაპარაკება თქვენ აღნიშნულ ჯგუფს ილიას მოკვლის შესახებ?**

**პასუხი:** მოლაპარაკება იყო, როგორც მოგახსენეთ, ერთხელ ზემოთ აღნიშნულ ტყეში.

**შეკითხვა: ვინ იყვნენ მთავარი ორგანიზატორები ილიას მკვლელობის მოწყობაში?**

**პასუხი:** მთავარი ორგანიზატორები იყვნენ ინაშვილი და ჯაში, რომლებიც ავრცელებდნენ, ამუშავებდნენ გაზეთებიდან ფ. მახარაძის და ინაშვილის წერილებს ილიას საწინააღმდეგოთ.

**შეკითხვა: თქვენ თუ გქონიათ როდესმე პავლე ფშავლიშვილის სახლში მოლაპარაკება ილია მკვლელობის შესახებ?**

**პასუხი:** ფშავლიშვილის სახლში ჩვენ არ ვყოფილვართ და არც იყო საჭირო, ვინაიდან ჩვენ ტყეში უფრო თავისუფლათ ვგრძნობდით თავს და ახლოსაც ვიყავით დამიზნულ ადგილთან.

**შეკითხვა: ილიას მოკვლის შემდეგ რამდენი ხნის განმავლობაში გაიქეცით დუშეთის მაზრიდან?**

**პასუხი:** დუშეთის მაზრაში დავრჩი სანამ არ აცივდა. დაახლოვებით ოქტომბრის თვეში წავედი ქალაქში, საიდანაც შემდეგ წავედი ბაქოში და იქიდგან გავიპარე სპარსეთში, რაზედაც უკვე წინა ჩვენებებში მოგახსენეთ. მეტი ამის შესახებ არაფერი არ ვიცი.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვებით სწორე რაც წავიკითხე და ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი***

*დავკითხე:* ***მაღრაძე.***

### ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე. 24 ივნისი 1941წ.

*დაკითხვა დაიწყო 22 ს. 35 წ. დაკითხვა დამთავრდა 2 ს. 05 წ.*

**შეკითხვა: თქვენ ისურვეთ დღეს რომ გამომეძახნა თქვენთვის, დამატებითი ჩვენების მისაცემად, თქვენი სურვილი აგისრულეთ. ეხლა მოგვიყევით დაწვრილებით რა გინდათ დაუმატოთ თქვენ წინანდელ ჩვენებებს?**

**პასუხი:** პირველი ის, რომ მე მინდა ვთხოვო სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ბაქრაძეს, რათა შევიდეს ჩემი ბავშვების მდგომარეობაში, როგორც ის ჩემს ბავშვებს იცნობს, ვინაიდგან მის ხელში არიან აღზრდილი, და გაუწიოს სათანადო დახმარება და ამას გარდა მინდა ვსთხოვო, რომ ჩემი სასჯელი მოხდეს გასახლებით.

**შეკითხვა: სხვა რა გინდათ კიდეო ილაპარაკოთ?**

**პასუხი:** მინდა შევიტანო შესწორება ჩემს 13 ივნისის ჩვენებაში იმაზედ, რომ: ვითომდა ილიას მკვლელობის წინათ ინაშვილმა და ჯაშმა წაგვიკითხეს ფ. მახარაძის წერილები ილიას საწინააღმდეგოთ — ეს სიმართლეს არ შეიცავს, ვინაიდგან იქ სადაც ჩვენ თავი მოვიყარეთ გაზეთებს კი არ გვიკითხავდნენ არამედ ლაპარაკობდენ ზეპირათ. რაც შეეხება წერილებს, ფ. მახარაძისას, მე ასეთები არ მინახავს, მხოლოთ ლაპარაკი იყო გლეხებში ჩამოვარდნილი, რომ მაგ კაცს ე.ი. ილიას, სუყველა კუთხიდან ემდურიანო.

**შეკითხვა: მაშ როგორ დაისწავლეთ ის ოთხი საბუთები, რომელიც თქვენ დაგვაწერინეთ თქვენ ჩვენებაში 13 ივნისს ა.წ.?**

**პასუხი:** ესენი ჩამრჩა გულში ჯაშის, ინაშვილის და გლეხების ნალაპარაკები.

**შეკითხვა: მაშ რათ მოგვატყუეთ თქვენი ჩვენებით 13 ივნისს 1941 წელს?**

**პასუხი:** მე დაუშვი შეცდომა.

**შეკითხვა: მაშასადამე თქვენ შეცდომა დაუშვით იმაშიდაც, რომ ვითომდა თქვენ ძალით წაგიყვანეს ილია ჭავჭავაძის მოსაკლავად. გვიპასუხეთ ამაზედ სიმართლე?**

**პასუხი:** გიპასუხებთ, რომ მე ძალით წამიყვანეს პირველათ ტყეში, შემდეგ, როდესაც ჯაშმა და ინაშვილმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და გაგვიწიეს აგიტაცია მერე მე ძალდატანება არ დამჭირვებია.

**შეკითხვა: რას დასძენთ კიდო მეტს?**

**პასუხი:** მეტი დასაძენი არაფერი მაქვს.

*ჩვენება ჩაწერილია ჩემი სიტყვით, სწორე, რაზედაც ხელს ვაწერ:* ***ბერბიჭაშვილი.***

*დავკითხე:* ***მაღრაძემ.***

**გაგრძელება იქნება**



ქეთევან ხამიცაშვილის საავტორო ჩანართი

ოთარ რამიშვილი:

# თევზაობაზე აზარტული ამქვეყნად არაფერია!

*კომპოზიტორი, ცნობილი მომღერალი* ოთარ რამიშვილი *თავისუფალ დროს თევზაობითა და გიტარით იქცევს თავს. „ამქვეყნად თევზაობაზე მეტად აზარტული საქმე არ მეგულება", — ამბობს ცნობილი მეთევზე და სიამაყით იხსენებს იმ დროს, როცა ალაზანზე 30-კილოგრამიანი ლოქო დაიჭირა.*

— ახალგაზრდობაში ბანქოსა და პოკერის თამაშით მაინცდამაინც არ ვინტერესდებოდით. მაშინ ვაკეში ვცხოვრობდი, კავსაძის ქუჩაზე. ბიჭები კოჭობანას კი თამაშობდნენ, მაგრამ მე და ჩემი მეგობრები სპორტულ თამაშებს ვანიჭებდით უპირატესობას — ფეხბურთს, კრივს, ჭიდაობას, ჭადრაკს, ნარდს. თამაშს თან მოჰყვებოდა ქეიფი, დროსტარება, გულში ჩახუტება, გიტარაზე დაკვრა. ვისაც კარგი სადილი ჰქონდა, იმასთან ვიკრიბებოდით. გურამ ჭელიძე, გივი ზვიადაძე, დემურ გვასალია და სხვები — ესენი ჩემი მეგობრები იყვნენ, მათთან დროის უდიდეს ნაწილს ვატარებდი, ფეხბურთის მატჩებსაც ერთად ვუყურებდით, ერთად ვერთობოდით. გუნდში ჩემი რჩეულებიც მყავდა, მაგრამ ყველაზე ახლოს კოტე მახარაძეს ვიცნობდი. ისიც ხომ თავისი საქმის მოტრფიალე იყო, როგორი აზარტით მიჰყავდა საფეხბურთო მატჩები! სხვათაშორის, ჩემი სიმღერების პირველი ჩანაწერი კოტეს სიმამრს, რეჟისორ მიხეილ ჭიაურელს ჰქონდა. კოტესთან და სოფიკოსთან ახლოს ვიყავი, სოფიკომ თვითონ მითხრა ამ ჩანაწერების შესახებ.

გატაცებით ვთამაშობდი ბილიარდს, ჩემს ახალგაზრდობაში ერთგვარი მოდა იყო. რამდენიმე ჩემს მეგობარს სახლში ჰქონდა ბილიარდის მაგიდა, მათთან დავდიოდი. ვერ გეტყვით, რომ რთული თამაშია — გაყინული ჯოხით ეტაკები გაყინულ ბურთს, ცდილობ, ბადეში ჩააგდო *(იცინის)*. რაც ჩამოგითვალეთ, იმათგან ყველაზე კარგად ფეხბურთს ვთამაშობდი, შეიძლებოდა ჩემგან ფეხბურთელიც გამოსულიყო, მაგრამ მუსიკა ავირჩიე — გიტარა. ბოქსსაც კარგად ავუღე ალღო, ხელთათმანებიც მქონდა, მთელი აღჭურვილობა, ახლა ბავშვებმა სადღაც გადაკარგეს. შესანიშნავი მოკრივე ირაკლი მელაძეც ჩემი მეგობარია.

**— კაზინოში გითამაშიათ?**

— არა, რა მინდა კაზინოში, იქ რომ იარო, ფული უნდა გქონდეს, თავისუფალი დრო. ხალხი ფულს აგროვებს, მე მარილების დაგროვება დავიწყე, ფეხები მტკივა. თევზაობა მიყვარს, ამაზე აზარტული არაფერი მეგულება. წარმოიდგინეთ, ალაზანზე 30-კილოგრამიანი ლოქოც კი დამიჭერია. მახსოვს, სიღნაღთან მილიციამ გამაჩერა. შიშველი ქალი წევს-მეთქი, თევზზე, ვუთხარი. ქალი კი არა, თევზიაო — მიპასუხეს და ჩემი



„შეიძლებოდა ჩემგან ფეხბურთელიც გამოსულიყო, მაგრამ მუსიკა ავირჩიე — გიტარა..."

დაჭერა მოისურვეს.

**— სად თევზაობთ ახლა?**

— ყველგან, სადაც აკრძალულია. რატომღაც ხალხს უშლიან ახლა თევზაობას, თითქოს მათი გაშვებულია თევზი მდინარეში.

**— ანკესით თევზაობთ?**

— ანკესითაც, აკრძალული იარაღითაც.

**გულნაზი რამიშვილი,** ***ოთარ რამიშვილის მეუღლე:*** — იმდენი თევზი მოჰქონდა, მანქანის საბარგული აღარ იხურებოდა. გასუფთავებულ თევზს მაცივარში ვინახავდი. მაგრამ, შემდეგ, როცა მომზადებას დავაპირებდი, ნურას უკაცრავად, თევზი სადღა მხვდებოდა! მეგობრების ოჯახებში არიგებდა. ერთხელაც, აღარ გავასუფთავე. საყვედურით დამირეკეს მათმა მეუღლეებმა — აღარ გვინდა ამდენი თევზიო *(იცინის)*. თანაც, იცით, რას აკეთებ-



„კუს ტბა ჩემი საყვარელი სათევზაო ადგილია"

„ცალი ხელით კოზრი მიჭირავს, მეორით კი ირლანდიური სეტერი — „მარდი", რომელიც გავყიდე და საკონცერტო გიტარა ვიყიდე. 34 წელია იმ გიტარით ვუკრავ..."



თამაზ თევდორაძე და ოთარ რამიშვილი ალაზანზე თევზაობისას

„არა, რა მინდა კაზინოში, იქ რომ იარო, ფული უნდა გქონდეს, თავისუფალი დრო. ხალხი ფულს აგროვებს, მე მარილების დაგროვება დავიწყე, ფეხები მტკივა"

და, თევზს რომ მიუტანდათ, აბაზანაში ყრიდა. მე მსაყვედურობდნენ, საბანაოდ მეზობლებთან დავდივართ, ჩვენს აბაზანაში თევზები დაცურავენო... ოთარის გადასაღებად ტელევიზიიდან ხშირად მოდიოდნენ, მის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. ვეუბნებოდი, იქნებ ეს კაცი ცოტა ხანს დაიჭიროთ, ამდენი თევზისაგან დავისვენოთ-მეთქი *(იცინის)*.

**— სათევზაოდ სად დადიხართ, ბატონო ოთარ?**

— ვერეზე, ხრამზე, არაგვზე. ეს ბავშვები ტოტალიზატორში რომ დარბიან, წავიდნენ მდინარეზე, თევზი დაიჭირონ. ამაზე დიდი განტვირთვის საშუალება არ არსებობს. ვინ აღარ დადიოდა ჩემთან ერთად სათევზაოდ. ადრე რაიკომის მდივნებიც კი მოდიოდნენ.

**— ახლა მდინარეებს რომ ყიდიან, სადღა ითევზავებთ?**

— „იყიდება, იყიდება ნელ-ნელა, სული, ხორცი, განძი საქართველოსი, დაგვამსგავსეს ყველა „შპრიცებს" ერთჯერადს, სარეველებს ბაღების და მდელოსი" *(მღერის)*. მოგვიწევს მეთევზეებს თევზის ყიდვა ბაზარში.

**გულნაზი რამიშვილი:** — მახსოვს, სათევზაოდ წაიყვანა ჩემი შვილები თავის მეგობრებთან ერთად. დენის აპარატით თევზაობდა ხოლმე...

**ოთარ რამიშვილი:** — რას ამბობ, ქალო, დამიჭერენ...

**გულნაზი**: — ნუ გეშინია, გენაცვალე... ჰოდა, ერთ-ერთი ბავშვი დაიკარგა. მთელი საღამო ეძებეს, თუკი ვინმე გამვლელს წააწყდებოდნენ, აქ ბავშვმა ხომ არ ჩაიარაო, ეკითხებოდნენ. იმ ბიჭს, ბესო კალანდაძეს, დღემდე „ჩაიარას" ეძახიან *(იცინის)*.

**ოთარ რამიშვილი:** — თევზაობა არის აზარტი, ბოლოს ავადმყოფობად იქცევა. თუ პურ-მარილზე გეპატიჟებიან, საჩუქრებს გთავაზობენ, ყველაფერზე უარს ამბობ, ანკესი და ბადე ყველა სურვილზე მაღლა დგას.

**გულნაზი**: — მახსოვს, სახლში მეთევზის ნავი მოიტანა, ცოტა შელახული იყო და აივანზე გულმოდგინედ არემონტებდა. ბოლოს საქმე ნიჩბებამდე რომ მიდგა, დაჯდა ამ ნავში, ნიჩბები მოუსვა და, რაღაც არ მოეწონა, გრძელიაო და ნიჩბის სიგრძე დაამოკლა. ბოლოს გალაღებული ჩაჯდა ამ ნავში და ნიჩბებსაც ენერგიულად უსვამდა, ახლა კარგიაო, კმაყოფილი იყო. კი მაგრამ, ოთარ, ეგ ნავი აივანზე დგას, წყალში კი არა ხარ-მეთქი *(იცინის)*. როგორ, აქ წყალი არ არისო, გაუკვირდა... ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ეზოში ჩაიტანა ეს ნავი და ბავშვებს რიგრიგობით სვამდა შიგ. ერთი ბავშვი გაებუტა კიდეც, ოთარი ბიძია ნიჩბებს არ მასმევინებსო *(იცინის)*. ეს კურიოზული ამბავი სამტრედიაში მოვყევი ერთ ცნობილ ექიმთან. იმან კიდევ, ბატონ ოთარს თავი უნდა დავამახსოვროო და ეს ჩემი მონაყოლი უამბო, ვითომდა, ექსტრასენსი ვარ, შენი წარსული დავინახეო. ექსტრასენსის ნიჭიერებით აღფრთოვანებული ოთარი მეგობრებს სამტრედიაში ეპატიჟებოდა, ექიმთან უნდა წაგიყვანოთ, წარსულს გიამბობთ და მომავალს გიწინასწარმეტყველებთო. ავტობუსიც კი დაიქირავეს საგანგებოდ. ძალიან გაღიზიანდა, სიმართლე როცა შეიტყო...

**ოთარ რამიშვილი:** — მე ვარ ადამიანი, რომელმაც უნდა იმღეროს, ასწავლოს ბავშვებს დაკვრა, შეაყვაროს მუსიკა. თუ ბევრი მომბაძავს, საქმესაც გააკეთებს და არც საკუთარ გატაცებას უღალატებს, თევზაობაზე უარს არასოდეს ვიტყვი. აბა, ვინმემ დამიმტკიცოს, რომ ამაზე დიდი აზარტი არსებობს ამქვეყნად.

*ლეგენდარულ სანდრო ახმეტელს სატუსაღოში ერთი პატიმრისთვის უთქვამს: ახლა ჭკვიანი ხალხის დაპატიმრების დროა, თავი მოისულელე, რომ არაფრად ჩაგთვალონ, იქნებ გადარჩეო... თვითონ ვერ გადარჩა... არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა კოტე მარჯანიშვილს, გულის შეტევით რომ არ გარდაცვლილიყო... თუმცა, ამ ორი გენიოსი რეჟისორის პიროვნება მსახიობებმა ბოლომდე ვერ ამოიცნეს.*

## მიხეილ კალანდარიშვილი:

# სანდრო ახმეტელი მსახიობებს მარჯანიშვილის რეპეტიციებზე სიარულს უკრძალავდა!





სანდრო ახმეტელი

**მიხეილ კალანდარიშვილი, ხელოვნებათმცოდნე:** — ჩემი სტუდენტობის დროს თეატრის კრიტიკოსები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი: ერთნი კოტე მარჯანიშვილს უჭერდნენ მხარს, მეორენი — სანდრო ახმეტელს. იმისთვის, რომ ამ ორ დიდ რეჟისორს შორის არსებული კონფლიქტი ობიექტურად შემეფასებინა, ვხვდებოდი ორივე მხარის წარმომადგენლებს, თეატრალებს და მათ შესახებ ვესაუბრებოდი. ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ისინი იყვნენ გენიოსები, ამავე დროს, რთული პიროვნებები. სანდრო ახმეტელს ახასიათებდნენ, როგორც უნიჭიერეს რეჟისორს, ამავე დროს, მეტად ფიცხს. ცნობილი ფაქტია, რომ სანდრო ახმეტელი თავის მსახიობებს მარჯანიშვილის რეპეტიციებზე არ უშვებდა და პირიქით, მარჯანიშვილიც უკრძალავდა მსახიობებს ახმეტელის რეპეტიციაზე დასწრებას. ამქვეყნიდან ისე წავიდნენ, ერთმანეთის სპექტაკლები არ უნახავთ.

**— სანდრო ახმეტელი დახვრიტეს. როგორ გგონიათ, კოტე მარჯანიშვილს დაინდობდნენ?**

— მომაკვდავი ლენინის სარეცელთან მაქსიმ გორკი იჯდა, ბელადის ყოველ სიტყვას იწერდა. ლენინს სწორედ მაშინ უთქვამს: ინტელიგენციას ხელი არ უნდა გაუწოდოთ! ეს იყო 1924 წელი. ამის გათვალისწინებით, ახმეტელსაც და მარჯანიშვილსაც ერთი ბედი ელოდა, უბრალოდ, 1933 წელს მარჯანიშვილი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ასე რომ არ მომხდარიყო, 1937 წელს მასაც დახვრეტდნენ. ახმეტელს ხომ „ბურჟუა-ნაციონალისტს" უწოდებდნენ, მარჯანიშვილს — „ბურჟუა-ესთეტს". ახმეტელი ამ უკანასკნელის მოწაფე იყო, შემდეგ ის ფართო დიაპაზონის რეჟისორი გახდა. ხოლო, სანამ რეჟისორი გახდებოდა, პოლიტიკური მოღვაწე იყო, ფედერალისტი, თავის სპექტაკლებში ცდილობდა, ფედერალიზმის იდეა გაეტარებინა.

**— მაინც რა მოხდა ამ ორ გენიოსს შორის?**

— მათ შორის სამსახურებრივი დაპირისპირება იყო და არა პიროვნული უთანხმოება. ფაქტობრივად, ახმეტელმა მარჯანიშვილს ძალაუფლება წაართვა. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულება ოდესმე თავს იჩენდა. შემდეგ, როდესაც ახმეტელი თეატრის ხელმძღვანელი გახდა, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ დაშალა კორპორაცია „დურუჯი".

**ვასილ კიკნაძის მოგონებიდან:** „ახმეტელის ოთახში შეიკრიბნენ მსახიობები: უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, კუკური პატარიძე. — რატომ დაშალე დურუჯი? — ეკითხებიან ახმეტელს. ახმეტელი იწყებს ახსნას, თუ რა მოხდა. ალექსანდრე გველესიანის ხმა: — ჯერ გამოგვიყენე მარჯანიშვილის წინააღმდეგ, მერე აღარ დაგჭირდით და „დურუჯი" დაშალე. სანდრო ახმეტელი: თვითონაც მესმის, რომ შეცდომები დავუშვი, მაგრამ კოტე მარჯანიშვილს ხომ მივწერე წერილი, ვთხოვდი, თეატრში დაბრუნებულიყო, თქვენი სავარძელი გელოდებათ-მეთქი. მან კი კონვერტიც არ გახსნა, უკან გამომიგზავნა... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ახმეტელმა თვალი მოავლო სათითაოდ ყველას, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, უცებ იატაკზე გაიშხლართა. ძლივს მოასულიერეს. ერთადერთი ფრაზა თქვა: „მარტო დამტოვეთ..." თვითონ მარჯანიშვილიც ხომ მსახიობებმა გახადეს იძულებული, საქართველოდან წასულიყო.

**— ახმეტელი მართლა არ უშვებდა ბერიას რეპეტიციაზე?**

— დიახ, სიმართლეა, ახმეტელი ლავრენტი ბერიას რეპეტიციაზე არ უშვებდა და არა მარტო მას. იგი ახლოს იცნობდა სტალინს, ორჯონიკიძეს (მათთან ერთად გადაღებული ფოტოც არსებობს), ეგონა, ბოლომდე არ გასწირავდნენ. ახმეტელი რეპეტიციებზე არ უშვებდა ცნობილ კრიტიკოსს ბესო ჟღენტს. ან თუ დაუშვებდა, განკარგულებას გასცემდა: მაინცდამაინც შემოსვლა თუ უნდა, პარტერის ბოლო სკამზე დაჯდესო. ბესო ჟღენტი ახმეტელზე კრიტიკულ წერილებს წერდა, არ ინდობდა. მის მიმართ კეთილად განწყობილი არ იყო არც პოეტი სიმონ ჩიქოვანი, ასევე დიმიტრი ჯანელიძე. თუმცა, ბოლოს, ბატონი დიმიტრი ახმეტელზე საუბრისას ცრემლს ვერ იკავებდა.

**— რატომ დაუპირისპირდა ახმეტელს სერგო ამაღლობელი?**

— სანამ თამარ წულუკიძე ახმეტელს გაჰყვებოდა ცოლად, ცნობილი კრიტიკოსისა და მკვლევარის სერგო ამაღლობელის მეუღლე იყო. ეს უკანასკნელი რაღაც პერიოდში რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო. ახმეტელს ვერ შეეწყო. მოსკოვში გააგრძელა მოღვაწეობა. ახმეტელთან სერგო ადრეც დაპირისპირებული იყო, შემდეგ კი, როცა ცოლმა მიატოვა და სანდროს გაჰყვა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გამწვავდა მათი ურთიერთობა.

**— სანდრო ახმეტელს მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის" დადგმა სურდა, რატომ ვერ განახორციელა?**

— ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

**— სანდრო ახმეტელს პირველი ოჯახი მიტოვებული ჰყავდა?**

— დიახ, მისი პირველი მეუღლე გახლდათ ტასო როსტომაშვილი, რომელთანაც ვაჟი ჰყავდა. სამწუხაროდ, ახმეტელის ვაჟი სრულიად ახალგაზრდა ტრაგიკულად დაიღუპა. თამარ წულუკიძესთან შვილები არ ჰყავდა. თვითონ ქალბატონი თამარი ულამაზესი ქალი იყო, ახმეტელის დახვრეტის შემდეგ ისიც გადაასახლეს, მერე ოჯახიც შექმნა. მესამე თუ მეოთხე ქმარი ჰყავდა, ბელორუსიაში ცხოვრობდა . თამარ წულუკიძეს პირადად ვიცნობდი, როდესაც თბილისში ჩამოვიდა რუსთაველის თეატრის იუბილეზე, შევხვდი კიდეც.



სერგეი კიროვი, საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი მიხეილ კახიანი, იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე და სანდრო ახმეტელი



„ყაჩაღები" – თამარ წულუკიძე



თამარ წულუკიძე



„ლამარა" – თამარ წულუკიძე

**— სანდრო ახმეტელი თვითონ რუსთაველის თეატრში ცხოვრობდა?**

— დიახ, რუსთაველის თეატრის მეხუთე აუდიტორიაში. რეპრესიების შემდეგ სად წაიღეს მისი პირადი ნივთები, უცნობია.

**— რა როლი ითამაშა თამარ წულუკიძემ სანდრო ახმეტელის ცხოვრებაში?**

— საერთოდ, ცოლს უდიდესი როლი აკისრია ქმრის ბედიღბლის გადაწყვეტაში. ალბათ, ამ შემთხვევაშიც ასე იყო.

**— ახმეტელმა აკაკი ხორავა მართლა დასაჯა?**

— ასეთი რამ მართლაც მოხდა. ბაქოში გასტროლების დროს ხორავა ნასვამი მივიდა სპექტაკლზე... რაც არ უნდა დიდი მსახიობი ყოფილიყო, ახმეტელი უდისციპლინობას არავის აპატიებდა.

ახმეტელის სპექტაკლებში ყველაფერი გათვლილი იყო, მას მსახიობის ერთი ნაბიჯი არ გამოეპარებოდა. „ყაჩაღებში" იყო ერთი სცენა — გერმანელი სტუდენტები ტავერნაში „ტაბურეტკებს" ისვრიან. სცენაზე სკამები „დაფრინავდა". არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, სკამები იქით არ გაფრენილიყო, საითაც რეჟისორს ჰქონდა ჩაფიქრებული.

**— კომპოზიტორსა და მხატვარს რა უპირატესობას ანიჭებდა?**

— მუსიკას ახმეტელთან მხოლოდ ილუსტრაციული ხასიათი ჰქონდა, მხატვრობას კი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ერთხელ ირაკლი გამრეკელმა უთხრა — დეკორაციებს თქვენგან დამოუკიდებლად გავაკეთებო. ახმეტელი დაეთანხმა, მაგრამ როდესაც შექმნილი დეკორაციები ნახა, ნაჯახით დაჩეხა — მასში ის სცენა ვერ დაინახა, რომელიც მას წარმოდგენილი ჰქონდა.

**— ვინ იყო სანდრო ახმეტელის ოჯახის მეგობარი?**

— მის მეგობრად კუკური პატარიძე ითვლებოდა. მაგრამ, როდესაც ახმეტელის შემოქმედების შესახებ წერილი დავწერე, მისი გენიალურობა ვაღიარე და მსოფლიო დონის რეჟისორებს გავუტოლე, ამ უკანასკნელმა ქუჩაში დამინახა თუ არა, დაიძახა - არა თეატრი ახმეტელი! რა უნდა ვიგულისხმო ამაში, ძნელი სათქმელია...

**ვასილ კიკნაძის მოგონებიდან:** „დოდო ალექსიძემ სანდრო ახმეტელი (უკვე მოხსნილი თეატრიდან) თეატრის მოპირდაპირე მხარეს ჭადრის ხეს მიყრდნობილი დაინახა. ის უსაზღვრო სევდით გასცქეროდა თეატრს — ალექსანდრ ვასილევიჩ, რა მოგივიდათ, ცუდად ხომ არ ხართ?! — ჰკითხა დოდომ. — ცუდად ვარ, წამიყვანე სახლში! — იყო პასუხი..."

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილი წერილის „არ ენდოთ" შესახებ გვიწევს განმარტების მიცემა.

მასში 24 მაისს, თურქეთში, ათათურქის აეროპორტში გაჩენილი ხანძრის შესახებ ვსაუბრობდით და საეჭვოდ მივიჩნიეთ კომპანია United Air & Parcel-ის ბარგის დაწვის ფაქტი.

ჩვენი შემდგომი გამოძიებით, თურქეთის აეროპორტისა და თურქული მხარის სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული დასტურ-წერილების საფუძველზე დადგინდა, რომ იმ ხანძარში მართლაც დაიწვა კომპანია United Air & Parcel-ის ქონება, ანუ მის მიერ გაგზავნილი ტვირთი საქართველოსათვის.

კომპანიამ უკვე წერილი გაუგზავნა ყველა გამგზავნს და იტვირთა პასუხისმგებლობა, რომ მათი სახელით დაიცავდა უფლებებს საერთაშორისო ინსტანციებსა თუ სადაზღვევო კომპანიებში.

რედაქცია წუხს ამ დაუზუსტებელი ინფორმაციის დაბეჭდვის გამო.

***ქართლოს ხოტივარმა უკრაინელი მწერლის მიხეილ ზოშჩენკოს მოთხრობის „სერენადის“ მიხედვით 1969 წელს ფილმი გადაიღო. მთავარ როლებზე მიიწვია თავისი მეგობარი და კლასელი, პროფესიით ფინანსისტი ზოზო (იაზონ) ბაქრაძე და ახალბედა მსახიობი (ყოფილი მათემატიკოსი) რამაზ გიორგობიანი. ფილმმა უდიდესი მოწონება დაიმსახურა, ავსტრალიაში „ვერცხლის ჯვრის თანავარსკვლავედით“ დაჯილდოვდა, რაც 70-იან წლებში უდიდეს მიღწევად ითვლებოდა. რუბრიკის სტუმარია რეჟისორის ძმა, ასევე რეჟისორი ბუბა ხოტივარი, რომელიც „სერენადის“ გადაღების პროცესებზე გვესაუბრება.***



„ზოზო ბავშვივით გულუბრყვილო იყო, კეთილი და გულიანი“

# ზოზო ფინანსისტი იყო, რამაზი - მათემატიკოსი მაგრამ „სერენადაში“ არაჩვეულებრივად ითამაშეს

- „სენერადა“ გადაღებულია 1969 წელს. მუშაობა თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჩანაფიქრი, რომ მიხეილ ზოშჩენკოს მოთხრობის მიხედვით ფილმის გადაღებას აპირებდა, ჩემმა ძმამ ორი-სამი წლით ადრე გამანდო. ზოშჩენკო შესანიშნავი მწერალი იყო, ძირითადად, იუმორისტულ ნოველებსა და მოთხრობებს წერდა, მაგრამ ყველა მათგანში მკაცრად სერიოზული აზრი იყო ჩადებული. თავის დროზე ამ მწერალს ძალიან აკრიტიკებდნენ, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხიც კი იდგა რეპრესიების წლებში, მაგრამ გადარჩა.

**- როგორც ფილმს, ნოველასაც იგივე სათაური აქვს?**

- დიახ. სიუჟეტიც იგივეა - ორი ძმაკაცი ჩხუბობს გოგონას გამო - ერთი არის გამხდარი, სუსტი აგებულების, ინტელიგენტი, წესიერი, პატიოსანი ადამიანი (რამაზ გიორგობანის გმირი), მეორე - ისეთივე, როგორც ზოზო ბაქრაძე - დიდი, უშველებელი. მოთხრობა, ასე ვთქვათ, გადმოვაქართულეთ. სხვათაშორის, ამის მაგალითი მრავლადაა ქართულ კინემატოგრაფიაში. მაგალითად, ლუიჯი პირანდელოს მოთხრობის მიხედვითაც გადაიღეს ქართული ფილმი („ლაზარეც“ ასევე შეიქმნა, გადაღება ქართლოსმა დაიწყო, შემდეგ მე დავასრულე). „არ დაიდარდო“ სცენარი ფრანგი ავტორის ტილიეს მიხედვით არის დამუშავებული. ამ ყველაფერს ქართული კინოსთვის კარგი შედეგი მოჰქონდა, ლიტერატურა და კინო ინტერნაციონალურია... ქართლოსმა სცენარის შესაქმნელად მიმართა რეზო გაბრიაძეს (მაშინ ახალგაზრდა იყო, დაახლოებით ერთ კვირაში წერდა არაჩვეულებრივ სცენარებს. „არაჩვეულებრივი გამოფენის“ სცენარიც ერთ კვირაში დაწერა). აქვე მინდა, აღვნიშნო შოთა სალუქვაძის დამსახურებაც (ტელეფილმების სტუდიის მთავარი რედაქტორი), რომელმაც კბილებით გაიტანა „სერენადის“ სცენარი. ტელევიზიაში ეს მასალა არ მოეწონათ - ორი მამაკაცის ჩხუბის ცქერა რა საინტერესოა, ამით მხოლოდ აგრესიას ვაჩვენებთ. ჩვენ უნდა ვემსახუროთ ჰუმანიზმს, ავსახოთ მუშების ცხოვრება, ქარხნები, მშენებლობის პროცესიო. სხვათაშორის, ფილმში მოქმედება სწორედ სამშენებლო ობიექტზე ვითარდება - მუშების თემაა გაშუქებული და ა. შ., მაგრამ იუმორი დაკარგული არ არის.

**- მსახიობები როგორ შეარჩია რეჟისორმა?**

- მთავარია მსახიობის პოვნა (თუ არა გყავს შესაბამისი მსახიობი, ფილმი არც უნდა გადაიღო). რამაზი მაშინ ახალბედა მსახიობი იყო, ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვეში“ შედგა მისი დებიუტი. ქართლოსმა „გიორგობისთვე“ ნახა თუ არა, მაშინვე თქვა, ფილმში ეს ბიჭი დამჭირდებაო. მეორე გმირს - მაღალსა და სქელს დიდხანს ეძებდა. ქართლოსმა თავის მეგობარსა და კლასელ ზოზო ბაქრაძეს ჰკითხა - ხომ არ იცნობ ვინმეს დიდსა და ჯანიანს, მაღალსო. ზოზოც გმირის ძიებაში ეხმარებოდა. თავიდან ქართლოსს აზრადაც არ მოსვლია, ზოზო თავის ფილმში მოეწვია. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ერთად სადღაც წასულან, ზოზო დაწინაურებულა, ქართლოსს უცებ იდეა მოსვლია - ვის ვეძებ, აგერ არა მყავს გმირიო?! ზოზო ორ მეტრამდე სიმაღლის იყო, დიდი და ზორბა *(იღიმება)*.

**- ზოზო ბაქრაძე პროფესიონალი მსახიობი არ იყო?**

- ზოზო შესანიშნავი ფინანსისტი იყო, ბანკის მმართველის მოადგილე (ბანკის მმართველმა არაფერი იცოდა, ყველაფერს ზოზო აკეთებდა). უნიჭიერესი პიროვნება გახლდათ, კინომოყვარული, შინ მართავდა კინოსეანსებს (150 ფილმი ჰქონდა), მასთან თავს იყრიდნენ მეზობლები, მეგობრები... განათლებული და კულტურული, სიკეთით სავსე, წესიერი კაცი იყო.

1969 წელს „სერენადა“ მოსკოვში ფესტივალზე უცხოელებს აჩვენეს. ძალიან მოეწონათ. ზოზოც იქ იყო. სეანსის დასრულების შემდეგ კოცნიდნენ, ჩქმეტდნენ, ეხუმრებოდნენ. ზოზო უხერხულად იდგა, სირცხვილისაგან წითლდებოდა, პატარა ბუნჩულა ბავშვს ჰგავდა. ზოზომ ძალიან კარგად იცოდა ინგლისური (მაშინ იშვიათობა იყო), გაგაოცებდათ ფენომენური მეხსიერებით. სამწუხაროა, რომ ოჯახი არ შეუქმნია და შვილი არ დარჩა. მორიდებული, მორცხვი იყო, გოგონებთან აქტიურობა ეუხერხულებოდა, თუმცა, ამ ფილმის შემდეგ ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. მაგრამ ჰყავდა ძმა, ძმისშვილები, რომლებიც ძალიან უყვარდა, მათზე ზრუნავდა. „სერენადის“ შემდეგ ზოზო ბევრ ფილმში გადაიღეს.

**- რეჟისორის წინადადება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა?**

- სხვათაშორის, დაიბნა. უარს ეუბნებოდა - მოგეხმარები, შენი ასისტენტი ვიქნები, როგორც გინდა, მიმსახურე, ოღონდ როლი არ მომცეო.... მაგრამ ბოლოს დაითანხმა. თითქოს მარტივი ეპიზოდებია, მაგრამ დიდი შრომის შედეგია, დღე და ღამე რეპეტიციები ჰქონდათ.

**- სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

- თბილისში; მატარებლის ეპიზოდები - ავჭალის სადგურთან. იქ დიდი სამშენებლო პოლიგონი იყო - ბეტონის ფილები, ხრეში... ლალი ხაბაზიშვილი „უჩოტჩიცას“ როლს ასრულებს. ერთი სიტყვით, მთელი სამშენებლო პროცესია გადაღებული. ზოზო მორიდებული კაცი კი იყო, მაგრამ თავისი როლი კარგად აითვისა, თოვლიანი სცენები ბაკურიანშია გადაღებული. თუ გახსოვთ, ზოზომ „ლაზარეშიც“ ითამაშა მღვდლის როლი (კარლო საკანდელიძე ახმოვანებდა). სხვათაშორის, ანარქისტს ვინც თამაშობს - გურამ ნიკოლაიშვილი, ისიც ზოზოსა და ქართლოსის კლასელი იყო.

**- რომელ სკოლაში სწავლობდნენ?**

- მეორე ვაჟთა სკოლაში, სოლოლაკში, გერონტი ქიქოძის ქუჩაზე (ადრე მახარაძის ქუჩა იყო). იმ უბანში არაჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობდა.



ზოზო ბაქრაძე



ზოზო ბაქრაძე და ბაადურ წულაძე



რამაზ გიორგობიანი და ზოზო ბაქრაძე

**- „სერენადამ“ რა პრიზი დაიმსახურა?**

- კინოფესტივალზე „ვერცხლის ჯვრის თანავარსკვლავედი“ აიღო ავსტრალიაში. ეს იმ დროსათვის დიდი გამარჯვება იყო. ფილმმა საკავშირო ფესტივალზეც პრიზი დაიმსახურა.

**- რამაზ გიორგობიანზე რას იტყვით?**

- რამაზი კინემატოგრაფიული წრიდან არ მოსულა, უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, მათემატიკოსი იყო. ოთარ იოსელიანმა აღმოაჩინა, კარგ მსახიობად მის ხელში ჩამოყალიბდა. შემდეგ ქართლოსთან ითამაშა. „მოიწამლა“ ხელოვნებით. სარეჟისოროზეც ჩააბარა. ბევრი კარგი როლი ითამაშა. „გიორგობისთვეში“ სულ „ჭყინტია“... უპატიოსნესი ახალგაზრდა, დამთმობი... რამაზმა დიდ წარმატებებს მიაღწია, კინემატოგრაფიას ალღო აუღო.

**- ზოზომ როგორ შეაფასა საკუთარი თავი?**

- ზოზომ ბევრი იშრომა. ქართლოსს უნდოდა ძლიერი, ჯანღონით სავსე გმირი, რომელიც, ამავე დროს, არის ბუნჩულა, კეთილი; მართალია, ის ჩაგრავს თავისზე გაცილებით სუსტს, მაგრამ ბოლოს აფასებს მის ღირსებას, პიროვნებას და უმეგობრდება. რამაზი და ზოზო ფილმის დასრულების შემდეგაც მეგობრობდნენ.

**- როგორ შეაფასეს კინოკრიტიკოსებმა „სერენადა“?**

- მაშინ ქართულ ფილმებს საზღვარგარეთ თითქმის არ უშვებდნენ. თუ რომელიმე ფილმი გავიდოდა, ის აუცილებლად პრიზს იმსახურებდა. ის პრიზიც, რომელიც ავსტრალიაში დაიმსახურა, ბომბივით გასკდა კინოხელოვნებაში (ამ ჯილდოებსა და პრიზებს დღეს არავინ აქცევს ყურადღებას, თორემ მაშინ ეს დიდ მოვლენად აღიქმებოდა). ყოველი პრიზის მიღება ლახვარი იყო კრემლისთვის, არ სურდათ, გაძლიერებულიყო ჩვენი ეროვნული თვითშეგნება. დიდი როლი ითამაშა მარსელ კარნემ, ფრანგმა კლასიკოსმა რეჟისორმა (კინოფეს-ტივალზე იყო ჩამოსული მოსკოვში), რომელმაც „სენერადა“ ნახა და ამ ფილმის საზღვარგარეთ გატანა და დახმარება აღგვითქვა. დაგვეხმარნენ რუსი ებრაელები, რომლებმაც კინოსახლის დარბაზი დაგვითმეს, მოიყვანეს უცხოელი სტუმრები. დიდი სამუშაო გასწია ქეთი დოლიძემ (რომელიც მაშინ სტუდენტი იყო), მოიწვია უცხოელები. დღესაც მადლობას მოვახსენებ. მახსოვს, ფილმის დამთავრების შემდეგ მარსელ კარნე ქართლოსს გადაეხვია, წარმატება მიულოცა. საბჭოთა ცენზურა იძულებული გახდა, ამ ფილმისთვის საზღვარგარეთ გასასვლელი ვიზა მიეცა. საფრანგეთში დიდი მოწონება დაიმსახურა, ფილმი ჩათვალეს კლასიკად. სხვათაშორის, როდესაც „სერენადა“ მოსკოვის ცენზურას აჩვენეს, მოეწონათ, არ დახურეს. მაგრამ მახსოვს, ერთ-ერთი ცენზორი წამოდგა და თქვა: - ამ ფილმის გაშვება ფართო ეკრანზე არ შეიძლება: აქ დიდი და პატარა ადამიანი ჩხუბობს - ეს მეტაფორაა, დიდი ავიწროებს პატარას, ე. ი. ვინმე სულელმა შეიძლება იფიქროს, რომ დიდი ადამიანი რუსეთია, პატარა - საქართველო. - თქვენ ასე იფიქრეთ, ბატონო ქართლოს? სიჩუმე ჩამოვარდა. ქართლოსმა კითხვით მიუგო - თქვენ როგორ გაიგეთ? ცენზორმა უპასუხა. - მე ასე არ გავიგე, მაგრამ ვინმე იდიოტმა რომ ასე იფიქროს?!

- იდიოტებმა იდიოტურად უნდა გაიგონ, ჭკვიანებმა - ჭკვიანურად, - გაბრაზდა ქართლოსი. ვიღაცამ უკნიდან დაიძახა: ღმერთს ღვთისა, კეისარს - კეისრისა! მაგრამ რაც ითქვა, ჭეშმარიტებას მოკლებული არ ყოფილა. ყველა უცხოურ რეცენზიაში ხაზგასმული იყო - ეს არის გაუტეხელი ქართული სული, რომელიც ებრძვის დამპყრობელს. ასე ესმოდათ. მაგრამ ეს ფილმი თავმოყვარეობაზეა, ღირსების გრძნობაზე, ადამიანურ ურთიერთობაზე.

**- ზოზო როდის გარდაიცვალა?**

- ახალგაზრდა გარდაიცვალა, ორმოცდაათი წლისაც არ იყო. სხვებს უვლიდა, საკუთარ თავს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. რა უნდა გაგჭირვებოდა, რომ გვერდით პირველი არ დაგდგომოდა. მახსოვს, მამაჩემი ავად გახდა. სწრაფად ამოირბინა (ლიფტი არ მუშაობდა), მოგვეხმარა, გვიშველა... მაგრამ ბოლოს თვითონ გახდა ცუდად. რამაზიც გარდაიცვალა, ქართლოსიც... ფილმი თითქმის 40 წლისაა, დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს, მართლაც კლასიკაა, დროს არ ემორჩილება.

***20 წლის წინათ, 1986 წლის ივნისში გაიმართა კინოფილმ „მონანიების“ საზოგადოებრივი ჩვენება. დიდი ქართველი კინორეჟისორის თენგიზ აბულაძის მსოფლიო კინოსივრცეში აღიარებული ამ სურათის მძიმე ხვედრისა და გვიან გამომცხვარი უდიდესი წარმატების შესახებ თითქოს ყველამ ყველაფერი იცის. თითქოს იცის... მაგრამ ის, რასაც ამ პუბლიკაციაში წაიკითხავთ, ფართო საზოგადოებრიობისათვის პირველად გახდება ცნობილი. ეს-ეს არის გამოცემულ წიგნში „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ ედუარდ შევარდნაძე რისკისა და ბრძოლის ამ ეპოპეას დეტალურად რომ აღწერს, ერთ ადგილას შენიშნავს: „საქართველოს ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე გვერდით დაუდგა ამ საქმეს და აქტიურად ჩაერთო“... მივყვეთ „ნუგზარ ფოფხაძის ხაზს“: იგი იტყვის იმას, რაც აქამდე არ უთქვამს.***

# ნუგზარ ფოფხაძე ყვება იმას, რაც აქამდე არ უთქვამს

- საახალწლოდ ლიკანში ვიყავი ჩასული, სადაც თენგიზ აბულაძე შემხვდა და ერთ მშვენიერ დღეს მომავალი ფილმის ფაბულას მომიყვა. მაშინ არც მიფიქრია, რომ ამ სურათთან რაღაც შეხება მექნებოდა.

გავიდა დრო და მირეკავს მაშინდელი ცკ-ის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე. მეუბნება, რომ აწუხებს ერთი პრობლემა, რომელიც თენგიზ აბულაძის ფილმთან არის დაკავშირებული. როგორც ვიცი, შენ ხარო ამის საქმის კურსში.

ვუპასუხე, რომ, თუ „აფთარზეა“ ლაპარაკი (თავიდან ფილმს ასე ერქვა), საქმის კურსშიც ვარ და სცენარიც წაკითხული მაქვს-მეთქი. იმ დროისათვის სცენარი მართლაც წაკითხული მქონდა.

მან მითხრა, რომ ამ თემაზე მოსკოვშიც ჰქონდა ლაპარაკი, კერძოდ, სუსლოვთან, მან თითქოს მხარდაჭერაც აღუთქვა, მაგრამ სუსლოვი გარდაიცვალა, სხვებმა დაპირება დაივიწყეს, საკავშირო კინოკომიტეტის თავმჯდომარე ერმაში კი კატეგორიულად წინააღმდეგიაო.

შევარდნაძეს უსაუბრია რეზო ჩხეიძესთან და მას უთქვამს: ფოფხაძეს შეუძლია მოგვიგვაროს ეს საქმე. დაძალებით ვერაფერს დაგაძალებ, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა შენზეაო.

ბატონები - რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე მოვიდნენ ტელერადიოკომიტეტში და მითხრეს, რომ ამ ფილმის გადაღებას პრაქტიკულად ჯვარი აქვს დასმული, იმდენ წინააღმდეგობას წააწყდნენ საკავშირო კინოკომიტეტის მხრიდან.

**- თუ მოსკოვი წინააღმდეგი იყო, თქვენ რა უნდა გაგეკეთებინათ?**

- მოსკოვში უნდა ჩავსულიყავი და პრობლემის გადასაწყვეტი გზები მომეძებნა. ყველაზე უფრო რეალურად საკავშირო ტელერადიოკომიტეტისთვის ამ კინოფილმის ტელეფილმად გადაღების თხოვნა ისახებოდა. ჩავედი მოსკოვში და პირდაპირ ამ კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი ლაპინს მივადექი. ჭკვიანი და განათლებული კაცი იყო სერგეი გეორგიევიჩი, მაგრამ, ამასთანავე, მტკიცე პარტიულ პოზიციებზე მდგარი. ეს დისიდენტური ფილმი მისთვის მიუღებელი იქნებოდა. მაგრამ ჩემთან მამაშვილური დამოკიდებულება ჰქონდა და მეც ამის იმედით ვიყავი. თან, შევარდნაძეს ნალაპარაკევი ჰქონდა. ისიც რაღაცას ნიშნავდა, რომ იმ დროს საქართველოს ტელევიზია ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ კავშირში და ჩვენდამი ნდობის ფაქტორი ძალიან მაღალი იყო...

როცა ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მისული, შევატყვე, მაინცდამაინც არ ესიამოვნა. მითხრა, არა მგონია, მე და შენ მხარი დაგვიჭირონო. მაგრამ შემდეგ დაამატა, ერთ კაცს დაველაპარაკები, რომლის სიტყვას დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ვნახოთ, რას გვეტყვისო.

ეს კაცი იყო იური ანდროპოვი, რომელიც იმ დროს, თუ არ ვცდები, ცკ-ის მდივანი იყო, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ, არსებული კონიუნქტურიდან გამომდინარე, პერსპექტივაში იგი საბჭოთა კავშირის მეთაური გახდებოდა. ამიტომ ყველა პრინციპულ საკითხზე პარტიული ელიტა რჩევას მას სთხოვდა. ლაპინსა და ანდროპოვს გულითადი მეგობრობა აკავშირებდათ. ჩემი თანდასწრებით აიღო ყურმილი და დაურეკა ანდროპოვს, მიმიღეთო.

მეორე დღისთვის დამიბარა. მივედი. მეუბნება, რომ, ტელევიზიის ხაზით მაგ ფილმის გადაღება გამორიცხულია, რადგან პარტიული ხელმძღვანელობის დღევანდელმა თაობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხს 37 წლის საშინელებანი დავიწყებოდა და ახლა ჭრილობაზე მარილის დაყრა არ ღირსო.

ვეუბნები, მე მაინც გავაკეთებ-მეთქი. როგორო? როგორ და, იმ საფონდო გადაცემების ხარჯზე (დაახლოებით 8 საათი გვქონდა), რომლის თემატიკა მოსკოვთან არ თანხმდებოდა. ფულსაც ვიშოვით, გადავიღებთ, ჩამოვიტანთ მოსკოვში და, თუ მოგეწონებათ, გეგმაში ჩამისვით-მეთქი.

- ჩვენ თქვენთან ამის შესახებ არ გვისაუბრიაო, - ასეთი იყო ლაპინის საბოლოო პასუხი.

**- ეს პასუხი იყო უარი. თუმცა, ქვეტექსტი შეიძლებოდა დადებითად წაკითხულიყო. მაგრამ ფული ამ დიდი ფილმის გადასაღებად სად უნდა გეშოვნათ? ეს ხომ ძალიან ძვირი სიამოვნება იყო?**

- ძალიან ძვირი!

**- და, ამასთანავე, ხელის დაბანასაც ნიშნავდა, არა?**

- ასეთი მეთოდი მაშინ მოსკოვშიც და თბილისშიც მიღებული იყო. გარისკავდი? გამოგივიდოდა? ტაშს დაგიკრავდნენ და შენთან ერთად გაინაწილებდნენ წარმატებას. არ გამოვიდოდა? პასუხი მხოლოდ შენ უნდა გეგო...

შევარდნაძეს შედეგები რომ მოვახსენე, მითხრა:

- შენ მიხედე საქმეს და გენერლები აქ ვსხედვართო.

დაიხსომეთ ეს - „გენერლები აქ ვსხედვართო“.

**- ფულის შოვნის თემა არ დაგვეკარგოს...**

- ორიოდე წლის წინათ აკაკი დვალიშვილმა მოგონებები გამოაქვეყნა და ფილმის დაფინანსების საკითხის მოგვარება მთლიანად საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ქართველიშვილს მიაწერა. მიუხედავად ჩემი უღრმესი პატივისცემისა ბატონი დიმიტრისადმი, უნდა გითხრათ, იგი აქ არაფერ შუაშია. მოგონებების ავტორს ვუთხარი ამის შესახებ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ოღონდ სხვა - ზურაბ პატარიძე.

- რამდენია საჭიროო, - მკითხა პატარიძემ.

- სამი მილიონი!

იმ დროს სამი მილიონი მანეთი აშშ დოლარის დღევანდელ კურსს რამდენჯერმე აღემატებოდა. თანაც ამ თანხის უკან იდგა სრული მატერიალური უზრუნველყოფა. დეტალებით თავს არ შეგაწყენთ - ამის შემდეგ კიდევ უამრავი ბარიერი იყო გადასალახავი. მხოლოდ ერთ რამეზე შევჩერდები:

- ეს ყველაფერი კარგი, - მეუბნება პატარიძე, - მაგრამ შევარდნაძემაც უნდა მითხრას.

- შევარდნაძე ამას პირდაპირ არ გეტყვით, - ვუპასუხე, - ამიტომ გთავაზობთ: დაურეკეთ და „ჩამიშვით“ - ფოფხაძე იყო ჩემთან, ფილმისთვის მთხოვა 3 მილიონი. ფილმი კარგია, საჭიროა, უნდა გამოვყოთ თანხა, მაგრამ, თუ მერე დაიწყებენ შემოწმებას, სახელმწიფო და პარტიული კონტროლის წინაშე პასუხის გაცემა მოგვიწევს.

დამეთანხმა.

გამოვედი თუ არა, იმავე წამს დავურეკე შევარდნაძეს და ყველაფერი ვუთხარი. გაეცინა: - ეტყობა, ფილმის თანარეჟისორი შენ იქნებიო.

**- მოსალოდნელი შემოწმების მოლოდინში ასე ბედის შემყურე ხომ არ დარჩებოდით?**

- რა თქმა უნდა, არა. ამიტომ კიდევ ერთხელ გავფრინდი მოსკოვში იმ კეთილად განწყობილ ადამიანებთან მოსალაპარაკებლად, რომლებსაც მაღალი პოსტები ეკავათ და ვისთვისაც საქართველოს ბედი სულერთი არ იყო. გამოგიტყდებით - დაზღვევის მიზნით გავფრინდი, რადგან ვიცოდი, რომ, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, უამრავი უსახელო წერილი, ე.წ. ანონიმკა, გაიგზავნებოდა მოსკოვში...



ნუგზარ ფოფხაძე



გამარჯვებული თენგიზ აბულაძე

შევხვდი რამდენიმე კაცს, მათ შორის, გრიგოლ ოგანოვს, ბაქოელ კაცს, რომელიც ჭკუას კარგავდა ქართული კინოსთვის და იყო პარტიის საკავშირო ცეკას ტელევიზიის სექტორის გამგე. ამავე სექტორში მუშაობდნენ ჩუპრინინი, მაკაჟეევი - ჩვენი გულშემატკივრები - და ყველაფერი ავუხსენი.

ისიც უნდა გითხრათ, რომ თენგიზ აბულაძეც შევახვედრე ამ ადამიანებს და პოზიციები აქაც გავიმაგრეთ...

ასე დაიძრა ამ ფილმის გადაღების პროცესი...

ახლა გამოვტოვოთ ერთიორი წელიწადი. ახლოვდება ფინალი...

ცუდ ამბებს მოვყვები.

წელი 1984. მეუბნებიან, რომ ფილმი დამთავრდა. ესე იგი, დგება დრო იმ კვანძის გახსნისაც, რომელიც პირადად ჩემი რისკით არის შეკრული. „კეთილისმსურველი“ ბევრია. თენგიზ აბულაძეს შევახსენე: ფილმის ჩაბარების ყველა ვადა ამოიწურა, ბიუჯეტის ხარჯვის ანგარიშია ჩასაბარებელი. შეწუხდა თენგიზი და მიაკითხა პარტიის ცკ-ს.

მიბარებენ.

პარტიის ცკ-ის ერთ-ერთი მდივნის, გურამ ენუქიძის კაბინეტში სხედან თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე და კინოკომიტეტის თავმჯდომარე აკაკი დვალიშვილი. არ მესიამოვნა: ფილმი ოფიციალურად, იურიდიულად ტელერადიოკომიტეტისაა, მატერიალურ-ტექნიკური და ყველა სხვა პრობლემა ჩემი გადასაწყვეტია. თუ ამ სამეულს რამე საკითხი აწუხებს, რატომ არ მირეკავენ? ან მიჩივიან, ან რაღაც სხვა ამბავია. რა, არ ვიცი.

დავჯექი. ცკ-ის მდივანი მეუბნება, კინოსტუდიის ხელმძღვანელობა შეწუხებულია, რომ ფილმს დროზე ვერ ამთავრებენ და ამიტომ გვინდა, რომ სურათი დროზე ადრე მიიღო... სიყალბე უნდა გააკეთო - ფილმი, მართალია, დამთავრებული არ არის, მაგრამ შენ ხელი უნდა მოაწერო, როგორც მიღებულსო.

ამას მიწერა ერქვა.

ორჯერ გავამეორებინე. დამიდასტურეს, რომ სიყალბისთვის ხელი უნდა მომეწერა. თანაც მაგრძნობინებენ, რომ ეს ყველაფერი შეთანხმებულია შევარდნაძესთან.

ვუთხარი: ფილმი ისეთ მაღალზნეობრივ პრობლემაზეა, რომ ასეთი სიყალბე არ მოუხდება-მეთქი. თქვენ პრემიები რომ მიიღოთ, მე ხელი უნდა მოვაწერო საციხო საქმეს.

- საქმეს სჭირდება და მე შენ შევარდნაძის სახელით გელაპარაკებიო, - ამბობს ცკ-ის მდივანი.

შეუძლებელია, შევარდნაძეს ასეთი დავალება მოეცა თქვენთვის და, რომ არ მოგატყუოთ, პირველ მდივანთან




„მონანიების“ აფიშა

შუამავლები არ მჭირდება-მეთქი, - და დასარეკად წამოვდექი. არ გინდაო, თითქმის ხელში მეცა.

მაშინ განვაცხადე, რომ ამ კომედიაში მონაწილეობას არ მივიღებდი და კითხვის ნიშნის ქვეშ ვერც ფილმის, ვერც ჩემს რეპუტაციას ვერ დავაყენებდი.

მოკლედ, ჩემი გავიტანე.

შემდეგ მოხდა ისე, რომ ჩვენებისთვის ნებადაურთველმა ფილმმა „გაჟონა“, ატყდა ერთი ამბავი და მთელი მაშინდელი ცეკა, ყველა, წავიდა ჩირგვებში. პრობლემებთან მარტო მე დამტოვეს პირისპირ. უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ინაურმა ძალიან სერიოზული სკანდალი მოაწყო. მოსკოვსაც შეატყობინეს, და რას ვხედავ: ისინი, ვინც მე სიყალბის ქმნას მაძალებდა, განზე გადგნენ. აი, ის „გენერლები“, რომლების დახსომება ინტერვიუს დასაწყისში გთხოვეთ. საქართველოს სახელმწიფო კინოკომიტეტმა ხელი დაიბანა, ასევე მოიქცა კინოსტუდიის ხელმძღვანელობაც - არაფერი ვიცოდითო.

არ იცოდნენ, მაგალითად, სცენარი გადასაღებად განხილვის გარეშე რომ იყო ჩაშვებული?! არცერთ სამხატვრო საბჭოზე არ განუხილავთ, არავითარი იურიდიული დოკუმენტი არ დაუდიათ და ხელს გვაწმენდნენ ჩვენ - ტელევიზიას.

ამიტომ ვთხოვე ყველას, ერთად აღვდგომოდით ამ მძიმე შემოტევას. ყველამ უარი მითხრა, მათ შორის, მაშინდელმა ცენზურამ - მთავლიტის ხელმძღვანელმა.

ვაცხადებ, რომ გვერდით დამიდგა ცნობილი კინორეჟისორი და არაჩვეულებრივად სუფთა ადამიანი მერაბ კოკოჩაშვილი. მან, დავით შალიკაშვილმა, ჩვენი კომიტეტის საფინანსო-საგეგმო განყოფილების გამგემ ნანა ლომაძემ, ტელეფილმების რედაქტორმა სოსო კორინთელმა და მე პრაქტიკულად ერთ დღეში, პარტიზანულად შევქმენით ყველა ის დოკუმენტი, რომლებზეც თავის დროზე უნდა ეზრუნა ყველას, ვინც ჩირგვებში წასვლა ამჯობინა. გადამწყვეტი როლი, რა თქმა უნდა, მერაბ კოკოჩაშვილმა ითამაშა.

ამ დროს მოსკოვში ერთი აურზაური ატეხა საკავშირო კინოკომიტეტის თავმჯდომარე ერმაშმა. მიადგნენ სერგეი ლაპინს. მირეკავს და სასწრაფოდ მოსკოვში ჩასვლას მთხოვს.

ჩავედი. ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი.

- მეუბნება, გაგწირესო, - ჩვენ კი საკუთარ მეგობრებს არ ვწირავთო, მოსკოვში შენ პრობლემა არ გაქვსო.

მოკლედ, იგი და ჩემი მოსკოველი მეგობრები გადაგვეფარნენ მეც, თენგიზ აბულაძესაც, მთლიანად საქართველოს და საქმეში ჩართეს იაკოვლევი, ცკ-ის მდივანი, „პერესტროიკის“ ერთ-ერთი ავტორი.

იაკოვლევს ფილმი ნანახი არ ჰქონდა.

ჩამოვატანინე კასეტა მოსკოვში.

ამ დროს ედუარდ შევარდნაძე საკავშირო ცეკას უმაღლეს ხელმძღვანელებთან თავისი ხაზით „მუშაობდა“. რაგინდ საოცრად შეიძლება მოგეჩვენოთ, ფილმის ეკრანზე გაშვებაში დადებითი როლი ითამაშა ორთოდოქსმა კომუნისტმა, ცკ-ის მეორე მდივანმა ეგორ ლიგაჩოვმა. ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ეს პერიპეტიები აღწერილი აქვს თავის ახლახან გამოცემულ წიგნში „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“.

მერე, როცა „მონანიებამ“ უდიდესი წარმატების მწვერვალზე იწყო ასვლა, ყველას „დაავიწყდა“, რომ ეს ფილმი ტელევიზიისა იყო.

ალექსანდრე იაკოვლევი აღმოჩნდა ერთადერთი კაცი, რომელმაც პარიზში ფრანგულ გაზეთებს ინტერვიუ მისცა „მონანიების“ შესახებ და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ტელევიზიის როლსა და დამსახურებას ამ საქმეში.

*ესაუბრა*

**არმაზ სანებლიძე**

## მედეა კახიძე:

# ვისაც ხატივით ვეთაყვანები



პირველი პოეტი, ვისაც თვალი შევავლე ცხადად და ხელშესახებად, დიდი გალაკტიონ ტაბიძე გახლდათ. გამომცემლობა „სახელგამის" გადასწვრივ, მარჯანიშვილის ოთხ ნომერში უმეტესწილად მწერლები სახლობდნენ - დემნა შენგელაია, მარიამ გარიყული, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ელიზბარ ზედგენიძე, გიორგი ქუჩიშვილის ოჯახი და სხვები.

გალაკტიონ ტაბიძე ჩვენს ჭერს ზემოთ, მეორე სართულზე ცხოვრობდა და მისი აწრიალებული ნაბიჯების ხმა ყურში მძინარესაც ჩამესმოდა. სულ სადღაც მიმავალი იყო. დღე ისე არ ჩაივლიდა, წინა ეზოში არ შევფეთებოდი. მე და ჩემს დას დაუსალმავად არ ჩაგვივლიდა. ფხიზელიც გვიცნობდა და ნასვამიც.

შეკითხვების მოყვარული არ გახლდათ, უფრო დუმდა, მაგრამ ლექციებიდან დაბრუნებულებს უეჭველად ალერსგამჯდარი ხმით შეგვეკითხებოდა: - სად დაცანცალებთო!

ეზოში მწერლების გარდა არავის იცნობდა, მაგრამ იცოდა უმამუძმონი ვიყავით, რომ ჩვენი მამა ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიების მსხვერპლი იყო და ალბათ ამიტომაც გვეკიდებოდა გულმტკივნეულად და სევდაშეზავებული ღიმილით გვხვდებოდა.

სად არ გადავწყდომივართ, მაგრამ ხშირად ელბაქიძის დაღმართზე ვხვდებოდით. როგორც კი წამოვეწეოდით, ხელკავს გამოგვდებდა და ყიამეთ ზამთარში პალტოგახსნილი გამოგვატარებდა ვერის ქარგამტარ ხიდზე.

პლეხანოვზე, მეტროს გადაღმა მდებარე წიგნის მაღაზიაშიც შევუდევნებივართ, ხელსწრაფად გადაუფურცლავს ვინმე ხელმოცარულის წიგნი და უთქვამს: წიგნის მაღაზია კი არა, სახარაზო ყუთიაო!

არც ბაზარში წასული მინახავს, არც ბაზრიდან დაბრუნებული. მაღაზიაში კანფეტების ყიდვის დროს კი წავწყდომივარ. ფანჯარაში გადმოდგებოდა, ცოტა ხანს უყურებდა მოჟრიამულე ბავშვებს, მერე გასძახებდა და მუჭა-მუჭა გადაუყრიდა სასუსნავს.

ერთხელ, მარჯანიშვილის თეატრის წინ ტარიელ საყვარელიძეს გადავეყარეთ და პოეტს სპექტაკლზე დასწრება შესთავაზა. ბატონი გალაკტიონი ნასვამი იყო და შინ წასვლას ეშურებოდა, მაგრამ ახალბედა მსახიობი ისე ეხვეწა, ხათრი ვერ გაუტეხა და ნებაზე დაყვა.

პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებას" უჩვენებდნენ და გიორგი შავგულიძის ყურების გამო ჩვენც გზა გავიმრუდეთ და ლოჟაში წამოვსკუპდით.

პოეტს ესმოდა მთელი დარბაზი რომ მის სახელს ჩასჩურჩულებდნენ ერთიმეორეს, მაგრამ არ იმჩნევდა და სცენას მზერამიპყრობილი ელოდა ფარდის ახდას. პირველი მოქმედების დამთავრებამდე გამოვედით გარეთ. პოეტს სკამზე ეხვრინებოდა და არ გვინდოდა ამ ყოფაში დაენახათ მაყურებლებს.

მისი პატივისცემა არასოდეს დაგვიკარგავს, რაგინდ დალაქავებული პერანგი სცმოდა და ფეხარეული გამოგვყოლოდა გვერდში და მისგან განდგომილობა ფიქრადაც არ მოგვსვლია თავში.

ის ჩვენთვის დიდი პოეტი იყო და ხატივით შევცქეროდით.

მე და ჩემი დაიკო ამოჩემებული ვყავდით და ყოველ ჩვენს გამოჩენას, მისი გულწრფელი შემახილი მოსდევდა და გამოულაპარაკებლად არ ჩაგვივლიდა: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს ხომ ბეჯითად ეუფლებითო- ჩაიქირქილებდა.

მისი ლექსები ზეპირად ვიცოდი, მაგრამ თავის გამოჩენა არ მიცდია, რომ მასთან თავი მომეწონებინა. ვერც ის შევბედე, გამოვტყდომოდი, რომ მეც ვწერდი და პოეტობას ვჩემულობდი.

როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, საქართველოს მწერალთა კავშირის კომკავშირის მდივნად ამირჩიეს. სწორედ იმ ხანებში ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მთავრობამ გარე-გარე მოსიარულე პოეტის შემორიგება გადაწყვიტა და ლიტერატურული სექციის თავმჯდომარეობა სთხოვა. ყველას გასაოცრად პოეტს არ დაუუარებია და მეორე დღესვე მუშაობას შეუდგა. მოვიდა თუ არა, ჩემი მაგიდა ბიბლიოთეკიდან სექციების ოთახში ხელმძღვანელობის დაუკითხავად გაატანინა და გვერდით მომისვა.

განყოფილებაში ფეხაკრეფით შევდიოდი, რადგან იქ გალაკტიონ ტაბიძე მეგულებოდა.

ჩემი კომკავშირის მდივნობა არ ეჭაშნიკებოდა, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა. იცოდა, ჩვენში უკომკავშირლობა არ შეიძლებოდა და მპატიობდა. მხოლოდ ერთხელ წამოსცდა შეზარხოშებულს: ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი ცოცხლობსო!

სამსახურში დაუგვიანებლივ ცხადდებოდა და არცერთხელ არ მინახავს ღვინოდალეული მოსულიყოს. მაგიდაზე დალაგებულ გაზეთებს პალტოგაუხდელი მისწვდებოდა „ლიტერატურა და ხელოვნებას" გამოარჩევდა, ელვისებურად გადაავლებდა თვალს სათაურებს და შიგადაშიგ სტრიქონებს ამოიკითხავდა, დაკეცავდა და ცერა თითით უკან გასწევდა, მერე მინის კარადას მიადგებოდა და ჭვრეტას მოყვებოდა.

ერთ დილას მორიდებით მთხოვა ხარახურის გადმოლაგებაში თუ წამაშველებ ხელს, მადლობელი დაგრჩებიო. ავფაცურდი და თვალის დახამხამებაში გადმოვალაგე ჯართისთვის ჩასაბარებლად გამოსადეგი რჩეული წიგნები თუ ლექსთა კრებულები და არავის რომ არ დაენახა, საკუჭნაოში შევათრიე.

პოეტს ყოველ მოსვლაზე „პორთველით" საკუთარი თავისადმი მიძღვნილი ნაჩუქარი წიგნები მოქონდა, კარადაში წარწერის მხრიდან ფურცლებგადაშლილს ალაგებდა და ბავშვივით შეხაროდა.

მექიშპენი არ აკლდნენ. ხელისუფლებისაგან გაზულუქებული, მოსყიდული ვაი მწერლები გაუთავებლად ჭორავდნენ და ტუჩ-აპრეხით ხვდებოდნენ.

ბატონმა გალაკტიონმა თავისი დიდპოეტობის ფასი იცოდა. ისიც უწყოდა, გაღმა-გამოღმა სრულიად საქართველო რომ შეფრფინავდა, სოლო სიმღერაში ვერავინ დაეწყვილებოდა და მათგან გამიჯვნას ამჯობინებდა.

მუდამ დანაღვლიანებული და ხელმიშვებული მარტოობას თითქოს ელტვოდა და არც ელტვოდა.

მაყბედარებს ყურს არ უგდებდა, მისი ფიქრები სულ სხვაგან ქროდა, მათგან შორს იყო და თუმცა გვერდით ედგნენ, არ ცდილა მათი გულისნადების ამოცნობას.

ყური მახვილად უნდა გჭეროდა, რომ მისი მოქნეული მათრახის შხუილის ხმა გაგეგონა.

— გამარჯობა გალაკტიონ! — მიესალმებოდა იაკინთე ლისაშვილი კიბეზე შემოხვედრილ პოეტს.

— გაგიმარჯოს ლავრენტი! — სალამზე სალმითვე უპასუხებდა.

— ლავრენტი კი არა, იაკინთე ვარ! — თავს გადააქნევდა ლისაშვილი.

- კი, კი ლავრენტი და გზას გააგრძელებდა.

იაკინთე წამოჭარხლდებოდა: — მწერლებს ვერ ცნობს, ისეა დალეული, მაგას სექცია როგორ ჩააბარესო!

ჰაი, ჰაი რომ სცნობდა მწერლებს და არაფერი არ ეშლებოდა. მის დასამტკიცებლად, ისიც კმარა რომ, კარადიდან გადასაყრელად გამოღებულ თხზულებებში სამი წიგნიც ერია იაკინთესი.

მოხუმარი არ ეთქმოდა, უფრო გამკენწლავი იყო.

ჩაალაგებდა შავი ტყავის „პორთფელში" წიგნებსა და ქაღალდებს, გაბერილ ჩანთას იღლიაში ამოიჩრიდა, ხელს გამომდებდა და რუსთაველის გამზირს ფეხით დავადგებოდით.

ერთხელ ლენინის მოედანზე „ლიტერატურა და ხელოვნების" ფოტოკორესპოდენტს გადავაწყდით, გადაგვეკიდა, ასეთი შემთხვევა მეორედ არ მომეცემა, წუთით შეჩერდით ლენინის ძეგლის ფონზე ჩაგასურათხატოთო!

ბატონი გალაკტიონი არ უსმენდა და სვლას განაგრძობდა, როცა მესურათემ მანძილი შორიდან დაიჭირა და პოეტის მიზანში ამოღება სცადა, ზურგით შეტრიალდა და ხელების შლით დაიწყო ლექსების კითხვა.

კორესპონდენტმა უმწეოდ შეხედა და თქვა: — სადაც მეტყვით იქ გადაგიღებთ სურათს, თქვენ ოღონდ ბრძანეთო!

ჭავჭავაძის აღმართს მოახლოვებულმა პოეტმა უცებ ხმა ამოიღო: — ძამიკო! რაკი ძეგლთან გინდა მაინცდამაინც სურათი გადამიღო, იყოს ნება შენი, თქვი და შევჩერდები!

ბატონი გალაკტიონი ცხადი იყო რუსთაველის ქანდაკებას გულისხმობდა და მივუახლოვდით თუ არა, დაწინაურდა, შეხვეწნის გარეშე დადგა კვარცხლბეკთან და შეუძახა: — ძამიკო! აგერ ძეგლი და აგერ ჩვენო და ჩაიღიმილა.

ფოტოგრაფმა სურათები მე გადმომცა და დანანებით მითხრა: — უნდა მცოდნოდა, რომ ტაბიძე ლენინის ძეგლს გვერდით არ ამოუდგებოდაო!

ბის მოლოდინში დაშაქრული ღიმილით შეაჩერდებოდნენ.

ჯოგურად მოდიოდნენ ხნიანები თუ უხნონი. პოეტის პირში მთქმელობა და სიმართლე აღიზიანებდათ, მიტრიალ-მოტრიალდებოდნენ და უკმაყოფილო სახით ტოვებდნენ სექციის ოთახს.

ხანდახან წამოსცდებოდა: — ასეთები დადიან მწერალთა კავშირში და კიდევაც ივლიანო.

ვერ გაუძლო პოეტობას მჩემელი ყრმათა და თმაშეთეთრებულთა შემოსევას და ჩარაგაწყვეტილმა სამსახური მიატოვა.

იმავე წელიწადს მეც მივატოვე კომკავშირის მდივნობა და მოსკოვში წავედი მაქსიმ გორკის ლიტერატურის ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად და თან წავიღე მის ახლოს გატარებული დაუვიწყარი დღეების მოგონება და რუსთაველის ძეგლთან გადაღებული ჩვენი სურათები.

ბატონი გალაკტიონი მეტჯერ აღარ მინახავს. ჩემი რუსეთში ყოფნის დროს გამოესალმა საწუთროს.

მეწყერის ჩამოწოლას გავდა ჩემი დის ცრემლნარევი ბარათი: გალაკტიონ ტაბიძე მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოდან გადმოხტა და აღესრულაო. ქალაქში ამბობდნენ, ალგზნების წამალი დაალევინეს და მოკლესო!

სამსახურიდან ყოველთვის ერთად გამოვდიოდით. მოდიოდა მუხლმაგარი და გალაღებული და ტრანსპორტს თვალს არიდებდა. წამოეწეოდნენ ელბაქიძის დაღმართზე მძღოლები და მანქანებს უჩერებდნენ: — დაბრძანდით ბატონო გალაკტიონ, შინ მიგიყვანთო!

არ ჩაჯდებოდა, თავს დაუხრიდა — გმადლობთო და ფეხით გავლას რჩეობდა.

კაბინეტში ჯდომა მისთვის გალიაში ჯდომას ედარებოდა. ცოტა ხანს ოთახში იდგომებდა, ხან წიგნს ჩახედავდა, ხან გაზეთს, მერე წამოხტებოდა, სარკესთან მივიდოდა, მაჩაბლის ქუჩას გადააცქერდებოდა, ბიბლიოთეკას შეუვლიდა, იქიდან ბაღში შევიდოდა, სკამზე ჩამომჯდარ კამათში გართულ მწერლებს ჩაათვალიერებდა და უკანვე ამობრუნდებოდა.

სკამს ვერ გუობდა, ხშირ-ხშირად ფეხზე წამოიმართებოდა და ბოლთის ცემას იწყებდა.

დერეფანში თუ ვინმე გამობაასაებას დაუპირებდა, მოკლე-მოკლე ფრაზებს ესროდა.

მოუტანდნენ მგოსნობის მაძიებლები მსუქან-მსუქან რვეულებს და დიდი რიხით დაულაგებდნენ წინ. არ დააყოვნებდა და პირველივე სტროფის წაკითხვისთანავე უმწეო თვალებით მიიხედ-მოიხედავდა, დარცხვენილივით გადმომხედავდა და თავს დაბლა ჩაღუნავდა.

— ბოლომდე ჩაამთავრეთო, სხვებიც წაიკითხეთო, უკიჟინებდნენ ბატონ გალაკტიონს.

— დამიტოვეთ, კიდევ გადავხედავო! — ჩაიბუტბუტებდა და ხელს გაუწვდიდა გამოსამშვიდობებლად.

ხან პირში თქმას ერიდებოდა, გამოუკეთელი პასუხებით ისტუმრებდა, ხან ძლივს გაბედავდა და სიმართლეს ეტყოდა.

ისინი არ ეშვებოდნენ, ახალ-ახალი ლექსებით დაიმშვენებდნენ ხელს და თავზე წამოადგებოდნენ. მომსვლელები დღითიდღე ემატებოდნენ. სავარძელში დაებღერტებოდნენ და ქებ-

ლექციაზე შემობრაცუნებულმა მიხაილ სვეტლოვმა სამძიმარი მითხრა:

- მოკლეს თქვენი გალაკტიონი!

ბულატ ოკუჯავამაც ეჭვი ეჭვზე გამიღვივა:- ამ მსანსლავების ვერაგობა მე მკითხეო. ასეთივე გაურკვეველ ვითარებაში დაიხოცნენ მაიაკოვსკი, მაქსიმ გორკი და სხვა პოეტებიო.

ბულატის ნათქვამი ვირწმუნე, რაკი ვიცოდი, რომ დედამისთან ერთად მრავალი წელი პატიმრად იყო შერაცხული და სიჭაბუკე თუ ბავშვობა ლამის ციხეში ქონდა გატარებული.

მაშინ ხრუშჩოვის მეფობის დროს ლაყბობისთვის საპატიმროებში აღარავის ამწყვდევდნენ და არც ირაკლი ანდრონიკოვს შეშინებია თავისი ნაფიქრალის ხმამაღლა თქმისა.

— მთავრობისგან ათვალისწუნებული პოეტის თავიდან მოცილება ძალოვანებისაგან ძნელი არ იქნება. მოსკოვში სპეციალური ლაბორატორია არსებობს, სადაც ისეთი საწამლავები გამოყავთ, სხეულში მოწამვლის კვალს რომ არ სტოვებსო, ალგზნების წამალიც ერთ-ერთი იმათგანი გახლავთო.

როცა თბილისში დავბრუნდი და ჩემი მონაყოლი ლევან გოთუამ, პოლიკარპე კაკაბაძემ და გიორგი ლეონიძემ მოისმინეს, დამიდასტურეს: - ჩვენც ამასვე ვგუნებობდითო!

მე ახლაც მჯერა მათი ნათქვამის ჭეშმარიტების, რადგან გალაკტიონ ტაბიძე თავისი არსებობით კრიჭაში ედგა და აღიზიანებდა მთავრობას და საკუთარი სიმშვიდის მოსაპოვებლად ხელი ადვილად წაუცდათ პარტიის მუშაკებს მის ფიზიკურ განადგურებაზე.

სული უკვდავიაო, ამბობენ და თუმცა პოეტისთვის იმდღევანდელი დღე დამთავრდა, მისი ლოცვასავით სულის მოსათქმელი პოეზია, მზის სხივებივით ანთია ყველა ჩვენთაგანის გულში, როგორც წმინდა ხატს, ისე შევფოფინებთ და ვეთაყვანებით მის მაღალ სახელს.




## მანუჩარ კაჭახიძე

# თვალხატულა

- მე შენ მიყვარხარ, თვალხატულაო, - უთხრა მიმინომ გოგონას ჩამავალი მზის მშვენიერებით განათებულ ზღვის მოლივლივე ფონზე, - შენი თვალების ბავშვური სიწრფელე მიყვარს, ქვეყნიერებაზე რომ არაფერია მასზე უფრო გულის ამაღელვებელი, მიმზიდველი და მომაჯადოებელი. იცი, კიდევ რატომ მიყვარხარ?! მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ გარეგნულად მომხიბლავი ხარ, შენი შინაგანი სიღრმე დამატყვევებლად მოქმედებს ყველაზე, ვისაც შესწევს ოდნავი აზროვნების უნარიც კი, მისთვის შენ ყველაზე ძვირფასი ხარ. მე ვხედავ, თუ როგორ გიყვარს ცხოვრება ქვეყნიერებაზე. მე შენი ეს უზღვავი ენერგია, სიკეთით სავსე ალტკინება მეტ ძალას მაძლევს, რათა მიყვარხარ ისეთი, როგორიცა ხარ. აი, სათნო და მოსიყვარულე თვალებით მიმზერ. შენც გიყვარვარ, დარწმუნებული ვარ ამაში. ძალიან, ძალიან საყვარლად მიყურებ და მეალერსები, რაღაცეებს მელაპარაკები და ისე უწყინრად და ბავშვური გულუბრყვილობით, რომ ძნელად თუ ვინმე გაუძლებს უსიყვარულოდ ასეთ წრფელ დამოკიდებულებას.

გოგონა მოხიბლული იყო ფერთა არაჩვეულებრივი მეტყველებით და სწორედ სატრფოს მდიდარი გემოვნებაც ხიბლავდა მიმინოს. ერთი უცნაური რამ იყო მათ ურთიერთობაში - თვალხატულას არ ესმოდა მიმინოს მეტყველება, ერთი კი იყო, რომ ყველგან მის სიახლოვესა და სითბოს გრძნობდა. მან არ იცოდა, რომ მიმინოსაც არ ესმოდა მისი. მიმინომაც არ იცოდა, თუ მისმა სატრფომ არ იცოდა ფრინველთა ენა, ასევე ის, რომ გოგონასთვის იგი მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ქმნილების სულ პატარა და კოხტა ნაწილი იყო. მიმინო კი ფიქრობდა და საკუთარ თავს აჯერებდა, თითქოს თვალხატულას პირველყოვლისა იგი უყვარდა და შემდეგ მისი ნაამბობები და მისგან გამომდინარე მთელი გარესამყარო. ალბათ გული გაუტყდებოდა შეყვარებულს, რომ ჩაეხედა სატრფოს გულში, თუ რაოდენ მცირე ადგილი უჭირავს მას თვალხატულას პატარა და სიყვარულით მხურვალე გულში, და რა ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისთვის მარადი სატრფოს.



სატრფოს თვალები ჰქონდა დაბინდული და ვერ ხედავდა უძილო ღამეების ოცნების ჭაბუკს, არც მისი ენა ესმოდა, იყო გაუცხოებული მისთვის და ელოდა, მოუთმენლად ელოდა გულის მურაზს. ეს უკანასკნელი კი დაიარებოდა ქვეყნიერებაზე სიყვარულით და იმდენი იარა, იმდენი იარა, რომ ვერ გაიგო როგორ იცვალა გარეგნულად ფერი და მიმინოდ როგორ გარდაისახა. მხოლოდ სიყვარულით რჩეულს შეეძლო დაენახა იგი თავისი მშვენიერი დიდებულებით და გაეგონა მისი მომნუსხავი მჭევრ-მეტყველება, ან ტკბილ-მოუბარობა. ეტყობა, თვალხატულა ბოლომდე ვერ იყო გარკვეული თავისი წრფელი სიყვარულის ნამდვილობაში. მიმინოს ისიც აწუხებდა, რომ გოგონამ არ იცოდა მისი სახელი და მხოლოდ და მხოლოდ ჩიტს ეძახდა მას. თავს კი იმით იმშვიდებდა, რომ იქნებ თვალხატულა მოფერებით ეძახდა მას ასე. ერთი რამ უცილობლად იყო - თვალხატულაცა და მიმინოც ძალიან შეეჩვიენ ერთმანეთს, თვალებით ეძებდნენ, როცა თვალს მოაკლდებოდნენ ერთმანეთს. ეს იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გულწრფელი და ძლიერი სიყვარული თვალხატულას მხრიდან.

- მე შენ ძალიან მიყვარხარო, - გაუმეორა მიმინომ გულის მურაზს, - შენი სიყვარული ზეცაში მაფრენს. მე შენით ვარ ძლიერი, შენით ზღვების განუსაზღვრელ განწყობილებას ვებრძვი და ვიმარჯვებ. და ისევ შენთან ვბრუნდები ჩემი ცხოვრების კეთილო ფერიავ! შენმა სახებამ მაპოვნინა ჰორიზონტის უსასრულობის ზღვარი. ეს ზღვარი ყოფიერება და მარადისობაა. ამ ზღურბლზე შენი სიყვარული მაფრენს, თავდავიწყებით მაფრენს. შენი თმები სიმსუბუქესავით მაამებელია გრძნობებისათვის და ვიცი, რომ მთვარის შუქზე ათამაშებული თმათა ხავერდოვნება მიმზიდველია ღამის უხილავობაში შენი სრულყოფილებისა. ისეთი ხარ, რომ საკუთარი თავიდან გაქცევა მაფიქრებინე, ვებრძოდი შენს მიმზიდველობასაც და ჩემს თავს. მიზიდულობამ ვერც შენგან გამაქცია და ვერც საკუთარი თავისაგან. შენი უხილავობაც მტანჯავდა და შენი ხილვაც. სიყვარული ტკივილი ყოფილა და ამ ტკივილებით ვსულდგმულობდი მხოლოდ.

შეღამების სიტკბოებამ მთვარით ნაქსოვი ვარსკვლავების წინწკლები დააყარა თავზე თვალხატულას და თმებში ჩააქსოვა ღამისეული მნათი. სიზმრებში ისმოდა გრძნობათა დამათრობელი მუსიკა და ისეთი გასაოცარი წარმტაცებით, რომ ცხადშიც აივსო მისი ტკბილხმოვანება. მთელი ქვეყნიური პოეზია ქარიშხალივით ტრიალებდა მიმინოს თავში და სარკმელს ეძებდა, რათა გადმოღვრილიყო საამო ელექსირად თვალხატულასათვის. ბაგეებზე დნებოდა ჰაეროვანი ამბორი სიყვარულის სიმეტყველისაგან. იღვრებოდა და იღვრებოდა მზეჩქერილებად გრძნობები ტრფიალის. სიზმრებმა შემოსეს ცხადის ცხოველი წადილი სიზმარეთის გაცხადებისა. ტკივილი იყო ტკბილი, სიცოცხლის ხალისიც მეტადრე ნათელი მიმინოსათვის. უყვარდა, დიახ, უყვარდა მიმინოს თვალხატულა და სურდა მთელი მისი გონიერი აზროვნება სატრფოსათვის მიეძღვნა. გემები კი შორს მიდიოდნენ, მიეჩქარებოდათ ნაპირებისკენ, ნაპირებთან კი ვიღაც უეჭველად ელოდა, აი, ესაა ცხოვრების მოძრაობის ჭეშმარიტი კანონი. მიმინომაც იცოდა, რომ მას უთუოდ ელოდა თვალხატულა და მხოლოდ მისთვის ლივლივებდა ზეციურ სივრცეებში და ირაოდ კვეთდა ეთერსა და ყველაფერი ეს იყო ტკბილი მუსიკის ძალა და არა მათრობელი სიკვდილი.

ერთ დილასაც როდესაც მიმინო მიფრინდა გოგონას სარკმელთან, თვალხატულამ უთხრა მეგობარს, სინამდვილეში კი საკუთარ თავს გაუმხილა ზღაპრული თუ სიზმრისეული ოცნებები:

- ეჰ, ჩემო ჩიტო, - ამოიხვნეშა მან, - ნეტა მეც მქონოდა შენსავით ფრთები და მეფრინა ლურჯი ზეცის სისპეტაკეში. გადავუფრენდი ზღვებსა და მთებს და ზღაპრული კუნძულის ღრუბლებზე რომ კოშკია, იქ დაველოდებოდი უძილო ღამეების ოცნების ჭაბუკს. ეჰ, ჩემო ჩიტო, ეს ხომ ისეთი რამაა, რასაც ახდენა არ უწერია. შენ არ იცი რა არის ზღაპარი, არც ის იცი, რა გითხარი და რატომ გითხარი. იქნებ არც ღირდეს ფიქრი ამაზე, რადგან ოცნებათა ახდენა არ ხდება, ისევე როგორც სიზმრების...

შეიფრთქიალა მიმინომ, დასჭყავლა, რაღაც უთხრა თვალხატულას, ამას აშკარად გრძნობდა გოგონა. კარგა ხანს გაგრძელდა ასე. თავიდან თითქოსდა შეეშინდა, მაგრამ რომ გაგრძელდა უცნაური ხმის გამოცემა, იფიქრა თვალხატულამ, თითქოს ამით დასრულდებოდა ყველაფერი. ჭკვიანი თვალებით უმზერდა მოსაუბრე მოსაუბრეს და რაღაც სიღრმისეულად რაღაცას ბჭობდა. გამჭოლი თვალების მზერას ვერ გაუძლო გოგონამ და თავი მორცხვად დახარა. მერე იყო და ფრთები დააქნია, წამოიწია, მძიმედ აფრინდა, სატრფოს თავზე დაფრინავდა. გოგონასაც ეს უცნაური საქციელი მეგობრისა ეუცხოვა და განაგრძო მისი ყურადღებით ცქერა, ცოტა შეშფოთდა, რა დაემართაო ამ ჩიტს.

უცებ თავს ზემოთ ჰაერში შეჩერდა მიმინო, ბრჭყალები შეამზადა და თვალის დახამხამებაში დააცხრა მკლავებში. გოგონამ წინააღმდეგობა გაუწია, ამას კი აღარ მოელოდა მიმინო და დაიბნა. ისევ ჩააფრინდა მკლავებში, მაგრამ ამჯერად გაბრაზებულმა თვალხატულამ დასტაცა ხელი მიმინოს და მოისროლა. გაოგნებული მიმინო მოქნევის ძალას მიჰყვებოდა და კედელს შეენარცხა. იქედან კი გონდაკარგული ქუჩაში გაშლილ ლაფში ჩავარდა.

გონს რომ მოეგო და დაინახა სადაც ეგდო, დანანებით დაუწყო თვალებით ძებნა სატრფოს. ისიც იქვე ქვაფენილზე იდგა და უყურებდა მას. ვიღაცამ ჰკითხა:

- რა იყო, რატომ ყვიროდიო?

- როგორ თუ რა იყოო, - უპასუხა მან, - ეს დამესხა თავს და მოვიგერიეო, - მიუთითა ლაფში ჩაგდებულ მიმინოზე.

- კიდევ კარგად გადარჩენილხარო, - უთხრა თანამოსაუბრემ, - მიმინოებმა თვალების ამოკორტნა იციანო.

გოგონამ მიმინოს გახედა და ამ დროს თვალებმა ერთმანეთი მოძებნეს: -

ერთის თვალები ამბობდა: რა დაგიშავე, ასე რომ გამიმეტეო;

მეორესი კი ამბობდა: რა დაგიშავეო, მე ხომ შენთვის ცუდი არა მინდოდაო;

ერთის თვალები ამბობდა: მე შემეშინდაო;

მეორესი კი ამბობდა: რატომ შეგეპარა ჩემში ეჭვიო;

ერთის თვალები ამბობდა: ასე არასოდეს მომქცევიხარო;

მეორესი კი ამბობდა: მენანებიო, რომ ვერ დამინახე და შემამჩნიეო;

ერთის თვალები ამბობდა: მე ხომ შეგეჩვიეო;

მეორესი კი ამბობდა: მე ძალიან, ძალიან მიყვარხარო;

ერთის თვალები ამბობდა: რატომ მიყურებ ასე სინანულითო;

მეორესი კი ამბობდა: რატომ დაანგრიე მთელი ჩემი ოცნებები შენითო;

ერთის თვალები ამბობდა: ვითომ ჩემი ბრალია რამეო;

მეორესი კი ამბობდა: გული მტკივა, რომ იმედები გამიცრუეო;

ერთის თვალები ამბობდა: მაპატიეო;

მეორესი კი ამბობდა: საპატიებელი არაფერი გაქვსო...

აფრინდა მიმინო და ცერზე შეაჯდა თვალხატულას. გასაოცარი შესახედავები იყვნენ სატრფონი. ახლოს მიიყვანა მიმინო თვალხატულამ და აკოცა. მან იგრძნო, რომ ამ კოცნის შემდეგ შეაჟრჟოლა მიმინოს. მიმინომაც აკოცა თვალებზე თვალხატულას. ნანისკარტალიდან სისხლი წამოუვიდა გოგონას, ხელი ნაზად მოისვა ნაამბორალზე. თითებზე სისხლი აყვა. თვალხატულას გაეღიმა მრავალმნიშვნელოვნად. შეხედა და დაინახა ყველაფერი, გაიგონა და შეისმინა ყველაფერი. იგი მიხვდა, რომ იპოვა უძილო ღამეების ოცნების ჭაბუკი. ■



# პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილის «ერეკლეს ეპოსი» ყველამ უნდა წაიკითხოს!



***საქართველოს დიდ ხელმწიფეთა ისტორია ერეკლე მეფის გარდაცვალებით მთავრდება. „პატარა კახი“ ქართველი ერის უსაყვარლესი გმირია და საქართველოს არცერთ გვირგვინოსანს არ ღირსებია იმდენი ლექსი, სიმღერა და თქმულება, რამდენიც თანამედროვეებმა ერეკლე მეორეს სიცოცხლეშივე უძღვნეს. მისი მხედრული ნიჭით აღტაცებული იყო ფრიდრიხ დიდი, რომელიც მთელ ევროპას წარმატებით ებრძოდა. ერეკლეს სახელის ხსენებაზე ძრწოდა მუსლიმანური კავკასია, სპარსეთი თუ ოსმალეთი. ისტორიკოსები ას ოცამდე ბრძოლას ითვლიან, რომელნიც „პატარა კახმა“ გადაიხადა და თითქმის ყველგან გაიმარჯვა, მაგრამ 1795 წლის 11-13 სექტემბრის კრწანისის ტრაგედიამ, მეფის სიბერემ, სასომიხდილი და სისხლისგან დაცლილი საქართველოს საშინელმა ბედმა, როცა რომანოვების რუსეთმა უსინდისოდ ფეხქვეშ გათელა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ყველა პირობა და ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, მავანთა წარმოდგენაში ერეკლე მეფის პერსონა გაარა — „ერეკლე იყო უდიდესი სტრატეგოსი და უნიჭო პოლიტიკოსი“. ახლახან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა, ფილოლოგმა თემურ ჯაგოდნიშვილმა ერეკლე მეფეზე უაღრესად საინტერესო მონოგრაფია გამოსცა. „ერეკლეს ეპოსი“ - ასე ჰქვია ამ წიგნს და იგი მოგვითხრობს მართლაც იმ ბრწყინვალე მითზე, რომელიც „პატარა კახმა“ საქართველოს რიგით, მაგრამ სათაყვანებელ შვილებთან ერთად შექმნა.***

**- ბატონო თემურ, რამ გადაგაწყვეტინათ ერეკლე მეფეზე წიგნის დაწერა?**

- როგორც ფოლკლორისტს, მსურდა, ხალხის თვალით დანახული ჩვენი დიდი წინაპარი გამეცნო საზოგადოებისათვის. ქართველი ერი ვალშია ერეკლეს წინაშე და, ალბათ, ჯერ კიდევ გასავლელია ის დროითი მანძილი, რომელიც მისი ღვაწლის სრული შეფასებისთვის არის საჭირო. ერეკლე საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე იყო...

**- შეგიძლიათ თუ არა, საქართველოს ისტორიაში ერეკლე მეფის გარდა, დაასახელოთ სხვა მეფე, რომელზეც ამდენი ხალხური ლექსი შექმნილა?**

- რაოდენობრივად ყველაზე ბევრი ლექსი მართლაც ერეკლე მეფეზეა შექმნილი!

**- ამის მიზეზი მარტო ის არის, რომ ერეკლეს ეპოქას მხოლოდ 200 წელი გვაშორებს?**

- რასაკვირველია, არა!.. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი ამბობდა, რომ ადამიანის მეხსიერების დროითი ქრონოტიპი ძალიან მოკლეა და იგი ოთხხუთ თაობას თუ სწვდება. ცხადია, ფარნავაზიდან მოყოლებული, ქართველ მეფეებზე უამრავმა ლექსმა და თქმულებამ ჩვენამდე დროის სიშორის გამო ვერ მოაღწია, მაგრამ ერეკლე მეორის სახე გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ პატარა კახის ეპოქასა და ჩვენს ეპოქას შორის არა მხოლოდ დროითი მანძილია შედარებით მოკლე, არამედ განსაცდელიც და განცდილიც ძალიან დიდია თავისი ტრაგიზმით.

**- ამბობენ, ერეკლე მეფე საქართველოში ყველაზე უფრო „ხალხური მეფე“ იყოო...**

- დიახ, ერეკლე ხალხის მეფე იყო!.. ჩემმა ერთმა კოლეგამ, ფოლკლორისტმა ბრძანა: ჩვენ გვქონდა ისტორიული ქარტეხილებითა და კატაკლიზმებით სავსე ეპოქები, მაგრამ ჩვენ ვერ შევქმენით ვერც ისტორიული და ვერც ფსევდოისტორიული გმირი, რომელსაც თუნდაც ისე მოვიხსენიებდით, როგორც ესპანელები უწოდებენ თავიანთ მეფეს „სიდს“ - „ჩემი სიდი“. მთელი ჩემი გამოკვლევის აზრი იქით არის მიმართული, რომ დასავლეთ ევროპულ პიროვნულ ქრისტიანობას, სადაც „ჩემი“ დომინირებს, ენაცვლება ჩვენი „ხალხურ-სახელმწიფოებრივი“ ქრისტიანობა, - „ჩვენი“, „ჩვენი მეფე“, „ეს ჩვენი მეფე ერეკლე“. ერეკლე არის ისტორიული გმირი, რომელმაც ეპოქის სულისკვეთება განასახიერა თავისი პიროვნებით. იგი ამ ნიშნითაც არის ეპოსის გმირი.

**- ე. ი. შეიძლება ვთქვათ, რომ თავის დროზე ქართველი ერის ინდივიდუალური ხასიათი ერეკლე მეფეში განსხეულდა?**

- რასაკვირველია!.. ერეკლე მოგვაგონებს იმ „კაი ყმას“, რომლის შინაარსის ძიებაც XVIII-XIX საუკუნეების ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და მწერლობაში აშკარად ჩანს. ერეკლე არ მიიღო ქართლის არისტოკრატიამ. იგი მათთვის მაინც „კახეთის მეფედ“ რჩებოდა და მართალიცაა გერონტი ქიქოძე, როცა ბრძანებს: „ერეკლე თავის ეპოქაში ვერ ეტეოდა“...

**- ერეკლეს ხშირად საყვედურობენ „გეორგიევსკის ტრაქტატზე“ ხელმოწერას; რომ მან საქართველო რუსებს ჩაუგდო ხელში.**

- ამ მხრივ საყვედურები ერეკლეზე ნაკლებად ითქმის. თქვენ თუ ნახავთ, ტრაქტატში არსად წერია, რომ ქართლ-კახეთი დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობას დაკარგავდა. ერეკლემ ასპინძის ომამდეც მშვენივრად იცოდა, ვინ იყვნენ რუსები და რა განზრახვით მონაწილეობდნენ ისინი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსი დიპლომატები ერეკლეს წინააღმდეგ მოქმედებდნენ იმ შეთქმულებაშიც, რომელიც დათუნა ფეიქარმა გასცა. ასე რომ, კავკასიის მაჰმადიანი ხანების გამუდმებული აგრესია რომ არა, ვინ იცის, საქართველოს ბედი შეიძლება სხვაგვარად წარმართულიყო, ერეკლე სწვეოდა ისპაჰანს და აღარც აღა-მაჰმად-ხანი გამოჩენილიყო. ერეკლეს ერთი მხარი მაშინ მოსტეხეს, როცა ლევან ბატონიშვილი მოწამლეს, ხოლო მეორე მაშინ, როცა რუსეთმა საქართველოში ისე მოინდომა შემოსვლა, რომ ერეკლე ან პოლიტიკურად გაეკოტრებინა, ან ფიზიკურად მოესპო. XIX საუკუნეში ერეკლე მეფეზე უამრავი ლექს-სიმღერის შექმნის მიუხედავად (ასეთი 142 ორიგინალური ტექსტია, რომელთაგან თითოეულს ათეულობით ვარიანტი მოეპოვება), თითქოს ერეკლეს ეპოსი




*სათნოება და დიდება, როცა და-ძმურად ერთად ვლიან, ყველა სხვა და-ძმობაზე უმაღლესნი დაძმანი არიან, და ნეტარ არს იგი, ვისიც დიდება მხარს უმშვენებს სათნოებას და სათნოება დიდებას. ამ ნეტარებას ნუთუ დავიშურებთ იმ კაცის სახელისათვის, ვინც ორმოცდათოთხმეტი წელიწადი „რკინის კარი“ იყო საქართველოსი!*

**ილია ჭავჭავაძე**

ვერ შედგა, მაგრამ შედგა არსენას ეპოსი - შინაარსით სოციალური. ერეკლეს შესახებ არსებული ფრაგმენტული ლექს-სიმღერები გავაერთიანე, დავალაგე ეპიკური გმირის თავგადასავლის მიხედვით გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდგომი ამბებით და მივიღე დიდი და საინტერესო ამბავი პიროვნებისა, რომელიც კონკრეტულ ეპოქაში ერის ისტორიის სარკეა. გაირკვა, რომ ერეკლეს ეპოსი თავისი მორფოლოგიით დროის შესატყვისია სტრუქტურულადაც, რომ ეს არის ციკლური ეპოსი, რომ ერეკლე არის თავგადასავლის მქონე სახალხო გმირი და, ამავე დროს, მას ჰყავს თავისი კერძო გმირები, რომლებიც თავიანთი საგმირო საქმეებით ქმნიან იმ სამყაროს, რომელსაც XIX საუკუნის ხალხური თხრობა ჰქვია. **ეს კერძო გმირები არიან: ლევან ბატონიშვილი, მაია წყნეთელი, თინა ჭავჭისელი, თამარ ვაშლოვნელი, ფარადა თემურიშვილი, ბელა ნათელაშვილი, ძალლიკა ხიმიკაური, ალუდაურ-ბაბური, დილოისძე, თილისძე...** აი, ეს გმირები თავიანთი თავგადასავლებით ერეკლეს უკავშირდებიან.

**- ბატონო თემურ, 200 წელი რომ გაივლის, საქართველოს უკანასკნელი 15 წლის უახლესი ისტორიიდან რომელ გმირებზე შეთხზული ლექს-სიმღერები შეიძლება შემორჩეს შთამომავლობას?**

- ვხვდები თქვენი შეკითხვის პათოსს, მაგრამ მოკლედ გიპასუხებთ, - ყველაფერს დრო გამოაჩენს, დრო უნდა გავიდეს!

## რეპლიკა

# სხვათაშორის

**„ერეკლეს ეპოსი“** პოპულარულ, ყველა თაობისათვის გასაგებ ენაზეა დაწერილი. ქართულ ბიბლიოგრაფიაში მას ბადალი არ მოეპოვება. **ეს არის ვრცელი ნაშრომი საქართველოს უკანასკნელ დიდ მეფეზე — ერეკლე მეორეზე,** სადაც შეძლებისდაგვარად თავმოყრილია ყველა ის ხალხური ლექსი, თქმულება, ლეგენდა თუ ზღაპარი, რომელიც მადლიერმა ქართველობამ თუ საქართველოს მეზობელმა ხალხებმა სიცოცხლეშივე **გმირთაგმირად შერაცხილ გვირგვინოსანზე** შეთხზეს.

**თემურ ჯაგოდნიშვილმა ტექსტი ხალხური, ტრადიციული ეპოსის პრინციპების მიხედვით დაალაგა, გააერთიანა და აღმოჩნდა, რომ მიიღო საგმირო-საისტორიო ეპოსი სახელოვანი ქართველი მეფის — ერეკლე II-ის შესახებ, სადაც მთავარი იდეა სახელმწიფოს გაერთიანებისა და დაცვისათვის მუხლჩაუხრელი ბრძოლაა. ამ იდეას გაუტოლდა მეფე ერეკლე** და ამიტომაც იყო, რომ **მისი ამ ქვეყნიდან წასვლა, გარდაცვალება საქართველოსთვის „რკინის კარის შეხსნასთან“, უდიდეს ტრაგედიასა და უბედურებასთან გაიგივდა.**

**„ერეკლეს ეპოსი“** კლასიკური ეპოსის ნიმუშია; მას ციკლური სტრუქტურა აქვს. ხელმწიფის გვერდით ეპოსში შემოდიან **ერეკლეს** ეპოქის სხვა გმირები, რომლებიც საქართველოს **გმირი მეფის** სამსახურში დგანან, მისი სახელით გმირობენ და მათი მთავარი საზრუნავიც საქართველოს დაცვა-გადარჩენაა!..

**„ერეკლეს ეპოსი“ თითოეულმა ქართველმა უნდა წაიკითხოს, ეს წიგნი ყველას ოჯახში უნდა იდოს, მაგრამ, ვაგლახ, რომ იგი მცირე ტირაჟით გამოვიდა და მთელ საქართველოს ვერ გასწვდება...**

**გმირ მეფეზე,** სახელოვან მეცნიერზე, წიგნზე, სერიოზულ თემებზე ვლაპარაკობ და არ მინდა, სულელების ამბების მოსათხრობად მოვაცდინო კალამი, მაგრამ ერთი რამ რომ არ ვთქვა, ვერ მოვისვენებ, ბუზანკალი შემიჩნდა!..

**ძვირფასო გოკა, კულტურის მინისტრო, საქართველოს საქმე რატომ მიდის უკუღმა, იცი? პროფესორი კაცი უსახსრობის გამო „ერეკლეს ეპოსს“ 300 ეგზემპლარზე მეტს რომ ვერ ბეჭდავს, ხოლო „ნაცმოძრაობა“ მოსახლეობაში უფასოდ არიგებს ნახევარმილიონიანი ტირაჟით გამოცემულ ფერად ბუკლეტებს, სადაც „საქართველოს 16 გამარჯვების“ ცრუზღაპარია მოთხრობილი, იმიტომ!..**

***P.S.** ერეკლე მეფე მართლაც ტრაგიკული, მაგრამ გასაოცარი და თავზეხელაღებული გმირობის მაგალითია ჩვენი უბედური სამშობლოს სისხლიან ისტორიაში. როგორც ამბობენ, უშიშარი და უბადლო მეომარი „პატარა კახი“ ორჯერ ატირებულა, თურმე; ერთხელ — ჯანღონით სავსე ახალგაზრდა, როცა ლევან ბატონიშვილი მოკლეს და მეორედ — უკვე მოხუცი, როცა მეფემ ავლაბრის ხიდიდან შემოხედა აღა-მაჰმად-ხანის ურდოების მიერ ცეცხლში გახვეულ თბილისს. ცნობილია, რომ რენეგატმა თავადებმა, რომლებსაც საქართველოს დასაცავად გლეხების ჯარში გაგზავნა არ სურდათ, მოწამლული ფლავით სიცოცხლეს გამოასალმეს „მორიგე ჯარის“ სულისჩამდგმელი ლევან ბატონიშვილი. როცა მეფე ერეკლე მკვდარ შვილს თავზე დაადგა, თურმე, უთხრეს, — ბატონიშვილი აზნაურის ცოლს ჰყვარობდა და გამწარებულმა ქმარმა ხანჯლით მოკლა ლევანიო. კრიჭაშეკრულ მეფეს ძლივს ამოუღერღავს, — თუ ლევანმა მართლა უკადრისი საქციელი ჩაიდინა, მაშინ ჩემი შვილის სხეულს ახლავე ძაღლებს მივუგდებ საჯიჯგნად, მაგრამ მანამდე მინდა, ჩემი თვალით ვნახო ნაჭრილობევი, რათა სიმართლეში დავრწმუნდეო. ტანისამოსი გახადეს, თურმე, ლევან ბატონიშვილს... ერეკლე მეფემ შვილს ნაიარევი ვერსად უპოვა, სამაგიეროდ, იხილა უტყუარი ნიშანი საწამლავისა, — ალაგ-ალაგ ჩალურჯებული სხეული. მეფე ერეკლე აქვითინებულა, მამადავითზე ასულა, სენაკში ჩაკეტილა და ორი კვირა ცრემლად დაღვრილი ლოცულობდა და მარხულობდა, თურმე...*

*დიდებულ ისტორიებს ტრაგიკული გმირები ქმნიან!*

*პროფესორ **თემურ ჯაგოდნიშვილის** „ერეკლეს ეპოსი“ ყოველმა ქართველმა უნდა წაიკითხოს!*

*ესაუბრა* **დიტო ჩუბინიძე**

# მსოფლიო

მრავალი წლის წინ დავიწყე მუშაობა მიკროსქემების შემქმნელ ინჟინრად. სპეციალისტთა დიდი ჯგუფის შემადგენლობაში ვმონაწილეობდი ერთ პროექტში არიზონას შტატის ქ. ფინიქსში. პარალელურად ეს პროექტი დაკავშირებული იყო მასაჩუსეტსის შტატის ქ. ბოსტონსა და კალიფორნიის შტატის ქ. პანფორდში მიმდინარე სამუშაოებთან.

**ჩვენ ექსპერიმენტებს ვატარებდით ერთ ახალგაზრდა ქალზე, რომელსაც ზურგის ტვინში ჩანერგილი ჰქონდა რამდენიმე ელექტრონული სქემა რადიოსიგნალების მიმღებით.** მთელმა ჩვენმა ჯგუფმა დაიწყო ამ მიკროსქემების გაუმჯობესებაზე მუშაობა, ჩვენ შევძელით მიგვეღწია მის ქცევაზე კონტროლისთვის. ვითვალისწინებდით ყველაფერს: მიკროღებინებას, ალერგიას, მიღებას ან უარყოფას ამა თუ იმ ელემენტებისას...

მუშაობისას ჩვენ ცდებს ვატარებდით პატიმრებზე და თანდათანობით მიკროსქემა გახდა ისეთი ზომის, რომ შეიძლებოდა მისი გამოყენება იმპლანტაციისთვის, ე.ი. ორგანიზმში შესაყვანად. **გვქონდა მიზანი, შეგვექმნა ისეთი მცირე ზომის მიკროსქემიანი ბიოჩიპი, რომელიც მოთავსდებოდა საინექციო შპრიცის ნემსში.** ეს მიკროსქემა გამოვცადეთ მრავალ ცხოველზე ქ. საკრამენტოში, ლოს-ანჯელესში (კალიფორნიის შტატი). მილიონი დოლარი იქნა დახარჯული იმისათვის, რომ დადგენილიყო სწორედ ის ადგილი ადამიანის სხეულში, სადაც იგი იმუშავებდა და მიიღებდა კვებას. ბიოჩიპი შედგება 250 000 შემადგენელი ნაწილისგან. იმისათვის, რომ მიკროსქემა დაიტენოს, საჭიროა ტემპერატურის სწრაფი ცვალებადობა. დადგინდა ორი ასეთი ადგილი, ესენია: **შუბლი და მარჯვენა ხელი.**

ინჟინრები ვერ აკონტროლებდნენ მთელ პროექტს, რადგან მუშაობა მიმდინარეობდა მრავალი მიმართულებით სხვადასხვა ადგილას, რაზეც მუშაობდა მრავალი ადამიანი. ერთმა ჯგუფმა არ იცოდა, რაზე მუშაობდა მეორე. მე ვმუშაობდი კვების წყაროს რესურსებზე. იმ დროისთვის მე მეუწყა გაფრთხილება ღვთისაგან და დავიწყე წმინდა წერილის გამოკვლევა და აი, გამოცხადების მე-13 თავში აღმოვაჩინე: „აიძულა ყველა - პატარები და დიდები, მდიდრები და ღარიბები, თავისუფლები და მონები - მიეღოთ ნიშანი ხელზე და შუბლზე" (გამოცხ. 13, 16).

დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც იოანემ იხილა უფლისაგან გამოცხადება, მან იხილა სწორედ ის ბიოჩიპი, რომელიც თავსდება ეპიდემიოლოგიურ ნემსში.

პროექტზე მუშაობისას გამოიკვეთა მისი მიზანი - **მთელ პლანეტაზე მცხოვრები ადამიანებისთვის ამ მიკროსქემის დამონტაჟება.** ერთი კონფერენციის დასასრულს ჩემთან ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელე მოვიდა და გამაფრთხილა, რომ არ გამეთქვა ინფორმაცია ამ ბიოჩიპის არსებობის შესახებ.

ღმერთმა მე მითხრა - **„შეხედე ამ რიცხვს 666"**, მე კი მივუგე - **„უფალო, მე ხომ არ ვიცოდი ამის შესახებ".**

მე შევეკითხე ერთ ექიმს მედიკალ-ცენტრიდან, რომელიც იმყოფებოდა მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში: **„რა მოხდება, თუ ეს მიკროსქემა უცბად, რაიმე მიზეზის გამო მწყობრიდან გამოვა?"** მან მიპასუხა, რომ ორგანიზმში მომენტალურად მოახდენს რაღაც ცვლილებას და ამ ადგილზე ჩირქოვანი ჭრილობა გაჩნდება. და იოანეს გამოცხადების მე-16 თავში ვნახე: „წავიდა პირველი და გადმოღვარა მიწაზე თავისი თასი და გაუჩნდათ სასტიკი და საზარელი ჭრილობები ადამიანებს, რომელთაც მხეცის ნიშანი ჰქონდათ და მის ხატებას სცემდნენ თაყვანს" (გამოცხ. 16, 2).



**ამონარიდები ინჟინერ-კონსტრუქტორის კომპიუტერული მიკროსქემის სფეროში, დოქტორ კოლ სანდერსენის გამოსვლიდან, რომელიც ქ. სპოკანში (ვაშინგტონის შტატი) 1993 წლის ზაფხულში შედგა.**

**მინდა, კიდევ ცოტა რამ ვთქვა ტექნოლოგიაზე.** არსებობს 23 თანამგზავრი, რომელთაც შეუძლიათ ინფორმაციის ამოკითხვა ისეთი მცირე ზომის ობიექტიდან, როგორიცაა, მაგალითად, საფოსტო მარკა. არსებობს, აგრეთვე, ახალი სერიის „უო" თანამგზავრები, რომლებიც აკონტროლებენ ყველაფერს დაბალი სიმაღლიდან. ისინი ისეთი მგრძნობიარენი არიან, რომ შეუძლიათ განსაზღვრონ ადამიანის ტემპერატურა 0,4 გრადუსის სიზუსტით, მათგან დამალვა ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ ვენდობით ჩვენს მთავრობას, ხოლო მთავრობა ისწრაფვის მსოფლიოს გაერთიანებისაკენ. **ძალიან სწრაფად ახლოვდება დრო მსოფლიო ხელისუფლებისა. შემოღებული იქნება ელექტრონული ფული** (ქაღალდის ფულის მაგივრად - რედ!). ჩვენ ძალიან სწრაფად მივდივართ ამისაკენ. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ალბერტ გორის კაბინეტში ითქვა, რომ ქვეყნის ყოველმა მოქალაქემ უნდა იქონიოს **სმარტ-ბარათი** (პლასტიკური ბარათის გარკვეული სახეობა). ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მომზადება **ბიოჩიპის** შეყვანისთვის, რომელიც თავის დროზე ალტერნატივის გარეშე მოუწევს ყველა მის მფლობელს.

**მინდა ყველას ვუთხრა - არ მიიღოთ იგი.**

მე ვესაუბრე ცსს-ს (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს) ზოგიერთ თანამშრომელს, რომელთაც მითხრეს, რომ მთავრობაში, მაგალითად, ჰენრი კისინჯერი, ლაცენბერგი და სხვები მსჯელობდნენ, რომ **ვერ გააკონტროლებდნენ ადამიანებს, თუ მათ არ დატვიფრავდნენ ბიოჩიპით.** ამისთვის 500 მილიონი დოლარი იქნა გამოყოფილი. მას შემდეგ მრავალ ადამიანს დაესვა ეს ბეჭედი.

ცსს-ს აქვს სამოქმედო პროგრამა ფუნდამენტალურ ქრისტიანებზე. ეს შექმნილია იმისათვის, რომ კომპრომეტირება გაუკეთონ ქრისტიანებს მოძრაობა ნიუ-ეიჯის საშუალებით. დღეს სკოლებში ასწავლიან ყველა რელიგიას, ბუდიზმს, მუსულმანურს და ყველაფერს, რაც გინდათ, მაგრამ სადმე თუ გაიგონებთ, რომ ქრისტიანულ მორალს ასწავლიდნენ? ვერ ნახავთ! (**საქართველოს სკოლებშიც ცდილობენ დანერგონ მრავალრელიგიანობა** - რედ!).

ფედერალური რეზერვების სისტემას აქვს ხუთი ბანკი, რომლებიც აკონტროლებენ მსოფლიოში ყველა ფინანსებს.

**რატომ? ყველაფერი კეთდება კონსპირაციულად იმისათვის, რომ მიგვიყვანონ ერთ მიზნამდე - ერთიან მსოფლიო ხელისუფლებამდე.**

●




ყოველივე ეს ანტიუტოპია კი არ არის, არამედ მწარე რეალობა. აგერ უკვე მრავალი წელია გამოიცდება მათ მიერ შექმნილი ეს ნიშანი დისნეილენდში. **იმათ, ვინც იქ რამდენიმე დღით რჩებოდა, სთავაზობდნენ მუდმივ ბარათს ან ლაზერულ ტატუირებას მარჯვენა ხელზე. ამ სახით ამოწმებდნენ, თუ როგორ რეაგირებას მოახდენდნენ ადამიანები ამაზე და დროთა განმავლობაში მიეჩვეოდნენ თუ არა ისინი ამას.** ჰოლანდიაში უკვე დიდი ხანია დაიწყეს ამ სახით უპატრონო ადამიანების შუბლზე ტატუირება. ამასთან, განსაკუთრებით ამსტერდამში ხალხს ეუბნებიან, რომ ამ ფორმით შეიძლება შეაჩერო დანაშაულებრიობა. ნიუ-იორკში 11 სექტემბრის ტერაქტი გამოყენებული იქნა ამ ტოტალური კონტროლის სისტემის დასანერგად. **2001 წლის 11 ოქტომბერს აშშ-ის სენატმა მიიღო ანტიტერორისტული კანონი №98-1, რომელიც განიხილავს ელექტრონული სისტემის გამოყენების გაფართოებას ადამიანების თვალთვალის** (დაზვერვის) **მიზნით.** ეს ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ ითვალისწინებს **„ახალ პირადობის მოწმობებს"** - მიკროჩიპებს. მათ აეროპორტებში უკვე დადგმულია სპეციალური ხელსაწყო მარჯვენა ხელზე აღბეჭდილი ამ უჩინარი ნიშნის გამოსათვლელად.

**კანქვეშ შეყვანილი ეს მიკროსქემა ასხივებს რადიოტალღებს, რომლის საშუალებითაც ადამიანს იპოვიან ნებისმიერ ადგილზე, მიწის ქვეშაც კი, თანამგზავრის საშუალებით.** ეს ნიშნავს ხალხზე აბსოლუტურ კონტროლს. დამთავრდება ყოველგვარი ნება-სურვილის თავისუფლება. შესაბამისად, იქნება ზემოქმედება ადამიანის ქვეცნობიერზე - **შესაძლებელი იქნება ადამიანთა ზონების მართვა**, რომლებსაც მართავენ პროგრამულად, გიგანტური კომპიუტერული ქსელის მეშვეობით სახელად „The beast" (მხეცი). ისინი განლაგებულნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ: **დალასში** (ტეხასის შტატი), **ბრიუსელში** (ევროკავშირის ცენტრალური კომპიუტერული სისტემა - 13-სართულიანი შენობის მე-3 სართულზე, რომელიც არქიტექტურული მაგიის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს), **ლუქსემბურგში, სტრასბურგში, ამსტერდამში.**

ეს კომპიუტერული ქსელი იტევს **ინფორმაციას არა მარტო პლანეტის ყველა ადამიანის შესახებ, არამედ მასთან დაკავშირებულია აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა კერძო მსხვილი ორგანიზაციების** (ბანკების, სავაჭრო სახლების, უნივერმაღების და ა.შ.) **ელექტრონული კომპიუტერული სალაროები.** ამ ორგანიზაციებში ანგარიშსწორება ძირითადად ხდება უნაღდოდ - ელექტრონული საკრედიტო (პლასტიკური) ბარათების გამოყენებით (ასევე მათი მეშვეობით გაიცემა ხელფასები როგორც ამ ორგანიზაციებში, ასევე სახელმწიფო და სხვა კერძო სტრუქტურებშიც). ამ ბარათის მფლობელები პირადი მონაცემებით და საიდენტიფიკაციო ნომრით ბანკების მეშვეობით დაკავშირებულნი არიან ამ ქსელთან. შემდგომში, მათი გეგმის მიხედვით, ყოველივე ეს მოხდება ადამიანის კანქვეშ შეყვანილი **„მიკროჩიპ 666-ით"**, როგორც ვითომდა უსაფრთხო და სრულყოფილი ანგარიშსწორების საშუალებით (პლასტიკური ბარათების მოპარვის აღკვეთის საბაბით, არსებობს გეგმა „F-H" **(Forehead-hand - შუბლი-ხელი)**, რომელზეც იგივე პრინციპით, თვალისათვის უხილავად, შტრიხული კოდის სისტემაში, რომელიც შეიცავს სამ ექვსიანს (რომ არ დასჭირვებოდათ გრძელი ტექსტების და ციფრთა რიგების ჩამოწერა, გადაწყვიტეს გამოესახათ შტრიხ-კოდები გრაფიკული ხაზების სახით). თავდაპირველად იგი შეიქმნა საქონლის მწარმოებელი ფირმის, თვითონ საქონლის და მისი ფასის სწრაფი იდენტიფიცირების მიზნით. „იმისათვის, რომ შტრიხ-კოდი უშეცდომოდ იყოს გამოყენებული, მასში ინფორმაციის დაყოფა ხდება ორმაგი გრძელი შტრიხით - თავში, შუაში და ბოლოში, რომელთა კომპიუტერული ციფრული მნიშვნელობა არის ექვსი" - **საბერძნეთში კომპიუტერული სისტემების ცნობილი სპეციალისტის, თომა ფსარასის წერილის ფრაგმენტი (1997 წლის აპრილი) ერთი ბერძნული მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ნექტარიოსისადმი.**

როგორც საქონლის სახეობათა მიხედვით იცვლება შტრიხკოდები, იგივე ხდება მასზე ადამიანის შესახებ ინფორმაციის დატანის შემთხვევაშიც. ერთადერთი, რაც საერთოა ყველა შტრიხ-კოდისათვის, **რიცხვი „666"-ია.**

თანამედროვე ტექნოლოგიებში შტრიხ-კოდი დატანილია მაგნიტურ ლენტზე - საკრედიტო პლასტიკურ ბარათებზე, პლასტიკურ მოწმობებზე და ა.შ., რაც თვალისთვის უხილავია. მას სპეციალური ხელსაწყო სულ რაღაც წამებში აღიქვამს, კომპიუტერი კი ასევე სწრაფად ახდენს გრაფიკული ხაზების დეკოდირებას ანუ აქცევს ისევ ასო-ციფრულ ინფორმაციად, მოათავსებს მას მონაცემთა ბაზაში და ჩაატარებს ამ ინფორმაციაზე საჭირო ოპერაციებს. ეს ყველაფერი ხდება წამის მეათასედ დროში, უშეცდომოდ და ადამიანის მონაწილეობის გარეშე. **საიდენტიფიკაციო ნომერთან ერთად დატანილი იქნება დაწვრილებითი ინფორმაცია ამ „ბეჭდით" დატვიფრულთა შესახებ, რომლებიც ასევე ბანკების მეშვეობით, საკუთარი მონაცემებით და საიდენტიფიკაციო ნომრით დაკავშირებულნი იქნებიან ცენტრალურ კომპიუტერთან** (The beast - მხეცი)**, ხოლო მათ იდენტიფიცირებას მოახდენენ სპეციალური ხელსაწყოების** (სკანერების) **მეშვეობით, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადგმულია ამერიკის აეროპორტებშიც.**

საქართველოში უკვე აქტიურად მიმდინარეობს **პლასტიკური ბარათების** მასობრივად დანერგვის პროცესი (იმათთვის, ვინც ხელფასს პლასტიკური ბარათებით იღებს, შესაძლებელია ალტერნატიული ვარიანტით სარგებლობა, ანუ საბარათე ანგარიშის გაუქმება და კუთვნილი თანხის ჩვეულებრივი ანგარიშიდან გამოტანა. ყოფით ცხოვრებაში რაიმე ფორმით მისი გამოყენების გარეშე წყდება კონტაქტი გიგანტურ კომპიუტერულ ქსელთან). ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთი წლის ანგარიშის მიხედვით **(თებერვალი 2004 - თებერვალი 2005) „შემუშავების პროცესშია საქართველოს მოქალაქის პლასტიკური მოწმობა"** - რომელიც შეიცავს ე.წ. ჩიპს და რიცხვს 666 (მსგავსი საბუთების შემოღებას დიდი საპროტესტო აქციები მოჰყვა საბერძნეთში, რუსეთსა და უკრაინაში). პარალელურად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უკვე დაიწყო კანქვეშ შესაყვანი მიკროჩიპის რეკლამირებაც, რითაც სხვადასხვა ფორმით ცდილობენ მისი დადებითი კუთხით წარმოჩენას, რათა ამ გზით რაც შეიძლება მეტი გაუთვითცნობიერებელი, საქმეში ჩაუხედავი ადამიანი გაებას მახეში.

**იბადება კითხვა - ვინ დგას სინამდვილეში ყოველივე ამის უკან?!**

უკვე მრავალმა ავტორმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს კონტროლს უწევს და მართავს რამდენიმე დაჯგუფება. ამავე აზრს გამოთქვამს მკითხველთა წინაშე მწერალი იან ვან ჰელზინგი. იგი ააშკარავებს **მასონობისა და ოკულტიზმის კავშირს მაღალ ფინანსურ წრეებთან და პოლიტიკასთან.** ის თავისი წიგნის შესავალში წერს: ***„არსებობს ისტორიული რეალობის ორი მხარე: ერთი მათგანია საერთო, რომელსაც ღია თვალსაზრისი ეწოდება. იგი ინერგება საზოგადო ფენის აზროვნებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებით და შემდგომ ამავე ხალხის მეშვეობით იწერება უკვე როგორც ისტორია. მეორეს მხრივ, მის საპირისპიროდ დგას მოვლენები, რომლებიც არ დაიყვანება საზოგადოებრიობამდე. ეს არის სამყარო, რომელშიც მოქმედებენ საიდუმლო საზოგადოებები და ფარული ლოჟები. ისინი ერთმანეთში წნავენ კაპიტალს, პოლიტიკას, ეკონომიკასა და რელიგიას. ამ დონეზე ხდება ნაციის (ერის) ფორმირება, ომების დაწყება, სავარძლებში დასმა პრეზიდენტებისა, რომლებსაც შემდგომ, თუკი შესაბამისად არ იმოქმედებენ, გადააყენებენ კიდეც".***

მრავალი რამ, რასაც ამოიკითხავენ ბროშურის მომდევნო ფურცლებზე, აღმოჩენა იქნება, უპირველეს ყოვლისა, იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც აზრი და მსოფლმხედველობა უყალიბდებათ ისეთი მასობრივი ინფორმაციული საშუალებებით, როგორიცაა: გაზეთი, რადიო, ტელევიზია და თანამედროვე ლიტერატურა.

და ეს არც არის გასაკვირი, რადგან **ფარული ლოჟების გასაიდუმლოებულმა ბუნებამ და საიდუმლო მოღვაწეობამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიაღწიოს მიზანს, თუ მის შესახებ არავის არაფერი ეცოდინება.** უკვე თვით საიდუმლო ლოჟების შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ არსებობს რაღაც მიზეზი, რის გამოც ლოჟების ძმობა ხალხისაგან ფარულად, ჩრდილშია მოქცეული.

საინტერესოა, რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ უმაღლეს საპასუხისმგებლო პოსტებზე დანიშნული არიან ძმები ამ ლოჟებიდან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეს ხალხი ეცდება თქვენგან დაფაროს, თუ როგორ მიაღწია ამ მდგომარეობას.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებს იღებენ ასეთი ადამიანები თავიანთ შეკრებებზე და როგორი გავლენა აქვთ მათ დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზეც.

ი.ვ. ჰელზინგის მონაცემებით, **„მდიდარმა იუდეველმა რაბინებმა, რომლებიც მთელს ქვეყანაზე განბნეულ ხალხთა რელიგიური და პოლიტიკური ლიდერები იყვნენ, შეაერთეს თავიანთი ძალისხმევა და ჩამოაყალიბეს ჯგუფი, რომელმაც შემდეგ მიიღო „სიონელ ბრძენთა" სახელწოდება** (სიონისტები თავიანთ თავს იუდაიზმის „მესიანურ" ელიტად თვლიდნენ და მიიჩნევდნენ, რომ მსოფლიოს ყველა ებრაელობა მათ მიზნებს სოლიდარობას გამოუცხადებდა)".

მასონობის მეორე ავტორიტეტული მკვლევარი ს. ლურიე წერს: **„უძველეს ლიტერატურაში ჩვეულებრივია შეხედულება, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ებრაელობა, მისი მოკრძალებული გარეგნობის მიუხედავად, წარმოადგენს „საშინელ კარმას", რომელიც ცდილობს მთელი მსოფლიოს დაპყრობას. ფაქტიურად კი მას იგი თავისი საცეცებით უკვე ხელში ჰყავს. ამ ადამიანებს საზოგადოებისაგან მართლაც აქვთ დასამალი - მათ იციან ის, რაც ჩვენ არ ვიცით. ისინი თავიანთ თავს „ილუმინატებს"** (განათლებულებს, მცოდნეებს) **უწოდებენ და ნუთუ არ გსურთ, გაიგოთ იმ საიდუმლო**

# საფრთხე

**გეგმის შესახებ, რომელსაც ასე გულმოდგინედ მალავენ თქვენთან „ილუმინატები“?**

## მსოფლიო მასონური პირამიდა (აშშ-ის ბეჭედი)

XX საუკუნის II ნახევრიდან მსოფლიო მასონობის ცენტრმა ევროპიდან აშშ-ში გადაინაცვლა.

ჯონ ტოდი, ოდესღაც 13-თა საბჭოს წევრი, პირამიდას, რომელიც შედგება 13 საფეხურისგან, შემდეგნაირად აღწერს:

**ბეჭედი ლონდონში დამზადდა როტშილდების ოჯახის - როტშილდების ტრიბუნალის** (იუდეველთა კასტა გადაკეთებული გვარით ბაუერიდან როტშილდზე, რაც ნიშნავს „წითელ ფარს“, რომელიც წარმოადგენდა გამარჯვების სიმბოლოს აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრებ რევოლუციურად განწყობილ ებრაელთათვის) **წევრის მითითებით.** ეს დემონური ორგანიზაციაა, რომლის სათავეშიც დგას როტშილდი. ამ ორგანიზაციაში შეხვდებით თავისუფალ კალატოზებს და სხვა კავშირის წევრებს. ორგანიზაცია ფართოდ არის განტოტილი. ის მოღვაწეობს სხვადასხვა მიმართულებით და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლია, რათა მიაღწიოს მსოფლიოზე ბატონობას.

**მსოფლიო მასონობის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ იგი იჭრება დასავლეთის პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ეკონომიკასა და კულტურაში (ახლა უკვე საქართველოს ცხოვრებაშიც).**

დასავლეთის ქვეყნების ყველა პოლიტიკურ პარტიას დირიჟორობს „თავისუფალი კალატოზები“ (ერთ-ერთი უძველესი ორგანიზაცია ამჟამად არსებულთა შორის. 1730 წელს მათ გახსნეს პირველი ლოჟები ინგლისის დედა ლოჟის თანხმობით. მათ მიერ არის დაწერილი აშშ-ის კონსტიტუცია. ამერიკელი პრეზიდენტების დაახლოებით მესამედი „თავისუფალი კალატოზების“ წარმომადგენლები იყვნენ. ასევე ფართოდ იყვნენ ისინი წარმოდგენილი კონგრესსა და სენატში. **ამერიკის ბეჭედი, სახელმწიფო გერბი - ფენიქსი, რომელიც განასახიერებს იუდეველთათვის ბედნიერების რიცხვ 13-ის ტრანსფორმაციას. მის ყოველ ფრთაში 13 ბუმბულია, მარჯვენა თათში მას 13 ისარი აქვს, მარცხენაში - ტოტი 13 ფოთლით. თავზე აწერია** „Epeurilus Unum“ (ბევრიდან - ერთიანი)**, რომელიც 13 ასოსგან შედგება. ამას ემატება 13 ვარსკვლავი და მკერდზე აქვს ფარი 13 ზოლით, რომელიც 13 შტატდამფუძნებელს განასახიერებს. და თავდაპირველი დროშა 13 ზოლით და 13 ვარსკვლავით - ყოველივე ეს წარმოადგენდა თავისუფალი კალატოზების ძველ და მნიშვნელოვან სიმბოლიკას. ასევე გაეროს გლობუსზე აღნიშნული 33 მინდორი და 33 ქვა პირამიდაზე, წარმოადგენს თავისუფალ კალატოზთა შოტლანდიური წრის 33 საფეხურს).** ყურადღებიანი დამკვირვებელი ამას ხედავს მრავალი მინიშნებით, რომელთა მეშვეობითაც თავისი გამოსვლების დროს მათ ამოიცნობენ ხელდასმულები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აბსოლუტურად სულერთია, რომელი პარტია მიიღებს ხმების უმრავლესობას არჩევნებზე აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში. ყველა როლი უკვე ადრევე განაწილებულია, ყველა გადაწყვეტილება კულისებშია მიღებული, ხოლო ცხარე კამათები პარლამენტში გამოწვეულია მხოლოდ ილუზიების გამოსაკვებად.

ხალხი, როგორც ნახირი, მიჰყავთ წინასწარ დასახული მიზნისკენ, მაგრამ თვით მასონების ლოჟების რიგით წევრებსაც კი არა აქვთ წარმოდგენა, თუ რა მოელით მათ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დროს.

როგორც ჰელზინგი მიგვითითებს, **მასონური ლოჟების წევრების 90% ელიტის მიერ გამოიყენება. სინამდვილეში მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რა ხდება უმაღლეს სფეროებში.**

დაბალი ხარისხის იერარქიებს შორის მოცემული ორგანიზაციები ძალიან აქტიურად ამჟღავნებენ თავს სოციალურ სფეროებში და მართლაც შესანიშნავ პროგრამებს წარმოადგენენ ხოლმე.

თუმცა, „მათ ნაყოფით შეიცნობენ“.

მაინც, პრინციპში შეიძლება ითქვას, რომ **რაც უფრო მაღლა დგას ვიღაც პირამიდაში** (იერარქიაში)**, სადაც ინახება ნამდვილი საიდუმლოებანი, მით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას წარმოადგენს იგი საწყის საფეხურთან მიმართებაში.** მაგალითად, იაკობ შიფი იყო ბ ნაი ბრიტის (საერთაშორისო ებრაული (იუდეველთა) ლოჟა, შეიქმნა 1843 წელს ნიუ-იორკში) უმაღლეს საფეხურზე მდგომი წევრი და საიდუმლო ხელმძღვანელი, რომელიც ბოლშევიკურ რევოლუციას მართავდა.

ილუმინატები საერთაშორისო ბანკირების მეშვეობით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოხსენიებულ საზოგადოებებთან, ისწრაფვიან, უფრო მეტად განიმტკიცონ თავიანთი გავლენა ამ პლანეტაზე. კონტროლის უმთავრესი იარაღი ეს არის - **სახელმწიფო ნაციონალური დავალიანება, რასაც აქტიურად ახორციელებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის** და **მსოფლიო ბანკის მეშვეობით** (რომლის კოდის ნომერია 666). მიუხედავად ამისა, არსებობენ ისეთი სახელმწიფოები, მაგალითად, როგორიცაა ლიბია და ირანი, რომლებიც საერთაშორისო კონტროლისგან დამოუკიდებლად, საკუთარი დამოუკიდებლობის წყალობით, წარმოადგენენ ახალი მსოფლიო წესრიგის პირდაპირ გამოწვევას.

არის კიდევ ერთი ცნობილი ორგანიზაცია, რომელიც გარეგნულად სულ სხვა სახით წარმოდგება, ვიდრე იგი სინამდვილეშია. ეს გახლავთ **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო** (USAID). ანტონ ჩაიტკინისა და ჯესიკა პრიმაკის სიტყვით, USAID „დამაბულობის სტრატეგიაში“ მოქმედებს არა მხოლოდ როგორც ცსს-ს საჯაშუშო ოპერაციების ტრადიციული საფარი, არამედ ის მთლიანად პასუხისმგებელია ანგლო-ამერიკული ჩარევისა მსოფლიოს ყველა ნაწილში.

მაგალითად, არსებობს **USAID-ის პროგრამა** 300 მილიონი აშშ დოლარის ბიუჯეტით, რომელიც მიმართულია ცალკეულ ქვეყნებში შობადობის კონტროლისთვის.

ასევე ქველმოქმედების ეგიდით აქტიურად მოქმედებს **„ღია საზოგადოების ფონდი“** (დაარსდა 1979 წელს ნიუ-იორკში ჯორჯ სოროსის მიერ). ამ დროს კი ატარებს „ფარდისმიღმელთა“ პოლიტიკას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში **(საქართველოში იგი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ სახელით არის წარმოდგენილი).** მისი მიზანია ადამიანის მსოფლმხედველობის შეცვლა პროდასავლური სულისკვეთებით, საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირება და ანტიეროვნული კადრების მომზადება განათლების, კულტურის და ხელოვნების სფეროში. მაგალითად, **სოროსის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდობისა და მოზარდი თაობის სხვადასხვა სახის სემინარებსა და კონფერენციებზე ნერგავენ იდეას დასავლური კულტურის უპირატესობის შესახებ ეროვნულ კულტურასთან შედარებით.** მისი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისეთი წიგნებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემა, რომელშიც უხეშად არის დამახინჯებული და ფალსიფიცირებული ქვეყნის ისტორია.

ეს ფონდი, უპირველეს ყოვლისა, მუშაობს ხელისუფლებაზე, სხვადასხვა საშუალებებით





აქტიურად ერევა მათ საქმიანობაში და არსებით გავლენას ახდენს პოსტკომუნისტური აღმოსავლეთ ევროპის მთავრობების შემადგენლობაზე. ასევე მიზნობრივად აფინანსებს ისეთი ტიპის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და არასამთავრობო გაერთიანებებს, როგორიცაა, მაგალითად, **ტელეკომპანია „რუსთავი-2“, გაზეთი „24 საათი“, „კმარა“, „თავისუფლების ინსტიტუტი“** და ა.შ.

განმარტების მიხედვით - მასონობა არის საიდუმლო ინტერნაციონალური მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც ებრძვის ღმერთს, ქრისტიანობას, ეკლესიას, ნაციონალურ სახელმწიფოებრიობას, მონარქიას და განსაკუთრებით ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) სახელმწიფოებრიობას.

მასონობა ქრისტიანობის შეურიგებელი მტერია. მისი მიზანია ეკლესიის დანგრევა, ნაციონალური ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის საფუძვლის შერყევა და მთელს მსოფლიოში რევოლუციების ორგანიზება.

იმის გასაგებად, თუ სად მჟღავნდება მასონთა იდეოლოგია, უნდა განვიხილოთ დოკუმენტი, რომელსაც ისინი სრულ საიდუმლოებაში ინახავდნენ. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ 1875 წელს, როდესაც **„ბავარიელი ილუმინატების“** (ფარული ორდენი. დაარსდა ინგოლშტატში 1770 წელს, სატანისტ ადამ ვაისხაუპტის მიერ როტშილდების დავალებით) კურიერი ფრანკფურტიდან პარიზისაკენ მიმავალ გზაზე მეხმა მოკლა, რის შემდეგაც მსოფლიო მასშტაბის შეთქმულებაზე არსებული ინფორმაციის ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა.

ამრიგად, ეს დოკუმენტი გვაუწყებს:

**- პირველი საიდუმლო, ადამიანის მართვის საქმეში, საზოგადოებრივი აზრის დაუფლებაა, ამასთანავე, საჭიროა ისე ხანგრძლივად სთესო განხეთქილებები,** ეჭვი და დანერგო ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი, სანამ ხალხი საბოლოოდ არ დაიბნევა და არ დაკარგავს ორიენტირებას არეულობაში, არ გადაწყვეტს, რომ **უკეთესია პოლიტიკურ საკითხებში საერთოდ არ ჰქონდეს საკუთარი აზრი. საჭიროა გამოწვეულ იქნას სახალხო უკმაყოფილება, გავრცელდეს სულიერებას მოკლებული, ბინძური და მდარე ლიტერატურა.** პრესის ამოცანაა დაამტკიცოს, რომ არაილუმინატები უუნარონი არიან სახელმწიფო და რელიგიური ცხოვრების ყველა სფეროში.

- მეორე საიდუმლო მდგომარეობს იმაში, რომ **ადამიანთა სისუსტეები, ყველა ცუდი ჩვეულება, ყველა ღირსეული სინანული და ყოველი მათი შეცდომა იქცეს საყრდენად,** საბოლოოდ ადამიანებმა ვეღარ უნდა გაუგონ ერთმანეთს.

- უპირველეს ყოვლისა, **საჭიროა მთელი ძალით ბრძოლა ცალკეული პიროვნების წინააღმდეგ, რადგან მასზე უფრო საშიში არაფერია, მით უმეტეს, თუ ის ფლობს შემოქმედებით სულიერ ენერგიას, რისი საშუალებითაც მას შეუძლია მიაღწიოს უფრო მეტს, ვიდრე მილიონობით ადამიანს.**

- **შურის, სიძულვილის, უთანხმოებისა** და **ომების** საშუალებით, **ხელმოკლეობით, შიმშილითა** და **გადამდები სენის** გავრცელებით (მაგ., შიდსი - ავტ. შენიშვნა) ხალხი უნდა დავიდეს იმ დონემდე, რომ მთლიანად დაექვემდებაროს ილუმინატებს.

- თუკი რომელიმე სახელმწიფო რევოლუციის გამო მოშლილია ან სამოქალაქო ომის შედეგად გარეშე მტრების თავდასხმის საშიშროების წინაშე დგას, ეს ყოველთვის სასიკეთო სვლაა ჩვენთვის და ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს.

**ადამიანები უნდა მიაჩვიო იმას, რომ ისინი ღებულობდნენ ქვითრებს, როგორც მონეტებს, კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ გარეგნული მხარით, ილტვოდნენ გართობისკენ, განუწყვეტლივ ახლის ძიებაში იყვნენ, გაებან მასში.** ამით თავგზააბნეულნი კი საბოლოოდ გაჰყვნენ ილუმინატებს; ამას შეიძლება მიაღწიო მორჩილებისთვის მასის დაჯილდოების გზით, სწორედ ამით შეიძლება მათი ყურადღების მიპყრობაც.

- საზოგადოების გახრწნით ხალხი სრულებით **დაკარგავს ღმერთის რწმენას.**

- დამოუკიდებელი აზროვნების უნარი უნდა აღმოიფხვრას ხალხში მზა შეხედულების თანმიმდევრული დანერგვით. **სულიერი ძალების მოშლა უნდა მოხდეს ფუჭი დემაგოგიის მეშვეობით.** თავისუფალი აზრები, რომელსაც პარტიები წამოაყენებენ, ილუმინატების ორატორებმა ისე უნდა განავრცონ, რომ ხალხი დაიღალოს მოსმენით და ამით მათში გამომუშავდება სიძულვილი ნებისმიერი ორიენტაციის ორატორის მიმართ. ამის საწინააღმდეგოდ კი ილუმინატების სახელმწიფო სწავლება მოქალაქეებს უნდა მიეწოდოს იმგვარად, რომ არ იყოს მომაბეზრებელი, რათა ვერც შეძლონ მისი განსჯა.

**- მასა უნდა იყოს უგუნური, ბრმა და საკუთარ აზრს მოკლებული, რათა მათ ვერ შეძლონ პაექრობა სახელმწიფო წყობილების შესახებ. მათ უნდა მართავდეს სამართლიანი, მაგრამ სასტიკი ძალა და უსიტყვო მორჩილების პრინციპი.**

- მსოფლიო ბატონობას შეიძლება მიაღწიო მხოლოდ შემოვლითი გზით, ყველა ჭეშმარიტი თავისუფლების - კანონმდებლობის, არჩევნების წესის, პრესის, პიროვნების თავისუფლებისა და უპირველესად კი, აღზრდისა და განათლების სისტემის მიზანმიმართული შერყევით. ყოველივე ეს ღონისძიება მკაცრად გასაიდუმლოებული უნდა იყოს.

- სახელმწიფო წყობის მიზანმიმართული შერყევით **ხელისუფლება უნდა აწამო მანამდე, სანამ მზად არ იქნება, მშვიდობის შენარჩუნების სანაცვლოდ მთელი თავისი ძალაუფლება გადმოგვცეს ჩვენ.**

- ევროპაში უნდა აღიძრას **გაუგებრობა ხალხებსა და ერებს შორის,** ასევე რასობრივი და რელიგიური სიძულვილი იმისათვის, რომ გაჩნდეს გადაულახავი განხეთქილება, რათა არც ერთ ქრისტიანულ სახელმწიფოს არ შეეძლოს მხარდამჭერთა მოძებნა, ვინაიდან სხვა დანარჩენი ქვეყნები დაშინებულები იქნებიან, ხოლო ნებისმიერი კავშირი ილუმინატების წინააღმდეგ უაზრობა იქნება.

**- სამყაროს სხვა ნაწილებში საჭიროა განხეთქილების, არეულობის, მტრობის დათესვა, რათა შიშს მიაჩვიო სახელმწიფო და ჩაახშო წინააღმდეგობის გაწევის ყოველი შესაძლებლობა.**

- პრეზიდენტების დელეგირების გზით სამარი მოქმედების გამოცხადების უფლების მოპოვება და მთელი საჯარისო ძლიერებაც ილუმინატების ხელში აღმოჩნდება.

- „გაუნათლებელნი მმართველნი“ უნდა ჩამოიშორონ (გადააყენონ) სასახლის გადატრიალებებისა და აგენტურის ოპერაციების მეშვეობით, რათა მათ ვერ შეძლონ სახელწიფოს საქმეების მართვა.

- ილუმინატებმა მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეები უნდა აიძულონ, სესხი სერიულად აიღონ, **რის შედეგადაც მათ ექნებათ საკრედიტო დავალიანება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ სახელმწიფო ვალს.**

- სპეციალურად კარგად გათვლილი **ეკონომიკური კრიზისების მეშვეობით,** რომლის დროსაც ყველა ხელმისაწვდომი ფულადი საშუალება ამოღებული იქნება ბრუნვიდან, მოხდება „არაილუმინატების“ ფულადი მეურნეობის ძირის გამოთხრა.

- ფული უნდა გახდეს ვაჭრობისა და წარმოების ერთადერთი მამოძრავებელი ძალა, რათა მრეწველმა ფულის საშუალებით პოლიტიკური ძალაუფლებაც მიიღოს. ილუმინატებთან ერთად ამ კატეგორიაში უნდა მოხვდნენ მათზე დამოკიდებული მილიონერები. **პოლიცია და ჯარისკაცები უსახსროდ უნდა დარჩნენ.**

- საყოველთაო და თანაბარი არჩევნების წესის შემოღებით უნდა დამყარდეს **უმრავლესობათა განუყოფელი ბატონობა.** დამოუკიდებლობის მიჩვევით განადგურდება ოჯახი და მისი აღმზრდელობითი ძალა. **განათლების საშუალებით, რომელიც ცრუ და ყალბ სწავლებაზეა დამყარებული, უნდა მოხდეს ახალგაზრდობის გამოთაყვანება, გახრწნა და გზიდან ჩამოშორება.**

- საჭიროა კავშირი უკვე არსებულ ლოჟებთან, ასევე დაარსება **„თავისუფალ კალატოზთა“** ახალი ლოჟებისა, რომლებიც განაგრძობენ მიმოფანტული ორგანიზაციების საქმეს სასურველი მიზნის მისაღწევად. არავინ არ იცნობს მათ და მათ მიზნებს. მით უფრო არ იცნობენ მათ სულელი არაილუმინატები, რომლებიც ეცდებიან „თავისუფალ კალატოზთა“ გახსნილ ლოჟებში გაწევრიანებას მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად აეხვიოთ თვალები.

- ყველა ამ ღონისძიებათა მეშვეობით **ხალხი უნდა მივიდეს იმ აზრამდე, რომ ილუმინატები მიიწვიონ მსოფლიო ბატონებად (მმართველებად). ახალი მსოფლიო მთავრობა უნდა წარმოდგეს როგორც კეთილმოსურნე ხელმძღვანელი - შირმა, რომელსაც ნებაყოფლობით მიმართავენ (მსოფლიოს დაპყრობის კონსპირაციის უმაღლესი შტაბ-ბინა ნიუ-იორკში მდებარეობს გაეროს სახით, რომლის უკანაც „მსოფლიო ფარდის მიღმელები“ (ილუმინატები) დგანან, ხოლო მათ ხელში სადამსჯელო იარაღს წარმოადგენს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (ნატო) - რედ.).** თუ რომელიმე სახელმწიფო წინააღმდეგობას გაუწევს მას, მისივე მეზობელი სახელმწიფოები დაიწყებენ მის წინააღმდეგ ომს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების და მათი წევრების გაიგივება **მთლიანად ებრაელ ერთან** ან **თუნდაც ამერიკელ ხალხთან.**

და ბოლოს, ჩვენთვის ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია ბერი გაბრიელის (ურგებაძე - მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი - აღესრულა 1995 წელს) წინასწარმეტყველება ბოლო ჟამზე (ამონარიდები): - ბოლო ჟამს ადამიანებს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს. სიკეთე სამოთხის კარს გაგვიღებს, სიმდაბლე შიგ შეგვიყვანს და სიყვარული ღმერთს განახებს.

გიყვარდეთ ერთმანეთი, საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს, ბოლო ჟამია, თქვენ ანტიქრისტეს მოესწრებით. უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, ვინც შეინარჩუნებს, ის გადარჩება. ანტიქრისტე ყველგან გამეფდება, მხოლოდ საქართველოში ის ტახტს ვერ დაიდგამს.

ზედა წარწერა: ჩვენი შეთქმულება



ქვედა წარწერა: ახალი მსოფლიო წესრიგი




ერთდოლარიან კუპიურაზე გამოსახული აშშ-ის ბეჭდის გაშიფვრა

***კოდორის ხეობაში ჩატარებული ძლევამოსილი სპეცოპერაციის შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ ორი მონა გაათავისუფლა, სამაგიეროდ, ავსტრიის პოლიციამ 52 ქართველი დაიჭირა, რომლებიც საქართველოდან მონობას გაექცნენ, უფრო ზუსტად, მონობის საძიებლად გაიქცნენ, ოღონდ მაძღარი მონობის საძიებლად.***

**„აღსდექ, კრულვითა დაღდასმულო,**
**ქვეყანავ, მშიერ მონების.**
**საბედისწერო ომში გვიწვევს**
**დღეს აღშფოთება გონების“.**

***როდინდელი ლექსია ეს და ახლა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში რამ გამახსენა?***

# სად გარბიხართ, ქართველებო?

> **მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,**
> **მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,**
> **შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:**
> **მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.**
>
> **შოთა რუსთაველი**





ის ორი მონა, კოდორის ხეობაში რომ აღმოაჩინეს, **ლუკმაპურის შოვნის სურვილმა აიყვანა იქ, კოდორში.**

**კოდორი იყო მათი ავსტრიაც და ჰოლანდიაც - რა ექნათ, უფრო შორს ვერ წავიდნენ...**

- ორი მონა გავათავისუფლეთ, ორი მონაო - აცმუკდნენ და აჭყლოპინდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და რაც კი ტელეკამერები იყო, ამ ისტორიული ფაქტის აღსაბეჭდად მიმართეს.

**ამ ხელისუფლებას რომ ორი კაცის მონობა გაუკვირდება - ლამის მთელი საქართველო დაიმონეს და ორი მონა ბინდ იქით იყოს, ბინდ - აქეთ.**

ათასობით და ათიათასობით ადამიანს რომ დაამშევ, მერე წყალწყალა სუპს რომ დაუდებ წინ და თანაც თავს იწონებ: ერთი მნახეთ, რა გულმოწყალე, რა კეთილი ბატონი ვარ, როგორ ვზრუნავ ჩემს საცოდავ მონებზეო, - ეს რაღაა, თუ არა მონათმფლობელობის აგიტაცია-პროპაგანდა, ბატონყმობის რაღაც ახალი, ცინიზმამდე და მარაზმამდე აყვანილი ფორმა?

**მშიერი მონების ქვეყანა და მშიერი მონების სევდიანი და სასოწარკვეთილი ქვეყნის ბედნიერი, სახეგაბადრული, მაძღარი და გაყეყილი ხელისუფლება, რომელიც გგონია, რომ სადაცაა დააბოყინებს და თავზე გადაგასხამს ჯერ კიდევ მოუნელებელ სასმელ-საჭმელს.**

●

რამდენი ადამიანია წასული საქართველოდან მაძღარი მონობის საძიებლად? ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს (არ უნდათ, რომ არსებობდეს და იმიტომ), თუმცა ამბობენ, რომ სადღაც **მილიონ-ნახევრამდე,** შეიძლება ასი ათასით მეტი, შეიძლება ასი ათასით ნაკლები.

**კი მაგრამ, რამდენი ადამიანი ცხოვრობს სულ საქართველოში?**

ამბობენ, **ოთხმილიონ-ნახევარი,** შეიძლება ასი ათასით მეტი, შეიძლება ასი ათასით ნაკლები.

ამ ასი ათასს ისე იტყვიან, თითქოს საქმე ას ქათამს ან ას გოჭს ეხებოდეს.

**ორმილიარდიანი ჩინეთი ახერხებს, ზუსტად დათვალოს თავისი მოსახლეობა, ჩვენ ოთხი თუ ხუთი მილიონის დათვლა ვერ მოგვიხერხებია?**

**ვერ მოგვიხერხებია იმიტომ, რომ არც იმ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა და არც ამ ხელისუფლების ინტერესებში შედის ამის გაკეთება.**

ქვეყანაში, სადაც არჩევნების დროს **მკვდრები ცოცხლდებიან** და **ცოცხლები კვდებიან,** ზუსტი სტატისტიკა ხელის შემშლელი ფაქტორია.

არეულ-დარეული, ერთმანეთში ალუფხული დავთრით ცდილობდნენ და ცდილობენ ღმერთის მოტყუებას საქართველოს ძველი და ახალი პატრონები და ბატონები.

შემაძრწუნებელი სანახავია **გოგორიშვილების** და მისთანების კალმით გადაღლაბნილი ეს დავთარი - გადაფხეკილი, გადაშლილი, ათჯერ ჩასწორებული და გადასწორებული დოკუმენტი, მონათა სია, ქართველთა გაბითურების ამაზრზენი მოწმობა.

- **ზედმეტი ხომ არ მოგვდის, ძალიან ბევრს ხომ არ ვხოცავთ, ძალიან ბევრს?** - შეჰბედეს თურმე ლენინს, როდესაც რევოლუციის მსხვერპლთა რიცხვმა რამდენიმე მილიონს გადააჭარბა.

**- რა მოხდა მერე, ნიკოლოზს თვლით კი არ ჩაუბარებია ჩემთვის რუსეთი,** - მოსწრებულად მიუგო პროლეტარიატის ბელადმა.

**რამდენი მიუყავით ქართველები ამ ოციოდე წლის წინათ და რამდენი ვართ ახლა?**

ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ გაგვცემს - არც შევარდნაძეს გადმოუბარებია თვლით სამოქალაქო ომით გაპარტახებული საქართველო და არც სააკაშვილს მიუთვლია მისგან მისხალ-მისხალ, იმანაც ის გადააბარა სოროსს, რაც წინამორბედმა გადმოულოცა - დაუთვლელად, ბითუმად, „ოპტომ“.

**ნახირს ითვლიან, ცხვრის ფარას ითვლიან და ისე აბარებენ მწყემსები ერთმანეთს.**

**ქართველებს არ ითვლიან** - ჯოგად, ბრბოდ, მასად, „კუჩად“ გადმოლალავენ ხოლმე ახალი „მწყემსები“ თავიანთ საჩეხში.

**რამდენი ვართ დღეს ქართველები?**

**რამდენი ვართ და, რამდენიც ვიყავით, იმას მინუს რუსუდან ბუზუსიანი, მინუს ამირან რობაქიძე, მინუს სანდრო ბირბილიანი, მინუს ნავთლუღის ბაზრობასთან დახვრეტილი სამი ბიჭი, მინუს საკნებში ჩახოცილი შვიდი პატიმარი, მინუს ყველა ის ადამიანი, ვინც ამ ყოფას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა, მინუს ყველა, ვინც საზღვარგარეთ გაიქცა და იქ დალია სული მარტოობაში, სილატაკეში, მონობაში, სამშობლოსა და ახლობლების ნატვრაში.**

თხუთმეტიოდე წლით უკან თუ დავიხევთ და იქიდან დავიწყებთ ათვლას, მაშინ რამდენი ვართ და რამდენიც ვიყავით, იმას **მინუს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ჟიული შარტავა, გია აბესაძე, ვოვა ვეკუა, ზურაბ ჭავჭავაძე, ირაკლი გოცირიძის ორი ვაჟი, ზურამ შარაძის ვაჟი, მანანა გიგინეიშვილის ვაჟი, ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟი, ამირან კალაძე, გოჩა ესებუა, სოსო სიგუას დედა,** რომელიც შვილის პოლიტიკური შეხედულებების გამო საკუთარ სახლში მხეცურად აწამეს და მოკლეს...

რამდენი ვართ და, რამდენიც ვიყავით, იმას **მინუს ძმათამკვლელ ომში დახოცილი გამსახურდიას ჯარისკაცები და კიტოვანის გვარდიელები, „მხედრიონელები“ და სახალხო მოლაშქრეები, ყველა ქართველი, ვინც მტერს შეაკვდა სოხუმთან თუ ტამიშთან, ცირკთან, დიდუბის მეტროსთან, კოდორის ხეობაში, წალენჯიხაში, ხობში, კახეთში, იმერეთში...**

საქართველოს ბოლო ათწლეულების ცხოვრება მინუსების უსასრულო, გრძელზე გრძელი ბილიკია - ბილიკი არყოფნისკენ, ბილიკი საერთო აკლდამისკენ, ბილიკი უფსკრულისკენ.

- წარმატებული ოპერაცია იყო, ერთი გუგუსიანი დაიღუპა და ისიც შემთხვევითო, - ამბობენ ხელისუფალნი.

იქ, სადაც ერთი ადამიანის სიცოცხლე არაფრად უღირთ, არაფრად უღირთ ათასების სიცოცხლე, ასიათასების სიცოცხლე.

ათასიც და ასი ათასიც ერთისგან შედგება და როცა ათასს და ასი ათასს ერთი აკლდება, იქ აუცილებლად ირღვევა ღვთის მიერ დაწესებული დიდი ჰარმონია.

**- საქართველოს მინუს ეს ხელისუფლება უდრის გადარჩენას!** - წავიკითხე ამასწინათ ერთ კედელზე მიწერილი.

ჩვეულებრივი კედელი იყო, აშკარად დილეტანტი კალატოზის მიერ აცაბაცად ამოყვანილი, ბათქაშჩამოცვენილი, გაქუცული.

მართლაც ერთი ჩვეულებრივი კედელი იყო, ოღონდ **არაჩვეულებრივი შინაარსის...**

●

**- დაბრუნდით, ქართველებო, საქართველოში!** - მოუწოდებს ხელისუფლება საქართველოდან გაქცეულებს.

**- დაბრუნდით, ქართველებო, საქართველოში, აბა, სად გდიოთ მთელ მსოფლიოში კაკანათით? დაბრუნდით, ერთად მოკუჩდით, რომ მერე ყველას ერთად გიტიროთ დედა!** - ეს ის ქვეტექსტია, რომელიც ამ მოწოდების ქვეშ იგულისხმება.

**ქართველები არ ბრუნდებიან.**

**- არ დაბრუნდებით და სადაც ხართ, იქ მოგიგლით!** - ეს უკვე მეორე ღონისძიების ინსტრუქციაა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ წარმატებით ხორციელდება.

**ქართველებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ლამის არის, ნადირობა გამოაცხადონ.**

**ერთი რუსეთი ვერ გვიმეტებს ბოლომდე, თორემ სხვაგან ქართველებს დანდობა არა აქვთ.**

**ტარიელ ონიანს** ესპანეთში გამოენთნენ და კოდორის ხეობამდე, **კვიციანის** სახლამდე ჩამოსდიეს.

ონიანს სხვა ქართველებიც თავისთავად მიაყოლეს და ასე დაიწყო გრძელი ჯაჭვის რგოლებად დაშლა და რღვევა.

არა მგონია, ავსტრია შემთხვევით იყოს მორიგი დარტყმის ობიექტად ამორჩეული.

როგორც ამბობენ, იქ თავისი მოწინააღმდეგეების ჯგუფი ეგულება ამ ხელისუფლებას და, ალბათ, იმათ უტრიალებენ შორიახლო.

**- დაკავებულთა უმრავლესობა პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდა, თუმცა დანაშაულებანი, რომელთა გამოც ისინი დააპატიმრეს, კრიმინალური ხასიათისააო,** - გვაუწყებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

**იბარავდნენ, თურმე, ეს საცოდავი ქართველები.**

**მოიპარავდნენ, აბა, სხვა რა უნდა ექნათ.**

**ისინი ქურდებად ამ და იმ ხელისუფლებამ აქცია.**

**ისინი ამ ქვეყნიდან ამ და იმ ხელისუფლებამ გააქცია.**

შევარდნაძის დროს დაწყებული ფარული დევნა და გენოციდი ქართველობისა სააკაშვილის დროს ახალი მასშტაბებით გრძელდება.

**- ბევრნი ყოფილხართ თქვენ, ამდენი მონა და მუქთამჭამელი არ გვჭირდება! გაანახევრეთ, გაამესამედეთო!** - ნაბრძანები აქვთ, თურმე, მთავარი ოფისიდან და ესენიც ცდილობენ, როგორმე დავალება პირნათლად შეასრულონ.

●

- ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები არნახულად იზრდება, ამას ადასტურებს მსოფლიო ბანკის მონაცემებიო, - გადარეულია სიხარულისგან პრეზიდენტი სააკაშვილი.

**მელამ თავისი კუდი მოიყვანა მოწმედო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.**

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა თუ აღმავალი გზით მიდის, ეს შვიდასი ათასი უპოვარი და ღატაკი საიდან, თქვე უღმერთოებო?

შვიდასი ათასი ლუმპენპროლეტარი, მათხოვრის დონეზე დასული, არასმქონე ქართველი.

კი მაგრამ, სულ სამი მილიონი ვართ დარჩენილი (მილიონნახევარი საზღვარგარეთაა) და ამ სამი მილიონიდან შვიდასი ათასი თუ ლუმპენპროლეტარია, მაშ ვინ ცხოვრობს უზრუნველად ამ „ბედნიერ“ საქართველოში?

**არ დაგავიწყდეთ, რომ ღატაკებად მხოლოდ ისინი ითვლებიან, რომლებსაც სახლში ტელევიზორი და მაცივარიც კი არა აქვთ, ხოლო დანარჩენები - ტელევიზორ-მაცივრიანები, მაგრამ უმუშევრები, უსახსრონი, მშივრები - უზრუნველყოფილთა კატეგორიას მიეკუთვნებიან.**

თუ გაქცევის თავი გაქვს, ასეთი ქვეყნიდან უნდა გაიქცე, აბა, რა უნდა ქნა?

**თუმცა, სად გაიქცევი, ამათ ისეთი გრძელი საცეცები აქვთ, ავსტრალიის თუ ახალი ზელანდიის რომელიმე ფერმაში თხის წველის დროს ჩაგავლებენ.**

●

**„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“** - ესეც როდინდელი ლექსია, მაგრამ იმდენად თანამედროვეა, გეგონება, აგერ, ახლახან, ნოღაიდელის მთავრობის მორიგი სხდომის მოსმენის შემდეგ დაიწერა ცხელ გულზეო.

მაძღარ მონობას ეძებენ-მეთქი, ვთქვი ზემოთ, თუმცა ეს ფრაზა სხვანაირადაც შეიძლება ითქვას: - **მონობას კი არა, თავისუფლებას ეძებენ საკუთარი სახლ-კარიდან აყრილი ქართველები, თუმცა თავისუფლების ძებნაში კვლავ მონის უღელში ყოფენ თავს, რადგან ქართველებისთვის საქართველოს გარეთ თავისუფლება მაინც ტყვეობაა, მაინც მონობაა.**

ასეთ ვარსკვლავზეა ქართველი კაცი დაბადებული, ასეთი ზნე და ხასიათი აქვს - ახალ ნიადაგს ვერ ეგუება - „გადარგვას“ არ ექვემდებარება.

მეორე თვისებაც აქვს ქართველს - ხშირად მონობაში გადიდკაცებაზე უარს არ ამბობს და მერე მტრისას, ეს მონობაში გადიდკაცებული თავის სისხლსა და ხორცს რომ მოუტრიალდება, რათა პატრონს ერთგულება დაუმტკიცოს და თავი მოაწონოს.

**ჩვენ გადიდკაცებული მონების მონები ვართ, ყმების ყმები.**

**ის რა კაცია, ვინც სხვა კაცის კაცის კაცია? იმას, როცა მოესურვებათ, მაშინ ამოშლიან კაცთა სათვალავიდან,** როცა მოუნდებათ, ისევ ჩაწერენ...

**„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“.**

მბრძანებლის, ზედამხედველის სტატუსით მოვლენილი სხვისი მონები სხვებს ვერ გაათავისუფლებენ.

თავისუფლება უმაღლესი, უზენაესი ღირებულებაა და მას დასარიგებლად და გასაცემად მონებს არავინ მიაშავებს.

●

სად გარბიხართ, ქართველებო?

**დიდგორიდან არ გაქცეულხართ, ბასიანიდან არ გაქცეულხართ, დიდი თურქობის დროს არ გაქცეულხართ, არაბობის და მონღოლობის დროს არ გაქცეულხართ და რაღა მოქკავშირისა და ნაცმოძრაობის დროს შეგიჩნდათ დამღუპველი შიში?**

**სად გარბიხართ, ქართველებო?**

სხვა საქართველო არსად არის, სხვა საქართველოს ვერსად ნახავთ...

**აბა, სად გარბიხართ, სად მიეშურებით, სად მიიჩქარით?**

უცხოელებმა თვითონ ზიდონ თავიანთი ღამის ჭურჭელი, თქვენ კი თქვენი ჯვარი ზიდეთ!!!

**ვახტანგ ხარჩილავა**

---

## გული

**მოკვდა.**

**დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.**

**მოკვდა უცხოეთში.**

**- ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, - იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.**

**ცხედარი გაჭრეს.**

**პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:**

**- შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!**

**ერთმანეთს შესცქეროდნენ.**

**- ბატონებო, გული, გული, სადღაა?**

**გულის მაგიერ ფერფლი-ღა დარჩენილიყო.**

**დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელ შვილის ობლად დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამომიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული. ამდენის ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?**

**კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:**

**- მე დავაჭკნე!**

**- მე დავწვი! - გახმაურდა სურათი მაგიდაზე.**

**სიტყვები არავის გაუგონია.**

***ნიკო ლორთქიფანიძე***

- ბატონო მერაბ, მე მინახავს თქვენი რეკლამა მსხვილი ვარიკოზული ვენების ტკივილის, ნაწიბურების და ნარკოზის გარეშე მკურნალობის უახლესი მეთოდების შესახებ ტელევიზიით, რუსულ გაზეთებსა და ჟურნალებში. ეს თითქმის წარმოუდგენლად ჟღერს, ხომ ვერ მოგვითხრობდით უფრო დაწვრილებით ამ მეთოდის შესახებ?

- ვიდრე გაგცემდეთ პასუხს თქვენს შეკითხვაზე, მსურს მოკლედ აგიღწეროთ მსხვილი ვარიკოზული ვენების ქირურგიული მკურნალობის განვითარების ისტორია.

პირველი, თანამედროვე ეტაპთაგან დაიწყო დაახლოებით საუკუნის უკან და ამ ოპერაციის არსი შედგებოდა ფეხის გრძელი კანქვეშა და აგრეთვე მსხვილი მეორადი ვენების ამოღება უხეში, უძველესი ქირურგიული ინსტრუმენტების საშუალებით დიდი ჭრილობებიდან. ამ მეთოდის უარყოფითი მხარე ნათელია- ნარკოზის საჭიროება, უშველებელი, უხეში მრავალჯერადი ნაწიბურები და ოპერაციის შემდგომი უძლიერესი ტკივილები. მაგრამ მადლობა ღმერთს ეს ყველაფერი წარსულშია. თუმცა მინდა ვთქვა, რომ ამ მეთოდებით დღემდე სარგებლობს ქირურგთა უმრავლესობა მთელს მსოფლიოში, მათ შორის აშშ-ც.

- ნაწიბურები, საერთო ნარკოზი და ოპერაციის შემდგომი ტკივილები... ყველაფერი ეს იმდენად მტკივნეულია, რომ იქნებ საერთოდ არა აქვს აზრი ოპერაციის გაკეთებას?

- თქვენ ძალიან სწორი შეკითხვა დამისვით და მე რამოდენიმე პასუხი მაქვს მასზე.

პირველი ის, რომ სწორედ ამ მიზეზების გამო ბევრი ვერ ბედავს მსხვილი ვარიკოზული ვენების ოპერაციის გაკეთებას, რადგან სმენიათ ამ საშინელების შესახებ ახლობლებისაგან.

მეორე ის, რომ ამავე მიზეზის გამო მრავალი თერაპევტი არ ურჩევს თავის პაციენტებს ოპერაციას დაეუბნებიან, რომ ,,მსხვილი ვარიკოზული ვენებით თქვენ შეგიძლიათ გაატაროთ მთელი ცხოვრება''.

მესამე ის, რომ როგორც ოპერაციის ალტერნატივა, ექიმები მთელ მსოფლიოში მკურნალობენ მსხვილ ვარიკოზულ ვენებს სკლეროტირებით, ანუ სპეციალური ქიმიური შემადგენლობის ნივთიერების შეყვანით მსხვილ ვენებში, რომლებიც იწვევს მათ შეწებებას და დროებით გაქრობას.

- რატომ დროებით?

- იმიტომ, რომ სკლეროტირების დროს, მათი წარმოქმნის ძირითადი მიზეზი არ აღმოიფხვრება.

- რას გულისხმობთ ძირითად მიზეზში?

- ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ფეხის კანქვეშა გრძელი ვენის შიდა სარქველები ,,ჟონავენ''. ეს სარქველები საშუალებას აძლევენ სისხლს იდინოს ქვემოდან ზემოთ, გულის მიმართულებით და არ აძლევენ საშუალებას სისხლს იდინოს ქვემოთ, ვერტიკალური მდგომარეობისას, მაგრამ ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს სარქველები აღარ იხურება მთლიანად. გამჟონავი სარქველების დროს სისხლის ნაწილი ვარდება ქვემოთ და ვენებში ხდება სისხლის შეკავება, ამიტომ საჭიროა მთელი გრძელი კანქვეშა ვენის რადიკალური ამოღება (ამოკვეთა), მხოლოდ სკლეროტირება ნაკლებად ეფექტურია.

- სახელდობრ რა მიზეზები უწყობს ხელს მსხვილი ვარიკოზული ვენების გაჩენას?

- ორსულობა, როდესაც ნაყოფი აწვება თეძოების ორგანოებს და მაშინ სისხლის გადინება ფეხებიდან გაძნელებულია, რის გამოც ვენები ფართოვდება და ამ დროს ჩნდება ღრუ სარქველებს შორის, აგრეთვე სიმძიმის აწევა, ხანგრძლივი ფეხზე დგომა, ზედმეტი წონა, ჰორმონალური დარღვევები, ორგანიზმის დაბერება, შთამომავლობითი ფაქტორები და სხვ.

## ინტერვიუ ექიმ კარენ ბოთერთან



# მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობა

ეხლა ნება მომეცით დავუბრუნდე ამ დარგში ქირურგიული მეთოდების განვითარების მეორე ეტაპს. 15-20-ოდე წლის წინ, დასავლეთ ევროპის ზოგიერთმა ქირურგმა გრძელი ჭრილობების ნაცვლად დაიწყეს მცირე ჭრილობების ან ნაჩხვლეტების გაკეთება, რომლებიდანაც ახალი ტიპის, სპეციალური, ფაქიზი ხელსაწყოებისა და აპარატურის საშუალებით იღებდნენ მსხვილ ვარიკოზულ ვენებს. ამ მეთოდის სასიკეთო შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ოპერაციის შემდგომი ნაწიბურები და ტკივილები პრაქტიკულად გაქრა. პაციენტები მიდიოდნენ სახლში არა სამი კვირის შემდეგ როგორც ეს იყო ადრე, არამედ ოპერაციიდან 1-2 საათის შემდეგ. პირადად მე, ამ უკანასკნელი თოთხმეტი წლის განმავლობაში რამოდენიმე ათასი ასეთი ოპერაცია გავაკეთე, მაგრამ მათაც ჰქონდათ გარკვეული უარყოფითი მხარეები.

- რა უარყოფითი მხარეებია ეს, ბატონო მერაბ?

- უმეტეს შემთხვევაში ასეთი ოპერაციები ითხოვდა ნარკოზს საავადმყოფოში და არც თუ ყველა კარგად იტანს ნარკოზს.

- ეგ მართალია. ახლა ყველგან მეორე ტიპის ფაქიზ და ნაკლებად მტკივნეულ მეთოდს იყენებენ?

- საქმეც მაგაშია, რომ არა! საკვირველია, მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, უმეტესობა ქირურგებისა ყოფილ საბჭოთა კავშირში, ევროპის ბევრ ქვეყანაში და აშშ-ც აქამდე ამ მეორე ეტაპის მეთოდებსაც კი არ იყენებენ, არამედ მუშაობენ ძველებურად.

- თქვენი მეთოდი ექიმო უფრო სრულყოფილია?

- უდაოდ! შეიძლება ითქვას- რევოლუციური. ეს გრძელი კანქვეშა ვენის ლაზერული მკურნალობის ბოლო, მესამე ეტაპის მეთოდი ძველ მეთოდებზე ბევრად აღმატებულია შესანიშნავი შედეგებით, გამოიყენება ჯერჯერობით მხოლოდ აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ცალკეულ კლინიკებში, ამიტომ, შედარებით ახლახანს FDA-მ დაუშვა ეს მეთოდი და სადაზღვევო კომპანიებში უკვე ანაზღაურებენ მათ.

- ეს ფანტასტიკური სიახლეა! და თქვენ, ექიმო, ერთ-ერთი მათგანი ხართ, რომლებიც იყენებენ ამ მეთოდს?

- დიახ, ასეთი ცენტრების რაოდენობა აშშ-ში ჯერ მცირეა. საკვირველია, მაგრამ, მრავალმა ექიმმა და ქირურგმაც კი არ იცის ამ მეთოდის არსებობის შესახებ.

- რაში მდგომარეობს მისი სიახლე? გვიამბეთ თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით.

- მეთოდის არსი იმაშია, რომ ამას ახლა აკეთებენ ჭრილობის გარეშე, ნარკოზის გარეშე და არა საავადმყოფოში, არამედ ოფისში.

ცუდი სარქველიანი გრძელი კანქვეშა ვენის ფუნქციის გაუქმება მიიღწევა ამ ვენაში კანის ნაჩხვლეტიდან ლაზერული სხივის შეყვანის საშუალებით, ჭრილობის (გაჭრის) გარეშე, ულტრაბგერითი აპარატურის კონტროლის ქვეშ. ლაზერული სხივი იწვევს ამ არაჯანმრთელი ვენის შეკუმშვას და საბოლოოდ შეწებებას და დანაწიბურებას.

- მაშ რომელ ვენებში მიედინება ახლა სისხლი?

- სხვა კანქვეშა ვენებში, რომლებიც ჩვენ მრავლად გვაქვს. ცნობისათვის კანქვეშა ვენებში ფეხის ვე-









ნური სისხლის მხოლოდ 10% მიედინება, 90% კი კუნთებშიდა ვენებში, ანუ ერთი ვენის გაუქმება ფუნქციონალურად არანაირად არ აისახება სისხლის მიმოქცევაში. უფრო მეტიც, მსხვილ ვარიკოზულ ვენებზე ნებისმიერი ქირურგიული ოპერაციის მიზანი ნებისმიერ ამ 3 ეტაპთაგან მდგომარეობს იმაში, რომ ვენური სისხლის დინება მივმართოთ კანქვეშა ვენური სისტემიდან ფეხის ღრმა ვენურ სისტემაში. ამგვარად მიიღწევა კანქვეშა ვენური სისტემის განტვირთვა მასში მაღალი წნევისაგან, რაც ამ დაავადების სიმპტომების აღმოფხვრას იწვევს.

- ო, ეს სიმპტომები ჩემთვის კარგად არის ცნობილი, ექიმო. მე მაწუხებს მსხვილი ვარიკოზული ვენები ორივე ფეხზე უკვე მრავალი წელია. ეს არის მუდმივი ტკივილი, შეშუპება...

- ტრომბოფლებიტები და სისხლდენებიც კი, მაღალი წნევისაგანაა დაგუბებული ვარიკოზულ ვენებში.

- მე მიწევს სპეციალური ელასტიური წინდების ტარება, რომლებიც თითქოს მშველის.

- სინამდვილეში, ელასტიური წინდების ტარება მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის ერთადერთი არაქირურგიული მეთოდია, რადგანაც კანქვეშა ვენების შეკუმშვის დროს ზედმეტი სისხლი მათგან განიდევნება ღრმა სისტემაში, განტვირთავს რა ვენურ სისტემას მაღალი წნევისა და სისხლის დაგუბებისაგან.

- ექიმო! მაგრამ ამ საშინელი მჭიდრო წინდების ტარება მე მიწევს გამუდმებით, ეს გარკვეულ დისკომფორტს მიქმნის. ჯოჯოხეთური წამებაა! პირველი რასაც ვაკეთებ სამსახურიდან სახლში მისვლისას, ვიხდი ამ საშინელ წინდებს. ჩემი ცხოვრება ვარიკოზული ვენების გამო შეზღუდულია, ამ ,,ყურძნის მტევნების'' გამო ფეხებზე, დამავიწყდა უკანასკნელად როდის ვიყავი ზღვაზე. მეუღლე მაძალებს ოპერაციის გაკეთებას, მე კი ვერ ვბედავ.

- რატომ ლილია?

- მე მშიშარა ვარ და მეშინია ოპერაციის. იქნებ არსებობს რაიმე მალამოები, რომლებიც შველის?

- არა! ვერც მალამოები, ვერც ტალახები, ვერც აბები, ვერც წამლის ნაყენი, ვერ განკურნავს მსხვილ ვარიკოზულ ვენებს. ვერც ელასტიური წინდები, რადგან მათი საშუალებით შეიძლება გაქრეს მხოლოდ არასასიამოვნო სიმპტომები და არა თვითონ ვენები.

- და მაინც ექიმო იქნებ შეიძლება ოპერაციისთვის გვერდის ავლა? ასეთი რა საშინელება შეიძლება დაემართოს ფეხებს? გარდა იმისა, რომ ძალიან ულამაზოა.

- მსხვილი ვარიკოზული ვენები ვერ გაივლის თავისთავად, როგორც სურდო ან გაციება. თუ უკვე გაქვთ ტკივილი და შეშუპება- ეს უკვე ოპერაციის ჩვენებაა. ამ ეტაპზე შესაძლებელია მსხვილი ვარიკოზული ვენების მთლიანად განკურნება და თუ არ უმკურნალებთ, მაშინ სისხლის ხანგრძლივი დაგუბების გამო ვენებში წარმოიქმნება გამსხვილებები და ფეხის კანის გაუხეშება, ყავისფერი ლაქები, ამასთან ზოგჯერ დიდი ზომის წყლულებიც კი, რომელთა განკურნება უკვე შეუძლებელია. ისინი იწვევენ შეუქცევად ბიოლოგიურ ცვლილებებს კანის სტრუქტურაში. რომც ჩატარდეს ოპერაცია ამ ეტაპზე, წყლულები შეიძლება შეხორცდეს, მაგრამ მათგან ნაწიბურები და საშინელი ყავისფერი ლაქები დარჩება.

- გამოდის, რომ ერთადერთი გამოსავალი- ოპერაციაა. თუ არსებობს ალბათობა, რომ ისინი კვლავ დაბრუნდებიან ასეთი ოპერაციის შემდეგ?

- რადგანაც მსხვილი ვარიკოზული ვენების განვითარების ძირითადი მიზეზები აღმოიფხვრება, რეციდივი მხოლოდ იშვიათი და მცირე ზომის არის ხოლმე. ეს უკვე პრობლემა არ არის. რამოდენიმე წუთში ოფისში ჩვენ შეგვიძლია გავაუქმოთ რეციდივული ვენა.

- მაშ, როგორია თქვენი რჩევა ექიმო ბოთერ?

- იმკურნალეთ, ვიდრე არ გახდა განუკურნავი!

- ექიმო ბოთერ, თქვენ ისე დამარწმუნებლად და გასაგებად ახსენით ყველაფერი, რომ მე უკვე ვბედავ ოპერაციას, მაგრამ არ მინდა გავიკეთო ახლა, ზაფხულში.

- და ტყუილად ლილია. ახლა თქვენ გიხდებათ სქელი ელასტიური წინდების ტარება მუდმივად, ოპერაციის შემდეგ კი, მხოლოდ ერთ კვირას და მხოლოდ დღისით. ერთი კვირის შემდეგ თქვენ წინდები აღარ დაგჭირდებათ.

- შესანიშნავია! მაგრამ, ექიმო, მე სრულიად ვერ ვიტან ნარკოზს.

- ის არც იქნება. იქნება მხოლოდ ადგილობრივი ანესთეზია, როგორც კბილის ექიმთან.

- დიდებულია! ე.ი. ოპერაციის დროს მე სრულიად ფხიზელი ვიქნები?!

- უდაოდ! თქვენ შეძლებთ კითხვას, ტელეფონზე ლაპარაკს, ფილმის ყურებას. (ცნობისთვის, ჩვენ ძალიან კარგი, შერჩეული ფილმები გვაქვს ყველა გემოვნების ადამიანისთვის).

- და რამდენ ხანს გაგრძელდება ოპერაცია?

- ჩვეულებრივ ის იკავებს 30-90 წუთს და ოპერაციიდან 10 წუთში თქვენ შეგიძლიათ პაემანზე წახვიდეთ.

- თქვენ ყველა დაზღვევას იღებთ?

- უმეტესს.

- აი, ჩემს მეგობარსაც აქვს ვარიკოზული ვენები ერთ ფეხზე, მაგრამ მას ისინი არ აწუხებს. არ აქვს არც ტკივილი, არც შეშუპება, მხოლოდ ულამაზოა. მასაც სჭირდება ოპერაცია?

- რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია განვკურნოთ ის, მაგრამ თუ მას არ აქვს სიმპტომები და არ ატარებს წინდებს ერთ თვეს მაინც. ასეთ ოპერაციებს დაზღვევა არ იხდის, რადგან დაზღვევა ამ შემთხვევაში ჩათვლის კოსმეტიკურ ოპერაციად, თუმცა მე შემიძლია ოპერაციის ჩატარება როგორც სამედიცინო, აგრეთვე კოსმეტიკური ჩვენების მიხედვითაც.

- ექიმო, წვრილ ვენებს, ე.წ. ,,ქსელებს'' ან კაპილარებს თუ მკურნალობთ თქვენ?

- დიახ! და დიდი წარმატებით, თანამედროვე მეთოდებით, ნემსების, ლაზერისა და მათი კომბინაციის ჩათვლით ულტრაბგერული დაკვირვების ქვეშ.

ესაუბრა:

**ლილია ლიტმანოვიჩი**

**[illegible] ქირურგ კარენ ბოთერ**

**660 92nd Street, Bay Ridge, Brooklyn, NY 11228**

(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)

**102-51 Queens Blvd, Forest Hills, Queens, NY 11375**

(კონსულტაცია და გამოკვლევა); **1-718-238-1555**













# 26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე

# თბილისობა

## რესტორანში „პრიმორსკი“

ვიწვევთ ყველა მსურველს საქართველოს დედაქალისადმი მიძღვნილ ამ დიდებულ დღესასწაულზე. რუსეთ–საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობის ფონზე თქვენ აქ დაგხვდებით ქართული იუმორით, სიმღერებით, ცეკვებით, საზეიმო განწყობით, უამრავი სიურპრიზით.

ქართული ბანკეტის ღირებულებაა 35 დოლარი.

ადგილის დაჯავშნისათვის მოგვმართეთ:

282 Brighton Beach ave
Brooklyn, NY 11235

**718-891-3111**






**ერთად ავღნიშნოთ თბილისობა!!!**



## საერთო იარა

# გაწყვეტილი ძარღვი გულში!



ჩემი ცრემლები ამ უკიდეგანო ოკეანეს ერთვის, რომელიც ამ ქვეყანას და მე გარს მარტყია. ამ ოკეანესავით უსაზღვროა ჩემი მწუხარება ჩემო ნატრულო შვილო, ჩემს ოცნებაში დავაჟკაცებულო ზაზა.

აქ დღეები ფიქრსა და ოცნებაში ძალიან სწრაფად გადიან და ჩვენი სიცოცხლე თან მიაქვს. ის სიცოცხლე, რომელიც მე ჩემს შვილებს მივუძღვენი.

ზაზა! ჯერ შენ წახვედი ჩემგან, გერმანიაში გაგისტუმრე, რომ შენი ლამაზი მომავალი გაფერადებულიყო; და მერე მე ლუკმა-პურის საძებნელად ამ შორეულ ქვეყანას, ამერიკას მოვაშურე. ასე, ფიზიკურად დავშორდით დედა-შვილი ერთმანეთს, თორემ დღე რა არის, წუთიც არ ჩავარდნილა, თქვენზე ფიქრის და თქვენზე ზრუნვის გარეშე. მე შენ მომავალ ოჯახს შევნატროდი, ბუდეს გიწყობდი და ამისთვის ვეშურებოდი ყოველ ცისმარე დღეს, თორემ ვინ და ჩვენ, ემიგრაციაში მყოფმა დედებმა, კარგად ვიცით რა მწარეა ყოველი დღის გათენება და დაღამება.

ასე ტელეფონზე დაკიდებული ვსულდგმულობდი შვილო და ახლა სად გეძებო ჩემო ვაჟკაცო! რატომ და ვინ გაგიმეტა, სად წამიხვედი ჩემო უდანაშაულოდ გაწირულო დედის იმედო. შენი უსულო სხეულის მოფერების საშუალებაც რომ არ მაქვს და ისე უნდა გაგშორდე, ეს ათმაგად ძნელი და საშინელია.

ცოტაც მაცალე, საფლავს გაგიმალაზებ და მერე მის მარადიულ მყუდროებაში მე შენთან ვიქნები...

**დარეჯან გოგოლაძე**

* * *

**დარეჯან გოგოლაძეს,**

თავზარდაცემულებს შენი ტკივილით, გვტკივა ჩვენო დარეჯან!

საზარელ ცნობას მშვენიერი ახალგაზრდის **ზაზა ბარათაშვილის** უდროოდ გარდაცვალების შესახებ, თან ერთვის საშინელი განცდა იმის, რომ შენი შვილი ისე წავიდა, დედის სითბო და მონატრება თან წაიყოლა და ვეღარასოდეს ვეღარ გიხილავს.

ასეთი ხვედრი ჩვენ მწარე ცხოვრებამ გვარგუნა: მონატრება და მოლოდინი, ემიგრაციაში მყოფი ყველა დედის თანმხლები სევდაა.

ჩვენ შენთან ერთად ვართ, ვტირით და ვგლოვობთ შენი ამდენი ხნის ნატრული შვილის შეწყვეტილ სიცოცხლეს.

უახლოესი მეგობრები:

**მაია მაკარიძე, ფილიპ გრინელი, მარინა წულუკიძე, ეთერ წერეთელი, ამირან ქელბაქიანი, ვიოლა ტულუში, ლეილა გაბარაევა, ეკა გოგიჩაიშვილი, ნანა კობიაშვილი, მაკა ჭანკვეტაძე, ვანო გულიაშვილი, ასმათ ჭანკვეტაძე, ზურა შვანგირაძე, ირინა გველესიანი, კახა მაისაშვილი, ემილი და გიორგი მორალიშვილები, ფატი და ჯამბული კაკანაძეები, ლუბა სულაბერიძე, ნანა ბაზღაძე, ციური ხოჯანაშვილი, ნელი ნოზაძე, თინიკო ერქვანიძე, ნინო კოტრიკაძე, მარინა მაღლაკელიძე, თამილა ნაჭიფაშვილი, თამილა ჭეიშვილი. რძლები: ნინო სამყურაშვილი, სულიკო ბოჭორიშვილი.**

* * *

გაზეთ „მამულის" რედაქცია და რედაქტორი ღრმა მწუხარებით იზიარებს ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველის დარეჯან გოგოლაძის უდიდეს მწუხარებას შვილის

**ზაზა ბარათაშვილის**

მუხანათურად მკვლელობის გამო.

# დათო მერაბიშვილის გახსენება

შვილო დათო, რა უცებ გავიდა ცრემლით და გლოვით მოსაგონარი ერთი წელიწადი. მარტოდ დარჩენილი დედაშენი და შენი მეუღლე ცდილობენ უშენოდ გამოწვეული ტკივილი შეუმსუბუქონ შენს პატარა შვილებს. წამიერად გაიბრწყინე და წარუშლელი სილამაზე დატოვე შენი ხანმოკლე ცხოვრებით.

შენ სასუფეველი დაიმშვენე შვილო, რომელიც ჩვენთვის შეუცნობელია, მაგრამ რა ქნას, რა უყოს შორენამ იმ სიცარიელეს, რომელსაც შენი მონატრება ჰქვია?!

მე ოქტომბერში ვესტუმრები შვიდი წლის მონატრებულ დედასაქართველოს. ამოვალ შენსა და მამაშენის საფლავზე, დაგინთებთ უამრავ სანთელს და ვილოცებ თქვენი სულისათვის. დაე, ამ სანთლებს გაენათებინოს გზა ცათა სასუფეველისაკენ. უფალო, დაამკვიდრე მათი სულები იქ, სადაც მარადიული ნეტარებაა.

ეს ერთი წელი, ჩემო დათო, იყო გაძლების,
მერე იქნება ცხოვრებასთან ძალად შეჩვევა,
კარი გაგიღო მამაშენმა ალბათ სამოთხის
და შენი სული ანგელოზთა დასებს შეხვდება.

**მანანა ლომთაძე,** *ნიუ იორკი*

მეგობრების სახელით მანუჩარ კაჭახიძე თანაუგრძნობს **ზურაბ ლებანიძეს** ძვირფასი **დედის** გარდაცვალების გამო

## განცხადებები

იყიდება ბინა მეტრო „დიდუბესთან" 10 წუთის სავალზე, წითელი აგურის კორპუსი, 3-ოთახიანი ბინა დიდი მიშენებით, პრივატიზებული, ძველი რემონტით, მუხის პარკეტით, ჩეხური კაფელით, რკ/კ "გარმოშკით", გისოსებით, აივნით, სარდაფით, ტელეფონით. საერთო ფართი: 117-კვმ.
ტელ: აშშ-ში 1(718)648-0156, ლექსო
საღამოს 9 საათის შემდეგ შაბათ-კვირის გარდა.

იყიდება ზემო წყნეთში და ოქროყანაში სააგარაკე ადგილი, კვ.მ. 25$
დაგვიკავშირდით: **347-200-1726**
თბილისში **(+32)94-26-65; (+99)72-52-43** იკითხეთ ნინო.

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი დონისა და ასაკის მსურველებს. ტელ: 718-784-1337 ლელა

ქვინსში, ფორესტ ჰილში, ქირავდება საკუთარ სახლში სტუდიო და ასევე 3-საძინებლიანი ბეისმენტი. დარეკეთ: 718-308-6646; 718-263-3835, იკითხეთ ლელა ან სულიკო.

## მილოცვები

### მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავ ჩემსა და ჩემი ოჯახის ერთგულ მეგობრებს, შესანიშნავ მეუღლეებს - **მაკა საქიძე-ქისტაურს** და **ჰამლეტ ქისტაურს.**

უფლის მადლიანი კალთა გფარავდეთ! მრავალ დაბადების დღეს - მრავალჟამიერ!

თქვენი **მარინა ბედოშვილი**

დაბადების დღეს ვულოცავთ ოქტომბრის თვეში დაბადებულ მეგობრებს **ეკატერინე საძაგლიშვილს, ეკატერინე ფაფიაშვილსა** და **ლელა ფურცელაძეს**. ბედნიერებასა და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**მეგობრები**

### ბატონ ჯუმბერ ნადარეიშვილს

ვულოცავთ დაბადების დღეს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებსა და მრავალ ლამაზ და ბედნიერ დღეებს მის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად. მკითხველს კი ვთავაზობთ მისი ლექსის მოკრძალებულ ნაწყვეტს.

მეგობრები **რუსუდანი, მარინა, ნათია, სოფო.**

**ქალი, რომელიც გიყვარს**

ბევრი იმედი გაწბილდება,
ბევრი ოცნება გაცივდება
მაგრამ არასდროს არ გცილდება-
ქალი, რომელიც გიყვარს.
ხანდახან ყოფნა გაძნელდება,
და სიმარტოვე გაგრძელდება...
მაგრამ არასდროს არ გბეზრდება
ქალი, რომელიც გიყვარს.
წლებმა იციან გამეტება,
სულს ბინდისფერი დაედება...
მაგრამ არასდროს არ ბერდება
ქალი, რომელიც გიყვარს




# გამოვიდა

VHS DVD VIDEO

# „მამულის“ იუბილე
## დისკზე და კასეტაზე

ქვეყნის ეკონომიურმა გაჭირვებამ ქართველები სამშობლოდან შორს, 9 ათასი კილომეტრისა თუ 9 სასაათო სარტყელის მოშორებით გადაისროლა.

ღვთისანაბარად მიტოვებულებს სამშობლოსთან უხილავ ძაფებად ერთადერთი ქართული გაზეთი „მამული“ მოევლინათ.

გაზეთისადმი სიყვარულის გამოცხადების ლამაზი დასტურია ეს საღამოც, რომელშიც ქართველი ემიგრანტები მონაწილეობენ, სამშობლოდან ოკეანისგაღმა, მსოფლიოს მეგაპოლისში - ნიუ იორკში.




DVD-ის ან ვიდეოკასეტის ღირებულებაა 15$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 5$, უნდა შეავსოთ ეს ანკეტა, ამოჭრათ, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი „მანუჩარ კაჭახიძის“ სახელზე და გამოგზავნოთ:
**MAMULI, P.O. Box 13121. Jersey City, NJ 07303**

______________________________
(თქვენი სახელი და გვარი)

______________________________
(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

______________________________
(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

## თინათინ ჯენიას,
## გელა სახალელს



თქვენი ერთ უღელში შედგომა სიხარულითა და ბედნიერებით ყოფილიყოს გასხივოსნებული. ძველი ხალხური გამონათქვამის მსგავსად: ერთ ბალიშზე დაბერებას გისურვებთ!

**მანუჩარ კაჭახიძე**

## ახალგაზრდა დიზაინერი
# ნინო წერეთელი
## გთავაზობთ









## თექისა და მინანქარის ნაწარმს
# ამერიკაში

დაუკავშირდით: nino.tsereteli@yahoo.com

**მალე!**
**მანუჩარ**
**კაჭახიძის**
**სახსოვარი**
**თქვენს**
**ოჯახებში**



# უქარქაშო ხმლები

## ლევან სანიკიძე




### კარი მეორე

# კარიბჭენი

### აზმა მეორე

# ქართველები, რომაელები, ერანელები

*დასაწყისი იხ. „მამული“ №14-17, 22-29.*

### „ვაება ვაებისა“

კვლავ ძლიერი გვირგვინოსანი განაგებდა ქვეყანას.

სიმძლავრე და სიდიადე არ დაუკარგავს ქართველთ სამეფოს ქსეფარნუგის დროს.

დიდი ბრძოლებიც გადაიხადა ქართულმა მხედრობამ, დიდი წარმატებით და ძლევამოსილებით.

დროის გმირი იყო ახალგაზრდა ეზოსმოძღვარი იოდმანგანი, ძე ფარსმან ქველის ეზოსმოძღვარ აგრიფასი.

იოდმანგანს უმშვენიერესი და უკეთილშობილესი მეუღლე ჰყავდა, სახელად სერაფიტი, ასული ფარსმან ქველის პიტიახშ ზევახისა.

უსმინე, კეთილო მკითხველო, ეპიტაფიას არმაზის ხევში გამოთხრილ და მზის სინათლეზე ამოხდენილ საფლავის ქვაზე:

**მე ვარ სერაფიტი,**
**ასული ზევახისა —**
**ფარსმან მეფის პიტიახშისა,**
**მეუღლე იოდმანგანისა, —**
**ძლევამოსილისა**
**და მრავალი გამარჯვების**
**მომპოვებელი**
**ეზოის მოძღვრისა**
**ქსეფარნუგ მეფისა —**
**ძისა აგრიფა ეზოის**
**მოძღვრისა ფარსმან მეფისა,**
**ვაება ვაებისა!**
**ის, ვინც იყო**
**ახალგაზრდა,**
**და იმდენად კეთილი**
**და მშვენიერი, რომ**
**არავინ იყო**
**მსგავსი მისი**
**სილამაზითა.**
**და აღესრულა ოცდაერთი წლის!**

უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისადმი, პატივი სიკეთისადმი, თაყვანი სიმშვენიერისადმი, ძრწოლა არყოფნისადმი, სინანული ამაოებისადმი, კაეშანი სიცოცხლე-სიმშვენიერის ნაადრევად შემუსვრა-დამიწებისადმი!

ყოველივე ეს იცქირება ათას რვაასი წლის წინ პირდახშულ აკლდამიდან...

### გამოსვლა ლაზეთისა

ვუბრუნდებით ზემოთქმულს:

ქრისტეს წინარე პირველი საუკუნის ბოლოს, პონტოს სახელმწიფოს განადგურების შემდგომ, დასავლეთ საქართველოს დიდკოლხურ მემკვიდრეობას რომაელები დაეპატრონენ.

მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ მსოფლიოს მპყრობელები მაინცდამაინც ვერც აქაურ ქართულ ციხე-ქალაქებში დამკვიდრებულან.

ქრისტეს შობიდან 69 წელს ტრაპეზუნტში დიდი აჯანყება მოხდა. აჯანყების მონაწილენი ადგილობრივი პონტოელ-ქართველური ტომები იყვნენ, უმეტეს წილ — კოლხები. კოლხი უნდა ყოფილიყო რომაელთაგან „ბარბაროსად“ წოდებული ბელადი აჯანყებისა. შერქმეული სახელით — ანიკეტი (უძლეველი), ერთ დროს მონა, შემდგომ სიმამაცისა და ზღვაოსნურ ხელოვნებისთვის გაახატებული და ფლოტის სარდლად დაწინაურებული.

ანიკეტმა ისარგებლა რომში ამტყდარი სამოქალაქო ომით (ვიტელიუსი და ვესპასიანე ებრძოდნენ ერთმანეთს იმპერატორობისთვის), აჯანყებული რაზმებით ტრაპეზუნტში შეიჭრა, რომაული ციხიონი გაანადგურა, იქ მდგარი ფლოტიც დასწვა და ქალაქს დაუფლა.

აჯანყებულებმა სწრაფად ააგეს საკუთარი ფლოტი, მთლიანად კოლხური ტიპის „კამარებით“ — მაღალი კედლებით, ფართო ბაქნებითა და ბრტყელი ძირებით. ასეთი ხომალდებით კოლხები თავისუფლად დანავარდობდნენ უძლავრესი ქარტეხილით აღელვებულ ზღვაზე.

ვესპასიანემ ჯარი და ფლოტი გამოგზავნა აჯანყების ჩასაქრობად.

ანიკეტი დამარცხდა და გადარჩენილ თანამებრძოლთა თანხლებით კოლხეთს მიაშურა. იგი მიადგა მდინარე ენგურის შესართავს და თავშესაფარი სთხოვა ლაზთა ერთ-ერთი ტომის ბელადს. ისიც ერთ ხანს ინახავდა ლტოლვილებს, მაგრამ, როცა რომის ხელისუფლება ომით დაემუქრა, იძულებული გახდა, გაეცა შემოხიზნულნი.

პირველ საუკუნეში ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფო ჩამოყალიბდა: ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის სანაპიროებზე — სანიგებისა და აფშილების სამეფოები, სანიგებსა და აფშილებს შორის — აბაზგთა სამეფო, აფშილთაგან აღმოსავლეთით — სვანეთი, ხოლო აფშილეთ-სვანეთიდან სამხრეთით ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული იყო დიდ ქართველ ტომთა, მეგრელ-ჭანთა და ლაზთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც ბერძნები ლაზიკეს უწოდებდნენ, ხოლო მოძმე იბერიელნი — ეგრისს.

სწორედ ლაზეთ-ეგრისი შეიქნა ძველთაძველი კოლხეთის სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის მემკვიდრე.

ჩამოთვლილ პოლიტიკურ გაერთიანებათა და, განსაკუთრებით, ლაზეთის მეფეები რომის ხელისუფლებისაგან მხოლოდ ფორმალურად ღებულობდნენ სამეფო ინსიგნიებს. სხვა მხრივ ისინი რომის იმპერატორებს არც ხარკს აძლევდნენ და არც სალაშქრო ჯარს. აქაურ მეფეებს ევალებოდათ მხოლოდ კავკასიონის უღელტეხილთა მტკიცედ დაცვა, რამეთუ ჩრდილოელ მომთაბარეებს ტრადიციული გადმოლახვებით არ შეეწუხებინათ რომის იმპერიის აღმოსავლური საზღვრები.

114 წლის მახლობლად დიდი კეისარი ტრაიანე აზიაში ლაშქრობის წინ იბერიელებთან ერთად ლაზებსაც უგზავნის ძღვენს, ხოლო ანტონიუს პიუსს „დიდი მეგობრობა“ ჰქონდა ლაზიკის მეფე ბაკურთან.

III-IV საუკუნეებში ლაზთა სამეფო უფრორე გაძლიერდა და გაფართოვდა. ამ დროს სვანეთიც მის ფარგლებში მოექცა. სვანთა მთავარს ლაზი მეფეები ნიშნავდნენ და ამტკიცებდნენ.

სამხრეთით კი — ჭოროხის მიდამოებში — ლაზები და იბერიელები ერთმანეთს ავიწროებდნენ პირველობისათვის.

### ახალი მტრები ძველი სამტროდან

არ ჩანს, იყო თუ არა ქსეფარნუგი ფარსმან ქველის უშუალო მემკვიდრე.

მაგრამ ქსეფარნუგის შემდგომ, III საუკუნის დამდეგს, ქართლის სამეფო ხელისუფლება ხელში აიღო ფარსმანის ძემ ადამმა.

მან გამეფებიდან სამი წელი იცოცხლა და მემკვიდრედ სავსებით ჩვილი, ერთი წლის ვაჟი დარჩა, სახელად აგრეთვე ფარსმან (სახელოვანი პაპის პატივსაცემად დაარქვეს).

ქართლის უზენაესი ძალაუფლების ნამდვილი მპყრობელი შეიქნა დედა ადამისა, ქვრივი ფარსმან ქველისა, დედოფალი ღადანა.

ღადანამ შვილიშვილი აღზარდა, სამეფოდ მოამზადა და ტახტ-გვირგვინიც დაულოცა.

ეს იყო ფარსმან მესამე, რომელიც წარმატებით ინარჩუნებდა უკვე კარგა ხნის დადგენილ ქართლის პირველობას წინა აზიაში.

მაგრამ სამხრეთული ცა ერანის მხრიდან ავისმაუწყებელი ღრუბლებით მძიმდებოდა. სწორედ III საუკუნის დამდეგს, ადამისა და ფარსმან მესამის მეფობათა ჟამს, ერანში დასასრულს უახლოვდება არშაკიდთა პართიული დინასტია, რომელსაც თითქმის ხუთასწლოვანი არსებობის მანძილზე მსოფლიოსთვის არ დაუტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება, არც ერთი ნათელი სახე, არც ერთი უსისხლო და უცრემლო კულტურული ფურცელი.

ერანში პართიელი არშაკიდები სასანიდებმა შეცვალეს.

სასანიანთა დინასტიის დამაარსებელი იყო არდაშირი (არტაქსერქსე), რომლის წარმოშობის შესახებ ასეთ ამბავს მოგვითხრობენ: ვიღაც სპარსელ მეხამლე პაპაკს, რომელსაც ასტროლოგობაც შეეძლო, ვარსკვლავებზე დაკვირვებისას „უწინასწარმეტყველებია“, რომ მის ნაცნობ სპარსელ სარდალს, სასანს, შეეძინებოდა ვაჟი — ერანის მომავალი ხელმწიფე. პაპაკს გადაუწყვეტია, ისე მოეხერხებია, ის მომავალი გვირგვინოსანი როგორმე მისი უახლოესი ქალის საშოში ჩასახულიყო. მაგრამ, რაკი არც ქალიშვილი და არც დაი არ ჰყავდა, პაპაკმა სასანი თავის ცოლს დაუკავშირა. წინასწარი შეთანხმების თანახმად, ვაჟს უნდა დარქმეოდა: ძე პაპაკისა, სასანის ტომიდან“.

ასე მოევლინა ქვეყანას „ორი მამის ძე“ არდაშირ პაპაკანი, სასანიანთა პირველი „მეფეთა მეფე“, ახალი სპარსული სახელმწიფოს დამაარსებელი.

224 წელს არდაშირმა ორმიზდაგანის ველზე სასტიკად დაამარცხა არშაკიდთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი არტაბან მეხუთე და მალე თვითონ შეიქნა ერანის მბრძანებელი.

რომის იმპერიას აღმოსავლეთში პართიაზე უფრო ძლიერი მეტოქე გაუჩნდა, ხოლო საქართველოს, ერანიდან, ამ მარადიულ სამტროდან — ახალი საშიში მოსისხლენი.

ამ დროს რომის მონათმფლობელური სისტემისა და იმპერიული ხელისუფლების უკიდურესი კრიზისი იდგა. ესაა ხანა უაღრესად დრამატულ-ტრაგიკული და ტრაგი-კომიკურიც კი. საოცარი სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს შეთქმულთაგან დაჩეხილი იმპერატორები, მსოფლიო იმპერიის ტახტი და გვირგვინი სალდათური ბედ-იღბლის სათამაშო საგნებად იქცნენ. ყოველ უჩინო ჯარისკაცს, წერა-კითხვის უცოდინარს, გინა ბრიყვსა და შლეგს, ან სოდომურად ზნედაცემულს, სერიოზულად შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ დღეს თუ ხვალ ისიც გახდებოდა მფლობელი იმპერიის საჭისა, „ღირსეული მემკვიდრე“ იულიუს კეისრისა, ავგუსტუსისა და ტრაიანესი.

სპარსელებს შეეძლოთ ძლიერად ამოქმედებულიყვნენ.

რომაელებსაც საქართველოსთვის აღარ სცხელოდათ.

სპარსელი არდაშირ პირველის თანამედროვე ქართლში ფარსმან მესამე იყო.

სასანიდები პირველი დიდი სპარსული დინასტიის, აქემენიდების მემკვიდრეებად აცხადებდნენ თავს.

და ჯერჯერობით ისე ჩანდა, სასანის მოდგმას ვერ უნდა გაებედნა ხელყოფა ქართლოსის მოდგმისა, რამეთუ მასზე ვერ ბატონობდნენ ვერც ნაშიერნი აქემენისა.

არდაშირი ერანული მემკვიდრეობის შემომტკიცებით იყო გართული. დიდი სახელმწიფოებრივი წარმატებები ჰქონდა, მაგრამ თავს მაინც უბედურ კაცად თვლიდა: შვილი არ ჰყავდა, უმემკვიდრეოდ უნდა გადაგებულიყო. ახალგაზრდობაში ერთი ქალი უყვარდა, საყვარლადაც ესვა, მაგრამ როცა გაიგო, ის ქალი მისგანვე ამოწყვეტილ არშაკიდთა ნათესავი ყოფილა, ერთგულ კარისკაცს გაატანა მიწაში ცოცხლად დასამარხავად. გზაში ქალმა კარისკაცს უთხრა, ორკეცად ვარო მეფისაგან. კარისკაცი შორსმხედველი გამოდგა. ქალი მიწისქვეშა სადგომში დამალა (ამით მეფის ბრძანება აღასრულა — „მიწაში დამარხა“), თვითონ საკუთარი ხელით თავი გამოისაჭურისა, ამოკვეთილი მამაკაცური „ინსიგნიები“ ყუთში ჩაჰკეტა და დაბეჭდული მეფეს ჩააბარა. ასე გაუგონარი თვითგვემით მოიქცა კარისკაცი, რათა ქალთან შეცოდება არ დაბრალებოდა შემდგომში. ქალს შეეძინა ვაჟი, რომელსაც უწოდეს შაბურ (მეფის ძე). რამდენიმე წლის შემდგომ უშვილობით დანაღვლიანებულ არდაშირს კარისკაცი წარუდგა და საიდუმლო გაუმჟღავნა. მეფემ სინამდვილის გამოცდა მოინდომა. ტახტის მემკვიდრე ათას ტოლბიჭთან ერთად მოიყვანეს და სასახლის ეზოში ბურთის თამაში უბრძანეს. ბავშვებს წინასწარ გამოუცხადეს, თუ ბურთი სასახლეში შევარდა, ბურთის გამომტანი სიკვდილით დაისჯებაო. მართლაც, მალე ბურთი სასახლეში აღმოჩნდა. ბავშვთაგან მხოლოდ ერთი, შაბური, გამოედევნა და შეჰყვა ბურთს. არდაშირმა მაშინვე იცნო თავისი უტეხი სისხლი...

მოკვდა არდაშირი.

გამეფდა შაბურ I (242-272 წ.წ.).

გამეფდა და მძლავრად შეუტია რომაელებს.

დიდი ხანი იყო, რომს ასეთი მარცხი და სირცხვილი არ განეცადა აღმოსავლეთში. შაბურმა ჯერ სომხეთი წაართვა რომს, მერე კარასა და ნიზიბისში მდგარი რომაული ციხიონებიც ხელთ იგდო და ევფრატის რომაული სამანებიც დალეწა და ნაცარტუტად აქცია.

260 წელს რომის ისტორიაში მოხდა მანამდე გაუგონარი ამბავი: შაბურმა ქალაქ ედესაში ბორკილები დაადო მასთან მოსალაპარაკებლად მისულ რომაელ იმპერატორს ვალერიანეს.

რომის კეისარი სიკვდილამდე სპარსულ ტყვეობაში დარჩა.

შაბური საშინლად ამცირებდა სვედავსილ ხელმწიფეს. ქვეყნის სასაცილოდ გამოჰყავდა — იმპერატორის წამოსასხამით და ბორკილებით. ამხედრებისას შაბური ვალერიანეს ოთხზე დასცემდა, ზურგზე ფეხს ადგამდა და ცხენზე ისე ჯდებოდა!

იმპერატორმა გალიენემ, ვალერიანეს მამაცმა შვილმა, მამის გამოხსნა ვერ შეძლო (არც ძალიან უცდია).

ხოლო საქართველოს კვლავ დამოუკიდებლად უნდა ეკვლია გზა წინა აზიის მრავალხლართოვანი ხვანჯებით შეკრულ პოლიტიკურ სარბიელზე.

შაბურ პირველის თანამედროვე ქართლში იყო მეფე ამაზასპ, ძე და მემკვიდრე ფარსმან მესამისა.

„ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა“.

სპარსეთის მეფემ წერილი მისწერა ქართლის ხელმწიფეს, — იმპერატორ ვალერიანეს დატყვევებას ატყობინებდა, რომის კავშირმეგობრობაზე ხელის აღებას მოითხოვდა და სპარსეთთან შეკავშირებას სთავაზობდა.

ამაზასპმა შაბურის წერილი არც მიიღო, არც წაიკითხა. პირიქით, იმპერატორ გალიენეს აცნობა, შენი მამის დახსნაში ხელი გამოიღე და აქედან სპარსეთს სალაშქროდ ჩემი ჯარებით მოგეშველებიო.

მაგრამ გალიენეს სპარსულ ლაშქრობაში შინაურმა აჯანყებებმა შეუშალა ხელი, ხოლო ამაზასპს — ჩრდილოელ მეზობელთა შემოტევებმა.

ოვსთა დიდი ლაშქარი გადმოიჭრა მოულოდნელად დვალეთის გზით საქართველოში. რვა დღე ლიახვზე იდგნენ და მცხეთის დასალაშქრავად ემზადებოდნენ.

ამაზასპმა ერისთავებს მოუხმო თავ-თავიანთი ლაშქრით. მოასწრეს მოსვლა კახეთის, ხუნანის და სამშვილდის ერისთავებმა. დაუგვიანდათ სამხრეთისა და დასავლეთის საერისთავოებს. ხოლო ოვსნი უკვე მუხნარში მოსულიყვნენ.

გაეგება ქართველთა ჯარი.

გასაოცარი გმირობით იბრძოდა ამაზასპ. მრავალი განგმირა პირისპირ „ბუმბერაზულ შერკინებაში“.

ორდღიანი ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით გათავდა. ოვსთაგან, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ჩრდილოეთით გადაიხვეწა.

მომდევნო წელს ამაზასპმა გადაწყვიტა, თვითონ დაელაშქრა ოვსეთი. მართლაც, მან „შეკრიბნა სპანი თვისნი ყოველნი და გარდავიდა ოვსეთს. და ვერ-ვინ წინააღუდგა და მოტყუენა ოვსეთი, და მოვიდა შინა გამარჯუებული“.

ჩრდილოურ გამარჯვებებს „სამხრეთული სისუსტე“ მოჰყვა ამაზასპის საგარეო პოლიტიკაში. არ ისვენებდა შაბურ სპარსელი. მარტო სომხეთის ჩაყლაპვა არ ამშვიდებდა. ქართლის ხელმწიფეს კვლავ აძალებდა სპარსეთთან კავშირს. არა და, დიდი ლაშქრობით იმუქრებოდა.

იმპერატორი ვალერიანე ტყვეობაში მოკვდა. შაბურის ბრძანებით მას ტყავი გააძრეს, თივით გატენეს და ქტესიფონის მთავარ ტაძარში დაჰკიდეს. ხოლო რომიდან აღმოსავლურ ლაშქრობაზე ბაიბურიც არ ისმოდა.

ამაზასპი გატყდა და „სამხრეთული პოლიტიკა“ შეცვალა.

რომს ზურგი აქცია და სპარსეთთან კავშირი შეკრა.

ასეთმა პოლიტიკამ ქართლის სასახლის კარზე დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. წარჩინებულთა ერთი ნაწილი მეფეს წინააღუდგა — იგი სპარსეთთან კავშირის გაწყვეტას, რომთან ურთიერთობის აღდგენასა და სპარსთაგან მეზობელი სომხეთის გამოხსნას მოითხოვდა. მაშინ ამაზასპ „იწყო მესისხლეობად, და მოწყვიდნა მრავალნი წარჩინებულნი და ამისთვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან და მტერ ექმნა იგი სომეხთა და შეიყუარნა სპარსნი“.

მეფის სიმკაცრემ, დაუთმობლობამ და დაუნდობლობამ უარესად გაამწვავა შინაური ურთიერთობა. მეფის დასამხობად შეთქმულება შეიკრა. სათავეში ედგა ხუთი ერისთავი: ოძრხისა, კლარჯეთისა, წუნდისა და ორი ერისთავი ეგრის-ლაზეთიდან. მათვე დასახმარებლად მოუხმეს რომაელებს, სომხებს და ოსებს.

ამაზასპმა სპარსეთიდან მოირთო დამხმარე ძალა.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ გუთისხევს.

ბრძოლის დაწყებამდე ამაზასპ წინ გამოიჭრა ამხედრებული და ორთაბრძოლაში გაიწვია მოპირდაპირე ბელადები.

მაგრამ ვერავინ გაბედა სახელგანსმენილ გმირთან პირისპირ შებმა.

ბრძოლა იყო მძიმე, დაუნდობელი.

გადამწყვეტ ჟამს სპარსელებმა ამაზასპი და მისი ერთგული ქართველობა მიატოვეს და ბრძოლიდან გაიქცნენ.

მეფე იბრძოდა მისთვის ჩვეული სიქველით და სიქველითვე დაეცა გულგანგმირული.

გამარჯვებულებმა ქართლის ტახტზე აიყვანეს ამაზასპის დისწული რევ მართალი.

იგულისხმებოდა, ახალ მეფეს სპარსეთთან კავშირზე ხელი უნდა აეღო და ისევ რომის მეგობრობა-მოკავშირეობას დაბრუნებოდა.

სპარსეთმა ამჯერად წინააღმდეგობა ვეღარ გაბედა. ენერგიული და გულფიცხელი შაბური ცოცხალი აღარ იყო. სიკვდილამდე ცოტა ადრე შაბურს შეაგონეს, რომ შენი შვილი ჰორმიზდ, შენგანვე ხორასნის მმართველად დადგენილი, მეფობის წართმევას გიპირებსო. შვილმა მამის რისხვას დაასწრო, მარჯვენა ხელი მოიკვეთა და მამას გამოუგზავნა. ამით მან მშობლისადმი უტყუარი ერთგულება დაამტკიცა, რაკი სპარსული ადათით, ფიზიკურად ნაკლული კაცი სამეფო ტახტზე ვერ დაჯდებოდა. საპასუხოდ შეძრწუნებულ შაბურს უთქვამს: ხელი კი არა, სულ რომ ნაჭრებად დაიჩეხო, მაინც შენ იქნები, შვილო, მეფეთა მეფეო!

და ორი წელი მეფობდა ცალხელა ჰორმიზდი.

მას არც უცდია, ხელი შეეშალა ქართლისა და რომის ხელახალი დაახლოებისათვის.

მეფე რევი რომაელებს კიდევაც დაუმეგობრდა და კიდევაც დაუმოყვრდა:

მან ცოლად შეირთო წარჩინებული ბერძენი ქალი სეფელია.

„და ამან სეფელია მოიტანა თანა კერპი, სახელით აფროდიტოს და აღმართა თავსა ზედა მცხეთისასა“.

ამგვარად, მცხეთა-არმაზის კერპთა პანთეონს — არმაზს, გაცს, გაიმს და ზადენს — კიდევ ერთი ახალი, რომის იმპერიიდან შემოტანილი, სიმშვენიერისა და სიყვარულის ღვთაება, აფროდიტე-ვენერა შეემატა.

მეფე თვითონ კერპთა მოთაყვანე იყო, მაგრამ საქართველოში უკვე კარგა ხანს ცნობილ ქრისტიანულ მოძღვრებასაც შემწყნარებლურად ეპყრობოდა, თვითონ ქრისტიანიზმის კარგი მცოდნე გვირგვინოსანი. ამას ზედ ერთვოდა რევის საერთო დიდსულოვნება, გულმოწყალება და სამართლიანობა. ამიტომაც უწოდა მას ხალხმა „მართალი“.

რევ მართალის შემდგომ ზედიზედ იმეფა ოთხმა ფარნავაზიანმა.

ესენი არიან:

ვაჩე, ბაკური, მირდატ მეოთხე, ასფარუგ პირველი (ამან ასფარუგ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა) და რევი მეორე.

მათი მეფობა დაახლოებით ემთხვევა დიოკლეტიანეს ოცწლიან (285-305 წ.წ.) იმპერატორობას რომში.

დიოკლეტიანემ რამდენჯერმე გაგზავნა არმიები სპარსეთთან საომრად. პირველი შეტაკება სპარსეთის მაშინდელმა მეფემ, ნარსემ მოიგო, მაგრამ მეორედ, 298 წელს, ბრძოლა წააგო და მისი ოჯახიც რომაელებმა ჩაიგდეს ტყვედ.

ნარსემ ზავი ითხოვა, ოჯახი სამარცხვინო ტყვეობისაგან დაიხსნა, მაგრამ მის საფასურად, სომხეთი და ჩრდილოეთ მესოპოტამია რომს გადაეცა.

იბერია რომის მოკავშირე-მეგობრად დარჩა.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# 5 ნოემბერს

დღის 3 საათსა და საღამოს 7 საათზე

## ათონელის თეატრი მანჰეტენზე

**Florence Gould Hall**
55 East 59th street.
Park Avenue-სა და
Medison Avenue-ს შორის.



სლავომირ მროჟეკი

# ემიგრანტები

ზურა ყიფშიძე და გოგა პიპინაშვილი

სპექტაკლი ცნობილი პოლონელი მხატვრის, მწერლისა და დრამატურგის, სლავომირ მროჟეკის გახმაურებული პიესის გადმოქართულებული ვარიანტია. ჰოლანდიაში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა ირაკლი აფაქიძემ სპექტაკლში მთავარ როლებში მოიწვია ქართული თეატრის ორი ვარსკვლავი - ზურა ყიფშიძე და გოგა პიპინაშვილი.

ნიუ იორკში სპექტაკლის ჩამოტანის მიზეზი გახლავთ როგორც მისი მაღალმხატვრული ღირებულება, ისევე მისი აქტუალური თემატიკა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი, პრობლემური და მტკივნეულია ჩვენთვის.

სპექტაკლში ნაჩვენებია ორი, აბსოლუტურად განსხვავებული ფენის, აზროვნებისა და ინტერესების მქონე ადამიანის ემიგრაციაში ცხოვრების რამოდენიმე საათი, რომელშიც ნათლად სჩანს იძულებით ემიგრირებული ადამიანების ტრაგი-კომიკური მდგომარეობა.

ეს არის ცოცხალი, ემოციური, იუმორით, სიცილითა და ცრემლით სავსე სპექტაკლი, რომელიც არავის ტოვებს გულგრილს. სპექტაკლს დამაჯერებლობასა და სიცოცხლეს მატებს რეჟისორის პირადი გამოცდილება, რომელიც თავადაც ემიგრანტია და კარგად იცის ემიგრანტული ცხოვრების ავ-კარგი.

საზოგადოება **ამირანის** პატრონაჟით

ბილეთისთვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე:
212-355-6160,
718-339-4510,
347-409-7612,
აგრეთვე „კავკას-ექსპრესსა“ და მილენიუმის სალაროებში.











